ISSN 0132–6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

12

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამშობლოს გრძნობა ჩვენში ყველას ძალზე განვითარებული აქვს. მშვენიერი გრძნობაა! და ის, რა თქმა უნდა, მარტოოდენ ჩვენი მიწა-წყლის სილამაზის მზერით როდი საზრდოობს. მასში, როგორც იტყვიან, ფესვები უნდა გაიდგა, და როდესაც ადამიანი შრომის ოფლს აპკურებს მას, პურს მოიყვანს, შეუდგება ქალაქის შენებას, გაიყვანს ახალ გზას, ან სანგრებს გათხრის ამ მიწის დასაცავად, — აი მაშინ გაიგებს კარგად, თუ რას ნიშნავს სამშობლო.

ლ. ი. ბრეჟნევი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

294
გამოცემის ოცდამეხუთე წელი

12

დეკემბერი

1981

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

3. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი — მოგონებანი

## პოეზია და პროზა

31. მარიკა ბარათაშვილი — ლექსები
35. ზურაბ თორია — ორი მოთხრობა
47. დილარ ივარდავა — წიგნიდან — „თაკარა მზეში — ჰინდის მიწაზე". ლექსები
50. ირაკლი შენგელაია — უშნო. მოთხრობა
59. ლადო სულაბერიძე — ლექსები
65. გივი კახიანი — დუნეთი. მოთხრობა
76. ბელა შალვაშვილი — ლექსები
78. თამაზ ჯიბლაშვილი — ადამიანი მარტო არ არის. რომანი. დასასრული
103. შოთა ხოდაშნელი — ლექსები
105. ჯუმბერ ტიკარაძე — სასწაულები. რომანი. გაგრძელება
114. გულადი ფეტელავა — ლექსები
118. ქეთევან ჯავახიშვილი — მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. დასასრული
136. ოტია პაჭკორია — პორტრეტები

## წერილები

148. ირაკლი არაბული — ტკივილი პოეზიისა

## ხელოვნება

151. ეკატერინე ბაჩეჩილაძე — შოთა ლეჟავა
153. ნაზი კილასონია — ლეონარდო შენგელია

156. ჟურნალ „ცისკრის" 1981 წლის ნომრების შინაარსი

მთავარი რედაქტორი
**მორის ფოცხიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
რისმაგ გორდეზიანი,
გიორგი გუბლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ვაჟა ლორთქიფანიძე,

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
ოტია პაჭკორია,

გურამ ფანჯიკიძე,
ნუგზარ შატაიძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
სოსო ცინცაძე
გივი ძნელაძე,
ნუგზარ წერეთელი,
თამაზ წივწივაძე,
ტარიელ ჭანტურია,
რეზო ჭეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი

# მოგონებანი

ჟურნალმა „ნოვი მირმა“ 1981 წლის მეთერთმეტე ნომერში გამოაქვეყნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის „მოგონებანი“. იგი ჭეშმარიტად დიდ წვლილს შეიტანს ჩვენი მშრომელების, ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

ვბეჭდავთ ამ „მოგონებებს“ („ქარხნის საყვირი და ჩვენი ცხოვრება“, „სამშობლოს გრძნობა“).

## ქარხნის საყვირი და ჩვენი ცხოვრება

1

ბედმა მარგუნა და დავიბადე, გავიზარდე, შრომითი წრთობა მივიღე მუშის ოჯახში, დიდ მუშათა დაბაში. ბავშვობის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი, ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება ქარხნის საყვირი იყო. მახსოვს მტრედისფრად ინათებდა თუ არა, მამას, უკვე სამუშაოდ ჩაცმულს, დედა ზღურბლზე ეთხოვებოდა ხმიანებდა ქარხნის ბოხი საყვირი და ასე მეგონა, მთელ დედამიწის ზურგზე ისმოდა იგი.

სად იყო რადიო, მუშას ვინ მისცემდა საათს. ქარხანა თვითონ უხმობდა მას სამუშაოდ. პირველი გამაფრთხილებელი საყვირი დილის ექვსის ნახევარზე დაიგუგუნებდა, შემდეგ ექვსზე — მომუშავეთა შესაცვლელად, მერე საღამოს ექვსის ნახევარზე — გამაფრთხილებელი და ექვსზე — ისევ სამუშაოდ. ჩვენთან კამენსკოეში, მომავალ მუშათა ქალაქ დნეპროძერჟინსკში, მაშინ ოცდახუთი ათასი კაცი ცხოვრობდა და დროის მთელი თვლა, მთელი ყოფა, ზნე-ჩვეულება, თვით ხალხის შრომა, ერთი სიტყვით, მთელი ცხოვრება ქარხნის საყვირს მიჰყვებოდა.

სწრაფად ჩავიცვამდი ხოლმე და ფეხშიშველი, უჭმელი მამას მივდევდი. თუ ხელსაც ჩამჭიდებდა, ამაყად მიმოვიხედავდი: ხომ ხედავთ, რა დიდი გავიზარდე, უკვე ქარხანაში მივდივარ-მეთქი. მე კი მაშინ ხუთი წელი მისრულდებოდა. მეზობელი სახლებიდან, გვერდის შუკებიდან და შესახვევებიდან სხვა მუშები გამოდიოდნენ. ჩვენ სულ უფრო მეტი ვხდებოდით. თითქმის ყველას გახეხილი კურტაკი და უხეში ბამბის ქსოვილისაგან შეკერილი შარვალი ეცვა. მახსოვს, ძალიან მომწონდა, ყველასთან ერთად რომ მივაბიჯებდი.

ათასობით კაცი ქვემოთ, დნეპრისაკენ, ბაზრის დაღმართისაკენ მიეშურებოდა. აქ მამა მტოვებდა და მალე მისი კარტუზი უთვალავ სხვა კარტუზებსა, კეპებსა და ჩულის ქუდებში იკარგებოდა. მე მხოლოდ შორიდან ვხედავდი, როგორ ინთქმებოდა ცვლა შესასვლელის შავ ხვრელში. ალბათ შვიდი წლისა თუ ვიქნებოდი, პირველად რომ გავიარე ეს შესასვლელი — ხელში ქვაბურა მეკავა, რომლითაც სადილი მიმქონდა მამასთან.

ქარხანა ორ ცვლად მუშაობდა, ცვლა — თორმეტ საათს, მაგრამ იყო დღეები (ცვლათა გარდაქმნისას), როცა მუშები თვრამეტ-თვრამეტ საათს

ქ. მარ... საქ. სსრ
სახ... რესპუბლიკ...
ბიბლიოთეკა

რჩებოდნენ წარმოებაში. სასადილო არ ჰქონდათ, არც შესვენება იყო, რომ სადილად წასულიყვნენ, წაიხემსებდნენ იმით, რასაც შინიდან გამოყოლებდნენ. საჭმელი ზოგიერთებთან ცოლებს, ქალიშვილებს, დებს მიჰქონდათ. შემდეგ გავიგე: ჩემი დედ-მამა არც ქეიფში შეხვედრიან ერთმანეთს, არც ქალაქის ბაღში, არც სტუმრად სადმე და არც კლუბში, რომელიც მაშინ დროს არც არსებობდა. აქ გაუცვნიათ ერთმანეთი, დნეპრის ქარხნის რკინის საგლინავ საამქროში.

მამაჩემი მვალცავის თანაშემწე იყო, შემდუღებლად კი სახურებელ ღუმელთან ხნიერი მუშა დენის მაზალოვი იდგა. ის მე კარგად მახსოვს: ძარღვიანი, სიტყვაძუნწი, ნამდვილი რუსი ოსტატი. წარმოშობით ენაკიევოდან იყო, მანამდე ნიკოპოლში უმუშავია. ჩვენს ქარხანაში უკვე დაწვრილშვილებული გადმოვიდა, სადილი მასთან ხშირად უფროს ქალიშვილს ნატალიას მიჰქონდა. ჰოდა, აქ, სახურებელ ღუმელებთან, დგან „280"-თან გაეცვნენ ერთმანეთს ახალგაზრდები. ერთი წლის შემდეგ კი იქორწინეს. მამა მაშინ ოცდარვა წლისა ყოფილა, დედა — ოცისა.

კიდევ რა გითხრათ ჩემ წარმოშობაზე? როგორც ცნობილია, მუშათა ოჯახებს საგვარეულო წიგნები არ ჰქონდათ. ვიცი, რომ მამაჩემი, ილია იაკობის ძე ბრეჟნევი, 1900 წელს შესულა ქარხანაში. იგი კურსკის გუბერნიიდან ჩამოვიდა, სტრელეცკის მაზრის სოფელ ბრეჟნევოდან. სოფლის სახელი ისევე როგორც ჩვენი გვარიც, როგორც ჩანს, იქიდან მოდის, რომ სოფელი წყლის პირზე იყო გაშლილი, ან შესაძლოა ცნება „ბერეჩ", „ობერეგატ"-იდანაც, რაც სავსებით ესადაგება გლეხის მზრუნველ დამოკიდებულებას მარჩენალი მიწისადმი. მიწას აფასებდნენ, იცავდნენ, უვლიდნენ, საუკუნეების მანძილზე ოფლითა და სისხლით რწყავდნენ. მაგრამ იმავე საუკუნეების მანძილზე სიღატაკეს თავს ვერ აღწევდა ხალხი, თორემ ლუკმაპურის საშოვნელად რატომ დატოვებდა მამაჩემი მშობლიურ ადგილებს.

სხვათა შორის, შემდეგ ჩვენთან ერთად ცხოვრობდა ძია არკადი, გვარად ისიც ბრეჟნევი იყო, მაგრამ მამაჩემის ნათესავი არ ყოფილა, ერთი სოფლიდან იყვნენ. სხვებივით ისიც ლუკმაპურის საშოვნელად ჩამოვიდა და მამამ ჩვენს ოჯახში დააყენა. ძია არკადი მეტალურგი გახდა და უკვე იმის შემდეგ, როცა დედაჩემის უმცროსი და ცოლად შეირთო, დაგვიმოყვრდა და ბიძად მერგო. ეტყობა, როგორც ეს რუსეთის სოფლებშია, მოგვარეები ჩვენს სოფელში ბლომად იყვნენ.

ამრიგად, ეროვნებით რუსი ვარ, წარმოშობით — მკვიდრი პროლეტარი, შთამომავლობით მეტალურგი. სულ ეს არის, რაც ჩემ გვარტომობაზე ვიცი.

ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება, თუ რუსეთის მუშათა კლასის გენიალოგიას გავიხსენებთ. მისი სწრაფი ზრდა სწორედ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე დაიწყო. აი ამან გამოიწვია ხალხის უდიდესი მასების ადგილგადანაცვლება, მკვეთრი ცვლილებანი მილიონობით ადამიანის ცხოვრებაში. ცალ-ცალკე თითოეული მათგანის ბედ-იღბალი შეიძლება შემთხვევითობად მოგვეჩვენოს, მაგრამ საყოველთაო ისტორიამ განაპირობა, შეიძლება ითქვას, წინასწარ გადაწყვიტა სამრეწველო რევოლუციამ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა და სულაც შემთხვევის ბრალი როდი იყო, რომ ჩემი მშობლები ეკატერინოსლავის (ახლანდელი დნეპროპეტროვსკის ოლქი) სანახებში ჩავიდნენ, შემთხვევამ როდი აიძულა ისინი სწორედ სამხრეთ რუსეთში დასახლებულიყვნენ.

ამ მხარეში ბედად ერთმანეთის მახლობლად იყო დონბასის ქვანახშირი და კრივოიროგის მადანი. რკინიგზამ დააკავშირა ისინი. წყლის მაგისტრალი დნეპრი საშუალებას იძლეოდა მზა ლითონი გაეგზავნათ ბეჟიცისა და ბრიანსკის მანქანათმშენებლებთან. ეს ყველაფერი, ერთად აღებული, აგრეთვე იაფი მუშახელის შოვნის უსაზღვრო შესაძლებლობანი, არა მარტო რუსეთის მეწარმეებს, არამედ უცხოეთის კაპიტალისტებსაც იზიდავდა. მაგალითად, დნეპრის ქარხანა აერთიანებდა ბელგიის, პოლო-

ნეთის და საფრანგეთის კაპიტალს („კოპიტალს“, როგორც ჩვენთან, უბანში იტყოდნენ და სიტყვა „კოპიტ“ — დაგროვებას გულისხმობდნენ). ქარხანა მეტად სწრაფად იზრდებოდა: 1887-დან 1896 წლამდე კამენსკოეს მოსახლეობა 2000-დან 18000 სული გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ციფრები მოყვანილია ვ. ი. ლენინის წიგნში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. იგი წერდა: „ის, რაც წინათ საუკუნეობით იქმნებოდა, ახლა სულ რაღაც ათიოდე წელიწადში ხორციელდებაო“. ეს კლასიკური ნაშრომი ბევრად უფრო გვიან, უკვე როცა სტუდენტი ვიყავი, მაშინ წავიკითხე და ყურადღება მივაქციე, რა გულმოდგინებით და ღრმად გამოუკვლევია ვლადიმერ ილიას ძეს სამხრეთის მეტალურგიის ზრდა. მახსოვს, ერთობ მეამაყებოდა, რომ მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადს, როცა მთელი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას აანალიზებდა და მთელ რუსეთს თვალს ავლებდა ჩვენი მხარეც, ყოფილი ჩვენი სოფელი კამენსკოეც არ გამორჩენია, შეისწავლა მისი წარსული, იცნობდა აწმყოს, განჭვრიტა მომავალი.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ პირველები იყვნენ სანქტ-პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, პერმის, ვლადიმირის გუბერნიები, მაგრამ უკვე 90-იან წლებში ეკატერინოსლავის გუბერნია ძველ სამრეწველო ცენტრებს უსწრებს და დედაქალაქის შემდეგ მიდის. ურალში „ორთქლის ძალათა რაოდენობა“ ათი წლის მანძილზე ორნახევარჯერ გაიზარდა, სამხრეთში კი იმავე პერიოდში — თითქმის ერთიექვსად. თანაც სამხრეთის ქარხნები ურალის ქარხნებისაგან განსხვავებით უკვე ხის ნახშირს კი არა, ქვანახშირს იყენებდნენ, არც თუჯს ადნობდნენ ცივი ბერვით და რკინის გამოყვანაშიც მოძველებულ ეგრეთ წოდებულ გუნდის წესზე ხელს იღებდნენ.

„რამდენადაც ურალი დაძველდა, — ასკვნიდა ვ. ი. ლენინი, — და ურალში გაბატონებული წესები „საუკუნეთა ნაკურთხია“, იმდენად სამხრეთი ახალგაზრდაა და ჩამოყალიბების პროცესშია, ამ ბოლო ათწლეულების მანძილზე აღმოცენებული წმინდა კაპიტალისტური მრეწველობა არ იცნობს არც ტრადიციებს, არც წოდებრიობას, არც ეროვნულობას, არც გარკვეული მოსახლეობის კარჩაკეტილობას“.

ვიმეორებ, რომ ეს ყველაფერი უფრო გვიან, სტუდენტობაში წავიკითხე და გავიაზრე. მაგრამ ის, რაზეც ლენინი წერდა, ჯერ კიდევ ბავშვობაშივე მინახავს და სიყმაწვილის წლებიდან დამამახსოვრდა. მრავალენოვანი კილოკავი, სხვადასხვა გუბერნიებიდან მრავლად ჩამოსული დაფეთებული გლეხები, სახელდახელოდ შეკოწიწებული ბარაკები და ბრძმედების, მარტენების, მძლავრი საგლინავი დგანების მშენებლობა — ეს ყველაფერი სულ მცირედ წვრილმანებამდე მახსოვს. ქარხანა, რომელიც იმხანად სამხრეთში ყველაზე დიდი იყო, თავს ადგა ახალშენს. ჩვენში ყველაფერი მას ეტანებოდა და მეც, სხვა მუშათა შვილებისამებრ, ვიცოდი, რომ მამის კვალდაკვალ მივიდოდი საამქროში, გიზგიზა ცეცხლთან დავდგებოდი. სხვა რამეს ჩვენში აზრადაც არავინ გაივლებდა. ქარხანა გუგუნებდა, თავს გვახსენებდა და მე ვიცოდი, რომ ეს იყო ჩემი ხვედრი.

იმ დროისათვის ქარხანა კარგად აღჭურვილად ითვლებოდა, მაგრამ, რასაკვირველია, საამქროებში არც როლგანგები ჰქონდათ, არც ამწე მაგიდები. ვაგონებს ნიჩბებით გადმოტვირთავდნენ ხოლმე, ქვანახშირსაც საცეცხლეში ნიჩბებით ყრიდნენ, შავ ზოდებს ჯაგლაგი ცხენით ეზიდებოდნენ სახურებელ ღუმელებთან, სადაც პაპაჩემი დენისი ტრიალებდა. აქედან გავარვარებულ „ნაჭრებს“, თითო ნახევარ ტონას მაინც რომ იწონიდა, კაუჭებით მიათრევდნენ დგანისაკენ, შემდეგ ხელით გადაათრევდნენ ერთი კალიბრიდან მეორეზე, ბოლო გალიდან კი უკვე გაგლინულ ჯერ ისევ ცხელ ლენტს მაშებით ჩაეჭიდებოდნენ და მიარბენინებდნენ ფილაფენილზე, სადაც ლითონი უნდა გაცივებულიყო.

ისევ გაირინდებოდა თავის ადგილზე (ჩვენში „მარყუჟს“ რომ ეძახდნენ) მაღალ-მაღალი, ბეჭებგანიერი, წინსაფარაკრული და ბანდულებიანი

მუშა. კარგად ვხედავდი: მთლად დაძაბული იყო, მაშა ყოველ წამს მზად ჰქონდა. როგორც კი გალიდან გამოაღწევს ვარვარა, მოსისინე, გაბორო-ტებული გველი, ის მყისვე მოათვინიერებს, ხელის ფართოდ აქნევით სხვა-გლინებში გადაისვრის, „გეზს მისცემს“ მას. ზღაპრული ღონის პატრონი, გოლიათად წარმომედგინა იმ წამს ადამიანი! ეს მუშა მამაჩემი იყო.

მე რომ შემნიშნავდა, მამა ძია არკადის ან ჩვენს მეზობელ ლუკას ან კიდევ რომელიმე მუშას დაუძახებდა, შემცვალეთო, წყალს ხელებზე გადაივლებდა, პირზე შეისხამდა და გარეთ გამოვიდოდა. მზეზე თვალები ეჭუტებოდა. სადილად იქვე, გამხმარ ბალახზე დაჯდებოდა. ჭამის დროს ხმას არ იღებდა. ზოგჯერ თავზე გადამისვამდა აქერცლილ ხელს, შემეკით-ხებოდა, სახლში რა ამბავია, დედა როგორ არისო. სადილი ყოველთვის ერთნაირად თავდებოდა, მეტყოდა, წადი, გაისეირნეო. მეც ჩემს მეგობრებ-თან ერთად გავრბოდი აკვამლებული მილებისაკენ, რომელთა მიღმაც ქარ-ხანა აღარ იყო და არც კი მესმოდა, თუ რა ჯოჯოხეთური შრომა მოელო-და მას კვლავ.

შენობებს იქით უცვეთელა იყო მოდებული და ამ ბარდებში გავდიო-დით დნეპრთან. იმ ადგილას ნაპირი ძალიან მაღალი და ფლატიანი იყო. ზემოდან გავცქეროდით გადაშლილ თვალუწვდენ სივრცეს. ქვემოთ ცის-ფრად ლივლივებდა მდინარე, მოჩანდა მწვანე, ბუჩქნარმოდებული კუნ-ძული, უფრო შორს კი ყველაფერს სილურჯე გადაჰკრავდა, წყალსაც, მდე-ლოებსაც, და გაღმა სოფლებსაც — ნიკოლაევკას და კურილოვკას. ჩვენთ-ვის ქვეყანა იქ მთავრდებოდა.

ბავშვობა ბავშვობაა. აქ დნეპრის ნაპირზე ყველაფერი სიხარულს გვგვრიდა: ფლატეზე ძირს ჩავრბოდით, ვბანაობდით, კუნძულამდე მივცუ-რავდით, ოღონდ გაზაფხულობით არა. წყალდიდობის დროს კუნძულის ხეები იფარებოდა, გაღმა ნაპირი ძლივს ჩანდა. ახლა, როცა გოგოლის ნათ-ქვამს ვიხსენებ, „იშვიათად, რომ რომელიმე ჩიტი შუა დნეპრამდე მიფრინ-დესო“, ასე მგონია, მდინარის ხატი ბავშვობის ხსოვნიდან ამოიღო-მეთქი.

ბავშვობა კაცს ყოველთვის ახსოვს, მაგრამ მინდა თავიდან ავიცილო შეცდომა, რომელიც მოგონებათა ავტორებს ხშირად მოსდით: წარსული ვარ-დისფრად ეჩვენებათ, თუნდაც იმიტომ, რომ თვითონ იმ დროს ახალგაზ-რდები იყვნენ.

## 2

ჩვენი ოჯახი მუშათა უბანში სახლობდა, რომელსაც „ქვემო კოლო-ნიას“ უწოდებდნენ, აქსიონოვის შესახვევში. სწორედ აქ დავიბადე 1906 წლის 19 დეკემბერს. ამავე ოთახში დაიბადნენ ჩემი ძმა იაკობი, და ვერა.

მცხოვრებთა სულიერი მოთხოვნილებებისათვის ზრუნვა იმით ამოი-წურებოდა, რომ სოფელ კამენსკოეში იყო მართლმადიდებელთა ორი ეკ-ლესია, კათოლიკეთა ეკლესია, ლუთერანთა კირხე და ებრაელთა სინაგოგა. სხვა „კულტურის“ კერები ქარხნის გამოსასვლელთანვე იდგა: სტრიგუ-ლინის ტრაქტირი, სმირნოვის ტრაქტირი და კიდევ უთვალავი ტრაქტი-რები და სახაზინო ღვინის დუქნები.

დაბის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, „ზემო კოლონიაში“ სულ სხვა სურათი იყო: იდგა ქარხნის ადმინისტრაციის ორსართულიანი, ვრცელი, კეთილმოწყობილი სახლები. მაღალი თუ დაბალი, მრგვალი თუ რვაკუთხე-დი ურიცხვი მილებიდან ამოსროლილი კვამლიც კი იმათგან პირს იბრუ-ნებდა და თითქმის ყოველთვის მუშათა უბნისაკენ მიიწევდა. გვიანღა გა-ვიგე, რომ დნეპრისპირეთის ქარების მიმართულება გაითვალისწინეს. ამი-ტომ იყო კვამლიანი ჩემი ბავშვობის ზეცა, ჭვარტლის ფენა ედო ჩვენს სახლებს.

„ზემო კოლონიის“ ტერიტორიაზე შესვლა მუშებს სასტიკად აკრძა-ლული ჰქონდათ. საღამოობით იქ ელექტროსინათლე კაშკაშებდა, დაბე-რილ თვლიანი ღია ეტლებით დაქროდნენ მედიდური ქალბატონები და ვაჟ-

ბატონები, თითქოს სხვა, ნასვამ-ნაჭამი, ნაპატივები, ზვიადი ჯიშის ადამიანები. ინჟინერი, რომელსაც ფორმის ქუდი ეხურა და ხავერდის საყელოიანი პალტო ეცვა, არასოდეს არ გაუწვდიდა ხელს მუშას, მუშა კი, თუ ინჟინერთან ან ოსტატთან მივიდოდა, ვალდებული იყო ქუდი მოეხადა. ჩვენ, მუშათა შვილებს, მხოლოდ შორიდან, ქალაქის ბაღის რკინის ღობიდან შეგვეძლო გვეცქირა, როგორ დარიალებდა სასულე ორკესტრის ხმაზე „წმინდა საზოგადოება“.

აწმყო რომ კარგად გაიგო და დააფასო, კაცმა წარსული ნათლად უნდა დაინახო.

„ძნელად თუ სადმე ნახავთ ისეთ კატორღულ პირობებს, როგორიც კამენსკოეს ქარხანაშია, — ნათქვამი იყო ბოლშევიკების ერთ-ერთ ფურცელში, რომელსაც ჩვენს დაბაში ავრცელებდნენ. — სად ნახულა, რომ სამუშაო მთელ წელიწადს ყოველგვარი უქმე დღეების უქონლად გრძელდებოდეს და ყოველდღე თორმეტ-თორმეტ, ზოგჯერ კი თვრამეტ-თვრამეტ საათს შეუსვენებლად, უსადილოდ და უსაუზმოდ მუშაობდნენ? სად გაგონილა, რომ მუშისათვის შენობის, მანქანებისა და ხელსაწყოების შესაკეთებელ-გასამართავი ფული დაექვითოთ? ეტყობა, ჩვენს სისხლის მსმელებს არ ჰყოფნით ჩვენი შრომით მიღებული მოგება და ყოველი შემთხვევით სარგებლობენ, რომ შარი მოგვდონ, დაგვაჯარიმონ... ნიადაგ ვმუშაობთ, ნიადაგ ჭუჭყში ვზივართ იმისათვის, რომ მეპატრონეთა ქისა სავსე იყოს, ჩვენი კუჭი კი ცარიელი“.

სამხრეთ რუსეთის მუშათა რევოლუციური ისტორია ცნობილია. შევახსენებთ, რომ პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეები აქ ჯერ კიდევ 1885 წელს გაჩნდა. ასეთი წრე კამენსკოეშიც იყო. შემდეგ იგი რეგულარულად იღებდა ლენინურ „ისკრას“. ვ. ი. ლენინის დავალებით სხვადასხვა დროს აქ აქტიურად მუშაობდნენ მისი ისეთი მოწაფეები და თანამებრძოლები, როგორიც იყვნენ ი. ქ. ლალაიანცი, ვ. პ. ნოგინი, ვ. ა. შელგუნოვი, მ. გ. ცხაკაია, რ. ს. ზემლიაჩკა, ვ. ვ. ვოროვსკი, პ. ნ. ლეპეშინსკი, გ. კ. ორჯონიკიძე. მაგრამ განსაკუთრებით მინდა ვილაპარაკო სამ ბოლშევიკზე იმ მუშათა პლეადიდან, რომლებიც შეგნებულად პირველნი დაადგნენ რევოლუციური ბრძოლის გზას.

ეკატერინოსლავის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ 1897 წელს დააარსა ივანე ვასილის ძე ბაბუშკინმა. როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი მას პარტიის სიამაყეს, ხალხის გმირს უწოდებდა. „ასეთი ადამიანები რომ არა, — წერდა ლენინი, — რუსი ხალხი სამუდამოდ დარჩებოდა მონების, ყურმოჭრილი ყმების ხალხად. ასეთი ადამიანებით რუსი ხალხი ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან გაითავისუფლებს თავს“.

ბაბუშკინის წრეში ეზიარა რევოლუციურ მოძრაობას გრიგოლ ივანეს ძე პეტროვსკი. ამ რევოლუციონერი მუშის, შემდეგში ჩვენი პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის სახელი მიენიჭა ქარხანას, სადაც ის ხარატად მუშაობდა. ქალაქ ეკატერინოსლავს მისი დამსახურების აღსანიშნავად დაერქვა დნეპროპეტროვსკი.

მესამე იმათგან, ვისი გახსენებაც მინდა, ნიკიფორე ეფრემის ძე ვილონოვია. იგი სხვებზე ნაკლებად არის ცნობილი. არადა, ეს წამებულიც განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირი იყო. 1903 წლის ზაფხულში, როდესაც მთელ სამხრეთ რუსეთს გაფიცვების ტალღამ გადაუარა, იგი ეკატერინოსლავში რსდმპ ისკრული კომიტეტის წევრი გახდა. პარტიულ მეტსახელად მიხეილ ზავოდსკოი (ქარხნის კაცი. რედ.) დაირქვა და მართლაც ქარხნის კაცი იყო, კვალიფიციური ზეინკალი, სულისკვეთებით — ჭეშმარიტი მუშა.

როცა ამ ადგილებში რსდმპ II ყრილობაზე მომხდარი გათიშვის ამბავი მოვიდა, ვილონოვი უყოყმანოდ მიემხრო ბოლშევიკებს. მან ვრცელი

წერილი მისწერა ვ. ი. ლენინს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, რადგან მალე დააპატიმრეს და ციმბირს გადაასახლეს. ვლადიმერ ილიას ძემ კი პასუხი მოსწერა და ეს წერილები ათეული წლების შემდეგ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში შეხვდა ერთმანეთს. ლენინის წერილს შემორჩა ნ. კ. კრუპსკაიას ხელით მინაწერი: „22. XII გავუგზავნეთ მიშა ზავოდსკოის".

უფრო მეტიც, ჩვენი პარტიის დამაარსებელმა „ქალაქ — ვას ერთ-ერთი ქარხნის მუშის" აზრი მთლიანად მოიყვანა თავის ბროშურაში „წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ". ვილონოვს კი ისინი ექვსი წლის შემდეგ შეხვდნენ პარიზში და როცა კრუპსკაიამ შენიშნა, ოდესღაც ეკატერინოსლავიდან საინტერესო წერილებს გვწერდა მიშა ზავოდსკოიო, ვილონოვმა ჩაიცინა, ეს ხომ მე ვიყავიო. აი, სად გაირკვა.

ვილონოვმა რევოლუციონერის ჩვეულებრივი გზა განვლო — დაპატიმრება, განმარტოებული საკანი, საპყრობილე, გაქცევა, კვლავ დაპატიმრება, გადასახლება. ჟანდარმებმა იგი ნესტიან კარცერში ჩასვეს, ცემით ფილტვები დაუზიანეს, სულ ახალგაზრდა დააჭლექეს. და მაინც ის პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი და პროპაგანდისტი გახდა, 1905 წლის რევოლუციის დროს კი სამარის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე იყო. მაშინ მას ოცდაორი წელი შეუსრულდა.

უკვე დავრდომილი მოხვდა იგი ემიგრაციაში, კაპრის კუნძულზე ცხოვრობდა, შიგ შუაგულ ფრაქციულ ბრძოლაში აღმოჩნდა. ცუდი დრო იყო რეაქციის წლები დადგა, დაიწყო იდეური დაქსაქსულობა, გაჩნდნენ „ოტზოვისტები", „ღვთისმშენებლები", „ემპირიომონისტები" და სხვ. რევოლუციონერი მუშისათვის იოლი როდი იყო ყოველივე ამაში გარკვევა, მაგრამ მას არჩევანი არ შეშლია— ლენინს გაჰყვა. ცნობილია ვლადიმერ ილიას ძის წერილი ა. მ. გორკისადმი, სადაც იგი ყვება მიხეილ ზავოდსკოისთან ხანგრძლივი საუბრის ამბავს და ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ მუშათა კლასი გამოსჭედს თავის პარტიას — „გამოსჭედს უფრო მალე, ვიდრე ემიგრანტის მდგომარეობის ამ სამგზის წყეული თვალსაზრისით გვგონია, გამოსჭედს უფრო უცილობლად, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია, თუ ზოგიერთი გარეგნული გამოვლინების და ცალკეული ეპიზოდის მიხედვით ვიმსჯელებთ. ამის საწინდარია ისეთი ადამიანები, როგორიც მიხეილია".

დიახ, ამის საწინდარი იყო ისეთი ადამიანები, როგორიც იყვნენ ბაბუშკინი, პეტროვსკი, ვილონოვი და ათასობით სხვები. და ამ უანგარო მებრძოლებზე იმიტომ ვწერ, რომ უფრო ნათელი გახდეს რატომ მიჰყვებოდა რუსეთის მუშათა კლასი სულ მუდამ ვ. ი. ლენინს, ბოლშევიკებს, კომუნისტთა დიად პარტიას. 1905 წლის რევოლუციაში დნეპრელი მუშები უკვე უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ივანოვო-ვოზნესენსკსა და პეტერბურგში, მოსკოვსა და კიევში, ეკატერინოსლავსა, ლუგანსკსა და სხვა დიდ ქალაქებში მუშათა დეპუტატების საბჭოების კვალდაკვალ საბჭო კამენსკოეშიც შეიქმნა. მას გეზს იმთავითვე ბოლშევიკები აძლევდნენ და თავმჯდომარედაც ბოლშევიკი ი. მ. ბესედოვი, ქარხნის ელექტრიკოსი აირჩიეს. შემდეგში შევხვედრივარ მას, სამოქალაქო ომის მერე ჩვენთან ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა, უფრო გვიან კი ქარხნის დირექტორი იყო.

ბრძოლა რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგაც გრძელდებოდა. მიუხედავად მასობრივი დაპატიმრებებისა, მიუხედავად იდეური მერყეობისა, მენშევიკებსა და ესერებს აქ არასოდეს არ ჰქონიათ ძლიერი პოზიციები. ბრძოლა ფართოვდებოდა, იატაკქვეშა წრეები მუშაობდნენ, იყო გაფიცვები, ეწყობოდა მაისობები. მაგალითად, 1912 წლის 4 ივლისს „პრავდა" წერდა: „გუშინ კამენსკოეს ქარხანაში პოლიციამ 22 კაცი დააპატიმრა, მათ ბრალად დასდეს პოლიტიკური მიტინგის მოწყობის მცდელობა". გაზეთის ერთ-ერთი მომდევნო ნომერი უკვე იუწყებოდა, „კამენსკოეს ქარხანაში 32 მუშაა დაპატიმრებულიო". მაგრამ მუშათა კლასის საბრძოლო სულისკვეთების მოთეხა აღარ შეიძლებოდა.

„მარტოოდენ მაშინ, თუ კიდით კიდემდე საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებას წამოვიწყებთ, მარტოოდენ მაშინ, თუ ნიკოლოზ II-ის მიხრწნილ დესპოტიას საბოლოოდ დავანგრევთ და მის ნანგრევებზე დემოკრატიულ რესპუბლიკას ავაშენებთ, შევძლებთ, თავი დავიხსნათ განმეორებით ადამიანთა ჟლეტის საშინელებათაგან... დაე, ჩვენი ბრძოლა ერთიანი, საყოველთაო იყოს, რადგან ძალა ერთობაშია!“ — მოგვიწოდებდა ფურცელი, რომელიც 1916 წელს ხელიდან ხელში გადადიოდა ჩვენს ქარხანაში.

რა თქმა უნდა, იმ წლებში ამ ფურცლებს მე არ ვკითხულობდი, მაისობებზე ჩვენ, ყმაწვილები არ დავყავდით, და საერთოდაც ყველაფერი როდი იყო ჩვენთვის მისაწვდომი და ნათელი, მაგრამ ამ ატმოსფეროში ვიზრდებოდი, მუშათა ფიქრები და სასოება იმთავითვე ახლო იყო ჩემთან. მათ ვეზიარებოდი, როცა უფროსების საუბარს ვისმენდი, როცა მათ გაფიცვების მძიმე დღეებში ვუმზერდი. შემიძლია გითხრათ, რომ მუშაკაცის საუკეთესო თვისებები ბავშვობის წლებშივე გადამეხსნა.

იგი დიდი მშრომელია, მას უშრეტი მოთმინება ახასიათებს, მან თავისი საქმე იცის და მისი კარგად კეთება სჩვევია. მეფის დროსაც კი, ექსპლოატაციის პირობებშიც კი მას ზიზღს ჰგვრიდა ცუდი ნამუშევარი, რადგან ოსტატობას ყოველთვის აფასებდა და თავის შრომას პატივს სცემდა. კაცობრიობის მიერ დაგროვილი თითქმის მთელი სიმდიდრე მუშის კუნთმაგარი ხელის შექმნილია, მაგრამ თვითონ მუშა როდი მიეჯაჭვა საკუთრებას, მისი სული ვერ ჩაკლა ანგარებამ, მასში ცხოვლად ჩქეფს სულგრძელობა, სილაღე და მარადიული სწრაფვა სამართლიანობისადმი. იგი საზრიანი, გამჭრიახია, ახასიათებს ცინცხალი ჭკუა და იუმორი. მუშა გაბედულია, მამაცი, მეგობრის ერთგული, ყოველ წუთს მზად არის დაეხმაროს ამხანაგს. ქარხნის საყვირი ყველას ერთად უხმობდა ცვლაში, ქარხნის საყვირივე აკავშირებდა მუშებს, წარმოიშვებოდა მაღალი გრძნობა ერთიანობისა, ინტერესთა ერთობისა, იმ პროლეტარული სოლიდარობისა, რომელიც სხვადასხვა ასაკის, გამოცდილების, წეს-ჩვეულების, ეროვნების მილიონობით ადამიანს მძლავრ, მონოლითურ, ჭეშმარიტად რევოლუციურ კლასად ხდიდა.

ამ კლასს განვეკუთვნები მე დაბადებით, მის წრეში აღვიზარდე, მასთან ვარ დაკავშირებული, შეიძლება ითქვას, სისხლხორცეულად. მამაჩემს სული ისე აღმოხდა, რომ მუშა იყო, მუშები იყვნენ პაპაჩემი, დედის ძმები — ბიძაჩემები, მე თვითონაც, როცა დრო დადგა, ქარხანაში შევედი, მე მომყვნენ ჩემი ძმა, და, დის ქმარი... ბრეჟნევთა ოჯახმა თავისი ცხოვრების მრავალი ათწლეული შეალია მშობლიურ ქარხანას, ჩვენს გვარს დღესაც შეხვდებით ქარხნის სიებში.

## 3

უფრო დაწვრილებით ვიტყვი ოჯახზე იმიტომ, რომ ადამიანის ხასიათის, ცხოვრებისადმი მის დამოკიდებულების საწყისები სწორედ ოჯახშია. ჩემმა მშობლებმა თავის კისერზე განიცადეს მეფის მხრივ ჩაგვრის მთელი სიმძიმე, თავიანთი სიცოცხლის მეტი ნაწილი გაჭირვებაში გაატარეს, მაგრამ შინ ყოველთვის თანხმობა სუფევდა. შესაძლოა, რაიმე შეხლა-შემოხლა იყო კიდეც, მაგრამ ჩვენ, შვილები, ამას არ ვგრძნობდით, ხმამაღალი ლაპარაკიც კი არ გვსმენია.

მამაჩვენი თავდაჭერილი, მკაცრი კაცი იყო, არ გვანებივრებდა, მაგრამ რამდენადაც მახსოვს, არც არასოდეს დავუსჯივართ. ეტყობა, არც იყო ამის საჭიროება: ჩვენ მშობლების პატივისცემის სულისკვეთებით ვიზრდებოდით. მამა მაღალ-მაღალი კაცი იყო, ხმელ-ხმელი, და როგორც მგლინავთა უმეტესობა — ძალზე ხელღონიერი. სახის ნაკვთები ნატიფი ჰქონდა, კარგი, ყურადღებიანი თვალები. იგი მუდამ თვალს ადევნებდა თავის გარეგნობას, შინ ყოველთვის სუფთად გაპარსული, აკვალთული

იყო, ყველაფერში წესიერება უყვარდა. მისი ეს ჩვევები ეტყობა, ჩვენც გადმოგვეცა. იგი ავსავსე იყო საკუთარი ღირსების გრძნობით, არ ცბიერობდა, გულწრფელობა ახასიათებდა და ამხანაგები პატივს სცემდნენ, ჩვენ, შვილებს, გვსიამოვნებდა, ამას რომ ვხედავდით.

— თუ შეჰპირდი, სიტყვა არ გატეხო, — მეუბნებოდა მამა. — თუ ეჭვი გეპარება — სიმართლე თქვი, გეშინია — ნუ გააკეთებ და თუ გააკეთე — ნუღარ შიშობ. თუ დარწმუნებული ხარ, რომ მართალი ხარ — შენსას ნუ გადაუხვევ.

თვითონაც ასე იქცეოდა, მისი სიტყვა და საქმე ერთი იყო.

კამენსკოეში ჭრელი ხალხი ცხოვრობდა. ქარხნის ადმინისტრაციაში ფრანგები, ბელგიელები, პოლონელები მსახურობდნენ. მუშებშიც ბლომად იყვნენ პოლონელები, მაგრამ ადგილობრივნი — უკრაინელები ჭარბობდნენ. ძალიან ბევრნი იყვნენ ელეცკელი, კურსკელი, ორიოლელი, კალუგელი გლეხები. მამაჩემი მშრომელებს არ განასხვავებდა, როგორც ახლა ვიტყვით ხოლმე, ადამიანებს ეროვნული კი არა, კლასობრივი ნიშნის მიხედვით ყოფდა. ჩემთვისაც მაშინ, როგორც მახსოვს, ურიადნიკის ან მდიდარი ვაჭრის შვილი, თუნდაც რუსი ყოფილიყო, უცხო იყო, მუშის შვილი კი, იმავე პოლონელი მუშის შვილი, ჩემიანად მიმაჩნდა.

რევოლუციის შემდეგ, როცა ქარხანა რვასაათიან სამუშაო დღეზე გადავიდა და მესამე ცვლა უნდა დაეკომპლექტებინათ, მამა ფაბრიკატორად დანიშნეს. მრავალი წელი იმუშავა მვალცავად, თავის საქმის ოსტატად ითვლებოდა, მაგრამ ახალი მოვალეობა მისგან არა მარტო გამოცდილებას, არამედ სოლიდურ ცოდნასაც მოითხოვდა. ფაბრიკატორი განაცხადს აძლევს მარტენის საამქროს, განსაზღვრავს, რომელი ლუგვიდან შეიძლება მიიღო შეკვეთის პროფილი, რომელი მარკის ფოლადი აირჩიო, როგორ წარმართო თერმული დამუშავება, რომ შეამცირო სითბოს დანაკარგი და ა. შ. არსებითად აქ უკვე საინჟინრო გაანგარიშება იყო საჭირო, მამა კი მრავალი წლის პრაქტიკამ და ბუნებრივმა გონიერებამ მიიყვანა ყოველივე აქამდე.

საბჭოების დროს პელინის ქუჩაზე გადავედით, ქარხნის ახალ სახლში, სადაც პირველ სართულზე ოროთახიანი ბინა მივიღეთ. ერთი ოთახი მამამ ბიძაჩემის ოჯახს დაუთმო. შეხმატკბილებულად, მხიარულად ვცხოვრობდით, სტუმრები ხშირად გვეწვეოდნენ ხოლმე, შუაღამემდე ვმღეროდით და ვსაუბრობდით, დედა უჭმელს არავის გაუშვებდა. სახლი ტრიტუზნაიას სადგურთან იდგა. მაშინ ეს ქალაქის გარეუბნად ითვლებოდა. სახლის უკან გამწვანებული ეზო გვქონდა, აკაციები ჰყვაოდნენ. დილა ჩიტების ჭიკჭიკით იწყებოდა.

მამა დამკვრელთა რიგებში ჩადგა, 30-იან წლებში სტახანოველი გახდა, პატივისცემით იყო გარემოსილი, შვილები ფეხზე დაგვაყენა. ჩვენ უკვე ყველანი ვმუშაობდით, ოჯახს ვეხმარებოდით. ახლა იწყებოდა მისი ცხოვრება, მაგრამ უეცრად ავად გახდა და გარდაიცვალა, როცა სამოცი ჯერ არ შესრულებოდა.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მამაჩემს ქარხნის საზრუნავი ასულდგმულებდა. იგი ყოველთვის ცხოველ ინტერესს იჩენდა ყველაფრისადმი, რაც ჩვენს ქვეყანაში, მსოფლიოში ხდებოდა. მეხსიერებაში შემომრჩა ერთი საუბარი, რომელიც შემდეგ ხშირად გამხსენებია და მინდა აქაც გავიმეორო. იმ დღეს ცვლიდან დავბრუნდი და, როგორც გვჩვეოდა, მამას ვუამბობდი ქარხნის ამბებს. მაგრამ მამა რაღაცას თავისას ფიქრობდა. შემაწყვეტინა:

— ლონია, რომელია მსოფლიოში ყველაზე მაღალი მთა?

— ევერესტი.

— რამდენია მისი სიმაღლე?

გავვოცდი: რა ამბავია, გამოცდას მიწყობს?

— არ მახსოვს ზუსტად, — ვეუბნები. — ცხრა ათას მეტრამდე უნდა იყოს. რად გინდა?

— ეიფელის კოშკი?

— მგონი, სამასი მეტრია.

მამა დიდხანს დუმდა, რაღაცას თავისთვის ანგარიშობდა. მერე მითხრა:

— იცი, ლონია, რომ დაევალებინათ, უფრო მაღალს გავაკეთებდით. ბრძანონ და ექვსასიოდე მეტრამდე ავწევთ კოშკს.

— რისთვის, მამი?

— იქ, ზემოთ კადონს გავდებდი და ჰიტლერს ჩამოვკიდებდი, რომ შორიდანვე ყველას დაენახა, რა მოუვა იმას, ვინც ომს ატეხს. ხომ შესაძლოა, რომ მარტო არ იყოს ამ ქვეყნად ჰიტლერი, იქნებ, კიდევ არის ვინმე. იმ ვინმესაც ეყოფოდა ადგილი. ა? რას იტყვი?

მთელი სიცოცხლე მუშა იყო, თავში კი ასეთი აზრები უტრიალებდა. მერე როდის? ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ომამდე, ჩვენს გამარჯვებამდე, ნიურნბერგის პროცესამდე, რომელმაც ჰიტლერელთა მოთავეები სამარცხვინო ბოძზე გააკრა. კაცს არ უსწავლია მარქსისტული თეორია, მაგრამ, როგორც იტყვიან, სულითა და გულით გრძნობდა ჩვენი საქმეების დიად სიმართლეს, ხედავდა ფაშიზმისაგან შექმნილ ხიფათს და ზედმიწევნით ზუსტად გამოთქვა მუშათა კლასის, ყველა მშრომელის დამოკიდებულება ომის საფრთხისადმი.

დედაჩემმა, ნატალია დენისის ასულმა, კიდევ დიდხანს იცოცხლა მამის სიკვდილის შემდეგ. და თუ მამისაგან, როგორც ჩვენში ამბობდნენ, მივიღე უდრეკობა, მოთმინება, ის ჩვევა, რომ თუ საქმეს ხელს მოვკიდებდი, უთუოდ ბოლომდე მიმეყვანა იგი, დედაჩემისაგან მემკვიდრეობად დამრჩა გულზიარობა, ადამიანის მიმართ ინტერესი, იმის უნარი, რომ სიძნელეს ღიმილით, იუმორით შევხვდე. მთელი თავისი სიცოცხლე ჯაფა ადგა მას: გვზრდიდა, გვაჭმევდა, გვირეცხავდა, ავადმყოფებს გვივლიდა. მახსოვს ეს, და სამუდამო პატივისცემით განვიმსჭვალე ქალის, დედის მძიმე, უხილავი, უსასრულო და კეთილშობილური შრომის მიმართ.

შემდეგ, როცა ზაპოროჟიეში, დნეპროპეტროვსკში, მოლდავეთში, ყაზახეთში ვმუშაობდი, როგორც კი საშუალება მომეცემოდა, ვინახულებდი დედას, და როგორც შვილი, ყოველთვის დიდი პატივისცემით ვექცეოდი. მეტსაც გეტყვით: კაცი, რომელსაც არ უყვარს დედა, — დედა, რომელმაც სიცოცხლე მიანიჭა, გამოზარდა და აღზარდა, — ასეთი კაცი პირადად ჩემთვის საეჭვო პიროვნებაა. ტყუილად როდი უთქვამს ხალხს, დედასამშობლოო. ვისაც დედის მიტოვება და დავიწყება შეუძლია, ის არც სამშობლოს გამოადგება შვილად.

უკვე მოსკოვში ვმუშაობდი, დედა კი ვერა და ვერ დავიყოლიე, რომ ჩემთან გადმოსულიყო. ისევ იმ სახლში ცხოვრობდა პელინის ქუჩაზე, ისევ იმ პატარა ბინაში — ჩემს დასთან და მის ქმართან ერთად. იგი საქმიანი ინჟინერია, საამქროს უფროსი გახდა ჩვენს ქარხანაში. გვიან შევიტყვე ერთი ამბავი, ოღონდ ნათესავებისაგან არა, მათ ეს ჩემთვის არ მოუწერიათ. ადგილობრივ ხელისუფლებს უხერხულად მიუჩნევიათ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის დედა ასეთ ბინაში ცხოვრობს. შესთავაზეს უფრო დიდი, უფრო ნათელი, ყველაფრით კეთილმოწყობილი ბინა. უნდა შევნიშნო, რომ იმ დროისათვის დნეპროძერჟინსკში ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა. მაგრამ რამდენი არ შეუჩნდნენ, დედამ მაინც უარი თქვა გადასვლაზე, ისევ იმ სახლში ირჩია ცხოვრება. დადიოდა მაღაზიაში ჩანთით, წყრებოდა, თუ ვინმე შეეცდებოდა რიგის დათმობას, წინანდებურად თვითონ უძღვებოდა ოჯახს, ძალიან უყვარდა გამასპინძლება.

დღესაც მენატრება მისი შინ ნაკეთები ატრია, ასეთი გემრიელი არსად არ მიჭამია. სალამოობით კი ბებრულ კოფთაში ჩაცმული, მუქ თავშალწამოსხმული ქუჩაში გამოდიოდა, ჭიშკართან სკამზე ჩამოჯდებოდა და გულთავებლად ემასლაათებოდა მეზობლის ქალებს.

როგორც ხდება ხოლმე, ჩნდებოდნენ ისეთებიც, ვინც ლამობდა ბრეჟნევის დედის გაცნობას თავისი მიზნისათვის, „ინსტანციებში“ გადასაცემად ხელთ სჩრიდნენ მას ათასნაირ საჩივრებს და განცხადებებს. და, უნდა გითხრათ, მაოცებდა მისი გონიერება და ტაქტი, მისი უდიდესი მოკრძალება. დედას ჩემთვის არც ერთხელ არ უთქვამს რაიმე, სხვებისაგან ვგებულობდი ამბებს. მას მიაჩნდა, რომ უფლება არა აქვს ჩაერიოს ჩემს საქმეებში. იცოდა, რა პატივისცემითა და სიყვარულით ვიყავი გამსჭვალული მისადმი, მაგრამ მისი თხოვნით რომ ვინმეს დავხმარებოდი, ვთქვათ, ბინის მიღებაში, ეს ხომ სხვის ხარჯზე იქნებოდა, იმის ხარჯზე, ვინც ვერ მოიფიქრა ან ვერ მოახერხა მისთვის მიემართა. იმას კი შესაძლოა უფრო მეტადაც სჭირდებოდა მხარდაჭერა. დაახლოებით ასე ფიქრობდა დედა, თქმით კი ამას ამბობდა:

— აი ჩემი ხელები. — და აიწვდიდა ძარღვიან, ნაჯაფარ, დამჭკნარ ხელებს. — რითაც კი ძალმიძს, დაგეხმარები. მაგრამ შვილს ვერ ვეტყვი, ესა და ეს გააკეთეო, არ შემიძლია. ასე რომ, მომიტევე, თუ შეგიძლია.

1966 წელს დედა ჩემთან გადმოვიდა, მოსკოვში. იგი ბადიშისშვილებსაც მოესწრო, ცხოვრობდა მშვიდად, სინდისდამშვიდებული. ყველას უყვარდა, ვინც კი იცნობდა. ამაყობდა იმ ნდობით, რომელიც ხალხმა და პარტიამ მის პირმშოს აღმოუჩინეს, და ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო, როცა მოცალეობის ჟამს დედას მივუჯდებოდი, საყვარელ ხმას ვუსმენდი, კეთილ, გასხივოსნებულ თვალებში შევცქეროდი.

4

ჯერ არ მითქვამს: არა მარტო მამაჩემმა იცოდა წერა-კითხვა, არამედ დედაჩემმაც, რაც მის ახალგაზრდობაში იშვიათი მოვლენა იყო მუშათა უბანში. უყვარდა კითხვა. რომ წამოვიზარდე, მაშინ გავიგე, რად ულიოდათ მშობლებს თავიანთი გადაწყვეტილება მოეცათ ჩვენთვის, შვილებისათვის, ნამდვილი განათლება. მათ კი ეს მოისურვეს და კიდევაც გააკეთეს: ცხრა წლისა მიმიღეს კამენსკოეს ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში. მახსოვს, დედას არ სჯეროდა, რომ მიმიღეს. მთელი ჩვენი მეზობლობაც გაოცებული იყო.

წინათ მუშათა შვილებს გიმნაზიაში საერთოდ არ უშვებდნენ. არც ჩემთვის გაუღიათ კარი ფართოდ, მარტო ცხვირი შემაყოფინეს. ეტყობა, ერთი მხრივ, ეს წარმოების მზარდი მოთხოვნილებით იყო გამოწვეული, მეორე მხრივ კი თავი იჩინა რუსეთის რევოლუციური ამბების გავლენამ. მიუხედავად ამისა, ჩვენ საგანგებო კონკურსი მოგვიწყვეს. იღებდნენ ყველაზე ნიჭიერებს, დაახლოებით ერთს თხუთმეტიდან, მუშათა შვილები იმ წელს სულ შვიდი მიგვიღეს. დანარჩენი გიმნაზისტები „ზემო კოლონიიდან“ დადიოდნენ, მოხელეთა, მდიდარ ვაჭართა, ქარხნის უფროსობის წრეს ეკუთვნოდნენ.

ჩვენ „ხაზინის სტიპენდიატებს“ გვეძახდნენ. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ჩვენ სტიპენდიებს გვაძლევდნენ, არამედ მხოლოდ იმას, რომ, თუ ფრიადზე ვისწავლიდით, სწავლის ქირისაგან გვათავისუფლებდნენ. ქირა კი ერთობ დიდი იყო — 64 მანეთი ოქროთი. ამდენს თვით ყველაზე კვალიფიციური მუშაც კი არ იღებდა და, რა თქმა უნდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, მამა ვერ გასწვდებოდა მას.

მე და ყველა ჩემი მეგობარი კარგად ვსწავლობდით. ჯერ ერთი, მომწონდა, რაღაც ახალს რომ ვიგებდი, მეორე, მამაჩემი მკაცრად ადევნებდა თვალს ჩემს მეცადინეობას, და მესამე, ცუდად სწავლა პირდაპირ შეუძლებელი იყო — ჩვენთვის ეს იმას უდრიდა, რომ გიმნაზიიდან გავერიცხეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ, მუშათა შვილებს, ისე არ გვეპყრობოდნენ, როგორც „ზემო კოლონიიდან“ მოსულ გიმნაზისტებს. ეს გვაბრაზებდა და გვეუფლებოდა წყურვილი დაგვემტკიცებინა, რომ ტყუის ის, ვინც ამბობს, თითქოს ჩვენ მეცნიერებათა შესწავლის ნიჭი არ გვქონდეს, დაგვემტკიცებინა, რომ ჭკუით არ ჩამოვუვარდებოდით მდიდარი ოჯახების შვილებს, რომლებსაც ბევრ რამეს აპატიებდნენ ხოლმე.

ჩვენი საყვარელი მასწავლებელი იყო ისტორიკოსი კოვალევიჩი. მშვენივრად გვასწავლიდა საგანს, გვიამბობდა არა მარტო მეფეებზე, არამედ რაზინზეც, პუგაჩოვზეც. პირველად მისგან გავიგე დეკაბრისტთა აჯანყების ამბავი, ჩერნიშევსკის, გერცენის სახელები. ის გვასწავლიდა, როგორ უნდა ფიქრი, როგორ უნდა გავიგოთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი და მერელა მივხვდი, რომ ოფიციალური პროგრამის ჩარჩოებს ძალზე შორდებოდა. რასაკვირველია, აზრადაც არ მოგვსვლია, რომ ჩვენი საუკეთესო მასწავლებელი ბოლშევიკი იყო, იატაკქვეშელი. ეს გვიან გავიგეთ, როცა დენიკინელებმა დახვრიტეს. ახლა ქალაქ დნეპროძერჟინსკში კოვალევიჩის ქუჩა გვაქვს. იქნებ ყველა ახალგაზრდამ არც იცოდეს, ვის პატივსაცემად დაარქვეს ამ ქუჩას ეს სახელი. მოხარული ვარ, რომ შემიძლია გითხრათ ეს.

ჩვიდმეტი წლის თებერვალი კამენსკოეში შორეული ქუხილივით გაისმა, თვითმპყრობელობა დაემხო. მაგრამ ომი გრძელდებოდა, პურის რიგი არ მცირდებოდა, მიწა წინანდებურად მემამულეს ეკუთვნოდა, ქარხანას წინანდებურად ფაბრიკანტი ფლობდა. ჩვენშიც „ზემო კოლონია“ ისევ მაღლიდან დასცქეროდა „ქვემოს“, თუმცა უკვე შიშს შეეპყრო. მეპატრონე მეპატრონედ დარჩა, მუშა-მუშად.

სულ სხვანაირად დამამახსოვრდა, მე ვიტყოდი, სამარადისოდ ჩამეჭედა გონებაში, ოქტომბრის დიადი დღეები.

ანაზდად ქარხნის საყვირი უდროო დროს ახმიანდა, დრო თითქოს გაიხლიჩა, ორად გაიპო, ხელახლა დაიწყო. ეს ჩვენთვის სრულიად უჩვეულო იყო და მამების კვალდაკვალ ქარხანას მივაშურეთ. თითქმის მთელი ქალაქი იქით გარბოდა, მუშები საამქროებიდან გამოცვივდნენ, მრისხანედ გუგუნებდა ხალხის ხმა, მოედანზე ღელავდა ზღვა ხალხი, მოჩანდა ფრონტიდან დაბრუნებულ დაჭრილ ჯარისკაცთა ფაფახები, აქა-იქ თვალს მოჰკრავდით ქალის თავშალს, მაგრამ ყველაზე მეტნი მეტალურგი მუშები იყვნენ. და დამამახსოვრდა საყოველთაო აღტყინების, ნამდვილი ზეიმის შეგრძნება...

დაიწყო მიტინგი. გამოვიდა მ. ი. არსენიჩევი, კამენსკოელ ბოლშევიკთა პირველი ხელმძღვანელი. იგი ჩვენთან საქვაბე საამქროში მუშაობდა, რევოლუციურ ბრძოლაში ადრე ჩაება, ფურცლებს ბეჭდავდა და ავრცელებდა. შემდეგ, როცა მოთვალთვალე მიუჩინეს, პეტროგრადს გაემგზავრა და იატაკქვეშელის სახელოვანი გზა განვლო, ციმბირშიც იყო გადასახლებული, მდგარა მათ შორის, ვინც ვ. ი. ლენინს ფინეთის ვოგზალზე დახვდა, მოისმინა მისი ცნობილი სიტყვა, რომელიც მთავრდებოდა მოწოდებით: „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“ სამოქალაქო ომის წლებში არსენიჩევი თეთრებმა დახვრიტეს, მე კი მიხეილ არსენიჩევის სახელობის მეტალურგიულ ინსტიტუტში მომიხდა სწავლა.

მაშინ მიტინგზე ის ლაპარაკობდა პროლეტარიატის დიადი გამარჯვების შესახებ, ყვებოდა სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობის ამბებს, გამოაცხადა, რომ შექმნილია ამ ქვეყნად პირველი მუშურ-გლეხური მთავრობა და რომ სათავეში ამ მთავრობას უდგას ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ-ლენინი. ხალხი აზავთდა, გაისმა „ვაშა“. მაგონდება კიდევ, თუ რა სულგანაბული, უკან თავგადაგდებული შევცქეროდი წითელ დროშას, შემოდგომის გაცრეცილი ცის ფონზე რომ ფრიალებდა.

მინდა დავძინო, რომ ყოველი თაობა მემკვიდრეობით იღებს წინა თაობათა მონაპოვარს, მოპოვებულს, აშენებულს, გაკეთებულს, და წინ მიდის, თავის გზას განაგრძობს უკვე ახალ სიმაღლეზე, ისტორიული განვი-

თარების ახალ საფეხურზე. ახალგაზრდებს ზოგჯერ ჰგონიათ, მთავარი უკან დარჩაო. უკან დარჩა რევოლუცია, უკან დარჩა სამოქალაქო ომის ბრძოლები, გიგანტური ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის წლები, უკან დარჩა დიდი სამამულო ომის ჰეროიკაო... ასე ჰგონიათ ახალგაზრდებს, მაგრამ დგება მათი დრო, პაპებისა და მამების ესტაფეტა მათ ხელთ გადადის, და მაშინ ირკვევა, რომ მათ წილადაც მოდის განსაცდელი და დიდი საქმეები.

დღეს მე მანუგეშებს ის აზრი, რომ რევოლუციის მებრძოლთა, პირველი ხუთწლედების მშენებელთა, სამამულო ომის მეომართა თაობებმა ღირსეული ცვლა გამოზარდეს. წინათ წარმოუდგენელი მასშტაბების ამოცანები ახლა შეგვიძლია კომკავშირს, საბჭოების ქვეყნის ყველა ახალგაზრდას დავავალოთ, და ვხედავთ, რომ მათ ახასიათებთ პირადი პასუხისმგებლობა ყველაფრისათვის, რაც კი ჩვენს მიწაზე ხდება, რომ ყოველ ხამონწყებაში მათ შეაქვთ თავიანთი რომანტიკული სწრაფვა და, მე ვიტყოდი, ახალგაზრდული აღფრთოვანება. იზრდება ახალგაზრდობა, რომელსაც კომუნისტური რწმენა აქვს, რომელიც უაღრესად ერთგულია პარტიის საქმისა, დიდი ლენინის საქმისა, ოქტომბრის იდეალებისა.

აი ამაზე ვფიქრობ, როცა ვიხსენებ რევოლუციის წითელ დროშას, შემოდგომის მოქუფრული ცის ფონზე რომ ფრიალებდა. ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს არ ამოიშლება, თუ როგორ მოვიდა ოქტომბერი ჩვენს მუშათა დაბაში, დროშა სულ მაღლა აღმართეს, ნომერი პირველი ბრძმედის მილზე.

* * *

ერთობ რთული იყო სოციალური ყოფა ჩემი სიყმაწვილის წლებში, ეპოქათა მსხვრევის დროს. უჭირდათ მაშინ დნეპრელებს: „ცენტრალნაია რადას" ხელისუფლება გერმანელთა ჯარებმა შეცვალეს, მათ პეტლიურა მოჰყვა, 1919 წლის იანვარში პეტლიურა კამენსკოედან წითელი არმიის ცხენოსნებმა განდევნეს. მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ თეთრები მოვიდნენ, მერე მახნოელები, გრიგორიეველები. ზედაპირზე ამოტივტივდა ყოველგვარი ნაყარ-ნუყარა, კრებებზე ენამჭევრობდნენ უკრაინელი „სამოსტიინიკები", მენშევიკები, კადეტები, ესერები, ანარქისტები. იმ წლებში ფრიად თვალსაჩინო პოლიტიკურ აღზრდას გავდიოდით, ვვაჟკაცდებოდით, როგორც იტყვიან, დღეობით კი არა, საათობით.

და აი, კიდევ რა მინდოდა ხაზგასმით აღმენიშნა: ჩვენი ქალაქი მუშათა ქალაქი იყო, მოსახლეობის უმრავლესობა მუშები იყვნენ და ამიტომ ჩვენში პროლეტარული რევოლუცია მუდამ თავისად მიაჩნდათ, ბოლშევიკების პარტია — თავისად, საბჭოთა ხელისუფლება — თავისად! ამიტომ არჩევანის პრობლემა, თვით იმ საკითხის პრობლემა, თუ ვის გავყვეთ, ვის მხარეზე ვიყოთ, დნეპრელი მუშების წინაშე არ მდგარა. მამაჩემი, მაგალითად, პარტიის, უფრო სწორად, არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა, მაგრამ რევოლუციის პირველი წლებიდანვე აქტიურად უჭერდა მხარს ბოლშევიკებს. უფრო გვიანაც, როცა კომკავშირში შევედი, ხოლო შემდეგ კომუნისტური პარტიის წევრი გავხდი, დედ-მამა ამას ისე შეხვდა, როგორც დიდ და სასიხარულო ამბავს.

რევოლუციის შემდგომ პირველ დუხჭირ წლებში, როგორც კი სამოქალაქო ომის სროლა-ქუხილი მიყუჩდა, ჩვენი ქარხნის სამსხმელო საამქროში ჩამოასხეს თუჯის ძეგლი, შეიძლება ითქვას, უნიკალური. ეს ძეგლი დღესაც დგას დნეპროძერჟინსკის ერთ-ერთ ულამაზეს მოედანზე. მაღალ სვეტზე აღმართულა ლეგენდარული ტიტანი პრომეთე, ბორკილი ჩამოუგლეჯია, ხელთ ანთებული ჩირაღდანი უპყრია, ფეხთით დამხობილი არწივი აგდია, საუკუნეობით რომ სტანჯავდა მას. ეს სიმბოლიკა ნათელია და ჩემი სიყმაწვილის წლებში ყველასათვის გასაგები იყო. ჩვენ ხომ გვახსოვდა, როგორ დაემხო მეფის ორთავიანი არწივი, ცხოველმყოფელი ალი კი მუდამ მეტალურგთა ხელთ იყო. მათ შექმნეს ლითონისაგან ჰიმნი იმისა, ვინც ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა და სამარადისოდ აჩუქა

ადამიანებს, ეს პრომეთეს ძეგლი და იმავე დროს მუშათა კლასის მონუმენტია.

დადგა ჩემი ცხოვრების ღირსშესანიშნავი დღე. თხუთმეტი წლისა მუშა გავხდი. გიმნაზიაში, რომელიც ქალაქ კამენსკოეს პირველ შრომის სკოლად გარდაიქმნა, მივიღე სკოლის დამთავრების მოწმობა. უნდა მემუშავა, ოჯახს მივხმარებოდი. ქარხანაში მეცეცხლურად მიმიღეს, შემდეგ ზეინკლად გადამიყვანეს და საკმაოდ სწრაფად ავითვისე ეს პროფესიები. ქარხანას დიდი ხანია ვიცნობდი. საამქროს ხმაური, გრუხუნი, მხურვალე ლითონის სუნი — ყველაფერი მომწონდა.

მაშ ასე, დადგა სანუკვარი დღე, როცა ქარხნის საყვირი ჩემთვისაც ახმიანდა, მამასთან ერთად გავედი ცვლაში და სხვებივით ვშრომობდი. კუნთები მტკიოდა, ოფლი თვალს მწვავდა, მაგრამ ნამდვილად ბედნიერი ვიყავი. ამას სიხარული მოჰყვა: შინ დავბრუნდი, გავიძრე ჭვარტლისაგან თითქმის მთლად გაშავებული სათბურა და დედამ სწორედ ისევე, როგორც მამას აბანინებდა ხელ-პირს, ცივი წყალი დამისხა. მახსოვს, თავი რომ ავწიე, მის კეთილ თვალებში ცრემლი შევნიშნე.

— რა იყო, დედი?

— მიხარია, შვილო, მიხარია, აი შენც უკვე მარჩენალი ხარ.

ერთხელ ვთქვი და აქაც გავიმეორებ: მუდამ მახსოვს ჩემი დამრიგებლები და უფროსი ამხანაგები, რომლებთანაც მიმუშავია დნეპრის ქარხანაში. მათ მომცეს პირველი პროფესია, შემასწავლეს ცხოვრების რთული მეცნიერება, მიჩვენეს შრომის ადამიანის დიადი ძალა და სულიერი მშვენიერება.

ასეთ უნივერსიტეტს ვერ დაივიწყებ კაცი.

# სამშობლოს გრძნობა

## 1

სამშობლოს გრძნობა ჩვენში ყველას ძალზე განვითარებული აქვს. მშვენიერი გრძნობაა! და ის, რა თქმა უნდა, მარტოოდენ ჩვენი მიწა-წყლის სილამაზის მზერით როდი საზრდოობს. მასში, როგორც იტყვიან, ფესვები უნდა გაიდგა, და როდესაც ადამიანი შრომის ოფლს აპკურებს მას, პურს მოიყვანს, შეუდგება ქალაქის შენებას, გაიყვანს ახალ გზას, ან სანგრებს გათხრის ამ მიწის დასაცავად, — აი მაშინ გაიგებს კარგად, თუ რას ნიშნავს სამშობლო.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩემთვის მშობლიური ქვეყნის გაცნობის ხანა ოციანი წლების დასაწყისს დაემთხვა. მატარებლებით, სამდინარო გემებით, ზოგჯერ ცხენით, უფრო მეტად კი ქვეითად მრავალი ათასი კილომეტრის „გაზომვა“ მიხდებოდა. ყველაფერი კი იმ მხარეში მგზავრობით დაიწყო, საიდანაც მამაჩემის წარმომავლობა მოდიოდა. კურსკის მხარეში გავიგე, თუ რას ნიშნავს გლეხური ცხოვრება, აქ ვეზიარე მხვნელ-მთესველის ჯაფას.

გიამბობთ, თუ რამ გამოიწვია ასეთი მკვეთრი ცვლილება ჩემს ცხოვრებაში. სამოქალაქო ომის შემდგომ რღვევის პერიოდს ვოლგისპირეთში საშინელი გვალვა დაერთო. მაშინ, 1921-1922 წლებში, გვალვა და შიმშილი ასევე დაატყდა თავს უკრაინასაც. მთელ ეკატერინოსლავში იბუგებოდა ნათესები, ერთ მუშას დღეში ნახევარ გირვანქა პურს აძლევდნენ, თანაც არა ყოველთვის. მაგრამ ვიდრე ღუმელებში ცეცხლი გიზგიზებდა, ვიდრე მილები სუნთქავდნენ, ვიდრე ქარხანა მუშაობდა, ჩვენც ვმუშაობდით. მერე კი, როდესაც დნეპრის მეტალურგიული ქარხნის გაჩერება მოგვიხდა, შავი დღე დაგვიდგა.

საამქროებში სიჩუმე გამეფდა, ყველაფერი გამოცარიელდა, მისასვ-

ლელ გზებს გასოცარი სისწრაფით მოედო შამბნარი, რომელსაც გვალვაც კი ვერ აშინებდა. ხალხი ახლომახლო სოფლებში მიმოიფანტა, თუ რამე ჰქონდათ, სურსათზე ცვლიდნენ. ზოგმა ქარხნიდან თან წაიღო ზოდო-ვანი რკინა, რომელსაც მდიდარი სოფლელები სალტისათვის ყიდულობდნენ. ჩვენი ოჯახი ასეთი ფხიანობით არ გამოირჩეოდა და, როგორც გამოირკვა, გასაცვლელად არც არაფერი მოგვიგროვებია. მამაჩემსა და მე ოჯახის მარჩენლები უკვე აღარ გვეთქმოდა, ჩვენც ტვირთად დავაწექით მას.

კამენსკოეში ცხოვრებამ ყოველგვარი აზრი დაკარგა. უმუშევრებისათვის ბირჟა გახსნეს, მაგრამ ამით საქმე არ მოგვმატებია. ავადმყოფობა მოგვერია, დაიწყო შიმშილი, მეზობელ სახლებში ყოველდღე ვინმე კვდებოდა. ქალაქი დაცარიელდა. ჩვენი ჯერიც დადგა, უნდა დავძრულიყავით ადგილიდან. მახსოვს, წასვლისას უკანასკნელად მიმოვიხედე, ქარხანას რომ გამოვემშვიდობებოდი, და მილებზე, ესტაკადებზე, საამქროთა სახურავებზე ყვავის შავი ბუდეები დავინახე. მძიმე შთაბეჭდილება შემომრჩა: მაღლა ყვავები ტრიალებდნენ, დაბლა კი იდგა გაქვავებული ქალაქი.

ამრიგად, მიწისაკენ დაბრუნება იძულებითი გამოდგა. მაგრამ ახალგაზრდობის გამო მახარებდა კიდევაც მოულოდნელი მოგზაურობა, ეს პირველი იყო ჩემს ცხოვრებაში, თანაც კარგა ხანია მინდოდა მომენახულებინა მამის სამშობლო, გამომეცადა საკუთარი თავი სოფლის შრომაში. უკვე კარგად მესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ შრომას ხალხისათვის და რაოდენ საარსებოდ საჭირო იყო იგი ქვეყნისათვის, რომელმაც შეიცნო პურის ჭეშმარიტი ფასი. და როდესაც კვლავ აამუშავეს დნეპრის ქარხანა, როდესაც ჩემი მშობლები უმცროსი შვილებიანად შინ დაბრუნდნენ, თუმცა მშობლიური საამქრო ძალიან მიზიდავდა, მაინც საჭიროდ ჩავთვალე იქ დარჩენა და კიდევ დიდხანს ვმუშაობდი სოფლის მეურნეობაში — კურსკის მხარეში, ბელორუსიაში, ურალში.

სწორედ იმთავითვე გამიჩნდა ორი რამის დიდი სიყვარული, რის შესახებაც ახლა გიამბობთ. სოფლის შრომისადმი პატივისცემა ბავშვობიდანვე ჩამინერგეს მშობლებმა, კამენსკოესა და მისი მიდამოების მთელმა გარემომ. ჩვენი დაბა განსაკუთრებული გახლდათ. კამენსკოე სანახევროდ სოფლის იერს ინარჩუნებდა, თუმცაღა იქ ნამდვილი, ქარხანაში ნაწრთობი პროლეტარიატი ცხოვრობდა, პროლეტარების შიგ გულში არცთუ შორეული გლეხობის სულისკვეთება სუფევდა. მამა ხშირად მიამბობდა, თუ რარიგ გაუჭირდა თვითონ მას „გლეხობის დათმობა". ცოტა უბედურება როდი ახლდა მაშინდელ ცხოვრებას, მაგრამ ვხედავდი, თუ რა ფარული მწუხარებით და სინანულით იგონებდა იგი სოფლის გაშლილ სივრცეებს, ხვნას, თიბვას, კალოობას, თავისი შრომით მოპოვებულ პურს. პურისადმი ჩვენი ოჯახის უაღრესად მოწიწებითი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, სულაც არ იყო შემთხვევითი. დედაჩემის მხიარული მოსწრებული სიტყვა, რომელიც ყოველდღე ისმოდა ჩვენს სუფრასთან, სამუდამოდ დამამახსოვრდა: „აბა, ბავშვებო, ხომ ჭამეთ, ახლა ნამცეცი ყოველი თქვენს ხელისგულებს მოელის!" სიღარიბემ და სიძუნწემ როდი ათქმევინა ხალხს ეს სიტყვები, რომლებიც ბავშვებს პურისადმი, მე ვიტყოდი, ყაირათიან, თაყვანისმცემლურ დამოკიდებულებას უნერგავდა.

არსობის პურისადმი ამგვარი დამოკიდებულების გარეშე, მე მიმაჩნია, ვერ გაიზრდება ღირსეული, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ზნეობრივი ადამიანი. ახლა სასადილოებში, კაფეებსა და საფუნთუშეებში ლამაზად გაფორმებულ მოწოდებებს აკრავენ ხოლმე, პურს გაუფრთხილდითო. ეს, რა თქმა უნდა, სასარგებლოა, მაგრამ სანაღვლებელი ის არის, ამგვარი მოწოდებანი რომ გვესაჭიროება. მომჭირნეობა ადრეული ასაკიდანვე უნდა დაინერგოს, უპირველეს ყოვლისა, ოჯახებში მშობელთა მიერ.

აქ დროული იქნება იმის გახსენება, რაც 1918 წელს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველმა ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩმა ვ. ი. ლენინს ჰკითხა: „ვლა-

დიმერ ილიჩ, თუ შეიძლება ერთი სიტყვით ითქვას, რისთვის ვიბრძვით ახლა ჩვენ? ვ. ი. ლენინმა დაუყოვნებლივ უპასუხა: „პურისათვის". იმ წლებში იგი წერდა, პურისათვის ბრძოლა სოციალიზმისათვის ბრძოლას ნიშნავსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ახალგაზრდობის წლებს რომ ვიხსენებ, ახლა ვხედავ: სოფლად მუშაობა ძალზე საჭირო და ფრიად მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოსათვის. მეც ბევრი რამ ვისწავლე და გავიგე აქ. შემდეგში დნეპროძერჟინსკს დავუბრუნდი, ქარხანაში მივედი, ინჟინერ-მეტალურგი გავხდი, მაგრამ თვით დრომ შემიწყო ხელი, რომ მთლიანად არ გავმიჯნოდი სოფლის საქმეებს. სასოფლო საქმის ცოდნა და საქარხნო ცხოვრების ჩემი გამოცდილება ერთმანეთს გადაეჯაჭვა, ისინი შეერთდნენ, მათ ერთმანეთი შეავსეს. მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე თითქმის თანაბრად მიხდებოდა ორივეს კეთება. ორივე საქმის სიყვარული შეერწყო ერთიმეორეს. და მეც მადლობელი ვარ ბედისა, რომ ცხოვრების გაკვეთილები მომცა გლეხის ყანაშიც და ქარხანაშიც.

მაგრამ აქ, ცოტა არ იყოს, გავუსწარი მოვლენათა მსვლელობას. მაშინ კი, ყველაზე მძიმე პერიოდში, სოფლის ცხოვრება რომ გავიგე და ვხნავდი, ვთესავდი, ვმკიდი, ნამდვილად შევეთვისე მიწას, და 1923 წელს კურსკის სამიწათმომწყობო ტექნიკუმში შევედი. საკონკურსო გამოცდები საკმაოდ კარგად ჩავაბარე და მომატებული სახელმწიფო სტიპენდიაც მომცეს.

ტექნიკუმი ძველებური იყო, მას კარგი სასწავლო ბაზა და დიდი ხნის პროგრესული ტრადიციები ჰქონდა (აქ, სხვათაშორის, ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩიც სწავლობდა). ოთხწლიანი სწავლების პერიოდში ჩვენ საფუძვლიან ცოდნას ვიღებდით მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში. აქ ინსტიტუტის დონეზე ისწავლებოდა სპეციალური საგნები — გეოდეზია, ზოგადი გეოლოგია, ნიადაგმცოდნეობა, გეოგრაფია, სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა. ჩვენ ლენინის შრომებს ვკითხულობდით არა თხზულებათა კრებულის ახლა შერჩეულ ტომებში, არამედ თხელ ბროშურებში, ისევ სტამბის საღებავის სუნი რომ ასდიოდა. ჩვენ ვსწავლობდით საბჭოთა მშენებლობას, სსრ კავშირის სახელმწიფო სამართალს, და შჩიგროვსკის მაზრაში პირველი პრაქტიკისთანავე დავრწმუნდი, რომ მიწათმომწყობს არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც ეს ცოდნა ძალიან სჭირდება.

ჩვიდმეტი წლისა კომკავშირში მიმიღეს და ამის შემდეგ თავს ვალდებულად ვთვლიდი, მონაწილეობა მიმეღო ყველა საზოგადოებრივ წამოწყებაში. ამგვარი წამოწყება კი, უნდა ითქვას, ბლომად იყო. ჩვენ გავდიოდით წითელ შაბათობებზე, ვატარებდით მასობრივ კამპანიებს „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა!" და „დახმარება უპატრონოებს", ვხსნიდით სოფლებში ქოხ-სამკითხველოებს, ვუშვებდით კედლის გაზეთებს, ვდგამდით სპექტაკლებს, ვატარებდით სასოფლო ყრილობებს, ვუხსნიდით მოჯამაგირეებს თავიანთ უფლებებს, ყველაფერს ხელსა ვკიდებდით, ყველგან საქმე გვქონდა.

## 2

მაშინ ავითვისეთ ერთი ჭეშმარიტება: დროს არა მარტო განფენილობა, არმედ მოცულობაც აქვს. შეიძლება უმიზნოდ ფლანგო, გაიყვანო დღეები და საათები, მაგრამ შეიძლება მათი შეკუმშვა, შემჭიდროება, უკიდურესობამდე დატვირთვაც. და მაშინ აღმოჩნდება, რომ ძალიან ბევრის გაკეთებას მოასწრებ.

ვცხოვრობდით საერთო საცხოვრებელში ხერსონის ქუჩაზე, ზოგჯერ გვშიოდა და გვციოდა კიდევაც, ვისაც როგორ შეეძლო, ისე ეცვა: ვატარებდით სატინის ხალათებს, მუშურ გაქონილ კეპებს, ყუბანურებს, ბუდიონურებს. ჰალსტუხებზე იმ დროს, ცხადია, უარს ვამბობდით. მაგრამ ოციანი წლების კომკავშირელები შინაარსიანად და საინტერესოდ ცხოვრობ-



ქ. მარქს... სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

დნენ. ქვეყნის გასაჭირი ჩვენი გასაჭირი იყო; ჩვენ ვოცნებობდით ნათელ მომავალზე მთელი კაცობრიობისათვის, ვბობოქრობდით, ვპაექრობდით, გვიყვარდა, ვკითხულობდით და თვითონაც ვთხზავდით ლექსებს.

პოეზიის მცოდნეებად არ ვთვლიდით თავს, ყველაფერზე უფრო მაღლა ვაყენებდით ლექსების აქტუალობას, პოლიტიკურ მიმართულებას. ჩვენთან პოეტებიც კი იყვნენ, კომკავშირული პოეტები.

ერთხელ რკინიგზით ვმგზავრობდი, იმავე ვაგონში ჩემი თანატოლი ქალიშვილი იჯდა, ისიც სტუდენტი. საუბარი გავაბით. ქალიშვილმა მიჩვენა რვეული ისეთი ლექსებისა, ჩვეულებრივ ალბომში რომ აგროვებენ ხოლმე, განსაკუთრებული ის იყო, რომ ამ რვეულში აღმოჩნდა ლექსი, რომელიც ადრე არასოდეს შემხვედროდა, — „ვოროვსკის სიკვდილის გამო“, მაშინ ჩვენ მწარედ განვიცდიდით ჩვენი ელჩის მკვლელობას, ამ ლექსმაც ამაღელვა და აქვე გავიზეპირე... პირველი სტრიქონიდან — „ეს მოხდა ლოზანში...“ — უკანასკნელ სტროფამდე:

А утром в отеле с названьем «Астория»
Посол наш убит был убийцы рукой,
И в книге великой российской истории
Жертвой прибавилось больше одной.

მახსოვს, კურსკში მაიაკოვსკი ჩამოვიდა. ცხადია, ჩვენ, კომკავშირელები, რკინიგზელთა კლუბში შევცვივდით, სადაც მისი საღამო გაიმართა. სუფთად ჩაცმული ხალხი მტრულად შეხვდა პოეტს. „აი, თქვენ კოლექტივისტად თვლით თავს, — ყვიროდნენ დარბაზიდან, — მაშ, რატომღა წერთ ყველგან: „მე, მე, მე?“ პასუხიც დაუყოვნებელი იყო: „თქვენ როგორ გგონიათ, განა მეფე კოლექტივისტი იყო? ის ხომ ყოველთვის ასე წერდა: „ჩვენ, ნიკოლოზ მეორე“. ხმაური, ხარხარი, ტაში. ან კიდევ ასეთი ეპიზოდი. უკანასკნელი რიგიდან ორი ახალგაზრდა წამოდგა, მათ, როგორც ჩანს, მაიაკოვსკის ლექსების მოსმენას განცალკევებით ყოფნა არჩიეს. და აი, როდესაც ისინი ნელა გადიოდნენ რიგის გასწვრივ, გაისმა პოეტის მძლავრი ხმა. მაიაკოვსკიმ ხელი მათკენ გაიშვირა და თქვა: „ამხანაგებო! ყურადღება მიაქციეთ ამ „რიგიან“ ყმაწვილებს რიგიდან რომ გადიან“. ისევ ატყდა ხარხარი და ტაშის გრიალი.

მაიაკოვსკი კითხულობდა ნაწყვეტებს პოემიდან „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“. სუნთქვაშეკრულნი ვუსმენდით, ილიჩის სიკვდილი სულ ახლახან დაგვატყდა თავს და ეს სახალხო ტკივილი ყოველი ჩვენგანისათვის ღრმა პირადი ტკივილიც იყო.

მოკლედ
და ჩვენც
უკანასკნელ წუთამდე ვიცით
ულიანოვის
სიცოცხლის გზები.
უნდა აღწერო
და ხელახლა
აღწერო ისევ
დიდი ლენინის
ცხოვრება გრძელი...

ეს სიტყვები არაჩვეულებრივი ძალით ჟღერდა. მაიაკოვსკი ისე მშვიდად ლაპარაკობდა, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, მაგრამ მისი ბანი ბოლო რიგამდე აღწევდა. და მართლაც, მან ჩვენთვის ყველაზე მაღალი ცნება „ხელახლა გამოაბრწყინა“.

ჩვენი პარტია და ლენინი —
ტყუპნი არიან, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიაში
  ვინ იქნება
  უფრო ჩენილი.
ვამბობთ — ლენინი
  და ვგულისხმობთ
  მუდამ პარტიას,
ვამბობთ — პარტია
  და ვგულისხმობთ —
  ჩვენი ლენინი.

ჩამოქნილი სტრიქონები სულსა და გულს ედებოდა, თავისთავად გამახსოვრდებოდა.

საღამოზე მაიაკოვსკიმ წაიკითხა კიდევ ლექსი „კურსკელ მუშებს, პირველი მადნის მომპოვებლებს...“ ამ ლექსმა მე გამახსენა ქარხანა — ბრძმედები, მარტენები. გულმა შინისაკენ გამიწია. მაგრამ სწორედ მაშინ, 1927 წელს, სწავლა დავამთავრე, მიწათმომწყობი გავხდი და მუშაობას შევუდექი კურსკის ოლქის ერთ-ერთ მაზრაში. შემდეგი საველე სეზონი ბელორუსიაში გავატარე, ორშთან, მერე ახალ ადგილზე დამნიშნეს და გავემგზავრე — უკვე მარტო კი არა, მეუღლესთან ერთად — ურალზე, ჯერ მიხაილოვსკის, შემდგომ კი ბისერტის რაიონში. ჩემი მომავალი მეუღლე ერთ-ერთ კომკავშირულ საღამოზე გავიცანი. ისიც ჩემნაირ მუშურ ოჯახში გაიზარდა და ბელგოროდიდან კურსკში ასევე სწავლისათვის ჩამოვიდა. იმ დროიდან ვიქტორია პეტროვნა ჩემთვის მუდამ იყო და არის არა მარტო მეუღლე და ჩემი შვილების დედა, არამედ ნამდვილი ძვირფასი და გულისხმიერი მეგობარი.

იქ დიდხანს მომიხდა დაყოვნება, მრავალი ვერსი გავიარე ურალის მიწაზე, ბევრი ვიმუშავე და სამუდამოდ შევიყვარე ეს მხარე, მისი ადამიანები და დიდებული ბუნება.

ეს იყო რთული დრო, როდესაც ყოფის ძველი, დამკვიდრებული ფორმები ირღვეოდა, ახლის ყლორტები კი ჯერ მხოლოდ იწვერებოდნენ და საჭირო იყო მათი მუყაითი ძებნა, მოვლა, გამოზრდა. საკავშირო კპ (ბ) XV ყრილობამ, რომელიც 1927 წლის დეკემბერში გაიმართა, დაამტკიცა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შემდგომი მშენებლობის პროგრამა. ლენინურ კოოპერაციულ გეგმას რომ ახორციელებდა, ყრილობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის კურსს დაადგა. და საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახდენდა ულრმეს სოციალურ გარდაქმნებს სოფლად, რომელიც სოციალისტურ რელსებზე გადადიოდა. სწორედ ამ ოთხ წელიწადში — 1927-1931 წლებში მომიხდა მეც სოფლად მუშაობა, კოლმეურნეობების შექმნა, უდიდესი სოციალური რევოლუციის მოვლენების შუაგულში ყოფნა.

ადრე ჩემი სპეციალობის ადამიანებს ხშირად მიწისმზომელებს უწოდებდნენ. ახლა სახელწოდება შეიცვალა, ჩვენ მიწათმომწყობები გავხდით ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. სასოფლო-სამეურნეო არტელებს რომ ქმნიდნენ, ადამიანები აერთიანებდნენ მიწას, საქონელს, სამეურნეო ნაგებობებს, ინვენტარს. და ჩვენ, მიწათმომწყობებს, უბრალოდ როდი უნდა გვეშალა მიჯნები, რათა რუკაზე მიწის განცალკევებული ერთპიროვნული ზოლები ერთ კოლექტიურ მინდვრად გაგვეერთიანებინა. ამის გაკეთება აუცილებლად იყო საჭირო ახალ სოციალურ-მეცნიერულ, ეკონომიკურ და ტექნიკურ საფუძველზე, იმ მსხვილ სოციალისტურ მეურნეობათა ინტერესების გათვალისწინებით, რომლებიც ნავარაუდევი იყო თანამედროვე აგროტექნიკისა და ყველა სამუშაოს ფართო მექანიზაციისათვის მომავალში.

ჩვენ ვქმნიდით ახალ რუკებს — კოლმეურნეობებში ორგანიზებული, მეცნიერული მიწათსარგებლობის პირველ რუკებს. ჩვენი რუკები დიდხანს ემსახურებოდა კოლმეურნეობებს, აგრონომები მათ ომის შემდეგაც

იყენებდნენ. მე კი პირველი კოლექტიური მეურნეობების შექმნის პერიოდში შეძენილი მიწათმოწყობის გამოცდილება კარგად დამეხმარა მომავალში ჩრდილოეთ ყაზახეთში, ყამირზე ასობით ახალი საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბების დროს.

მიწათმომწყობად მუშაობის წლებში ასობით ადამიანის თვალში პირველად ვიგრძენი, რომ საბჭოთა ხელისუფლების სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვიყავი. გლეხები პარტიის პოლიტიკაზე მსჯელობდნენ იმის მიხედვით, თუ როგორ დაიდგმებოდა ნიველირი და საზომი, საითკენ გავიდოდა ტრასა, იმის მიხედვით, თუ როგორ იქცეოდა ადამიანი კულაკებთან შეხლა-შემოხლის დროს: აქ, ყანაში, ყველა ნათლად ხედავდა, ვისთვის და ვის წინააღმდეგ იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლება.

კარგად დამამახსოვრდა პირველი ტრაქტორი ბისერტის რკინიგზელებმა გლეხებს რომ აჩუქეს. ეს იყო პატარა, სუსტი „ფორძონი", მაგრამ მას არანაკლები აღფრთოვანება მოჰყვა, იქნებ მეტიც, ვიდრე პირველ თანამგზავრს. განა უბრალოდ მანქანა გავიდა მინდვრად, ეს იყო სოფლის სოციალური გარდაქმნის იარაღი, ეს იყო საკოლმეურნეო წყობილების პროპაგანდისტი და აგიტატორი. ადგილობრივმა კულაკებმა და მათმა დამქაშებმა ხმა გაავრცელეს, „რკინის ცხენით" მოხნული მიწა მოსავალს არ იძლევაო, მაგრამ ყველასათვის გასაოცრად ბევრი პური მოვიდა და მაშინ მათ ღამით ბელელს ცეცხლი წაუკიდეს. მხოლოდ ბისერტელი კოლმეურნეების გმირობის შემწეობით მოხერხდა ხორბლის გადარჩენა.

და ეს ყოველივე ხდებოდა არა კინოში, არა წიგნებში, არამედ პირად ცხოვრებაში. სხვა კომკავშირელებთან ერთად არაერთხელ შევჯახებივარ კულაკებს მინდვრებში, მიკამათია მათთან სასოფლო ყრილობებზე. ჩვენ გვემუქრებოდნენ მარგილებით, ფიწლებით, ღვარძლიანი ბარათებით, ფანჯარაში ნასროლი ქვებით. ერთხელ გაზეთებში წავიკითხეთ, რომ მეზობელ ტიუმენის ოლქში კულაკებს ჩაედინათ საზიზღარი დანაშაული, რომლის ამბავი მასობრივი კოლექტივიზაციის პერიოდში პირველად მოედო მთელ ქვეყანას. ღამით ისინი დაუდარაჯდნენ ტრაქტორისტ პეტრე დიაკოვს რომელსაც კაბინაში ეძინა, ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. ჩვენ მწარედ განვიცადეთ ჩვენთვის უცნობი, მაგრამ უცებ ახლობლად ქცეული თანამებრძოლისა და ამხანაგის საზარელი სიკვდილი. და კიდევ უფრო მტკიცედ და შეუპოვრად შევუტიეთ საძულველ კულაკებს.

მალე სიმღერაც შეითხზა ამ ტრაქტორისტზე. ჩვენ შეგვიყვარდა ის და დაუსრულებლად, თანაც ხშირად ფეხზე ამდგარნი ვმღეროდით კოლექტივიზაციის გმირის მოსაგონებლად.

По дорожке неровной, по тракту ли —
Все равно нам с тобой по пути
Прокати нас, Петруша, на тракторе,
До околицы нас прокати!

არსებითად გულთბილ, ლირიკულ, გულითად სიმღერას ჩვენ უკვე მრისხანედ ვამთავრებდით და ამ სიტყვებით საკუთარ თავს მივმართავდით:

Огрызаются, лютые, лаются,
Им нерадостен наш урожай...
Кулачье до тебя добирается:
Комсомолец, родной, не плошай!

მხოლოდ წლების შემდეგ, დაახლოებით ოცდაათი წლის შემდეგ გავიგე, რომ პეტრე დიაკოვი სასწაულებრივ გადარჩენილა და თანაც მთელი ომი გამოუვლია. ერთი სიტყვით, ეს კაცი, მართლაც რომ, სიმღერის გმირი გახლდათ.

მაშინ კი 1929 წელი იყო, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც დიადი გარდატეხის წელი სოციალისტური მშენებლობის მთელ გიგანტურ ფრონტზე, როდესაც სახალხო ეკონომიკის წამყვანი დარგის —

მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად ქვეყანაში დაიწყო მსხვილი, მექანიზებული სოფლის მეურნეობის შექმნა.

ამას წინათ სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტიდან იმ წლების ზოგიერთი დოკუმენტი გამომიგზავნეს.

აი ამონაწერი საკავშირო კპ (ბ) ბისერტის რაიკომის პლენუმის 1929 წლის 5 დეკემბრის ოქმიდან.

„**ამხ. ბრეჟნევი**: ის გეგმა, რომელიც ჩვენთან დასახულია საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლად, უდიდეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, რომელიც ჩვენ აუცილებლად გვესაჭიროება, არა გვაქვს, მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოწოდების საკითხი მწვავედ დგას. მრავალმინდვრიან თესლბრუნვაზე ზოგიერთი სასოფლო საბჭოს გადაყვანასთან დაკავშირებით ჩვენში შემცირდება საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობი. განვლილმა მიწათმოწყობამ საუკეთესო მიწები გადასცა მოსახლეობის ღარიბ-ღატაკი და საშუალო გლეხობის ნაწილს, ამასთან დაკავშირებით ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს მიწები დაითესოს. უეჭველია, აქ კულაკების მავნებლობა იქნება. მაშასადამე, სრულად უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება, რომლებიც ეძლევა გლეხობის ღარიბ-ღატაკ და საშუალო ნაწილს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კრედიტების განაწილებას ღარიბ-ღატაკთა ჯგუფებისათვის, რომლებიც უკვე ჩამოყალიბებულია. მე საკოლექტივიზაციო მუშაობაში დიდ ნაკლად მიმაჩნია ამ მუშაობის გეგმების უქონლობა, მას სასოფლო საბჭოებიც გეგმიანად არ უძღვებოდნენ. შეფები სოფლებში ჩასვლისას კოლექტივიზაციის საკითხებზე ყურადღებას არ ამახვილებდნენ...“

ამ დოკუმენტში დროის ნამდვილი სურათია, შფოთიანი და საკმაოდ მძიმე დროისა. საქმე სოფლად მთელი ძალების დაძაბვას მოითხოვდა. მე ძალ-ღონეს არ ვიშურებდი და ადამიანების ნდობად აღვიქვი ჩემი არჩევა ბისერტის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატად. ამასთან ერთად დამნიშნეს რაიმიწგანის გამგედ, შემდეგ ამირჩიეს რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ. 1931 წლის დასაწყისში კი ამას მოჰყვა ახალი დანიშვნა სვერდლოვსკში — ურალის სამიწათმოქმედო საოლქო სამმართველოს უფროსის მოადგილედ. მე და ჩემი მეუღლე სვერდლოვსკში ჩავედით, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გადავწყვიტე მშობლიურ ქარხანაში დაბრუნება — ზეინკლად მუშაობა და ერთდროულად ინსტიტუტში სწავლა.

## 3

აი, როგორ მოხდა ეს. მთელი ეს წლები ჩემიანების წერილების, გაზეთების მეშვეობით თვალს ვადევნებდი იმას, თუ რა ხდებოდა ჩვენს ქარხანაში, დნეპრელმა მუშებმა თავად მოითხოვეს ქარხნის აღდგენა, დელეგაციაც გაგზავნეს მოსკოვში. მუშათა წარგზავნილებმა მოახერხეს შესულიყვნენ ფ. ე. ძერჟინსკისთან, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარესთან, და დახმარება სთხოვეს. 1925 წელს პრესაში გამოქვეყნდა ფ. ძერჟინსკის გამოსვლა რკპ (ბ) XIV კონფერენციაზე: „უნდა მოგახსენოთ, იმ კოლოსთაგან, თავის დროზე რომ მოქმედებდნენ სამხრეთში, ერთი კოლოსი ყოველწლიურად ამზადებდა 20 მილიონ ფუთზე მეტ პროდუქციას. ეს კოლოსი, ეგრეთ წოდებული დნეპრის ქარხანა, გუშინ, 28 აპრილს, 2 საათზე გაიხსნა და პირველი ბრძმედიც აამოქმედა“.

რა თქმა უნდა, ეს ამბები მაღელვებდა, სულს მიფორიაქებდა, ვერ დამევიწყებინა, რომ ჩვენი ქარხანა სულ უფრო იზრდება და მძლავრდება, არადა, ურალი ისეთია, ველ-მინდვრებისა და მდელოების სურნელში მუდამ ატანს ინდუსტრიის ჩვეული სურნელი. სადაც უნდა წახვიდე, ყველგან წარმოგიდგება თვალწინ საქარხნო მილები და ამ მილების თავზე ავარდნილი კვამლი. შიგ ბისერტშიც და მის ახლომახლოც იყო დემიდოვის ძვე-

ლი ქარხნები — ნიჟნისერგიევსკის, მიხაილოვსკის, რევდინსკის. სვერდლოვსკზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სწორედ მაშინ გაჩაღდა აქ „ქარხანათ ქარხნის“ — „ურალმაშის“ უმაგალითო მასშტაბის მშენებლობა.

მე ასე ვფიქრობდი: კოლექტივიზაციაში უკვე მოხდა შეუქცევადი მვრა. 1931 წლის შუახანებისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო ქვეყნის ინდივიდუალურ მეურნეობათა ნახევარზე მეტი, ინდუსტრია კი ეს-ეს არის ძალას იკრებს. დღეს სწორედ იქ, ინდუსტრიულ ფრონტზე გადის სოციალიზმისათვის ბრძოლის წინა ხაზი. უმრეწველობოდ, უელექტროენერგიოდ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ფართო ქსელის უქონლად ვერც სოფლის მეურნეობას დაადგება საშველი. ქვეყანას ლითონი სჭირდებოდა; ორ მესამედ თუჯს იძლეოდნენ სამხრეთის ქარხნები, რომელთაგან უდიდესად ითვლებოდა დნეპრის ქარხანა, საწარმო, ფ. ე. ძერჟინსკის სახელი რომ მიენიჭა, — ჰოდა, ჩემი ადგილიც იქ ყოფილა.

სწორედ ასე დავუბრუნდი მშობელ მხარეს. რა თქმა უნდა, გამიჭირდებოდა თან მუშური სპეცტანსაცმლით მევლო ცვლაში და თან საღამოობით მესწავლა ინსტიტუტში. მაგრამ არც ჯანი მაკლდა და არც შეუპოვრობა.

1931 წელს მშობლიურმა ქარხანამ პარტიაში მიმიღო. გუშინდელივით მახსოვს, 24 ოქტომბერი იყო. საკანდიდატო ბარათის ნაცვლად უბეში ჩავიდე № 1713187 პარტიული ბილეთი. ვიცოდი, რომ ეს ბილეთი მანიჭებს არა შეღავათებს, არამედ ახალ, ფრიად რთულ მოვალეობებს. მაინც მგონია, ნებისმიერ ჩვენგანს, კომუნისტს რომ ჰკითხონ, სხვა გზას ხომ არ აირჩევდიო, მტკიცედ იტყოდა: არა, არ ავირჩევდიო. არ ავირჩევდით იმიტომ, რომ ჩვენი გზა — ეს არის ხალხის, პარტიის უანგარო სამსახურის გზა.

დრო კიდევ უფრო მეტად შემიმჭიდროვდა. საამქროებში მიმდინარეობდა რეკონსტრუქცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩვენი ქარხნის მთავარი ინჟინერი ი. პ. ბარდინი, მომავალი აკადემიკოსი, იდგმებოდა ახალი აგრეგატები, ინერგებოდა მექანიზაცია. ერთი სიტყვით, სამუშაო სამყოფად გვქონდა. ინსტიტუტშიც საინტერესო ცხოვრება ჩქეფდა. ყველანი ველტვოდით და ვეწაფებოდით ცოდნას. თანაც, მაშინ არჩეული ვიყავი ფაკულტეტის პარტჯგუფორგად, შემდეგ პროფკომის თავმჯდომარედ და, ბოლოს, მთელი ინსტიტუტის პარტკომის მდივნად. ეს ამხანაგების დიდი ნდობა იყო. ნდობა, რა თქმა უნდა, მახარებდა, თანაც, მუდამ მიყვარდა ადამიანთა შორის ყოფნა, თავდავიწყებით მუშაობა.

30-იან წლებში განსაკუთრებით მწვავედ დადგა კადრების, უწინარეს ყოვლისა, მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენციის სწავლების, აღზრდის, იდეური წრთობის ამოცანა. სწორედ ამიტომ, ერთობ პასუხსაგებად მივიჩნიე სამუშაო, 1933 წელს რომ შემომთავაზეს: მესამე კურსის სტუდენტი დამნიშნეს მუშფაკის ხელმძღვანელად, მერე კი დნეპროძერჟინსკის მეტალურგიული ტექნიკუმის დირექტორად. გულიანად ვმუშაობდი. მინდოდა ყველაფერში წავდგომოდი ამხანაგებს. დღემდე შემომრჩა მაშინდელი ბრძანებების დავთარი. ღიმილით გადამიფურცლავს ძველი ბრძანებები, ახლა თითქოს მიამიტურადაც რომ გამოიყურება, მაგრამ მაშინ ეს პოლიტიკა იყო. ჩვენს მოვალეობად ვრაცხდით გვებრძოლა ყოველი ჩვენი სტუდენტისათვის, ყოველნაირად ვუჩიჩინებდით ქარხნელ ჭაბუკებს ესწავლათ, ვცდილობდით როგორმე ხელი გაგვემართა მათთვის პროფკავშირული სესხით, ზოგჯერ, დაგვენაყრებინა კიდეც ჩვენს სასადილოში. ერთხელ ქალაქში გვეწვია ცნობილი მეტალურგი მეცნიერი, საბრძმედე პროცესის თეორიის შემქმნელი აკადემიკოსი მ. ა. პავლოვი. როგორც იყო, შევიპირე იგი გამოსულიყო მუშფაკელთა წინაშე. გული სიხარულით მევსებოდა იმის შემყურეს, თუ როგორ უსმენდნენ აკდემიკოსს ჩემი თანატოლები. ეს ბიჭები შემდეგ დადგნენ ჩინებული წარმოების მეთაურები — არა ძველი ყაიდის „სპეცები“, არამედ ენთუზიასტები, ნოვატორები, კომუნიზმის იდეალების ერთგული ადამიანები.

მაგრამ ტექნიკუმში მუშაობა, პარტიული დავალებები და საზოგადო-

ებრივი საქმენი თავად მე სწავლისაგან როდი მათავისუფლებდა. ვხაზავდი საკურსო პროექტებს, ვაბარებდი გამოცდებს. მაგრამ სულაც არ მოველოდი ამის გამო რაღაც შეღავათებს. პირიქით, მდგომარეობა მავალებდა, რომ ვყოფილიყავ სხვებისათვის სამაგალითო — განა შემეძლო სხვისგან მომეთხოვა ბეჯითად და მონდომებით ესწავლა, თუ მე თვითონ სხვათა შორის ვისწავლიდი? მოვიყვან კიდევ ერთ დოკუმენტს — სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის 1935 წლის 28 იანვრის სხდომის ოქმის ამონაწერს:

„**მოისმინეს:** თბოძალური განყოფილების V კურსის სტუდენტის ლ. ი. ბრეჟნევის სადიპლომო პროექტის დაცვა თემაზე: „ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ქარხნის პირობებში საბრძმედე აირის ელექტროსტატიკური გაწმენდის პროექტი". კათედრამ ნამუშევარი შეაფასა: თეორიული ნაწილი — ფრიადზე, პროექტი — ფრიადზე"

აირწმენდის ამოცანების გადაწყვეტისადმი დაკვირვებული მიდგომა და დაწერილი გაანგარიშებანი მოწმობენ პროექტის ავტორის ჩინებულ საინჟინრო მომზადებას.

ამხ. ბრეჟნევმა ყველა შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცა.

**დაადგინეს:** სადიპლომო შრომა შესრულებულია ფრიადზე. მიენიჭოს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს თბოძალური დანადგარების ინჟინრის წოდება".

ძალური საამქროს ცვლის უფროსად ჩემს ახალ მუშაობაზე მოკლედ ვიტყვი: ეს იყო წელი, როცა არ გვაკლდა დაძაბული შრომა, ოპტიმალური საწარმოო რეჟიმების ძიება, ცხარე კამათი, დამკვრელური ვახტები, შემხვედრი გეგმები, ღამის გამოძახებები, ხშირად კი ავრალებიც.

ამავე წელს ჩემს ცხოვრებაში ახალი მკვეთრი შემობრუნებაც მოხდა: მე წითელ არმიაში გამიწვიეს.

დილით უწყებით გამოვცხადდი სამხედრო კომისარიატში და იქ ვნახე, ჩვენი სტუდენტი არკადი კუცენკო. თურმე ორივეს, რაკი შესაბამისი განათლება გვქონდა, გვგზავნიდნენ ჩიტაში, სატანკო სკოლაში, რომელსაც მაშინ იმიერბაიკალის ჯავშანსატანკო აკადემია ერქვა. ისევ უნდა გამოვთხოვებოდი ქარხანასა და მეგობრებს, ახლობლებს, ისევ უნდა გავმგზავრებულიყავი შორეულ მხარეს.

— გინდა სამხედრო იყო? — მკითხა კუცენკომ. — ვინ იცის — მივუგე მე, — იქნებ ჩვენს ცხოვრებაში ესეც მაგრა გამოგვადგეს.

## 4

ორმოც დღესა და ორმოც ღამეს მიიწევდა აღმოსავლეთისაკენ ჩვენი სამხედრო ეშელონი. გზად მოსკოვი უნდა გაგვევლო და იმედი მქონდა, რომ გავივლიდი წითელ მოედანზე, თვალს შევავლებდი კრემლს, ვნახავდი ლენინის მავზოლეუმს, მაგრამ ეს მხოლოდ უკან დაბრუნებისას შევძელი.

თან ნაღველი შემომაწვა და თან რაღაც სიხარულმა ამიტანა: ასეა, როცა უკან გრჩება ცხოვრების რაღაც ეტაპი, და წინ მოგელის ახალი, შეუცნობი რამ, როგორც პოეტმა თქვა, შორეთს იქით შორეთი...

კაცის გუნება ასეთია: ყველა ის ადგილი, სადაც მიმუშავია, ახლაც გულით მიყვარს, ღვიძლად მიმაჩნია. მომწონს ხორბლის ყანებში მიმოფანტული უკრაინული სოფლების თეთრ-მწვანე კუნძულებიც, ბელორუსიის პეიზაჟების თითქოსდა შეუმჩნეველი, მაგრამ გულში ჩამწვდომი სიტურფეც, მოლდავეთის ბაღ-ვენახების უხვი ყვავილობაც და ყაზახეთის უკიდეგანო სტეპებიც, მეტადრე გაზაფხულზე, როცა ველებს ფიანდაზად მოჰფენია ტიტები და ყაყაჩოები... იმ ორმოც დღეში კი მთელმა ქვეყანამ ჩემს თვალწინ გაიარა, მივდიოდი, მივდიოდი, და ჩემ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა.

სამხედრო ბანაკი, სადაც ჩვენ ჩავედით, ჩიტის მახლობლად, პესჩანკის სადგურის მიდამოებში იყო. ყვითელ მიწაზე იდგა გრძელი ულიმღამო დაბალ-დაბალი ბარაკები, ჯერ კიდევ იაპონელებს რომ აეშენებინათ. შუაში

პლაცი გაემართათ, ირგვლივ კი პიტალო კლდეები წამომართულიყო. დამახსომდა ზანტი აქლემი, ტაატით რომ მოჰქონდა წყლის კასრები. წყალი აქ საერთოდ არ იყო, იგი ჩამოჰქონდათ, და აბანოში (აბანო კი მოგეხსენებათ, ჯარისკაცისათვის პირველი საქმეა) კაცზე ორ სათლ წყალს იძლეოდნენ.

დაგვირიგეს ფორმა, დაგვყვეს ასეულებად, და მე სატანკო ბატალიონის პირველ ასეულში მოვხვდი, ასე დაიწყო სამხედრო სამსახური.

— ადექით! მარდად, ტყვიასავით!

სიცხე იყო თუ ყინვა, ქარი თუ ქარაშოტი — ჩვენ, წელამდე შიშვლები, დილის ვარჯიშზე გამოვცვივდებოდით, შემდეგ კი მწყობრად მივდიოდით სასაუზმოდ. მერე — საწესდებო მეცადინეობა, სამწყობრო მომზადების ხანგრძლივი საათები და ზემდეგ ფალილეევის დარიგება, რომელიც ჩვენდამი განსაკუთრებით მკაცრი იყო:

— აქ ინსტიტუტი არ გეგონოთ. აქ ტვინის განძრევაა საჭირო. სმენა-ა-ა! ყველგან სიმღერით დავდიოდით — ყველას გვიყვარდა „რა დაგვაკლეს მომხვდურებმა". და ჩვენც გულიანად ვაგუგუნებდით, სიმღერას ვუწყობდით მწყობრ ნაბიჯს, სულ მალე ჩავები ამ ცხოვრებაში.

ამ ცოტა ხნის წინათ, როცა ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში ვიმოგზაურე, პესჩანკაშიც გახლდით. სულ მთლად სხვა დაბა დამიხვდა, თუმცა იქ დღესაც არის სასწავლო ჯარის ნაწილი. არის მხედრული დიდების მუზეუმი, სადაც დავინახე ჩემი პორტრეტი, იმ წლებში რომ გადავუღიათ ტანკისტის მუზარადში; ჯარისკაცებს სიყვარულით შეუგროვებიათ დიდი სამამულო ომის მასალები, ფოტოსურათები, მცირემიწელთა საბუთები. მერე ახალგაზრდა მეომრებმა მიმიპატიჟეს, და ვნახე სახლი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. არც აქ დამიხვდა ბარაკები, სადაც ჩვენ გავდიოდით სამსახურს — თანამედროვე ოთახები, ნათელი ფანჯრები, გაწყობილი სასწოლები, გაკრიალებული იატაკი. მაშინ კი, არსებითად საცხოვრებელი ფონდი არც გვქონდა, ტანკები ტრანშეებში გვეყენა, ეგ იყო, მანქანაზე ზემოდან ბრეზენტი გვქონდა წაფარებული.

ჩვენთვის მთავარი იყო მხედრული სამსახური. როგორც არმიაშია ხოლმე, დიდ ყურადღებას ვუთმობდით სპორტს — ოძელზე ვარჯიშს, ფრენბურთს, ზამთრობით — სათხილამურო ლაშქრობებს. მახსოვს, მარტოსაც გამივლია გრძელი გზა თხილამურით, ასე, ოცდაათი-ორმოცი კილომეტრი. ეს მაშინ იყო, როცა ჩამოსული სარდლობისათვის პაკეტი მიმქონდა.

ჩვენთვის ხშირად უთქვამთ, ტანკისტებს ფეხით ლაშქრობაც უნდა შეეძლოთო. ფარაჯებს მხარზე გადავიგორგლავდით, ფეხსაცმელს მოვირგებდით, და ბრძანებაზე — „მარშზე იარ!", დავიძრებოდით. ლაშქრობები შორეული გვქონდა, თავდაპირველად ფეხსახვევს ხეირიანად ვერც ვიხვევდით და ხშირად ვიხეხავდით ფეხს. ყველაფერი ეს იყო. ერთხელ, გაზაფხულზე, ასეთი მარშ-ლაშქრობის დროს მთებს შუა მოვარდნილმა მდინარემ გადაგვილობა გზა, ჩვენ უკვე ლაშქრობიდან ვბრუნდებოდით, სიმღერით მოვაბიჯებდით, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. და უცებ: წყლის ზღუდე. გვესმის მეთაურის ხმა: „რას გაჩერდით!" ვდუმვართ: რაო, ვერა ხედავ წყალზე რომ ვერ გავივლითო? თანაც ძვალში გამტანი ქარი იყო. იმ ადგილებში ადრეული გაზაფხული სითბოთი არ გვანებივრებდა. ერთიც ვნახოთ, მეთაურმა გიმნასტურა გაიხადა, შიგ პირადი იარაღი გაახვია, თავსზემოთ დაიჭირა და გვიბრძანა: „მომყევით!" წყალი ყინულივით ცივი იყო. მდინარიდან რომ ამოვედით, კბილს კბილზე ძლივს ვაცემინებდით. აქ კი ახალი ბრძანება: „სირბილით იარ!" ეგ არაფერი, გავუძელით.

ასე იწრთობოდა ნებისყოფა, ასე ყალიბდებოდა ხასიათი — საბჭოთა ჯარისკაცის ხასიათი. მერე კი დაიწყო ყველაზე საინტერესო: მეცადინეობა

ტაქტიკაში, მატერიალური ნაწილის შესწავლა, ტანკების ტარება. ჩვენ მაშინ „ტ-26“ და „ბტ-4“ საშუალო ტანკებს ვითვისებდით, დღეს, ეს მანქანები, რა თქმა უნდა, მოისუსტებს. მაგრამ მაშინ ისინი მრისხანე იარაღად გვესახებოდა. ვისროდით ადგილიდან, ვესროდით გაქანებული ტანკიდან სამიზნეებს, და სიამაყით აღგვევსო გული, როცა თვით ბატალიონის მეთაურმა კოპცოვმა სროლა ფრიადზე შეგვიფასა.

დღესაც დიდი კმაყოფილებით ვიგონებ ამ მომთხოვნ მეთაურსა და გულისხმიერ კაცს. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ დავმეგობრებულიყავით (იგი მეთაური იყო, მე კი კურსანტი), მაგრამ ბატალიონის მეთაური კარგად მექცეოდა. მეც ასევე პატივისცემით ვეკიდებოდი. საღამოობით ხშირად ვსაუბრობდით საარმიო სამსახურზე, შესაძლო ომზე. შემდეგ ვასილ ალექსის ძე კოპცოვი ხალხინ-გოლის ბრძოლებში მონაწილეობდა, საბჭოთა კავშირის გმირობაც მიიღო, სამამულო ომს გენერლად შეხვდა და მერე... გმირულად დაიღუპა ფრონტზე. ეს იყო პირველი კადრის ოფიცერი, რომელიც მე გავიცანი, სწორედ ასეთებზე იტყვიან ხოლმე — ვაჟკაცსა გული რკინისაო... ბუნებით ეს სიტყვაძუნწი, მტკიცე, მუდამ შემართული, მხნე კაცი ჩემთვის დამრიგებელიც იყო და მაგალითიც, მაგალითი ნამდვილი მეთაურისა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა საბჭოთა ჯარისკაცების, ისეთი ჯარისკაცების აღზრდას, ნებისმიერ მომენტში რომ შეეძლოთ აღმდგარიყვნენ ჩვენი დიადი სამშობლოს დასაცავად.

მახსოვს ასეთი ეპიზოდი. იმ ადგილს, სადაც ჩვენი ნაწილი იყო განლაგებული, მდინარე ჩიტინკა ჩამოუდიოდა. გვიყვარდა ნაპირზე გასვლა: დავცქეროდით კამკამა გამჭვირვალე წყალს, ბევრგან რომ მოჩანდა ფსკერი. ჰოდა, ერთხელ კოპცოვმა გვითხრა:

— აი, თქვენ ყველანი ინჟინრები ხართ. აბა, სინჯეთ და გადაწყვიტეთ ასეთი ამოცანა: თქვენი ტანკებით ვაკეზე მიდიხართ, სძლევთ დაბრკოლებებს, მანქანას კუთხით აყენებთ ბორცვზე; მაგრამ თუ გიფიქრიათ ვინმეს როგორ გადაიაროთ ტანკით მდინარის ფსკერი?

და იცით, რა: ჩვენ მართლაც გაგვიტაცა ამ საქმემ. დავიწყეთ ფიქრი, ვარაუდი, რა შეიძლებოდა გაგვეკეთებინა. საბოლოოდ, ამოცანა მაინც გადავწყვიტეთ.

რა არის ეს? ერთგვარი სიჩაუქის გამომუშავება? არა, ჩვენ ბატალიონის მეთაურის ბრძანება ისე შევიცანით, რომ იგი გვამზადებდა ნებისმიერი სირთულისათვის, რომელშიც ტანკის ეკიპაჟი შეიძლებოდა მოხვედრილიყო უკვე არა წვრთნის დროს, არამედ საომარი მოქმედების ორომტრიალში. და იქ მოგვიხდებოდა გადაგვეწყვიტა გაცილებით უფრო რთული ამოცანები, ვინემ პოლიგონზე, პლაცზე, აი, რისთვის გვამზადებდა კოპცოვი და ბევრნი ვუმადლოდით ამისათვის. ჩვენი ბატალიონიდან გამოსულმა ტანკისტებმა ჩინებულ მეთაურებად გამოიჩინეს თავი სამამულო ომის წლებში. აბა, როგორ არ გაიხსენო კაცმა სუვოროვის სიტყვები „წვრთნაში გაიჭირვე და ბრძოლაში გაგიადვილდებაო“. თუმცა, ადვილი ბრძოლა ვის უნახავს.

პესჩანკაში ერთ-ერთი პირველი დამნიშნეს ოცეულის მეთაურად, მერე კი მეორე ასეულის მეთაურად. ეს დანიშვნა ჩემთვის პატივი იყო, და იგი სარდლობის ნდობად აღვიქვი.

შემდეგ ნაწილის პოლიტხელი გავხდი. დღეები უაღრესად დაძაბული მქონდა. თან მხედრული სამსახური, თან საბრძოლო ფურცლების გამოშვება, პოლიტსაათიც, აღმზრდელობითი მუშაობაც, ჯარისკაცებთანაც უნდა მესაუბრა. ჯარისკაცია თუ ერისკაცი, ყველა კაცს თავისი საზრუნავი, თავისი გასაჭირი და თავისი ლხინი აქვს. მაგრამ რაგინდ დასაქმებულიც უნდა ვყოფილიყავ, ყოველთვის მოვიცლიდი ხოლმე საიმისოდ, რომ ჩემიანებისათვის ბარათი გამეგზავნა. ერთხელ ახლობლებს ჩემი სურათიც გავუგზავნე. სახლის პარმაღზე ვიდექი. ამ დროს კოპცოვი მომიახლოვდა

და ვიღაცამ ფოტოაპარატი დააჩხაკუნა, ასე გამოვიდა ფოტოსურათი. გადავწყვიტე, შინ გამეგზავნა. ვიფიქრე: დედისა და მამის გულს ყოველთვის ეამება არა მარტო წაიკითხოს შვილის ბარათი, არამედ ნახოს კიდეც-მეთქი.

## ვ

გავიდა წლები. და ახლა განსაკუთრებით კარგად ვხედავ, რაოდენ სასარგებლო ყოფილა ჩემთვის მთელი ეს გადასვლები, დანიშვნები, ახალი შეხვედრები და ახალი საქმეები, რომელთა ჩაწვდომაც მიხდებოდა.

რა თქმა უნდა, ინჟინრის დიპლომს რომ ვიცავდი, არც გამივლია თავში, რომ მომავალში მომიხდებოდა გავძღოლოდი „ზაპოროჟსტალის" აღდგენის საქმეს, მეხელმძღვანელა ოლქის, ის კი არა, მთელი ქვეყნის თავდაცვითი მრეწველობისათვის. როცა მიწათმომწყობად ვმუშაობდი, რას ვიფიქრებდი, რომ ამხანაგებთან ერთად მომიხდებოდა მიწათმომწყობობა მილიონობით ყამირ ჰექტარზე, ხოლო როცა სამხედრო წვრთნას გავდიოდი, არც წარმომედგინა სრულად, როგორ გამომადგებოდა იგი უმძიმეს ომში. რა ვიცოდი მაშინ, რომ ყოველივე ეს, ერთად აღებული, ადამიანთა მასასთან მუდმივი ცოცხალი ურთიერთობის პირობებში გადაიქცეოდა გამოცდილების, ჩვევების, ცოდნის შენადნობად, იმ შენადნობად, რომელიც გამოითქმის ორი უბრალო სიტყვით: პარტიული მუშაობა. გავიდა წლები და მხოლოდ შემდეგ მივხვდი, რომ მე, ისევე როგორც ათასობით სხვა ადამიანს, ნამდვილად მამზადებდნენ, თანაც მამზადებდნენ სრულიად შეგნებულად — მომავალი დიდი საქმეებისათვის. ამ მომზადებას კომუნისტური პარტია ეწეოდა.

ცოტა ხანში მას შემდეგ, რაც არმიიდან დავბრუნდი, დნეპროძერჟინსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ ამირჩიეს. მაშინ თავმჯდომარე იყო ათანასე ილიას ძე ტროფიმოვი, ძველი პარტიის წევრი, ბალტიელი მეზღვაური, ოქტომბრის რევოლუციის მონაწილე, ჩვენი ძერჟინკის მუშა. თავად დიდი განათლება არ ჰქონდა, ამიტომ ძალზე გაახარა ჩემმა საინჟინრო მომზადებამ და მაშინვე შემომთავაზა აღმასკომში გავძღოლოდი მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის საკითხებს.

მომიხდა ღრმად ჩავწვდომოდი საბჭოს მუშაობას, მოუსვენარ, მრავალპლანიან საქმიანობას, მთლიანად ხალხის საჭიროებებს რომ ემსახურება. ამ სამუშაოზე ხამი არ ვიყავი — მას ჯერ კიდევ ბისერტის რაიონში ვეზიარე, და მაინც ბევრი რამის სწავლა თავიდან მომიხდა. ეს გამოცდილება დამეხმარა 1960 წელს, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამირჩიეს. მეხმარება დღესაც, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოვალეობასთან ერთად პარტიამ და ხალხმა კვლავ მომანდვეს ეს მაღალი, საპატიო, მაგრამ უაღრესად პასუხსაგები ადგილი, პოსტი, რომელიც ნიადაგ შრომას მოითხოვს.

მახსოვდა რა ჩემი საკუთარი პრაქტიკა, თავიდანვე შევეცადე უზრუნველმეყო იმ კანონების შემუშავება და მიღება, რომლებიც დეპუტატთა უფლებებს აფართოებენ, დავაყენე საკითხი ადგილობრივი საბჭოების როლის გაძლიერების, მათი ავტორიტეტის ამაღლების, მთელი სახელმწიფო აპარატის საქმიანობის სრულყოფის შესახებ.

მუდამ მადლიერებით ვიგონებ მუშაობას კამენსკოეში, რომელიც ჩემს თვალწინ გადაიქცა თანამედროვე ქალაქად — დნეპროძერჟინსკად. მართლაცდა, უაღრესად საინტერესო დრო იყო, სწორედ მაშინ ვაქებ-ვადიდებდით ჩრდილოეთ პოლუსის დამპყრობ პაპანინელთა ოთხეულს, სუნთქვაშეკრულნი ვადევნებდით თვალს ჩკალოვის გადაფრენებს. ვხარობდით მაგნიტკის, კუზნეცკის კომბინატისა და სხვა ახალმშენებლობების ამბებით. დნეპრის ქარხანა იმ წლებში იზრდებოდა და ვითარდებოდა; ჩემსობისას

აგიზგიზდა მერვე ბრძმედი, ამოქმედდა აგლოფაბრიკა, მესამე მარტენის ღუმელი. საქვეყნო ალტაცება გამოიწვია ჩვენი მეფოლადის იაკობ ჩაიკოვსკის სტახანოვურმა რეკორდმა, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარმა სერგო ორჯონიკიძემ ქვეყნის მეფოლადეებს მოუწოდა გადაეღოთ მისი გამოცდილება.

ქარხანასთან, უფრო ზუსტად, იმ ქარხნებთან ერთად ჩვენში რომ გაჩნდა, იზრდებოდა ქალაქი, მის საზღვრებში შემოვიდა სოფლები ტრიტუზნოე, რომანკოვო, ვაწყდებოდით პრობლემებს, არ გვყოფნიდა სკოლები, პოლიკლინიკები, საბავშვო ბაღები, გვიჭირდა ბინა, გასაახლებელი გვქონდა წყალსადენი, კანალიზაცია, ტრანსპორტი, აი, ყველა ამ საკითხს ვუძღვებოდი ალმასკომში, უნდა მესწავლა, როგორ მეკამათა დირექტორებთან, რომლებიც თავიანთ საწარმოებზე „ხუტორების" მიშენებას ისწრაფვოდნენ, მესწავლა, როგორ დამეძლია უწყებრივი განწყობილება, როგორ შემეკრა ძალები და საშუალებები ერთ მუშტად, და კარგად მახსოვს ჩვენი პირველი წარმატებები, თუნდაც მოკრძალებული, მაგრამ ესოდენ აუცილებელი ადამიანებისათვის.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში მოვახერხე ასიგნებების მიღება, და გავიყვანეთ ტრამვაის ხაზი ბაგლეიდან ლენინის მოედნამდე— ნამდვილი ზეიმი იყო როცა წითელმა ვაგონებმა მთელ ქალაქს დაურბინეს. მახსოვს, როგორ ავაშენეთ (სამოცდაორ დღეში) ლამაზი შენობა, სადაც დღესაც მოქმედებს პიონერთა სასახლე, როგორ აშენებდნენ კომკავშირელები სტადიონს, როგორ გაჩნდა ჩვენს ქალაქში ოთხსართულიანი, აივნებითა და ფართო ფანჯრებით დამშვენებული „მაღალი" სახლები, და თუმცა მშენებლობის მასშტაბი დღევანდელთან ვერ მოვა, ასობით ოჯახმა იდღესასწაულა ახალსახლობა. ქალაქში იკირწყლებოდა ქუჩები, შენდებოდა სკვერები, იმატა საქონელმა მაღაზიებში, ხალხმაც უკეთ ჩაიცვა, ცხოვრებაც უმჯობესდებოდა — სწორედ ამით მახსოვს დნეპროძერჟინსკში მუშაობის ხანა.

დნეპროძერჟინსკის საქალაქო საბჭოში წელიწადზე მეტ ხანს დავყავი, შემდეგ კი პარტიულ სამუშაოზე დამაწინაურეს. თავდაპირველად უკრაინის კპ (ბ) დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგედ ვმუშაობდი. 1939 წლის თებერვალში კი ამირჩიეს საოლქო კომიტეტის მდივნად პროპაგანდის დარგში. საოლქო კომიტეტის — მთელი ოლქის პარტიული ორგანიზაციის შტაბის რთულ და მრავალფეროვან მუშაობაზე დაწვრილებით ვილაპარაკე წიგნში „აღორძინება". მაშინ პირველ მდივნად გვყავდა სიმონ ბორისის ძე ზადიონჩენკო, გამოცდილი, ჭკვიანი, ძლიერი კაცი, რომლისგანაც ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა. საქმიანი, ამხანაგური ურთიერთობა დავამყარეთ. მე პასუხს ვაგებდი პარტიული მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბნისათვის — იდეოლოგიის დარგში მუშაობისათვის. მკვეთრად გაფართოვდა ჩემი მოვალეობების არე, გადიდდა საქმეთა მასშტაბი, ახლა ხშირად მიწევდა ქალაქებსა და სოფლებში მოგზაურობა, ასობით ადამიანთან შეხვედრა.

ძალზე მნიშვნელოვან გარემოებად მიმაჩნია ის, რომ ეს სკოლა გავიარე. არსებობს, როგორც ცნობილია, პარტიული ხელმძღვანელობის სამი ძირითადი მიმართულება — პოლიტიკური, იდეოლოგიური, ორგანიზაციული. არც ღირს იმაზე ლაპარაკი, რომელი მათგანი უფრო მნიშვნელოვანია — სამივე სჭირდება პარტიას, სამივე ერთნაირად მნიშვნელოვანია. პარტიული საქმიანობის ყველა მხარის შერწყმის უნარი ხელოვნებაა, და ამ ხელოვნებას მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა სწავლობდე.

იდეოლოგიური მუშაობა ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა. ეს მრავალფეროვანი მუშაობაა: იგი მოითხოვს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მეცნიერულ ანალიზს და ამასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემათა მუდმივ გადაჭრას.

საშიშია თუნდაც დროებით, ცალკეულ უბნებზეც კი ვივიწყებდეთ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების იდეურ საწყისს, ვურიგდებოდეთ იდეურ შეცდომებს. ისინი ერთი შეხედვით არც ისე შესამჩნევია, როგორც, ვთქვათ, ტექნიკური შეცდომები. თუ რომელიმე აგრეგატი არასწორად არის დაპროექტებული, თუ იგი არ მოგვცემს სავარაუდო სიმძლავრეს, ან სულაც არ იმუშავებს — ეს ხელად გამოჩნდება და ზარალის გამოანგარიშებაც არც ისე ძნელია. ხოლო იდეოლოგიაში დაშვებული შეცდომა, როგორც წესი, არ ჩანს, შენიღბულია ლამაზ-ლამაზი სიტყვების სამოსით. მაგრამ მას მით უფრო შეიძლება მოჰყვეს უარყოფითი შედეგები, რამეთუ უსათუოდ იჩენს თავს და გიგანტურ ვნებასაც მოგვაყენებს, დროულად თუ არ გამოვასწორეთ. თანამედროვე სამყაროში არ არის ვაკუუმი: იქ, სადაც ჩვენ გულარხეინად ვართ, ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგენი მოქმედებენ. „ამიტომ, — გვასწავლის ვ. ი. ლენინი, — სოციალისტური იდეოლოგიის **ყოველი** დაკნინება, მისგან **ყოველი გადახვევა** ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას ნიშნავს".

ამას განსაკუთრებით მწვავედ ვგრძნობდი იმ წლებში, რომელთა შესახებაც გიამბობთ: დასავლეთში უკვე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. იგი ჩვენი საზღვრებისაკენ მოიწევდა, ორი სისტემის იდეურ-პოლიტიკური ჭიდილი უახლოვდებოდა თავის უკიდურეს ფორმას — აშკარა საომარ შეტაკებას. ამ ვითარებაში ამაღლდა მოთხოვნები კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისადმი, მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცებისადმი. საჭირო იყო გაგვეწია აქტიური, შემტევი პროპაგანდისტული მუშაობა, დროულად უკუგვეგდო მტრული იდეოლოგია, განგვემტკიცებინა საბჭოთა ადამიანების მაღალი პოლიტიკური შეგნება, აღგვეზარდა ისინი სოციალისტური პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, კომუნიზმის იდეალების ერთგულების სულისკვეთებით.

ყოველივე ამის შნო უნდა ჰქონდეს თითოეულ ხელმძღვანელს, თითოეულ კომუნისტს, რომ აღარაფერი ვთქვათ თითქოსდა ყველაზე უბრალო ამოცანებზე, რომელიც მუდმივ ძალისხმევას მოითხოვს, — იმ ამოცანაზე, რომ ვაცნობდეთ ხალხს მიზნებს, რომლებსაც ვისახავთ, განვუმარტავდეთ კონკრეტულად რისთვის იღვწის მოცემულ ეტაპზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა გამოვდიოდეთ სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე, ვხვდებოდეთ ადამიანებს. მაშინ დნეპროპეტროვსკის ოლქში პირველად გადავაწყდი ამის საჭიროებას და ამასთან დაკავშირებით მინდა გაგიზიაროთ ზოგიერთი მოსაზრება, რომლებიც ჯერ კიდევ იმ წლებში გამიჩნდა.

პარტიული მგზნებარე სიტყვა იყო და არის პარტიის ბასრი იარაღი, და ამას ფრიად სერიოზულად უნდა ვეკიდებოდეთ.

საბჭოთა ადამიანები იწონებენ პარტიის პოლიტიკას, მხარს უჭერენ მას. და მიუხედავად ამისა ჩვენ ყოველთვის ვუთმობდით და ვუთმობთ დიდ ყურადღებას იდეოლოგიურ მუშაობას. ამ მუშაობაში მთავარი იარაღი სიმართლეა. წარმატებებზეც და ხარვეზებზეც, ჩვენი აზრით, პატიოსნად უნდა ვილაპარაკოთ. ადამიანები ყოველთვის გაიგებენ წრფელ საუბარს. ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ სოციალიზმის ძალა მასების შეგნებაა.

არაფერია უმისამართო, აუდიტორიის ინტერესებისაგან, სადღეისო მოთხოვნებისაგან მოწყვეტილ პროპაგანდაზე უნაყოფო. თუ ორატორი თავს არიდებს მწვავე საკითხებზე პასუხის გაცემას, იგი უნდობლობას აღუძრავს ადამიანებს. თუ ლექტორი ტრიბუნაზე სიტყვას სიტყვაზე ვერ აბამს, საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებებს იმეორებს, კაპიკია მისი გამოსვლის ფასი, უფრო მეტიც, ასეთმა ორატორმა შეიძლება ხალხი სამუდამოდ გადააჩვიოს ლექციების მოსმენას. ამ საქმეში ფორმალიზმი დაუშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებელია, საჭიროა შემოქმედებითი მიდგომა. მინდა ხაზი გავუსვა: წარმატების საიდუმლოს არ შეიცავს არც მარჯვე ორატორული ხერხები, რომლებსაც არ იშურებენ ბურჟუაზიული პოლიტიკოსები და არც ყალბი პათოსი თუ მჭექარე ხმა. ვ. ი. ლენინს, როგორც ცნობილია, ძლიერი ხმა არ ჰქონია, მაგრამ ხომ ესმოდათ მისი. ყველას, მთელ ქვეყანას, მთელ კაცობრიობას. ესმოდათ იმიტომ, რომ უსმენდნენ. სმენით კი იმიტომ უსმენდნენ, რომ მისი სიტყვები აღსავსე იყო ხალხის მასებისათვის ახლობელი იდეებითა და აზრებით, ამ იდეების დასაცავად პოულობდა უცილობელ არგუმენტებს, იყო ლოგიკური, გამოჰქონდა ღრმად მეცნიერული, გაბედული დასკვნები, ყოველთვის კონკრეტულ და მნიშვნელოვან ამოცანებს სახავდა...

დნეპროპეტროვსკში გატარებული ომისწინა წლები უაღრესად დაძაბული მუშაობის დროდ მაგონდება. გარეგნულად ყველაფერი წყნარად იყო: კინოში გადიოდა კომედიები „ვოლგა-ვოლგა“ და „ნათელი გზა“, ჩვეულებრივი შრომითი რიტმით მიედინებოდა ცხოვრება ქალაქად თუ სოფლად, მინდორში ჭირნახული მწიფდებოდა. მაგრამ ყველანი ვგრძნობდით: ომის საფრთხე მატულობდა. 1940 წელს დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტმა მიიღო საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პასუხსაგები დავალება — გადაეყვანა ოლქის საწარმოთა ნაწილი სამხედრო ტექნიკის გამოშვებაზე. მოსკოვიდან მოვიდა დაშიფრული დეპეშა, რომლითაც წინადადება გვეძლეოდა დაგვეწესებინა თავდაცვითი მრეწველობის დარგში საოლქო კომიტეტის მდივნის თანამდებობა. ბიუროს სხდომას ზადიონჩენკო ატარებდა. მან თქვა, რომ, თუ გავითვალისწინებთ ამ სამუშაოს განსაკუთრებულ საჭიროებას და მნიშვნელობას, რომელსაც მას ანიჭებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, ამ პოსტზე უნდა დავაწინაუროთ არა მარტო ტექნიკურად მომზადებული, მეტალურგიის მცოდნე სპეციალისტი, არამედ უნარიანი ორგანიზატორიც, რომელსაც ეცოდინება ხალხთან მუშაობა. დაახლოებით ასე ილაპარაკა და ჩემი კანდიდატურა დაასახელა. ერთხმად ამირჩიეს.

ვითვალისწინებდით თუ არა ომის რეალურ საშიშროებას, ვემზადებოდით თუ არა საამისოდ? ვითვალისწინებდით და ვემზადებოდით კიდეც. იმაში, რომ ომის საფრთხე მატულობს და ჩვენი მთავარი მტერი ფაშიზმია, ეჭვი არავის ეპარებოდა.

ქვეყანას ძალზე უჭირდა ლითონი. 1940 წლის ივნისში სახკომსაბჭომ და საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ თუჯის, ფოლადის გამოდნობისა და ნაგლინის წარმოების დადგენილი გეგმის შესრულებას“. მეტალურგებმა გაშალეს სრულიად საკავშირო შეჯიბრება აგრეგატების სიმძლავრის საუკეთესო გამოყენებისათვის, და ჩემმა თანამემამულეებმა ამ შეჯიბრებაში შესამჩნევი წარმატებები მოიპოვეს. საწარმოებს, რომლებიც მანამდე უაღრესად მშვიდობიან პროდუქციას უშვებდნენ, ახლა არმიისათვის ამუშავებდნენ. არტემის სახელობის ქარხანა საბრძოლო თვითმფრინავების დეტალებს აწარმოებდა, კომინტერნის სახელობის ქარხანა ნალმსატყორცნებს, დნეპრის ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიული ქარხანა — საარტილერიო ჭურვებს...

საოლქო კომიტეტში მაგიდაზე მიდებდნენ ცნობებს, რომლებიც დიდად მახარებდა. და თუმცა უკვე ასობით საწარმოსათვის ვაგებდი პასუხს, არ დავმალავ, რომ განსაკუთრებით ახლოს მიმქონდა გულთან მშობლიური

ქარხნიდან მოსული ამბები. 1941 წელს დნეპრის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ქარხანას მიენიჭა „საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეტალურგიული ქარხნის“ წოდება და გადაეცა შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატისა და მეტალურგთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

* * *

სამშობლოს გრძნობა ყოველ ჩვენთაგანს ბავშვობის, საკუთარი სახლის, საკუთარი ქუჩის, ქალაქისა თუ სოფლის ხსოვნით ეწყება. და ამასთანავე ცოცხლობს ჩვენში დიდი, დიადი სამშობლოს გრძნობაც, რომელიც საშიშროებისა და დიდი განსაცდელის ჟამს ანაზდად უაღრესად ახლობელი და ძვირფასი ხდება.

მე ბედმა გამიღიმა საკუთარი თვალით მენახა მშობლიური ქვეყნის სივრცეები, ახლოს გავცნობოდი ბევრ თანამოქალაქეს, და ვიცოდი, რომ ხალხის გეგმები, ოცნებები და ზრახვები სავსებით შეეფერება იმ მიწა-წყალს, რომელზეც ცხოვრების ბედნიერებაც გვერგო წილად, რომელიც მივიღეთ მამებისაგან და კიდევ უფრო ბარაქიანი და აყვავებული უნდა გადავცეთ შვილებს.

ჩვენ დავამტკიცეთ ეს პირველი ხუთწლედების დიდი მიღწევებით.

მაგრამ აი, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში დადგა მტანჯველი, მწარე და ამასთანავე მაღალი რწმენითა და არნახული გმირობით აღსავსე დრო. დაიწყო დიდი სამამულო ომი. დადგა ჟამი, როცა უნდა დაგვეცვა სოციალიზმის დიადი მონაპოვრები, დაგვეცვა ყველაფერი, რისი გაკეთებაც და აშენებაც შევძელით, მკერდით გადავეფარებოდით ჩვენთვის ძვირფას მიწა-წყალს. და მეც მილიონობით საბჭოთა ჯარისკაცთან და ოფიცერთან ერთად გამოვიარე ომის ქარცეცხლიანი გზა თავიდან ბოლომდე, მისი პირველი დღიდან გამარჯვების ნათელ დღემდე.

მაგრამ ეს პერიოდი ცალკე საუბრის საგანია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მარიკა ბარათაშვილი

## წიაღმსვლელები

ცხადად თუ სიზმრად ფუსფუსებენ
წიაღმსვლელები.
ცხადად თუ სიზმრად მოუსვენრობს
გონების სახლი.
არის ძიება — (არ ეთმობათ,
არ ესვენებათ...)
ჯერ არნახულის, არსმენილის,
უცხო სამარხის.
ყველაზე მძიმე, არა, სულაც
მიუღწეველი
აღმოჩენაა — აღმოჩენა
საკუთარ თავის.
შრეებს იღებენ, ფუსფუსებენ,
წიაღმსვლელები:
რა ხარ, ვინა ხარ, საით მოხველ,
მიდიხარ საით?“
იქნებ, რამდენი გაუხსნელი
დარჩა შრეები,
იქნებ, რამდენი მთლად დახშული
დარჩა კარები...
ხელშეუხები, საოცარი
აღმოჩენები,
რითმა თუ ჰანგი, ურთულესი
ინტეგრალები...
მაგრამ ხომ ხდება საოცრება,
საკვირველება,
და ესეც იქნებ აღმოჩენა
იქნება ხვალის:
რაც ვერ მოასწრეს, ვერ იპოვეს
წიაღმსვლელებმა,
ის — სამზეოზე ამოჰყვება
თავთავს ან ყვავილს.

მერმისისათვის, ახლა ხვალე
დაიწყებს ზრუნვას.
ბრუნავს ყოველი და საწუთროც
წრიულად ბრუნავს...

## მამული

რამდენი ფიქრი უსიტყვოდ დამრჩა,
გამოვლილ გზებზე სადღაც უქმდება...
ვერ ვუწინამძღვრე სათქმელის ლაშქარს
და უმთავრესი მრჩება უთქმელი,
ვერ გავისტუმრე მამულის ვალი,
ვერ მოვიკალი დიდი წყურვილი
და სინანული, ცხადად თუ მალვით,
სულში მებნევა კოწახურივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

გიცვიფრებია ყოვლის მომსწრე
საუკუნენი,
გამბედაობით, ნიჭით, მკლავით,
კეთილ ბუნებით.

და ეგ მშვენება და სიმ[illegible]
შენთა ერდოთა,
შენთვის, ძვირფასო, ბედიც იყო
და უბედობაც.

## სულმნათეზი

ახლა მთაწმინდიდან
ანათებენ —
საქართველოს მაღალ,
მაღალ მთიდან...

ჩვენი დიდებული
სულმნათები,
მხრებით შედგომიან
გალაქტიკას.

●

ციხე თამარის, კოშკი თამარის
და ყველგან ხსოვნის იასამანი...
სადაც ოდესღაც გზად გაგივლია
შენი გზაა და შენი ხიდია.
სად არ ვეძებე! — ვერსად მოვნახე
მეფეთა შორის ყველა დროების,
ასე განთქმული ქალი-მონარქი,

ჭკუით, გმირობით და სათნოებით.
შენი სიქველე ისე იწამეს,
და ალტაცებით ისე ალივსნენ,
სხვის მონასტერში გრაცხდნენ
წმინდანად...
ჩვენ —
ერთი ძეგლიც ვერ მოგალირსეთ!..

●

ჩვენ ხომ ჩვენივე სიკეთე არ გვწამს,
თუ სხვამ არ გვითხრა მისი სიდიდე.
შეხედეთ გელათს, ვარძიას,
ზარზმას, —
სიმდიდრეს თვლიდე, ვერ მოითვლიდე.

ჩვენ ხომ ეს ნიჭი ოდითგან
მოგვდევს —
შორეულ გზებზე მოძმის ძიება!
და იმავ ნიჭით ვახერხებთ ზოგჯერ,
მახლობლის მოკვლას და დატირებას...

## მზე პირს იბანდა

უკანასკნელი მოხვევა ქუჩის...
უკანასკნელად თმაზე გაწვიმდა,
უკანასკნელად ჰყვაოდა ნუში,
მზე პირის ნაბანს საცერში სცრიდა...
ვილაცა ყელზე მიჭერდა თასმებს
და უსაშველოდ სუნთქვა გაჭირდა,
ვხედავდი, როგორ გაწვიმდა თმაზე...

მზე პირის ნაბანს სცრიდა და
სცრიდა...
ვემდური კანონს მკაცრს,
დაუძლეველს,
გზას — რომ მთავრდება საწუთროს
კართან
და მზეს ვერაფრით ვერ მივუტევებ
რომ იცინოდა... მზე პირს იბანდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ო. და შ. ლეჟავებს

ორი ფოთოლი ისხდა შტოზე
ორი ბეღურა,
ხან მზის საბანი, ხანაც ნისლის
ბადე ეხურათ.
ორი ფოთოლი ისხდა შტოზე —
ორი ბეღურა
და შრიალებდნენ, ჩურჩულებდნენ
თავისებურად.

შემდეგ, ნიავმა მოიტაცა
მათგანი ერთი,
ათრთოლებული დაამარცხა
ჭადარის ფეხთით
და სიყვარული ასე დიდი,
ასე კეთილი,
დარჩა იმ შტოზე მარტოდმარტო,
მხარმოკვეთილი..
...სადღა იპოვის, სად ეძებოს,
ვინ ეტყვის მართალს,
ფერმიხდილ ფოთოლს, შემორჩენილს
საწუთროს კართან?

●

შორს გავიხედავ და ის სახლი
გაცისკროვნდება —
სარკმლის ციაგით შემომაშუქებს...
დაულეველი შემორჩა სულს
ის, ის ოცნება,
შენ რომ უხვად დამასაჩუქრე.
რა წრფელი იყო ის დღეები,
რა მიამიტი,
რარიგ მიყვარდა მე იმ სახლის
მუნჯი კრამიტიც...
ჩუმი ყვირილა, შავი მთები —
თვალშეუდგამი
და ოცნებები, ოცნებები
მთვარიან ღამით,
როდესაც გული მღერის, როგორც
არ უმღერია,
როდესაც თავი მიგაჩნია
ზღაპრულ ფერიად,
როცა ყვავილობს მხოლოდ შენთვის
ირგვლივ ყოველი,
ხან სევდიანობ, ხან ხარ ისე
დაუდგრომელი...
რა დამავიწყებს, რასაც უხმოდ
ფიქრში ვმარცვლავდი,
ვიმეორებდი, რაც უთქმელი
დარჩა აქამდე...
მადლობელი ვარ (ისიც როგორ!), —
ყველაფრისათვის:
სიხარულისთვის სევდისათვის,
მზიან ცისათვის...
რომ მსურდა კარგი ვყოფილიყავ
(როგორ ვცდილობდი!)
და ვაწონებდი ერთგულ სარკეს
თმის ვარცხნილობას,
რომ განძს ვუვლიდი ჩუმად,
სიოს არ ვაკარებდი —
(თუ გამოფენდნენ ჭრელა-ჭრულას,
ლექსის პწკარები...)
რომ არც უწყოდი, ისე ჩუმად,
უხილავ პეშვით
ამოგიზიდავს უკეთესი
რაც იყო ჩემში...

●

იმ კარ-მიდამოს შერჩენოდა ერთადერთი — და,
ვერ შელეოდა ბავშვობიდან შეზრდილ ჭიუხებს,
ფეხი ვერ გადგა ბერიკაცმა მთა-თუშეთიდან,
დატყვევებულმა სიყვარულის ფერთა სიუხვით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მხოლოდ როცა თვალის ჩინი წაართვა ბედმა,
მოხუცს ქალაქში მიუჩინეს ოქროს გალია...
და მაინც ისე მიუხმობდა ადგილის დედა,
ის კარ-მიდამო ეძახოდა ისე ძალიან,
რომ მთლად უმწეო, უსინათლო, შუქწართმეული,
მაგრამ ალევსილი ჭრელ სიზმრების ათინათებით,
იმ გალიაში... იდგა მთისკენ პირშექცეული
ბრმა ბერიკაცი — მთლად წარსული და მონატრება.
მშობლიურ კალთას მოწყვეტილი და მონატრული
ლილო-ჭრილოებს, შორ ჭიუხებს ხედავდა გულით.

გავიდა ხანი... მიტოვებულ მთების სიმკაცრე
ისევ გაათბო გაზაფხულმა, დროის ბრძანებით.
მაგრამ ქალაქში დამარხული ის ბერიკაცი
თუ მოიგონეს ახლა, მთაში, მისიანებმა?
შესანდობარით მოგონების ღირსი ხომ არის! —
შესანდობარის...
თუმცა რა აქვს შესანდობარი?

ზურაბ თოდრია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ერთი მოგზაურობა

## გამოფენის შემდეგ

თეონა განმარტოებით იდგა წრიული ფორმის ნათელ სახელოსნოში და ნატურმორტს ათვალიერებდა.

შუაზე გაყოფილი ღიაწაბლისფერი თმა ფაფუკად ჩამოშლოდა ნამზეურ მხრებზე. სწორი, დაჭორფლილი ცხვირი და ოვალური პირისახე ჰქონდა. მაქმანებით გაწყობილი მოკლე უჯრულა კაბა ეცვა. მის დიდრონ, თაფლისფერ თვალებში ცნობისწადილის და მღელვარების ნაკადი მონაცვლეობდა.

ერთი წუთით მზერა მოსწყვიტა ტილოს და მანქანებით გაჭედილ ქუჩას გახედა. ტროტუარზე თავმოყრილ ხალხს შორის უნებლიე მოწმესავით იდგა დედა, ნაადრევად მოტეხილი, ქანცგაწყვეტილი ქალი. მას საგანგებოდ ამ დღისთვის შეკერილი ლურჯნაყშებიანი კაბა ეცვა. ოჯახის და მინდვრის სამუშაოებისგან გაუხეშებული, დაკოჟრილი ხელით უხერხულად აეტატებინა მუყაოს ჩანთა და სახელოსნოსკენ იცქირებოდა.

გოგონა მის გვერდით მაღალ, სახეშეჟინჟღილებულ კაცს ეძებდა. გულისფანცქალით აკვირდებოდა უდარდელად მობაასე ხალხს. მოლოდინმა რომ უმტყუნა, თვალებში სევდა ჩაეღვენთა, დარბაზის მეორე ბოლოში მდგომი თანატოლებისკენ მიტრიალდა. ისინი რაღაცაზე იცინოდნენ და თავისკენ უხმობდნენ, მაგრამ თეონა ვერაფერს ამჩნევდა. თვალწინ სახელოსნოდან ოცი კილომეტრით დაშორებული სოფელი ედგა.

გზატკეცილიდან სახლამდის ფეხით ნახევარი საათის სავალი იყო. მოასფალტებულ სწორ გზას ორივე მხრით ვაშლნარი გასდევდა, სახლის წინ პურის ყანა ღაღანებდა. უკანა მხარეზე ვაზის ზვრებს, ატმის, ალუბლისა და ბროწეულის ნარგავებს ეჭირათ უკიდეგანო სივრცე. ძალზე შორს ჯუჯა ხეებით დაფარული გორმახები მოჩანდა.

სოფელს პირობითად პურის ყანა ყოფდა ორ ნაწილად, ერთი მხარე კოლონიას ეჭირა, რომელსაც მიმაგრებულ პატიმართა თავისუფალი დასახლება ერქვა, ხოლო მეორე — ადგილობრივ მკვიდრთა კარმიდამოებს. სასურსათო მაღაზია, სასადილო, სადალაქო, თონე, ამბულატორია, საბავშვო ბაღი და სხვა კოლონიის ტერიტორიაზე იყო თავმოყრილი.

ადრე, დაწყებითი, ოთხწლიანი სკოლაც ჰქონია სოფელს, მაგრამ როგორც კი პატიმართა დასახლება გახსნილა, თითქოს ნაძრახ ადგილს განერიდნენო, ადგილობრივ მკვიდრთა უმრავლესობას გუდანაბადი აუკრავს და სკოლაც გაუქმებულა.

მეურნეობას მეზობელ სოფელში ოცდახუთიოდე მოსწავლის სატარებ-

ლად ავტობუსი ჰქონდა გამოყოფილი, რომელიც წარამარა ფუჭდებოდა და თორმეტ კილომეტრზე, ავდარსა და გაუსაძლის სიცხეში ბრეზენტით გადახურული დანჯღრეული სატვირთო მანქანით უწევდათ ბავშვებს მგზავრობა.

პატიმრები ორსართულიან და დაბალ ქვის სახლებში ცხოვრობდნენ. დასახლებიდან მოშორებით ტრიალ მინდორზე იდგა კლუბი, ყაზარმასავით გრძელი, უფერული შენობა. აქ, უქმე დღეებში კინოსურათებს უჩვენებდნენ, ზოგჯერ თვითშემოქმედების საღამოებიც იმართებოდა.

კლუბის წინ საცეკვაოდ გამიზნულ, ფართო მოედნის ცენტრში ფისით გაჟღენთილ, შავ ბოძზე ფრთამოტეხილ პეპელასავით ეკიდა ცალ გვერდზე გადახრილი რეპროდუქტორი. დილის ექვსი საათიდან შუაღამემდე ისმოდა მისი ხმა დასახლების მთელ ტერიტორიაზე. ვინ იცის, რამდენჯერ ჩამოაგდო იგი უჩინარმა ხელმა, მაგრამ მაშინვე აღადგენდნენ ხოლმე, რადგან საღამოობით, პატიმრებს ბინიდან ფეხმოუცვლელად შეეძლოთ მუსიკის კონცერტის, გაფრთხილების, წახალისების თუ მათ ცხოვრებაში მომხდარი რამე ცვლილების მოსმენა.

თეონას მამა ამ სოფლის მკვიდრი იყო. აგურის ორსართულიანი სახლი ედგათ. სახლს ორივე მხარეზე ხეხილის ბაღი შემორტყმოდა, წინა ეზოში მომცრო სათბური ჰქონდათ. ეზო ირგვლივ ქვის ყორეთი იყო შემოკავებული.

თეონა ადრე გაზაფხულიდან მხვნელ-მთესველებს დასდევდა უკან თავის სასაცილო, გრძელბალნიან ფოქსტერიერ ბეკასთან ერთად.

მის თვალწინ აყალო მიწით გადაქურუხებული თვალუწვდენელი ველი მწვანე ქათიბით იმოსებოდა. ამ სიმწვანეს ოქროსფერი ეპარებოდა თანდათან. ზღვის ზვირთებივით ტორტმანებდნენ ხორბლის თავთავები და ნელი ჩურჩულით ეალერსებოდნენ გოგონას.

მერე, ჩამავალი მზის ცქერით გართული, ოცნებობდა მომავალ გაზაფხულზე, ველური ყვავილებით მორთულ მიდამოებზე, ატმისა და ბროწეულის აბრიალებულ ტოტებზე და პურის მოღაღანე ყანაზე. მწიფე თავთავების სურნელი ყველაფერს ერჩივნა და არ ეგონა, ქვეყნად ამაზე საოცარი რამ თუ არსებობდა კიდევ.

მამამ ასწავლა, მიწა ყველაფერზე მარადიულიაო და ამ მიწის გულისფეთქვის, სასიცოცხლო ძალებით გაჟღენთვის — მათ თესლად, ბალახად, ტოტებად, ნაირფერ ყვავილებად და ნაყოფად გარდასახვის საიდუმლოებებზე ფიქრი იყო გოგონას მუდმივი თანამგზავრი.

●

ღამის ათი საათი იყო. წვიმდა...

დედის თბილ თავშალში გახვეული გოგონა მკრთალად განათებულ, უკაცრიელ გზას მიჰყვებოდა. რეპროდუქტორიდან საცეკვაო მუსიკა ეფინებოდა სოფელს...

გოგონა ქვის დაბალ სახლს მიადგა. კარზე დააკაკუნა. სახლიდან არეული ხმები ისმოდა. ისევ დააკაკუნა. ფეხსაცმლის ბრახუნით ახლოვდებოდა ვიღაცა. მძიმედ დაიჭრიალა კარმა და თმააჩეჩილმა, ჩაფსკვნილმა კაცმა გამოიხედა. გოგონამ მამა იკითხა. კაცი ყურადღებით დააცქერდა: „რა თქმა უნდა, დედა გამოგაგზავნიდა!“ — ჩაილაპარაკა ჩახრინწული ხმით. უკმაყოფილოდ გააქნია თავი. პასუხისთვის არც დაუცდია, კარი მოაღიავა და დერეფანში გაატარა, სადაც შემწვარი კარტოფილის, მოხრაკული ხახვისა და ნავთის ერთმანეთში არეული სუნი ტრიალებდა. დახუთულმა ჰაერმა ერთი წუთით სუნთქვა შეუკრა თეონას. ფეხს აუჩქარა. კაციც აიძულა მის სხარტ ნაბიჯებს მიჰყოლოდა.

დერეფნის ბოლოს, კუთხეში მიდგმულ, სანახევროდ განათებულ მაგი-

დას ბავშვები უსხდნენ და ჩუმად, ყოველგვარი ხალისის გარეშე, თითქოს ვალდებულებას იხდიდნენო, სვამდნენ ჩაის. ფეხის ხმაზე, მაგიდასთან მჯდომმა თავგადახოტრილმა ბიჭმა მოხედა შეყოვნებულ თეონას. მის მზერაში გაოცებამ იელვა. სხვა ბავშვებზე დაკვირვება არ დასცალდა გოგონას, რადგან თვალისმომჭრელად გაბრდღვიალებული ოთახის კარი შეაღო კაცმა.

მაგიდას ოთხნი უსხდნენ. აღგზნებული სახეები ჰქონდათ. ხმამაღლა კამათობდნენ. ერთს არყით სავსე ჭიქა ეჭირა და გადაკვრას აპირებდა, რომ ოთახში შემოსულ გოგონას მოჰკრა თვალი. გაშეშდა. შემდეგ შეიშმუშნა და შავქურთუკიან კაცს დახედა, რომელსაც მაგიდაზე მიედო თავი და თვლემდა.

გოგონა მათ უხმოდ მიესალმა, მიუახლოვდა მთვლემარეს და მკლავზე მოქაჩა. კაცი შეირხა. გაფიჟვინებული, აზრს მოკლებული სახე ასწია, უნიათოდ მიმოიხედა ოთახში. მზერა გოგონაზე შეაჩერა, გუგები გაუფართოვდა და თითქოს გაწყვეტილ ზმანებას გაექიდაო, თვალი მილულა. გაყუჩდა. შემდეგ შეინძრა, საფეთქელთან შევერცხლილ სწორ თმაზე ანაზდეულად გადაისვა ხელი, წამოიწია, რაღაც მადლობისმაგვარი წაილუღლუღა და გასასვლელისკენ წაბარბაცდა. კარს ხელი ჰკრა და მოუტრიალდა გოგონას. თეონამ კაცებს გადახედა, დაემშვიდობა მათ და მთვრალს წაუძღვა.

კაცი მძიმედ მიაბიჯებდა. ცივმა ჰაერმა ოდნავ გამოაფხიზლა. ბავშვთან მოუნდა საუბარი, მაგრამ ხედავდა, რომ იგი უგუნებოდ იყო და თავს იკავებდა. კარგა ხნის დუმილის შემდეგ, უხერხულობა დასძლია და სიტყვებს მისცა გასაქანი. გოგონა ერთხანად ყურადღებით უსმენდა, მერე, უეცრად შედგა და მოელვარე თვალებით ახედა. კაცი მისმა გამჭოლმა მზერამ წონასწორობიდან გამოიყვანა.

— შენც?!. — სასოწარკვეთილება გაისმა მის ხმაში.

დუმილს რეპროდუქტორის ჩურჩული არღვევდა.

— დედამ, ჩვენ მაინც შეგვიბრალოსო! — თქვა და მოქანცული ნაბიჯებით გასწია.

კაცი ადგილიდან არ იძვროდა. გოგონამ მოხედა. მამა ცოცხალ-მკვდარივით გახირულიყო ერთ ადგილზე.

— გული ტკიოდა. გელოდებიან... — თქვა გოგონამ და გზა განაგრძო.

...კოლონიის გახსნამდე აგრონომად მუშაობდა იგი მეურნეობაში. მეურნეობა კოლონიას რომ დაუქვემდებარეს, დირექტორის მოადგილედ დანიშნეს.

გულისხმიერი კაცი იყო. ჭაბუკობაში გამომუშავებულმა შრომისმოყვარეობამ თავის დროზე ბევრი წინააღმდეგობა გადაალახვინა, მაგრამ მის სიმტკიცეს დროთა ვითარებაში ბზარი გაუჩნდა.

ქალი დაუსრულებლად ჩასჩიჩინებდა, თანამშრომლები თვალსა და ხელს შუა გაცურებენო. კაცს არ ესმოდა ეს. სხვისი ცუღლუტობის დაჯერება უჭირდა. თანამშრომლები მის ზურგს უკან აჭახრაკებდნენ საქმეებს. ცოტ-ცოტას, ქრთამსაც იღებდნენ მისი სახელით. შაბათ-კვირაობით პატიმრებს დასახლებიდან გასვლის უფლებას რთავდნენ და ყოველი მათგანისათვის გადასახადის თავისებური ნიხრი ჰქონდათ დაწესებული.

სულ სხვა იყო, როცა პატიმრებს გასათავისუფლებლად წარადგენდნენ. აქ, ცალკე გარკვეულ თანხას ართმევდნენ, ხოლო შემდეგ, ქეიფსაც აკისრებინებდნენ. ეს, აუცილებელ ყადაღად იყო დაწესებული დიდხანს. პატიმრებს „პირშავად“ წასვლა ეკრძალებოდათ.

კაცმა ამ ამბავს რამდენჯერმე მოჰკრა ყური და როცა დირექტორთან აშკარად ილაპარაკა მათ მოქმედებაზე,

გააბითურეს. მერე, ახლად დანიშნულმა დირექტორმა იმდენი მოახერხა, უბნის აგრონომად ჩამოაქვეითა.

მოგვიანებით თვითონ მიხვდა ბევრ რამეს, მაგრამ საქმეში ჩახედვისა და გამოფხიზლების მაგივრად, რაც დრო გადიოდა, გული უცრუვდებოდა ყველაფერზე. სასმელს ეტანებოდა. თანდათან სამუშაო საათებშიც დაიწყო ჩუმჩუმად სმა.

დირექტორს ყოველ მის ასავალ-დასავალს უკაკლავდნენ. მან კიდევ არ დააყოვნა და ფაქტზე გამოიჭირა რამდენიმეჯერ. დაიბარა, „სერიოზულად“ მოეთათბირა. საქმე დაავალა, თან ემუქრებოდა, თუ დროზე არ გაგიკეთებია, სამუშაოდან მოგხსნიო. დავალებას რომ შეასრულებდა, უმიზეზოდ მოსდებდა შარს, მერე ძველ ცოდვებსაც გაუხსენებდა.

ჯერ საყვედური გამოუცხადეს, მერე მკაცრად გააფრთხილეს, ხელფასი დაუკავეს, ჩამოაქვეითეს და აიძულებდნენ სხვაგან ეძებნა ადგილი.

ასე იქცა მათ ხელში იგი სათამაშოდ. დირექტორი თავის დამქაშებთან ოხუნჯობდა, ასეთი უგერგილო ვინმეს მნახველი არა ვარო...

როგორც თეონას დედა ამბობდა, დალევით ცოტას სვამდა იგი, მაგრამ ესეც ბოლოს უღებდა. ღამით სადმე რომ შეაგვიანდებოდა, თეონა დაეძებდა. კითხვა-კითხვით მიაკვლევდა. დაუდგებოდა წინ და ნაბიჯს არ გადადგამდა, სანამ არ გაჰყვებოდა სახლში.

გზაში კაცი თავის ხელმოცარულ ცხოვრებაზე ყვებოდა. გოგონა ბევრ რამეს ვერ იგებდა. ანგარებაზე და დაუნდობლობაზე ჩიოდა მამა და როცა კითხავდა, როგორ ფიქრობ, მართალი ვარ თუ არაო, არ იცოდა, რა ეპასუხა, მაგრამ თანხმობის ნიშნად მაინც უქნევდა თავს.

მაშინ კაცი ქებად იღვრებოდა. გაიძახოდა, აი ნახავ, ყველაფერი გაირკვევა და გავმართლდებიო. თეონა უიმედოდ ფიქრობდა: „ვინ უნდა გაამართლოს მამა, ნეტა ვიცოდე, ვის წინაშე მიუძღვის ისეთი დანაშაული, რომ თვეობით ვერ ფხიზლდება...“ ბავშვს გულთან მიჰქონდა მათ ოჯახში ჩამოვარდნილი უთანხმოებები. გამუდმებით ესმოდა დედის წუწუნი, რომლის კისერზეც გადადიოდა კაცისა და ქალის საქმე, ცდილობდა როგორმე შეემსუბუქებინა მისთვის ეს მძიმე ტვირთი, მაგრამ ხედავდა, ამით უფრო ადარდიანებდა.

თეონას დედის ძმა, თვითონ სხვაზე დამოკიდებული, მეღლეხვალიე ახალგაზრდა, გამოუსწორებელ ლოთს ეძახდა მამას პირში. ბიძას ეს პირველად რომ წამოსცდა, მამა გააფთრდა. დაულეწავი არ დარჩენია არაფერი. ბიძას მათთან სიარული აუკრძალა, მაგრამ იგი ყველაფერთან ერთად, უტიფარიც იყო და ყოველი სტუმრობისას არ აკლებდა ლანძღვას. კაცი მის სიტყვებს თანდათან უყურადღებოდ ეკიდებოდა. როცა საყვედურობდნენ, უაზროდ იცქირებოდა სადღაც, სახეზე ნაკვთიც კი არ შეერხეოდა, თითქოს ამ ქვეყნის არ ყოფილიყო და ხელი ჰქონოდა ყველაფერზე ჩაქნეული. ხშირად, ისეთ ადგილას რჩებოდა, სადაც ვერ მიაგნებდნენ, გვიან ღამით, ქურდულად შედიოდა სახლში, წვებოდა შუშაბანდში და ასევე უჩუმრად იპარებოდა უთენიაზე.

კვირა დღის დადგომას ნატრობდა თეონა. ეს სახლიდან გაქცევას ჰგავდა. დღის შუქით განათებული სახელოსნოს და აჩოჩქოლებული ქუჩების შემდეგ დედასთან ერთად სოფელში რომ ბრუნდებოდა, მათი დასახლებისთვის თვალის შევლება უჭირდა.

დაჟინებით აკვირდებოდა მოლივლივე პურის ყანას. ყვავილებით აფერადებულ ველბს, ყურძნის მტევნებით დახუნძლულ ზვრებს და ცდილობდა, ისევე ცხადად განეცადა მათი მიმზიდველობა, რასაც სტუდიაში მიყვანამდე გრძნობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

●

მთელი კვირა თეონას გამოფენაზე ლაპარაკობდა ქალი. ხუთი წელი გასულიყო იმის შემდეგ, რაც თეონა პირველად მიიყვანეს სტუდიაში. მამა ხშირად ხედავდა გოგონას ეზოში მჯდომს, ფანქრითა და ქაღალდით ხელში. ყაყაჩოებითა და გვირილებით აბრიალებულ ველზეც მოუკრავს ბევრჯერ თვალი, როგორ იდგა მოლბერტთან და როგორ ავლებდა ხაზებს ფუნჯით. კაცს უხაროდა, რომ გოგონა აგრერიგად იყო ხატვით გართული. სიფხიზლეში ბევრჯერ უცდია მისთვის ორიოდე სიტყვის თქმა, მაგრამ ეჩოთირებოდა, რადგან არ ახასიათებდა თავისი გაზვიადებული წარმატებების თუ გაჭირვების შესახებ ლაპარაკი, როგორც სხვა მშობლებისგან სმენია ხშირად. მას ეგონა, რომ გოგონას ისეთ რამეს ვერ ეტყოდა, რაც სწორ გზაზე დააყენებდა ან მაგალითად გამოადგებოდა, არადა, მშობლის უპირველეს მოვალეობად ეს მიაჩნდა და გოგონას აფორიაქებას, გაჩუმებას არჩევდა, მისი დუმილი კი ქალს გულგრილობად ეჩვენებოდა.

ქალი ნართაული სიტყვებით მიანიშნებდა მშობლის მოვალეობაზე. ყველა მამა ხომ მამა არააო, ეუბნებოდა ვიღაცას ჭიშკართან, შემდეგ ყვებოდა, როგორ მიაცილებდნენ თეონას ამხანაგებს მშობლები სტუდიაში, როგორ ელოდებოდნენ საათობით გამოსასვლელთან და რანაირად ზრუნავდნენ მათზე, ხოლო თეონას ერთხელაც არ ხლებია მამა. როგორ არ უნდოდა კაცს ამ სიტყვების მოსმენა, მაგრამ ვერსად გაექცა.

...კაცი ქალაქის ქუჩებში დაეხეტებოდა დილიდან. სახელოსნოში უნდოდა შეხედვა, მაგრამ რაღაც ძალა ეწეოდა უკან. ვერ გარკვეულიყო, რას ნიშნავდა ეს; ხუთი წლის შემდეგ პირველად რომ შედიოდა იქ და მისი ვინაობა უნდა გამჟღავნებულიყო იმას თუ, შვილის წარუმატებლობის შიშს.

რამდენიმეჯერ ჩაუარა სტუდიის შენობას. ხეტიალით რომ [illegible] შესასვლელის შორიახლოს [illegible] ხალხის რიცხვის შემცირებას უცდიდა. დიდხანს წრიალებდა მოუსვენრად. ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა და სტუდიისკენ მიმავალ სამ ქალს მიჰყვა უკან.

კარებში არავის შეუჩერებია. წინ მიმავალთ ვიღაც საშუალო ტანის, კაფანდარა კაცი შეეგება, ხალისით მიესალმა მათ და შიდა კიბით აუძღვა მეორე სართულისკენ. ქალები გაცხოველებით ესაუბრებოდნენ, მაგრამ კაფანდარამ დრო იხელთა და მისთვის თვალის შევლება მოასწრო. მერე მიტრიალდა და მოსაუბრეთ უგდებდა ყურს.

დარბაზში ორასზე მეტი ნამუშევარი იყო გამოფენილი. მან ჩქარი ნაბიჯებით ჩაუარა ტილოებს. თეონას ნახატს თვალი ვერსად რომ ვერ მოჰკრა, მეორეჯერ დაუყვა ისევ, მაგრამ ამჯერად, გულისყურით ჩერდებოდა ყოველი ნამუშევრის წინ.

დარბაზის ბოლოს, სადაც როიალი იდგა, ტილოდან ვიღაცის ნაცნობი სახე შემოჰყურებდა.

ახალგაზრდა კაცი იყო, შავი თმა ჰქონდა, სწორი ცხვირი, ოდნავ გრძელი, თხელი სახე და წამობურცული, მშვიდად მზირალი თვალები, რომლებიც მის ზნე-კეთილობაზე მეტყველებდნენ.

იდგა და თვალს ვერ აცილებდა პორტრეტს. რომელიღაც დიდი ხნის უნახავ ახლობელს აგონებდა ეს სახე. ერთმანეთში აერია აწმყო და წარსული. ფიქრებში ხან რას გადასწვდა და ხან რას.

ფიქრებს რომ თავი დააღწია, პორტრეტის თვალებმა მიიზიდა იგი. რამდენიმე ნაბიჯით დაიხია უკან. გამოუცდელი ხელით შესრულებული ნამუშევრიდან ნიშნისმოგებით შემოსც-

ქეროდნენ ეს თვალები. მერე, უეცრად, ერუანტელმა დაუარა მთელ ტანში, თითქოს ათასსანთლიანი პიუპიტრები ჩაერთოთო, განათდა ირგვლივ და ტილოს ქვემოთ მიმაგრებულმა წარწერამ წამოიწია წინ.

ქაღალდის ნაჭერზე მისი გვარი ეწერა, ქვემოთ კი — „მამა“.

„მამა...“ „მამა...“ — ჩურჩულებდა იგი. ისევ ახედა ნახატს, სახემ უსაზღვრო სითბო გადასდო. ეს სითბო, თეონას მოეძლვნა მისთვის.

„შეხედე ერთი!“ — გაიფიქრა და შვიდი-რვა წლის წინანდელი დღეები გაახსენდა, თეონა დედის წინააღმდეგობის მიუხედავად სათევზაოდ მიმავალს რომ აედევნებოდა ბექასთან ერთად.

კაცი მხარზე შეისვამდა თეონას და მხიარული მასლაათით მიაბიჯებდა მეგობრებს შორის. წინ ყეფითა და ლაქუცით მიუძღოდათ ბექა, რომელსაც ეგონა სანადიროდ მივყევართო, მაგრამ მდინარეს რომ მიაღწევდნენ, იმედგაცრუებული მიჩუმდებოდა.

თეონა თვალს ადევნებდა ანკესს, უსმენდა კაცების ხმადაბალ საუბარს, მის გვერდით დასკუპებული ბექა ნაღვლიანი სახით გაჰყურებდა შორ მარჩხაფონს, რომლის მიღმა სანახევროდ გაჩეხილი კოპიტნარი ილანდებოდა, ხოლო როცა ვინმეს ანკესზე თევზი ასხმარტალდებოდა, გოგონას სიფრთხილე ავიწყდებოდა. მისი სიხარულის ყიჟინას ბექას ხმამაღალი ყეფა უერთდებოდა.

შემდეგ გოგონა მდინარის პირას დარბოდა. უკან ბექა დასდევდა, მიეწეოდა, ზურგზე შეახტებოდა, მოულოდნელი შეხებით დამფრთხალი თუ გახარებული გოგონა ხმამაღლა კიოდა. მწევარი მის შეძახილზე უკან გაქანდებოდა, სილაზე გაკოტრიალდებოდა, წამოვარდებოდა და ისევ გაედევნებოდა.

კაცი აღტაცებით ადევნებდა თვალს ბექას და თეონას თამაშს. ანკესს გვერდზე გადადებდა და თვითონაც აჰყვებოდა მათ.

მერე ველურ ყვავილებს კრეფდნენ. გოგონა ჭრელაჭრული ყვავილებით მოირთვებოდა და მწყობრი ნაბიჯებით მიემართებოდნენ შინისკენ. გოგონა წვრილი, მკაფიო ხმით მღეროდა, კაცი ხმადაბლა ეხმიანებოდა. ძაღლი კი ანცურად დახტოდა მათ ირგვლივ და ჩირგვნარიდან შემთხვევით წამოფრთხიალებულ ფრინველებს ედიდგულებოდა.

„შეხედე ერთი!“ — გაიფიქრა კვლავ და ის კაფანდარა კაცი დაიძრა მისკენ, რომელიც კარგა ხანს აკვირდებოდა თეონას ნამუშევრებთან მდგომ უხეიროდ ჩაცმულ, მაღალ კაცს. რამდენიმეჯერ შენიშნა, როგორ შეეხო იგი ტილოს და რა მონუსხულივით შეჰყურებდა მას, ახლა კი ეღიმება, გაძვალტყავებულ ხელებს იქნევს და და თავისთვის ლაპარაკობს.

„უნდა მივიდე და შევახსენო, რომ ეს მუზეუმი არაა, მაგრამ ბავშვების ნახატებსაც სჭირდება გაფრთხილება“ — ფიქრობდა იგი და მიემართებოდა მისკენ.

ტილოსთან მდგომი ფეხის ხმაზე მიბრუნდა. კაფანდარა შედგა და ყურადღებით დააკვირდა. იგი მოულოდნელობისგან გაშრა. სად იყო ის კაცი, რომელიც დარბაზში შემოსვლისას მოუხეშავად ადგამდა ნაბიჯებს და დაფეთებული, უკანასკნელი გლახაკივით აცეცებდა თვალებს. მის წინ თითქოს სულ სხვა პიროვნება იდგა თხემით — ტერფამდე.

ძალაუნებურად თეონას ნახატისკენ გაექცა მზერა, მერე ისევ ტილოსთან მდგომს დააცქერდა. პორტრეტზე გამოსახული ახალგაზრდის თვალებსა და მის გამოხედვაში დაუჯერებელ მსგავსებას წააწყდა.

რაღაცის თქმა დააპირა, ოღონდ ისე დაიბნა, არ უწყოდა, რა იქნებოდა ეს, გაოცების სიტყვა, ქათინაური თუ უბრალოდ, მისალმება, მაგრამ ტილოსთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომმა გონს მოსვლა არ დააცალა, გაბრწყინებული თვალები შეანათა, გაუღიმა, შეტრიალდა და ფართო ნაბიჯებით გაემართა გასასვლელისკენ.

კაფანდარამ ისევ ახედა პორტრეტს და გაოცებულს, მიმავალის ლაღი მიმოხვრა და ალგზნებული მზერა წარმოუდგა.

# დუმილის მიღმა

ვერცხლისფერი, ჩუქურთმებიანი საათი, რაც ახსოვდათ, მტვერმოდებულ და გამოუსადეგარ ნივთებს შორის იდგა საკუჭნაოს ბოლო თაროზე.

ელისაბედი, აწოწილი, წითურსახიანი ქალი, საკუჭნაოში რომ მოხვდებოდა, გამოუთქმელი სევდით შეჰყურებდა საათს. მერე მშრალი ჩვრით მოწმენდდა მტვერს, ერთხელ კიდევ შეავლებდა თვალს და მის არსებობას რამდენიმე ხნით დავიწყებას აძლევდა.

იგი შვილიშვილთან ერთად ცხოვრობდა ოროთახიან, მყუდრო ბინაში, რომლის ფანჯრები ქალაქის პარკს გადაჰყურებდა.

მეუღლის სიკვდილის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, მისმა ორმა ვაჟმა ცალკე ცხოვრება რომ ირჩია. ახლა ისინი თვიდან-თვემდე თუ მოაწვდენდნენ ხმას სხვადასხვა არქეოლოგიური ექსპედიციებიდან. როგორც კი მოიცლიდნენ, მოინახულებდნენ; გადაუშლიდნენ თავიანთ სატკივარს, სიხარულს და ისევ სადღაც მიეშურებოდნენ.

ელისაბედს ერთადერთ იმედად შერჩენოდა უფროსი ვაჟიშვილი, ელისო, ნიადაგ აფორიაქებული, რაღაცით აღტაცებული ან აღშფოთებული ქალიშვილი. იგი სულდგმულობდა მისი გულღია საუბრით, ცქვიტი მიმოხვრით, სასაცილოდ მოჭუტული თვალებით, ძირებამდე დაკვნეტილი ფრჩხილებითა და ვაჟურად შეკრეჭილი თმით...

ზამთრის ერთ საღამოს, ელისაბედი საყიდლებით დატვირთული დაბრუნდა შინ. დერეფნის საკიდარზე შვილიშვილის ქურქი შენიშნა და სახლში მისი დროზე დაბრუნებით ნასიამოვნებმა უხმო. იგი ღიღინით იმეორებდა მის სახელს. სამზარეულოში შეიხედა, საძინებელ ოთახში და ბოლოს სასტუმრო ოთახის კარი შეაღო. ელისო არც იქ ჩანდა და გაწბილებულმა, კარის მიხურვა განიზრახა, რომ ოთახს რაღაც ცვლილება შეატყო. შედგა, ყურადღებით მოათვალიერა იქაურობა და გახევდა. ბუხრის თავზე ვერცხლისფერი, ჩუქურთმებიანი საათი იდგა.

მაშინვე იფიქრა, საათი შვილიშვილმა ჩემს გასახელებლად თუ შემოიტანაო, ჩანთა კარებთან მიაგდო, თბილი პალტო გაიძრო, დაუდევრად გადაკიდა სკამზე, ბუხრისკენ გაემართა, მიუახლოვდა და ხელი გაიწვდინა. საათმა მოგუდული ხმით ჩამოჰკრა. ქალს ჰაერში გაუშეშდა ხელი.

საათი მონოტონურად წიკწიკებდა. სულიერივით ფეთქავდა და თავის რიტმს უმორჩილებდა ირგვლივ ყველაფერს. ელისაბედს გული აუჩქროლდა და ძალაგამოცლილი, ბუხარს მიეყრდნო.

— როგორ მუშაობს? — მოესმა მას.

მიტრიალდა. კარებში მაღალი, შავგვრემანი ქალიშვილი იდგა, ფეხები ერთმანეთისთვის მიეტყუპებინა, ოდნავ წინ წახრილს თვალები მოეჭუტა და უღიმოდა.

— როდის შეაკეთებინე? — კითხვითვე მიმართა აღელვებულმა ელისაბედმა.

ზურაბ თორია
ორი მოთხრობა

— კვირაზე მეტია, მაგრამ ხელფასს ველოდი და დღეს გამოვიტანე.

— მოხუც პოლონელთან ხომ არ ყოფილხარ?

— არა, ჩვენებური კაცი იყო.

ქალი მიტრიალდა და საათი შეათვალიერა ისევ.

— მოყოლილი მექნება, ეგ საათი დედაჩემის ნამზითვია. ბევრჯერ მქონია ადრე ხელოსნებთან. გატეხილი ნაწილი არავის აღმოაჩნდა. ქარხანა არ აკეთებსო, იმიზეზებდნენ... მერე, მომღილი საათი კი არა, სახლში ჩვენ ძლივს ვეტევითო, აიჩემა ჩემმა მოხუცმა და საკუჭნაოში გამატანინა. რამდენჯერ უცდიათ მისი გასაჩუქრება ან გადაგდება, მაგრამ არავის ვანებებდი... — თქვა და საათს სასოებით გადაუსვა ხელი.

— ბაბუას სიკვდილის შემდეგ მაინც შემოგეტანა აქეთ.

— გითხარი, აითვალწუნა-მეთქი და მის სიტყვას როგორ გადავიდოდი...

— იმ მესაათემ, თქვენი ნივთი ანტიკვარული იშვიათობაა, ერთ კოლექციონერს მოსწონს და ფულს არ დაიშურებსო.

— რას ამბობ! — წამოიძახა ელისაბედმა, ასპიტნაკბენივით მოაცილა საათს ხელი და ათვალწუნებით შეათვალიერა.

— გატეხილი ნაწილიც მას დაუთმია ხელოსნისთვის. ოღონდ მომყიდონ და რამდენსაც მომთხოვენ, იმდენს გადავუხდიო... — ლაპარაკობდა ქალიშვილი.

— მერედა, რა უპასუხე! — მკაცრად შეაწყვეტინა ელისაბედმა.

ელისომ მხრები აიწურა. მოხუცის ჩამოგრძელებულ, აფორიაქებულ სახეს მზერა აარიდა და საათს გახედა.

— ვიფიქრე, მეტად ხელსაყრელი შემთხვევა გვეძლევა-თქო. — წაილუღლუღა.

— რამეს ხომ არ შეჰპირებიხარ იმ კაცს.

— არა, უშენოდ ამას ვერც გადავწყვეტდი.

მოხუცი მოიქანცა. ფეხსაცმელი წაიძრო და სავარძელში ჩაჯდა. დიდი ხნის დუმილის შემდეგ შვილიშვილს მიუტრიალდა.

— ნამდვილად ასეთი ძვირი ღირსო?

— კი, მისამართის გამორთმევაც უნდოდა, მაგრამ ბებიას ვკითხავ-მეთქი.

მოხუცი დუმდა.

შვილიშვილმა ერთხანს უცადა, იქნებ რამის თქმას აპირებს კიდევო, მერე, საქმეზე მივდივარო, დაუბარა და გასასვლელისკენ გაემართა.

ელისო შინ რომ დაბრუნდა, მოხუცი ჩაბნელებულ ოთახში იჯდა და ბუხრის თავზე შემოდგმულ საათს მისჩერებოდა. ხილითა და ბოსტნეულობით სავსე ჩანთა ხელუხლებლად იდო კარებთან.

ელისომ შუქი აანთო. მოხუცი შეცბა. შვილიშვილს დაბნეულად გაუღიმა, როგორ დაღამებულაო, წაიბუტბუტა, წამოდგა, კარებთან მიგდებული ჩანთა აიღო და სამზარეულოსკენ წავიდა.

ელისაბედი სამზარეულოს მაგიდას უჯდა და ერთ წერტილს მისჩერებოდა. შვილიშვილი ყურადღებით შეჰყურებდა ბებიას წითურ, ნაოჭებით დასერილ სახეს, შეშუპებულ ქუთუთოებს, წაბლისფრად შეღებილი თმის გამოხუნებულ ძირებს და მაღლა აზიდულ წარბებს.

იგი გულიანი ქალი იყო. ერთი წუთით ვერ ნახავდი უქმად მჯდომს. გარდა იმისა, რომ ოჯახის საქმეებს დიდებულად უძღვებოდა, იმისთვისაც პოულობდა დროს, ეზრუნა მეზობლებზე და მეგობრებზე, შვილიშვილებზე და ნათესავებზე. პროფესიით ექთანი იყო და ყოველ დილით, ჩვეული სისხარტით მიიჩქაროდა საავადმყოფოსკენ, ყველგან და ყოველთვის ვიღაცის სამსახურისთვის იყო მზად. მისი დაუღალავი ბუნება უფროს ვაჟს დაჰყვა,

ხოლო შვილიშვილებიდან, ყველაზე გამოკვეთილად, ელისოს. ისიც მუდამ-დღე სხვებზე ზრუნავდა, სადღაც მი-იჩქაროდა, ხელს უმართავდა ვილაცას, მაგრამ მისგან განსხვავებით, ელისა-ბედი ხმაურიანი არასოდეს ყოფილა.

ქალი დაბნეული იჯდა. აქ, ხის ქვი-ჯიდან დაწყებული, კედელზე დაკიდე-ბული ნივრის გალებით, ფანჯრის რა-ფაზე ჩამომწკრივებული ყვავილების ქოთნებით თუ თაროებზე შემოდგმუ-ლი გაკრიალებული ქვაბებით დამთავ-რებული, ყველაფერი მის სიცოცხლის-უნარიანობაზე მეტყველებდა.

ელისო ჩანგალს განგებ აწკარუნებ-და თეფშზე, მაგრამ არაფერი ჭრიდა. მოხუცი ხელში გაშეშებულ ლუკმას დასცქეროდა. შვილიშვილმა მის ყუ-რებას წამოდგომა და წასვლა არჩია. ის იყო, თავისი თეფში აიღო, წყლის ბაკანში ჩადო და სამზარეულოდან აპირებდა გასვლას, რომ მოხუცმა ხმა ამოიღო.

— ნამდვილად ასე ძვირი ღირსო?

— ხუთი ათასიო. — უპასუხა ელი-სომ.

— დაუჯერებელია. — ჩაილაპარაკა ქალმა.

— რატომ?

— მამაშენი სამი წლის იყო, ფილ-ტვების ანთებით რომ მყავდა ავად. წამლის ფული არ გვქონდა. ის საათი,— მან სასტუმრო ოთახისკენ მიუთითა, ნაღვლიანად გაიღიმა და დააყოლა — საკუჭნაოში იდგა მაშინ.

— იმ დროს, ასეთი ძვირი მაინც არ ეღირებოდა.

— საიდან იცი?

— ახლა ძველებური მოსწონთ ყვე-ლაფერი.

— არა, ამ საათს მაშინაც ექნებოდა ფასი... ხომ შეიძლებოდა იგი გადარ-ჩენილიყო... — თავისთვის ჩაიდუდუ-ნა მოხუცმა.

ელისოს გაეცინა. მოხუცმა თავი ასწია და მიაჩერდა. მას საყვედურით აღსავსე სახე ჰქონდა. ქალიშვილმა მის მზერას ვერ გაუძლო და თავი ჩაჰკიდა.

— მაინც რა არის ასეთი შესანახდე-ბელი, ხომ გადარჩა მაშინ მამა? — თა-ვის დაცვა სცადა ელისომ.

— მადლობა ღმერთს, მამაშენი გა-დარჩა... მადლობა ღმერთს... — ჩაიდუ-დუნა ქალმა და თეფშს დააცქერდა.

ელისო ჩამოჯდა და მოხუცის გაუფე-რულებულ თვალებს მიაჩერდა. იგი ცდილობდა ჩასწვდომოდა მის ფიქრებს და ვინ იცის, რამდენჯერ ინანა, წარსუ-ლი ტკივილები რომ განუახლა.

●

მეორე საღამოს ელისო შინ რომ დაბრუნდა, დერეფანიდა იყო განათე-ბული. სამზარეულო და ოთახები წყვდიადს მოეცვა. ელისაბედი ასეთ დროს ჩვეულებრივად, ქალაქის პარკის-კენ გამავალ ფანჯარას უჯდა ან მოსე-ირნეთ ადევნებდა თვალს, მაგრამ სას-ტუმრო ოთახის კარი რომ შეაღო, სა-ვარძელში მჯდომი დაუხვდა. იგი ბუ-ხარზე შემომდგარ საათს მისჩერებოდა კვლავ.

მას შუქის ანთებისთვის არც მიუქცე-ვია ყურადღება. იჯდა და გათანგული-ვით შეჰყურებდა საათს. ელისომ მის წინ გაიარ-გამოიარა, გამოემცნაურა, მაგრამ მოხუცი დუმდა. მერე, მრავ-ლისმეტყველად ახედა და უპასუხოდ დატოვა.

ელისაბედი ჩვეულ დროს მიდიოდა სამსახურში. შინ მობრუნებული, საჩ-ქაროდ ათბობდა ვახშამს, ორ ლუკმას მოაციცქნიდა, თავის თეფშს გარეცხავ-და, გაამშრალებდა, ელისოს თბილად გადაუნახავდა კერძს და სასტუმრო ოთახისკენ მიემართებოდა...

ელისო თანდათან ეჩვეოდა მოხუცის საქციელს. ამიერიდან, ელისაბედი სამ-ზარეულოში მჯდომი და ოჯახის საქმე-

ებით გართული რომ ენახა, გაუკვირდებოდა კიდეც.

ისინი ისე ირჯებოდნენ, თითქოს ყველაფერზე წინასწარ ყოფილიყვნენ შეთანხმებული. ელისო მთელი დღეები სამზარეულოში საქმიანობდა, კითხულობდა და ქანცგაწყვეტილი დასაძინებლად რომ მიდიოდა, არც უფიქრდებოდა იმას, რომ მათი როლები შეცვლილიყო...

მოხუცი, რაც დრო გადიოდა, აღტკინებას ვერ ფარავდა. ფართი-ფურთით მიიჩქაროდა ყოველ დილით ავტობუსის გაჩერებისკენ, ასევე ბრუნდებოდა შინ. ელისო რამდენიმეჯერ შეესწრო, როგორ მიაგდო მან ხელჩანთა შემოსასვლელში, როგორ შევარდა სასტუმრო ოთახში, შეამოწმა საათი თავის ადგილზე იდგა თუ არა, დამშვიდებულმა ტანსაცმელი გამოიცვალა, სამზარეულოში შევიდა, საჭმელი შეათბო, სუფრა გააწყო ორივესთვის, დანაყრდა, წამოდგა სასტუმრო ოთახს მიაშურა, სავარძელში ჩაჯდა და საათს მიაჩერდა.

ელისო ზოგჯერ უთვალთვალებდა კიდეც. ქალს დაბლა ჩამოზნექილ, მობოშებულ მკერდზე გადაეჯვარედინებინა თხელი ათრთოლებული ხელები, თვალები საათის ციფერბლატისთვის მიეპყრო და ჩურჩულებდა რაღაცას. ელისოს ეჩოთირებოდა, ცნობისმოყავრეობის დასაკმაყოფილებლად რომ ადევნებდა თვალს დარდით გასენილ მოხუცს, მაგრამ მზერას ვერ აცილებდა მის მოკუმულ ტუჩებს, რომლებიც სიტყვებს ძლივს უყრიდნენ თავს.

მოხუცისთვის ეს იმდენად უჩვეულო იყო, ელისო ვერაფრით ვერ ბედავდა სიტყვა დაეძრა ამის შესახებ ვინმესთან, რადგან იცოდა. მეზობლებს ან ნათესავებს რომ შეეტყოთ, ქალს უადგილო ზრუნვით გაუწყალებდნენ გულს.

ელისაბედს ორი ახლო მეგობარი ჰყავდა. ეს პატარა ტანის თმაჭაღარა ქალები დერეფანში რომ შემოპაკუნდებოდნენ. ელისაბედი სამზარეულოდანვე აავსებდა ქათინაურებით: რა შესანიშნავად გამოიყურებით, მგონი ახალგაზრდობა გიბრუნდებათ, და ასე შემდეგ. ისინიც მხიარულად ეპასუხებოდნენ. ყოველთვის, თითქმის ერთიდაიმავე სიტყვებით ესალმებოდნენ. მერე. პლუშის თუ ფერგაცლილი ბარხატის ქუდებს მოიხდინენ, კოხტად გადატკეცილ ჰალარაზე ხელს გადაისვამდნენ, ნაცრისფერი ჩანთიდან, რომელიც მორიგეობით ეჭირათ ხოლმე, ცოდვა-დაგვით გამომცხავერ ღვეზელს თუ ნაზუქებს ამოაწყობდნენ და სკამზე ჩამოსკუპდებოდნენ. თავის კანტურითა და ხელების ქნევით იწყებდნენ ათასჯერ მონაყოლის გახსენებას, ჩივილს ავადმყოფობაზე თუ გასაჭირზე. მოგვიანებით ახალ ამბებსაც გადასწვდებოდნენ, ელისოს ჩაცმულობას ან გარეგნობას შეეხებოდნენ (ეს მათი საუბრის აუცილებელი ნაწილი იყო, რადგან ელისო მათ „სერიოზულ“ და „ძველებური ყაიდის“ ქალად მიაჩნდათ).

ისინი ერთ უქმე დღეს ეწვივნენ ელისაბედს. მოხუცი სამზარეულოში შეუძღვა მეგობრებს. ჩვეულებისამებრ წაისაუბრეს, წაიჭორავეს, დაიწუწუნეს, ივახშმეს. ელისომ იფიქრა, ამ საღამოს მაინც დაივიწყებს საათის არსებობასო, მაგრამ ქალმა სტუმრები გააცილა თუ არა. წინსაფარი შეიხსნა, დაუდევრად მიაგდო სკამზე და სასტუმრო ოთახს მიაკითხა...

ყოველ ზაფხულს ელისაბედს შვილიშვილი დასასვენებლად მიჰყავდა ზღვაზე. ის იყო, აგვისტოს ხვატი ჩამოწვა ქალაქში. ელისომ დასასვენებლად გამგზავრების სამზადი დაიჭირა, მაგრამ მოხუცი ამის შესახებ არაფერს ამბობდა. სიტყვა რომ ჩამოუგდო, მოუცლელობა მოიმიზეზა.

როგორც ელისომ შემდგომში შეიტყო. მოხუცს სამსახურში არავინ აკავებდა თურმე. ის კი არა, რამდენიმეჯერ თვითონ შეუთავაზებიათ საგზური. ელისო ელოდა მოხუცს, ახლა გადაწყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტს გამგზავრებას, ან ახლაო, და მის წასვლას საშველი რომ არ დაადგა, ბარგი ჩაალაგა და მეგობრებს გაჰყვა...

●

ოცი დღის შემდეგ ელისო შინ ბრუნდებოდა. მოხუცს წინასწარ შეატყობინა ჩამოსვლის ამბავი. იგი სადგურზე არ დახვედრია.

ქალიშვილმა პირველივე შემხვედრი მეზობლისგან შეიტყო, ელისაბედი ერთ ხანად არ ჩანდა, დასასვენებლად ეგონა ყველას წასული, ორი დღის წინ კი მისი ბინიდან რაღაცის მსხვრევისთვის მოუკრავთ ყური, გამოხმაურებიან და გამორკვეულა, შინ ყოფილაო.

ელისომ სასტუმრო ოთახში რომ შეაბიჯა, მოხუცი სავარძელში იჯდა. იგი მძიმედ შეტრიალდა კარისკენ.

მარტოობის დღეებს წარუშლელი კვალი დაეტყო მისთვის. წითური სახე ავადმყოფურად გაფერმკრთალებოდა, პირის კანი პირველსავე გაღიმებაზე ზედ შემოასკდებაო, იფიქრებდი, ისე დასთხელებოდა, მაგრამ ელისო სიგამხდრეზე მეტად მისმა ნატანჯმა გამომეტყველებამ შეაშფოთა.

ელისომ მოხუციდან ბუხარზე გადაიტანა მზერა. საათი თავის ადგილზე არ იდგა. მაშინღა მიაქცია ყურადღება მოხუცის წინ, იატაკზე დაყრილ ლითონის ნამსხვრევებს და ბუხართან მიგდებულ ნაჯახს. მოხუცმა თვალი აარიდა ელისოს და თვითონაც დააჩერდა იატაკს.

— რა არის?! — წამოიძახა ელისომ და ნამსხვრევებზე მიუთითა.

— საათი. — მშვიდად თქვა ქალმა.

— ჩამოვარდა?

— არა. — ისევ მშვიდად თქვა ქალმა, მაგრამ ამ სიმშვიდეში ზღვა მღელვარება იმალებოდა.

— რატომ?!.

ქალი ხმას არ იღებდა. ელისო მის გაცრეცილ სახეს შეჰყურებდა. უნდოდა ეკითხა, რა გადახდენოდა მისი არყოფნის მანძილზე, რას შეეჭირვებინა აგრერიგად, საკუთარი ხელით რომ დაემსხვრია ეს ძვირფასი ნივთი, მაგრამ შებოჭილი იდგა და ვერ მიდიოდა მასთან, ვერც ხმას იღებდა, იატაკზე დაყრილ ნამსხვრევებს დასჩერებოდა და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს ებრძოდა.

— მაშინ, მამაშენი ცუდად რომ მყავდა, ჩემი მოხუცი ფულის საშოვნელად წავიდა... შუა ზამთარში, წელამდე წყალში ეზიდებოდა თურმე ქვებს... წამალი რომ მოიტანა, ერთიანად იყო გათოშილი, ლოგინად ჩავარა და სიცოცხლის ბოლომდე არც წამომდგარა ზეზე...

ისინი დუმდნენ. მათ დუმილს ალბათ დასასრული არც ექნებოდა, ელისოს დაღლა რომ არ ეგრძნო და მოხუცის კითხვით თუ მოლოდინით აღსავსე სახეს არ გადაეყროდა.

— ეზოში მითხრეს, ორი დღის წინ რაღაცას ანგრევდაო...

— ამას ვამტვრევდი. — ხელი გაიშვირა ნამსხვრევებისკენ. — დავმშვიდდებოდი მეგონა, მაგრამ მას მერე უფრო ავფორიაქდი...

— შენც აგელო და გადაგეყარა.

— ვცადე. ხელს ვერ ვკიდებ... — თქვა აღელვებულმა და ფანჯრისკენ გაიხედა.

— გინდა, ახლავე გავიტან!

— მოაცილე აქაურობას, არ შემიძლია მაგის ყურება. — თქვა, წამოდგა, სვენებ-სვენებით გაემართა ფანჯრისკენ, ფარდა გადასწია და პარკში დაიწყო ყურება.

ელისო დერეფანში გავიდა და სანაგვე ურნა შემოიტანა. სანამ ურნას საათის ნამსხვრევებით აავსებდა, მოხუცს ერთხელაც არ მოუხედია. ელისომ იატაკს ცოცხი მოუსვა, საათის უკანასკნელ ნარჩენებს აქანდაზზე მოუყარა თავი და ურნაში ჩააპირქვავა.

ტყვიასავით მძიმე ურნა ასწია და კარისკენ დაიძრა.

— მოიცა... — მოხუცის ხმა მოესმა ელისოს და შედგა. ქალს გაოცებული სახე ჰქონდა.

— რა მოხდა? — წამოიძახა შემკრთალმა ელისომ.

—სად იყავი, რომ არ ჩანდი? — მიამიტურად იკითხა ქალმა.

ელისო მისმა სიტყვებმა დააბნია. ურნა იატაკზე დადგა სახტად დარჩენილმა. მერე, ძლივს მოისაზრა და უთხრა, სადაც იყო, ქალი დაძაბულად უცქეროდა. რამდენიმე ხნის შემდეგ სახე გაუნათდა.

— ჰო, გამახსენდა, — თქვა ღიმილით, მიუახლოვდა, გადაკოცნა და გულში ჩაიკრა.

— როგორ დაისვენე? — ზრუნვით ჰკითხა ამჯერად.

— კარგად. — უპასუხა ელისომ.

— მეც კარგად ვარ... წადი, გადაყარე ეს (მან ათვალწუნებით დახედა ურნას). სამზარეულოში ვიქნები, გეშიება, — გაუღიმა, ლოყაზე მოუცაცუნა ხელი და კარისკენ გაემართა.

დილარ ივარდავა

# წიგნიდან — «თაკარა მზეში — კინდის მიწაზე»

## კალკუტა, თაგორი, ჩიტპუროდის ქუჩა

ო, მეუფეო,
შენს ბაღჩაში
ყვავილებს კრეფენ, —
დედოფალო მუზავ,
სად წასულა
მძლეთა მძლე მეფე!
ხელთ აღუღია სეტარი და...
გასულა ბაღში?
არა მგონია!
მანდ რომ იყოს,
უთუოდ, მაშინ
დაუხვდებოდა
ყვავილთწნულით
შემოსულ სტუმარს,
შეხედავდა და...
რას ჰკითხავდა
გუმანით უმალ,
მიუხვდებოდა
სტუმარს იგი
წადილს მიწიერს, —
აქ ცისიერი
სულის თრთოლა
როგორ იწვნია!
ის — გამჭოლავი,
საცრისხელა
შავი თვალებით
ცეცხლს დაანთებდა,
ცეცხლს ტრფობისას,
არწივის ფრთებით,
აპრილის ბულბულზე
„რამაიანას" დაუკიდებდა,
„მახაბხარატას",
ვითარც ჰუგლი,
ისე იდენდა!
იდენდა მუდამ,
უსასრულოდ,
მუდამ იდენდა,
ვითარცა ქვეყნად
ხჩქეფს მასპინძლის
ქება-დიდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინამდვილეში?
ცას ჭილყვავთა
სიშავე ზარავს,
ქუჩის ფილაქანს
სილატაკე
მომწყდარა ზვავად!
მინდა ვუსმენდე
ბულბულსა და...
ყრანტალებს ყვავი,
ო, მეუფეო,
შენი ბაღჩა
აზღვავებს ყვავილს.
კრეფენ და... გზა-გზა
ბრილიანტის თვლებად
აბნევენ,
დრო — მარადიულს,
დრო — სასწაულს
ვინ დააბერებს!
აქ ბენგალიურ
ღამის სუნთქვას
ყურს ვუგდებ კრძალვით,
თრთის და კანკალებს
პოეზიის ხორცი და ძვალი:
სული კი, სული
ვულკანია —
ცეცხლის კრატერი...
ვარდის სუნთქვაა,
იის ცრემლი,
ცისკრის ნათელი,
ფარფატებს, როგორც ფარვანა —
ლოცვის სანთელით,
უზენაესო,
ღვთაებრივი
ბაგით სათქმელი!
სამყაროს მიღმა სამყაროა —
სიჩუმის წიაღ
მიუწვდომელი ზოგი[illegible] და...
ზოგისთვის ღია —
ზღაპრული ბაღ[illegible]ალეო,
უჭკნობი ბაღის,
რაღა ვთქვა, [illegible]!
[illegible] სიტყვა
სათქმელად არ ღირს!
მხოლოდ ერთს ვიტყვი:
შენს ყვავილნარს
არა აკლდება.
მიარღვევ ბნელეთს
ბენგალიის ლოცვა — საკმევლად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბენგალიური აპრილის დილა

დედაო მიწავ,
    ყოვლისშემძლევ,
        შენი თენება
უპირველესად:
კაცს,
ფრთოსანს და ცხოველს ენება;
შეისოსნა და აწკრიალდა ტაძრის
                    გუმბათი,
მზემ ოქრო ჰყარა,
მიიცვალა მთვარე — სულმნათი!
რა წამს გახუნდა
მთვარე იქცა უბრალო ნალად,
ხე აცახცახდა და...
ყვავილიც ფერს მიეძალა, —
რა ძლიერია, მბრძანებელო,
ბუნების ძალა!
ადგა და...
ოქრო ცას გააკრა უბრალო ნალად!
გამოაფინა დამალული ყველა საგანი,
ზეცის ვრცელ დარბაზს
გარსმოავლო ვერცხლის ტაგანი.
აალაქარდა ცისკარი და...
ჟამის ბინადრებს
შადრევანივით მიაფრქვია
ჰანგი — სინათლე!
აპრილის ცვარში
დაიბადა წამი ჩასახვის;
გაისპეკალა ცისარტყელად
თაღმა სასახლის...
გულბორგნეული და მწთოლავი
ფარდა ასწია
და გამოანთო
ცის და მიწის დეკორაცია!
დაიწყო!
ჩვენი ყოფის
კიდევ ერთი სპექტაკლი,
ღმერთო, აპკურე აიაზმა,
ხილვა სპეტაკი
ამ წუთისოფლის,
ამა მიწის წამის ბინადრებს, —
მიმოაფრქვიე გარეშემო
მხოლოდ სინათლე!

## ჰუგალის ხიდი

მოწმე ხარ, მოწმე
        ტანჯვის მრავალთა, —
თავს გახვევია ლატაკი მრევლი,
როგორც გიხილე, ცოცხალ არ ვარ
                    და...
ვერ გამამტყუნებს ამაზე ვერვინ.

მღვრიეა, მღვრიე ჩქერი ჰუგალის —
ხიდის თაღებქვეშ უსახლკარონი
ეგებებიან ცისკარს მუდარით,
ღმერთის რწმენით და...
ულვთო კანონით.

ამდენი ლოცვა,
ხვეწნა-ვედრება,
ვინ შეისმინოს, რომელ განგებამ,
ჭუჭყის ქაოსი ქალაქს ედება,
ქოლერის ტალღად დაიგრაგნება.

ასეთ დროს ლოცვა,
ლოცვა და ლოცვა,
ლოცვა მთელი დღე,
საღამოს, დილას,
საქმისთვის თითქმის არ არის მოცლა,
თუ კი დრო დარჩათ,
შენს თაღქვეშ სძინავთ.

ყველას თავისი ჰყოლია ღმერთი,
ვინ კრიშნას უხმობს,
ვინ კიდევ ბუდას, —
მოსდის ქვეყანას ელეთ-მელეთი,
რელიგიას კი ვერავინ ზღუდავს.

და ეს წამება ისე ძველია,
რომ გახსენებაც უცაბედ მზარავს,
კალკუტა ჰუგალს გადაბჯენია,
ვით ხეიბარი ყავარჯნის თარაზს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი შენგელაია

# უ შ ნ ო

ხის ძირას მჯდომი გამხდარი კაცი მიწიდან ამოჩრილ ფესვებს იყო მიყრდნობილი. სველ ძარღვებს სხეული შეეკრათ. შემბოჭავი სინესტე შეუგრძნობელს ხდიდა ტანს. თავს ზემოთ, ხეების ტოტებშუა, ცის ნაგლეჯები ჩანდა. ფოთლების გარსი გარღვეულიყო ალაგ-ალაგ და მწვანეში სილურჯე შემოჭრილიყო. სიმშვიდე დაუფლებოდა კაცს. ქვემოთ, ახოდან, გამაყრუებელი ჭრიჭინი ისმოდა. დიდთავა მწერები ფუსფუსით მიძვრებოდნენ მიწაში. ჩიტების გადაძახილ-გადმოძახილი და საქმიანი ხმაური სიჩუმესთან შერწყმულიყო. ირგვლივ მშვიდი მუსიკა მეფობდა. კაცი უძრავად ისმენდა ამოუცნობ ჰანგებს. ბალახზე ჭიამაია დაცოცავდა. აძვრებოდა ერთ ღეროზე, გადაცოცდებოდა მეორეზე, ისევ დაბლა ჩამოვიდოდა და ასე დაუსრულებლად. საქმისათვის ვერაფრით მოება თავი. გაეცინა ხის ძირას მჯდომს. მუხლებზე დადებულ თოფს დახედა. ერთხანს უცქირა. შემდეგ გვერდზე გადადო.

ტყის სიღრმიდან სტვენა მოისმა. ხმამ გველივით გაისრიალა მწვანედ გაფოთლილ ხეებს შორის. კაცმა გვერდზე გაიხედა. სტვენა განმეორდა. კაცი ფეხზე წამოდგა. წელში გადაიზნიქა და ნელი ნაბიჯით წავიდა შესახვედრად. ფიჩხის მტვრევასა და ფოთლების შრიალს ბურტყუნი მოჰყვა. შემდეგ ხმამაღალი ტკაცანი გაისმა. ტკაცანს ლანძღვა-გინება დაერთო. დაბლა ჩამოშვებული ტოტებიდან ჯერ თოფის ლულა გამოჩნდა, შემდეგ მოკლედ გაკრეჭილი თავი. ტანმსხვილი ხეების შუა კაცი გამოძვრა. გაჩერდა. ტანსაცმელზე მიკრული ფოთლები და შტოები მოიცილა.

— მომბეზრდა ერთ ადგილზე ყოფნა, — თქვა მან.

ერთმანეთს მიუახლოვდნენ.

— მეც დავიღალე.

— დავიკაწრე ყველაფერი, — სახეზე ხელი ჩამოისვა თმაშეკრეჭილმა. პირისკანზე წითელი ხაზები აჩნდა. შუბლი შეეჭმუხნა ტკივილისაგან. მიმოიხედა, ადგილი აირჩია და ჩამოჯდა. გამხდარი

არც განძრეულა, გარშემო იყურებოდა. უცნაური სიმწვანე დაჰკრავდა მიდამოს. ნესტიანი იყო ხეც, ფოთოლიც, ბალახიც. ირგვლივ ცრემლნარევი, გრძნეული სიმწვანე გამეფებულიყო.

სახედაკაწრულმა დამხვდურს გახედა.

— რა სიჩუმეა, ეს ოხერი!

სიგარეტის მოკიდება სცადა. ასანთის კოლოფიდან ერთი ღერი ამოიღო და გაჰკრა. ღერი გადატყდა. მეორე ამოიღო. კიდევ სცადა, მაგრამ ღერმა უსუსურად გაიბჟუტა და ჩაქრა.

— თფუჰ! — ისევ ჯიბეში ჩაიდო ასანთი. — მომიკიდე.

— რომ არ ვეწევი?

— ჰოო! — გააგრძელა მოსულმა, თითქოს ახლა გაიგო, რომ მოსაუბრე არ ეწეოდა, — წყალი მაინც დამალევინე, ვიხრჩობი.

დამხვდურმა მათარა მიაწოდა.

თმაშეკრეჭილმა სული მოითქვა.

— რამდენი ხანია აქა ვართ? — ჰკითხა მათარის პატრონს.

— გუშინ საღამოს არ მოვედით?!

შორს ტყვიამფრქვევივით აკაკანდა თავისი ნისკარტი პატარა ჩიტმა.

—იჯექი ასე და ხეკაკუნას უსმინე. ბედიც ამას ჰქვია, — თქვა და დამხვდურს მიაჩერდა.

გამხდარმა მის მზერას კითხვა მიაგება.

— მთელი ღამეა ამ ოხერ ტყეში ვართ და ჯერ არაფერი ჩანს, — თავი გადააქნია მოსულმა. სახე დაემანჭა. შეაწუხა განაკაწრმა. ფეხზე წამოდგა და გაიარ-გამოიარა. შემდეგ ოდნავ მოშორებით მოჭრილ ხეზე ჩამოჯდა.

შორიდან, ძალიან ყრუდ, გასროლის მსგავსი ხმა მოისმა. მოჭრილ ხეზე მჯდომმა ყური იქეთ მიაპყრო.

— ჩუმად! — შეუყვირა ფეხზე მდგომს. ის კი არაფრის თქმას არ აპირებდა და არც ადგილიდან იძვროდა. სროლა აღარ განმეორებულა.

— მომეჩვენა. — დანანებით თქვა თმაშეკრეჭილმა. — ოღონდ დღეს აქედან ნანადირევით წავიდე და მერე მე ვიცი. — ვიღაცას დაექადნა, ისე ჩალაპარაკა.

ფეხზე მდგომი კაცი ისევ ხის ძირას ჩამოჯდა. თანამოსაუბრის შეყვირებამ გააკვირვა. წინა საღამოთი გაიცნეს ერთმანეთი, წამოსვლის წინ, მაინცდამაინც გაცნობისთანავე არ მოსწონებია თანამგზავრი. ზედმეტად თავდაჯერებული ჩანდა, ცხვირაწეული. ხელის ჩამორთმევისთანავე უსიამოვნო შეგრძნება გაუჩნდა. მგზავრობის დროს კი მისმა ლაპარაკმა გაუძლიერა ეს გრძნობა. უხეშობაზე გული არ მოსვლია, მხოლოდ მიხვდა, რომ აღიზიანებდა ამ კაცის გვერდით ყოფნა.

— დიდ საქმეს აკეთებ ალბათ ნადირის ხორცით, — უთხრა თმაშეკრეჭილს.

— დიდს, — მოუჭრა მან ისე, რომ დაცინვას ყურადღებაც არ მიაქცია.

— რა მოხდება თუ ვერაფერი მოიხელთე?

— ნანადირევზე მეუბნები?

— დიდი ამბავი. შენისთანები წასულან ტყიდან ხელცარიელები. მე შენ გეტყვი და, თავს იკლავ ნადირის დევნით.

—ეგ ვისი საქმეცაა, იმან აკეთოს.

კარგა ხანს ხმა არ ამოუღიათ. ტყის სიჩუმეს უძრაობაც დაერთო. ყველაფერი გაჩერდა. მწერები აღარ ბუდრუგანობდნენ. ჭიამაია სადღაც გადაიკარგა. მიწაზე მიყრილ-მოყრილი ხუხულებიდანაც აღარ მოცოცავდნენ ჭიანჭველები. უმოძრაობა და სიჩუმე ერთმანეთს შეერწყა. გარედან შემოსული ჭრიჭინი დაღლილი სამყაროს ხმასავით იჭრებოდა სიმშვიდეში.

გამხდარი ისევ მიწაზე იჯდა, თმაშეკრეჭილი — ხის მორზე. მიწაზე მჯდომი მოიბუზა.

— რა სიგრილეა...

— ამისთვის მართლა ღირს ტყეში წამოსვლა.

— სხვა არაფრისთვის?

---

ირაკლი ზენგელაია
ფშნო

— აბა, მეტი რა ყრია აქ...

მოსულმა მოჭრილ ხეს დაჰკრა ხელი. გაშოტილი მთელი სიმძიმით აწვებოდა მიწას. ანაჩეხი ტოტები გარშემო უწესრიგოდ ეყარა. ყველა გაცლილი იყო ფოთლებისაგან. გალ ტანს ერთი გრჯლა შერჩენოდა. დაზარებოდათ მისი მოჭრა.

— რა ხეა, — დანანებით თქვა თმაშეკრეჭილმა. — ცოდვაა ამის აქ დატოვება.

— წაღებას ხომ არ აპირებ?

— რაა?!

— რატომ გდია აქ?

— ვიღაცას საქონლისთვის მოუჭრია.

გამხდარის გაკვირვებაზე მოსულმა გაიღიმა.

— საქონელს ხეს მოუჭრიან ნეკერისათვის. პირუტყვი ფოთლებს ჭამს, სანამ ბალახი ამოვა. მერეც, მაგრამ უფრო იშვიათად. შემდეგ ხე აღარ სჭირდებათ და ტოვებენ. ამასაც ასე დაემართა.

ცის პატარა ლურჯ ნაგლეჯებს, ტოტებიდან რომ ჩანდა, ღრუბლები გადაფარვოდა. ორივეს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ამინდი ღრუბლიანი იყო. ცა მოქუფრული და საავდროდ გამზადებული.

— ზამთარში იქნება აქ კარგი, — თქვა გამხდარმა.

— სიცივის მეტი არაფერი, — შეეპასუხა თმაშეკრეჭილი.

— ამ დროს ტყეში უფრო არ თბილა?

— თბილი ადგილი ოთახია, — ხელი ჩაიქნია მოსულმა.

დამხვდური გაჩუმდა. მაღლა აიხედა და ხის კენწეროებს დაუწყო ცქერა. დარწმუნება თუ უნდოდა საკუთარი თავისა, რომ გარეთ კარგი მზიანი ამინდი იდგა. თეთრ ფერს ისევ ლურჯისთვის დაეთმო ადგილი.

ჯაგებში რაღაცამ გაიშრიალა. შემდეგ დიყეებში რაღაც გაფრატუნდა. მერე შემაღლებული ადგილიდან მიწროვანს კოშტი მოსწყდა. ქვემოთ დაეშვა და თან უამრავი ჩიჩქი ჩაიყოლია. ჩამოიშალნენ, მიმოიფანტნენ და მიწყნარდა ისევ ყველაფერი.

მოსული შეკრთა, დამხვდურმა გაიღიმა.

— ოჩოპინტრე ბრაზობს, — თქვა მან.

— ეგ ვინღაა?

დამხვდურს ხმა არ გაუღია.

თმაშეკრეჭილი ხეების უცნაურ მორთულობას დააკვირდა. ტანზე გამონაყარები აჩნდათ. ნაცრისფერი სხეულები გადაჭრილ ბურთებს წააგავდა.

— ეს სოკოა? — ჰკითხა გამხდარს.

მან მხრები აიჩეჩა.

სახეგაკაწრული, რაც მოვიდა, ერთიავად თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. არ აინტერესებდა, რა სჭირდა ხეს, რა ჰქონდა. გამოყრილი ტანზე და საერთოდ არაფერი, მხოლოდ ერთი რამ აღელვებდა. როდისღა მოვიდოდნენ ჯერ უხილავი მონადირეები და რა ამბავს მოიტანდნენ.

შორიდან სროლის ხმამ მოაღწია. ქუხილი გამოჰყვა ექოს, გადმოიგრიალა საკმაო მანძილი და შუბლით მიეხალა უძრავად მდგარ ხეებს.

— მგონი ისინი არიან, — აცმუკდა მოსული.

— რა აუცილებელია, მონადირეები დაიღია? — შეეპასუხა დამხვდური.

— დათარსვა მინდა ახლა?

— შეიძლება ისინი არიან, მაგრამ ისე ისროლეს.

— ნუ დამჩხავი, — იყვირა მოთმინებიდან გამოსულმა თმაშეკრეჭილმა. ნერვიულად ამოიღო სიგარეტი, შემდეგ ასანთი და მოუკიდა. იღბლიანი ღერი შეხვდა. ბოლი ღრმად შეისუნთქა და მობოდიშების კილოთი წარმოსთქვა:

— ქალაქში აუცილებლად უნდა ჩავიტანო ხორცი და ხომ იცი...

გამხდარმა იცოდა, რომ თანამოსაუბრეს მეტად პატივსაცემი სტუმრები ჰყავდა მისაღები. მათზე იყო დამოკიდებული მასპინძლის მომავალი ბედი. მასაც თავი უნდა გამოეჩინა. კეთილის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყოფელთა რამდენიმედღიანი ჩამოსვლა შესაფერ დახვედრას ითხოვდა.

„თუ ნადირის ხორცი შენი თაოსნობაა, კიდევ არა გიშავს რა. თუ დაგავალეს, მაშინ ხარ ცოდვა“, — გაიფიქრა დამხვდურმა. ფეხები მოირთხა. იქვე მახლობლად მიწაზე დაგდებული ჩხირი აიღო და ნეშოს ჩიჩქნა დაუწყო. სიღრმიდან წვერს გახრწნილი ფოთოლი ამოჰყვა. ყავისფერი დასდებოდა. ხეებს ახედა კაცმა. მწვანე ფოთლები მყუდროდ ეკიდნენ ტოტებზე. ბუნებას დიდი ზღვარი დაედო ხრწნასა და ჩუას[1] შორის.

— რა დიდის ამბით შემატყობინეს, ჩამოდი, კვალი ვიპოვნეთო. მეც როგორ მოვრბოდი. მეგონა, ჩავალ და დამხვდება ხორცი-მეთქი, — ბუზღუნებდა თმაშეკრეჭილი.

— მსხვერპლი უნდა შეგეწირათ ოჩოპინტრესათვის და მოწყალება გეთხოვათ.

— რა გული შემიწუხე მაგ შენი ოჩოპინტრეთი!

გამხდარზე არ მოქმედებდა, რომ სანადიროდ წასულები აქამდე არ ჩანდნენ. არც ის, რომ მოსული ასე ბრაზობდა. მოსწონდა კიდეც მისი მოთმინებიდან გამოსვლა.

— არ შევპირებულიყავი მაინც. დავპირდი და ახლა...

— თუ ვერ ჩაიტანე?..

სახედაკაწრული აენთო.

— გაგიჟდი?! მთელი ღამე აქ დავეხეტები. ხელცარიელი როგორ წავალ აქედან, — იყვირა მან. — მერე რა ხალხი იქნება, რა ხალხი, — არ ცხრებოდა იგი. — არადა, ყველამ იცის, ნანადირევი რომ უნდა ჩავიტანო. სუფრას ნადირის ხორცი დაამშვენებსო. რას იტყვიან, თუ ვერ მოვახერხე?!

— ძროხის ხორცი ჩაუტანე და უთხარი დათვისაა-თქო.

— შენ ჭკუაზე ხარ?!

— რა მოხდა? გაყინული ჩაუტანე და რას გაიგებენ, რისი ხორცია. ძროხის, კამეჩის, დათვის თუ აქლემის...

— დამცინი?!

დამხვდურმა მხრები აიჩეჩა. თმაშეკრეჭილმა ნამწვი გადააგდო და ახალს მოუკიდა.

— ნებართვის აღებაზე რამდენი ვიჩალიჩე, — დანანებით ჩაილაპარაკა. თან სიტყვებს ბოლი ამოაყოლა. თითქოს თანამგრძნობი სჭირდებაო, ისე გახედა დამხვდურს. ის კი იჯდა ხის ძირში და არაფერი ესმოდა.

— შენ რა გენაღვლება, — ბრაზით ჩაიბურტყუნა მოსულმა.

— თუ მაგდენს ხვდები, თავი დამანებე.

— ბიჭოს?!

— ასე!

გამხდარმა თითებით მიწა აიღო. მოსრისა. მოეწონა ძერწვა. კიდევ აიღო. დასორსლება დაუწყო. სახედაკაწრული ადგა. წასვლა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ვერაფრით მოისვენა. კაცი ვერ გაიგებდა, რა უფრო აწუხებდა, დაკაწრული სახის კანი თუ მონადირეების დაგვიანება. კუნძზე ჩამოჯდა.

— დაგრთეს ნება? — სხვათაშორის ჰკითხა დამხვდურმა თმაშეკრეჭილს.

— შენთვის სულ ერთი არაა?

— მაინც?

— არა!

— მერე?

მოსულმა დაცინვით გახედა გამხდარს. ადგა. მოჭრილ ჴესთან მივიდა. ფეხი დაადგა.

— ნაჯახით გადაუჭრიათ.

— რაა?

— ნაჯახით გადაუჭრიათ-მეთქი.

მიწაზე მჯდომი რაღაცაზე ფიქრობდა. ბოლოს გამოერკვა და თქვა:

— ცხვირი უნდა მოამტვრიო ამის გამკეთებელს.

მოსული გაამხიარულა გამხდარის სიტყვებმა.

ირაკლი შენგელაია

ფშნო

[1] ჩუა (მეგრ.) — შენახვა. აქ. თავის შენახვა

— შენ რომ კაცმა ყური გიგდოს, ტყისმჭრელები ცხვირპირდანაყულე-ბი ივლიდნენ.

— ახიც იქნებოდა.

— იცი, რა გითხრა?! შენ საქმეს მი-ხედე. იქექე წიგნებში, ვინ გიშლის. მი-წაზე რა ხდება, არაფერს გეკითხებიან.

გამხდარი გაჩუმდა. მიმოიხედა. კა-რგა მოშორებით ჩამონახეთქი ღრანტის პირს დააცქერდა. შეხავსული ქვა გვე-რდზე გაწოლილიყო, თითქოს მგზავრო-ბისაგან დაღლილი ისვენებსო. მთელს ტანზე ხვიფლი მოსდებოდა. იქვე ფოთო-ლებგაცვივნული ხე იდგა. ხმელი ტო-ტები კიდევ შერჩენოდა. მიწაზე დაყ-რილებს კი გამხმარი კიდურები უწეს-რიგოდ აეჩიხათ. ჩხმეტების სიმრავლე ტყესაც მოსდებოდა. ღრეებიც ჩამო-დიოდა ალაგ-ალაგ.

— მიგდებულია აქურობა, — ჩაილა-პარაკა დამხვდურმა.

— მერე უპატრონე, — ცრეჭვით გაე-პასუხა სახედაკაწრული. დაიხარა და ხის ტანს კეფა მოაცალა. წამოი-მართა. შორიდან მომავალ ხმაურს ყუ-რი მიაპყრო. ისევ გასროლა გაისმა. ახ-ლა უფრო მოახლოვებულიყვნენ მსრო-ლელები.

— ისინი არიან.

— ალბათ.

— ბავშვი არც ერთი არაა და ტყუილ-უბრალოდ სროლას არ ატეხენ. თუმცა ზოგიერთებს მარტო ტყეში მოსვლისას უჩნდებათ სროლის სურვილი.

ამ სიტყვებთან ერთად, თმაშეკრეჭი-ლმა ჯერ გამხდარს გადახედა, შემდეგ ხის ძირას დადებულ თოფს.

— სროლას არ ვაპირებ...

— აბა, თოფი რაღად გინდოდა მონა-დირეებს რომ გამოართვი?!

— რა ვიცი, ისე.

— გეშინია, რამეს არ წააწყდე...

„შენ გეშინოდეს, თუ ვერაფერი მოი-ნადირე“, — გაიფიქრა გამხდარმა.

— გულახდილად თუ გინდა გითხრა, არავითარი სურვილი არა მაქვს, რომ შენ რამე მოჰკლა.

— რატომ?

— უბრალოდ, არ მინდა და მორჩა.

— აბა, რას მომყვებოდი?!

მიწაზე მჯდომს ხმა არ ამოუღია. კი-თხვა უპასუხოდ დატოვა.

— რას მომყვებოდი?! ხომ იცოდი, რომ სანადიროდ მოვდიოდი?!

— სანადიროდ? — ჩაიცინა გამხდა-რმა. — შენ დღეს ნადირობ?

— რა მნიშვნელობა აქვს თოფს ვინ ისვრის? ხომ იცოდი?!.

წამოსვლის დღეს აზრადაც არ ჰქო-ნია ნადირობა. საღამო ხანს ბიძაშვილი ესტუმრა. ზრუნვით შეწუხებული გამო-მეტყველება საქმიანი კაცის იერს აძლე-ვდა. შემოსვლისთანავე, სანადიროდ თუ ყოფილხარო — ჰკითხა. როცა პასუხად არაო, უთხრეს, აუხსნა, რა უნდა გაე-კეთებინა.

— ჩემი მანქანით წახვალთ. გათხო-ვებთ. მიხვალთ, რაც წამოსაღებია, წა-მოიღებთ და მორჩა. გადი, ბიჭო, ქალა-ქიდან. ქვეყანა ნახე, გაიგე, რა ხდება. არ მოგბეზრდა სულ წიგნებში ქექვა?

დაცინვის პასუხად ესღა უთხრა სტუ-მარს:

— შენ რატომ არ მიდიხარ?

— მე იმ ხალხს უნდა დავხვდე. ხომ იცი, სიამოვნებით ყურადღება.

— იმან რომ წაიყვანოს მანქანა?

— ვინ იმან?

— შენმა ძმაკაცმა.

— ე, ბიჭო, რას იმადლები. წადი, სუფთა ჰაერი ჩაყლაპე. თან საქმესაც გააკეთებ.

დათანხმდა. უარი ვერ უთხრა. წამო-ვიდა სანადიროდ. ახლა კი ამ კაცისაგან საყვედურებს ისმენდა.

„ვარ ღირსი. რა მინდოდა ამასთან ერთად“. — გაიფიქრა თავისთვის.

— ტყეში წამოვედი, — იმართლა თავი უსუსურად.

— ოხო-ხო-ხო-ხო! ოხო-ხო-ხო-ხო! — აროხროხდა სიგარეტიანი, თან კვამლს ბოლქვებად უშვებდა ნესტო-ბიდან და პირიდან. — ბუნებაში სას-

ირნოდ წამომყევი, ნადირ-ფრინველის მოსანახულებლად, — ხარხარებდა იგი.

კარგა ხანს იცინა თმაშეკრეჭილმა. ბოლოს როგორც იქნა დაწყნარდა.

— შენ როგორ უნდა აგიტანოს კაცმა, თორემ ერთხელ სათევზაოდ წამოგიყვანდი.

— ა თომ რატომ?

— გაჩვენებდი ერთ რამეს.

— მაინც რას?

— დაწურვა გაგიგია?

— რისი?

— ყურძნის, — გაეცინა მოსულს. თავისივე ნათქვამი მოეწონა. — რისი და მდინარის ტოტის.

— ეგ როგორ?

— შენ საიდან ხარ მოსული, გამაგებინე. ეს ვინ ყოფილა! — გაშალა ხელები თმაშეკრეჭილმა. — მისმინე. მდინარის ტოტს გადააგდებენ, კალაპოტს შეუცვლიან. დარჩენილი წყალი დაიწრიტება და შიგ რაც თევზია, რიყეზე რჩება. მიდი და კრიფე რამდენიც გინდა. მიხვდი?

— ამას თევზაობას ეძახი?

— აფეთქებას და მოწამვლას მაინც ჯობია.

— რა განსხვავებაა...

მოსულმა ხელი ჩაიქნია, რა უნდა გაგაგებინოს კაცმაო. გამხდარი განზე იყურებოდა.

ძაღლების გაავებული ყეფა მოისმა. ყეფას თოფის გრიალი მოჰყვა, ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე. ერთმანეთში არეული ხმები გაფოთლილ ტყე-ბარდში გაეხვია.

— მგონი მეშველა, — სიხარული ვერ დაფარა მოსულმა. სროლის მხარეს დააპირა წასვლა, მაგრამ თავი შეიკავა. თოფი შემართა. გამხდარმაც მიბაძა. ორივენი დაიძაბნენ. ადგილებზე ვერ ისვენებდნენ. თვალებით იმ მხარეს მიშტერებოდნენ, საიდანაც სროლა ისმოდა. შუბლები ოფლით დაეცვარათ. შიშნარევი ცნობისმოყვარეობა დაუფლებოდა ორივეს. ერთისთვის ყოველივე ნადირის მოკვლით უნდა დამთავრებულიყო, მეორე კი ელოდა ტყეში გამოსეირნების დასასრულს. ჯანგიზმა შლიგინი გაისმა. ფერი ეცვალათ დამხვდურებს. თავდასაცავად იარაღი ამართეს. ოდნავ დამშვიდდნენ, როცა ზანჯგვლების ნაცვლად თოფები ალაპლაპდნენ ფოთლებიდან გამონაყონ მზეზე. ქოშინით მოირბინეს თოფიანმა კაცებმა. გულები ამოვარდნაზე ჰქონდათ.

— დანარჩენები უკან მოსდევენ. ჩვენ აქ ჩავუსაფრდებით და ბოლოსაც მოვუღებთ, — თქვა ერთ-ერთმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

ყველა გაისუსა. ზოგი ხეს ამოეფარა, ზოგი მიწაზე გაწვა. გამხდარი არც განძრეულა. მას არ ეხებოდა, რაც ირგვლივ ხდებოდა. მხოლოდ ფაცაფუცი აკვირვებდა. თვალს ადევნებდა აფორიაქებულებს. ადამიანები ვიღაცას ებრძოდნენ. მხოლოდ ძალები იყო მეტისმეტად არათანაბარი. შეთოფიარაღებული მდევარჩასაფრებული მარტოხელა ნადირს მივარდნოდა. ბუნაგიდან გამოედევნათ მხეცი. ცოტაც და დევნილს ხაფანგში შემოაძუნძულებდნენ.

სულ მალე ღრიალი გაისმა. მას ტოტების ლაწალუწი ერთვოდა. დამფრთხალი ფრინველები სადღაც გადაიკარგნენ. დაფეთებული წვრილი ნადირი ბუჩქ-ბარდში შეძვრა. მორბოდა დაჭრილი დათვი. უკან ყიჟინითა და ზათქით მოსდევდნენ მონადირეები. ნადირი გულსაკლავად ღრიალებდა. რამდენიმე ადგილას დაეჭრათ. სისხლისაგან იცლებოდა და ძალა ელეოდა. ადამიანებს გაურბოდა. დევნილიცა და მდევრებიც ჩასაფრებულებს მიუახლოვდნენ.

გამოჩნდა გასისხლიანებული დათვი. თითქმის ერთდროულად დაახალეს ტყვიები დამხვდურებმა. მხოლოდ გამხდარსა და თმაშეკრეჭილს არ უსვრიათ. მათთვის მოულოდნელი იყო ნადირთან შეხვედრა. დათვი შეიმართა. შემოგებებულმა ტყვიებმა შეაჩერა

---

ირაკლი შენგელაია
უშნო



ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტორტმანდა, თავს მაღლა იწევდა, თითქოს სუნთქვა უჭირს და ჰაერის ჩაყლაპვა სურსო. ბოლოს თათები აიფარა თავზე. ლულების ელვარებამ მოსჭრა თვალი. მიშვერილმა თოფებმა შეაშინა კიდეც. ღრიალის მაგიერ რაღაც უცნაური ხმა გამოსცა.

— არ მესროლოთო, — თითქოს ამის თქმას აპირებდა, ბურტყუნი წასცდა დრუნჩიდან.

კიდევ იგრიალა თოფმა. ეს უკვე თმაშეკრეჭილი იყო· დიდხანს უმიზნა. მოარტყა კიდეც. გადავარდა დათვი. ერთი გაიბრძოლა. გაშეშდა. ცოტა დახანებით მდევრებიც მოვიდნენ. დამხვდურების ტყვიებს მოერიდნენ ყოველი შემთხვევისთვის.

— შენი ჭირიმე, ბიჭო!

— ძლივს არ მოვკალით!

მონადირეები გამარჯვებას ზეიმობდნენ. მიწაზე დაგდებულ ნადირს მიუახლოვდნენ. ძაღლებიც დაწყნარდნენ. ერთ-ერთმა მონადირემ კიდევ დაახალა დათვს თავში ტყვია.

— იქნებ არ მომკვდარა, რა იცი...

დათვი მკვდარი იყო.

— ყოჩაღ, ქალაქელო. — მონადირეებმა ხელი შეუქეს თმაშეკრეჭილს. — შიგ თვალში მოურტყამს!

— ბევრი კი გვაწვალა ამ ოხერმა!..

ნადირს შემოეხვივნენ.

გამხდარი უხმოდ იდგა. შემდეგ ნელა დაიძრა ადგილიდან. თოფი ხელში ეჭირა. შეჩერდა. დახედა. იქვე დასდო ძირკვის ქვეშ. სვლა განაგრძო. ნადირის მომკვლელს მიუახლოვდა. მხარზე დაადო ხელი.

— მომილოცავს, კარგად ინადირე!

თმაშეკრეჭილმა სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია. მთავარი, დათვის ხორცი, ხელთ ჰქონდა და მასზე ბედნიერი, ამ წუთებში, ქვეყანაზე არავინ იყო...

— მეგობრებო, რა ერთგული და თავდადებული უნდა იყოს ადამიანი, რომელიც მიდის სანადიროდ, თან არ დაგვიწყდეთ, დათვზე, თავს ხიფათში იგდებს და ჰკლავს მხეცს, რომ ჩვენ დღეს, აი აქ, ამ სუფრაზე, სიამოვნება არ მოგვაკლდეს.

ეს სიტყვები, ამ საღამოს, [illegible]მართით იქნება ნათქვამი. მათ აუცილებლად იტყვის თამადა. სუფრის წევრები აიტაცებენ ნათქვამს, როგორც ბრძნულ აზრს იტაცებს ხალხი...

— როგორ გავყოთ? — იკითხა ერთმა მონადირეთაგანმა.

— მე ჩემი გამიმზადეთ. დანარჩენი თქვენია.

რამდენიმე კაცმა დათვს თათებში ჩაავლო ხელი და მოხერხებულ ადგილზე გადმოათრია.

— თქვენს მეგობარს? — გაიკვირვა ერთმა ახალგაზრდამ.

ყველამ გამხდარს შემოხედა. იგი დათვს დასცქეროდა. მიწაზე ნადირი, ბალახი და სისხლი იყო. მურა, მწვანე, წითელი მიწისფერს შერეოდა. მხეცის თავს ცალი თვალი შერჩენოდა, მეორე კი ტყვიას დაეფლითა.

გამხდარმა მიმოიხედა. მონადირეები მას შესცქეროდნენ. თმაშეკრეჭილი იცინოდა. ძაღლებს ძუძგური გაჰქონდათ, ენები გადმოეყარათ და მოთმინებით ელოდნენ პატრონების წყალობას, როცა ისინი უვარგის ნაჭრებს გადაუყრიდნენ ერთგული სამსახურისთვის.

ერთმა მონადირემ გაიცინა.

— არაფერია. პირველად ასე იცის ხოლმე.

მერე ყველა აყაყანდა. ვინ რას ამბობდა, ვინ რას. შემდეგ ნადირის გატყავებას შეუდგნენ.

— ცოტა დაუჩქარეთ. ქალაქელებსაც აგვიანდებათ. — განკარგულება გასცა ყველაზე უფროსმა. — დამარილება არ დაგავიწყდეთ.

მხეცს დანა დაუსვეს.

— ეგეც შენა!

— არადა, როგორ იყო საქონელს შემოჩვეული, — თქვა ერთმა.

— გასულ კვირას ღორი შეჭამა ამ ოხერმა.

— ხედავ. — სახე გაებადრა თმაშეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რექილს, — სოფლისთვის ჭირი მოგვიშორებია. — სიგარეტი ამოიღო. დინჯად მოუკიდა. პლაკუნით შეუდგა მოწევას.

გამხდარმა საქმეში გართულ ხალხს მოავლო თვალი. შემდეგ ხნიერ მონადირეს მიუბრუნდა.

— თქვენი თოფი იმ ხის ძირასაა, — ნელა მიბრუნდა, მიწაზე დაგდებული კურტაკი აიღო და მხარზე მოიგდო.

— წავედი.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა გაკვირვებულმა თმაშეკრეჭილმა.

— მანქანასთან დაგელოდებით.

— დაგეცადათ, — უთხრა ჯმუხმა მონადირემ, — მწვადებს შევწვავთ, არაყიცა გვაქვს. დავილოცებით...

— არა, არა, წავალ...

— თუ არ სვამთ, ხორცი მაინც გაგესინჯათ. რაც არ უნდა იყოს, ნადირისაა, — ეს ხნიერის ხმა იყო.

— არა, მანქანასთან მირჩევნია. — გამხდარმა ზურგი შეაქცია ყველას და ნელა ჩაუყვა ტყის ფერდს.

მონადირეები სხტად დარჩნენ. კარგა ხანს იდგნენ ასე, ვიდრე კურტაკმოგდებული კაცი თვალს არ მიეფარა და ფეხის ხმა არ მიწყდა.

გაკვირვებამ გაიარა. ისევ საქმე განაგრძეს...

კურტაკიანი გზაზე ჩამოვიდა. მანქანა იქვე იყო ტყის პირას მიყენებული. ცოტა მოშორებით წყარო მოწკრიალებდა. მივიდა, პირზე შეისხა წყალი. თავი შეუშვირა. ცოტა ხანს ასე იდგა. ბოლოს პეშვით შესვა. მანქანას მიუახლოვდა, ახლოს ჩამოჯდა და ზურგით საბურავს მიეყრდნო...

სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე ხორცის სუნი იდგა. თმაშეკრეჭილი მონადირეებს უხსნიდა რაღაცას.

— ისეთი ხალხია, რომ კაი პატივისცემა უნდა. საიდან ჩამოდიან საქმის გასაკეთებლად. ისე ხომ არ გავუშვებ...

— სანადიროდ წამოიყვანე, — შესთავაზა ჯმუხმა მონადირემ.

— შველზე ვანადირებთ, — დაუმატა ახალგაზრდამ.

— ტყეში ხომ არ ვარბენინებთ, უხერხულია.

— რა სირბილი. მარილი იყოს და მე ვიცი.

თმაშეკრეჭილის გაოცებაზე გაიღიმა.

— ამოღებულ მიწაში ჩაყრილი მარილი მჟავდება. ორმო იმ ახლომახლოში უნდა ამოთხარო, სადაც შვლის ხავილი ისმის. მუჯა ჰქვია ასეთ ადგილს. ჩაუსაფრდი თოფით, მოვა მარილის სალოკად და... არც ძაღლი გინდა, არც ტყეში წანწალი...

— რა კარგი რამეა, ღირს...

ხნიერმა მონადირემ წარბები შეჰყარა.

— ცოდვაა ასეთი რამის გაკეთება.

— შვლის ხორციც კარგია, — გაიცინა ჯმუხმა...

გამხდარი ისევ ჩამჯდარი იყო მანქანასთან. ლოდინს მაინცდამაინც არ შეეწუხებინა. გზას გაჰყურებდა. ჩამავალ მზეს ალაგ-ალაგ გაენათებინა. თავქვე მიექანებოდა დაკლაკნილი. თითქოს ერთი სურვილი ჰქონდა, რაც შეიძლება მალე ჩასულიყო ქვემოთ. ადგილ-ადგილ ტყის მიწა ჩამოწოლილიყო. ერთხელ გაჭრილი მთა თავს ვეღარ იმაგრებდა. ნაღვენთ ნიადაგს რამდენიმე შიშველა ჩამოეტანა ძირს. გზის სურვილი გადაედო კაცს. მასზე დაქანებება მოუნდა. აქეთ მომავალი არ ფიქრობდა საით და რისთვის მიდიოდა. ახლა ნანობდა, რომ ფეხი გამოდგა ქალაქიდან...

— სტუმარს გააჩნია, — უხსნიდა თმაშეკრეჭილი წინადამით. — თუ შემწე-მფარველი პატივისცემას ითხოვს, მისთვის ყველაფერი უნდა გააკეთო.

ისიც გაეხვია ასეთ საქმეში.

— რატომ გავაკეთო? — ფიქრობდა გამხდარი. — რა მაქვს საერთო?!.

წამოდგა. კარი გამოაღო. საჭეს მიუჯდა. გასაღები გადაატრიალა ანგარიშმიუცემლად და მანქანა ადგილიდან და-

სძრა. ჯერ მდოვრედ, შემდეგ ნელა უმატა სიჩქარეს. გზა და კაცი ერთი ფიქრით გაერთიანდნენ. მანქანა სწრაფად დაეშვა თავქვე...

მალე ტყიდან მონადირეებიც გამოჩნდნენ. ეტყობოდათ კარგ გუნებაზე იყვნენ. გზის პირას ჩამოსულები იმ ადგილს მიუახლოვდნენ, სადაც მანქანა ეგულებოდათ.

— ეს რა არის? — იკითხა თმაშეკრეჭილმა.

— მგონი წასულა, — თქვა ჯმუხმა.

— ხომ გითხარით, მანქანის ხმა მესმის-თქო, — ხელი ჩაიქნია ახალგაზრდამ.

— გაგიჟდა?!

— რა გამიკეთა, მაგის...

დაბნეულობამ სიბრაზე გადაავიწყა იქ მყოფთ. იმდენად მოულოდნელი იყო ამბავი, რომ გონზე ვერ მოსულიყვნენ.

— სახლში როგორ წავიდე, — აწუწუნდა ახალგაზრდა.

— ამ ხორცს რა ვუყო?! — იყვირა მოთმინებიდან გამოსულმა თმაშეკრეჭილმა.

ბრაზი ძალას იკრებდა. სადაცაა, ამოხეთქავდა და დადგებოდა ლანძღვა-გინების კორიანტელი.

— ნორმალურია?! — იკითხა ჯმუხმა.

— ძმაკაცს ასეთ რამეს არ უკეთებენ!

— რა ძმაკაცია. გუშინ გავიცანი.

— მანქანა მისია?

— მანქანის ქონას შნო უნდა. მაგას რა შეუძლია. ძმაკაცი მყავს ერთი. მაგ უშნოს ბიძაშვილია... ეს რა მიყო... დღეს თუ ვერ ჩავედი ქალაქში...

— ჩასვლა რაღაა. აქვე მუშაობენ. გზა გაჰყავთ. იმათ მანქანას გავყვებით — დაამშვიდა თმაშეკრეჭილი ხნიერმა მონადირემ...

ცოტა ხნის შემდეგ საბარგოში მოკალათებული მონადირეები კვალში ჩაუდგნენ უშნოს. თმაშეკრეჭილი ხმას არ იღებდა. ვერ მოენელებინა მომხდარი. თავს იმით იმშვიდებდა, რომ დროზე ჩავიდოდა ქალაქში და საქმესაც დაამთავრებდა. ეს იყო ახლა მთავარი. იმ უშნოს კი მოუვლიდა როგორმე. როგორც იყო წყრომამ გაუარა. გვერდზე მჯდომ ხნიერ მონადირეს მიუბრუნდა.

— ერთი ეს მითხარი, ოჩოპინტრე ვინაა?

— ეგ ნადირთპატრონი ღვთაება იყო ადრე, ძველ დროს. მაშინ ხალხს ღმერთი სწამდა.

— ღმერთი არა...

უშნო ნათხოვარი მანქანით ქალაქისაკენ მიმავალ გზაზე მირახრახებდა.

ლადო სულაბერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა ბაღის კარი გამიღე

1

შენ ცერზე გიზის ჩემი მიმინო,
ცერზე ქანაობს ფრთების ნარნარით.
აჰა, ჩამხმარი ჩემი ყანები,
ჩაქარვებული ჩემი ზვარნარი.
მიუშვი, შენი პატარა ციდან
დაექანოს და მკერდზე დამაცხრეს.
და ჩემს ყანებში ნანადირევი
კვლავ დააფრინდეს მაგა ლამაზ ცერს.
მიუშვი, ჩემი ვნების ქარებში
ფრთა გაშალოს და გაინავარდოს...
შენ ცერზე გიზის ჩემი მიმინო,
სამწყსოის მცირის ჩემის თავადო.

2

შენი შარბათით მე დავითვერი,
შენი შარბათით ლაღად ვილოთე.
მე მინდა ჩავრგო შენში ყვავილი,
სულ უჭკნობარი რომ ყვავილობდეს.
შენს ჩაქარვებულ ზვარში ვირთველე,
ჩოქვით მოვედი შენს ღიღილომდე.
შენი შარბათით მე დავითვერი,
შენი შარბათით ლაღად ვილოთე.
შენ რაღა გინდა, თასს ნუ გაიშვერ
ჩემი საწუთროს მწუთხე ღვინომდე.
მე მინდა ჩავრგო შენში ყვავილი,
სულ უჭკნობარი რომ ყვავილობდეს.

3

ბორკილი მადევს სიყვარულისა,
ამიჟღარუნე ეგა ბორკილი.
წუთისოფელმა მიმსრის-მომსრისა,
შენს ტალღას შევრჩი გვემულ-ბორგვნილი.
ამ სიყვარულსაც ვერ გავუძელი,
მის ნაპრალში ვარ ჩაქანებული.
შენს პატარა და უსუსურ მკერდზე
ეკლის ჯვარივით მე ვარ შებმული.
გადამიძოვა მშიერმა ქარმა
ჩაყვითლებული ყანა მომკილი.
ბორკილებიღა შემრჩა და აჰა,
ამიჟღარუნე ეგა ბორკილი.

4

მე მერგო წილად განუზომელი
შენი პატარა მზე და ჩრდილონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰო, აღმიმართე მაგ საუფლოში
ჩემი გოლგოთა და ბაბილონი.
შენი პატარა ღიმილის ფრთებით
აზიდე მაღლა ჩემი ჭმუნვანი.
გადამიგლისე სამოთხის თიხით
მკერდი ნაშუბარ და ნაჭურვალი.
შენი პატარა ყვავილის ეკლით
დაჩხვლეტილი მაქვს ხმელი თითები.
შენი პატარა სანთლის ალუკას
ფარვანასავით მივაფრინდები.

5

დამუნჯებული გესაუბრები, —
წყაროს სათქმელი მომაქვს სურებით.
პეპლების ენით, ჩიტების ენით,
ვარდების ენით გეჩურჩულები.
საწუთროს ბზიკმა მწარედ დამკბინა,
ჩემი სათქმელი შხამით დანესტრა.
ამიტომ წვიმის და ღრუბლის ენით
გებაასები შენსა მთვარესთან.

შენი სხეულის კოცონზე ვიწვი
და წყაროს სათქმელს გაწვდი სურებით.
პეპლების ენით, ჩიტების ენით,
ღრუბლების ენით გეჩურჩულები.

6

ხარ მიწის ცეცხლზე აალებული,
მიწის ჟრუანტლით ათრთოლებული.
შემომაფიცხე ცხელი მკლავები,
გული ვარვარა და თონებური.
ჩემი ვულკანის ლავა გრილდება,
გადმომაზვავდი შენი ლავიდან.
მასვი ნექტარი, მოწამლული ვარ
წუთისოფელის საწამლავითა.
შუქი წვეთ-წვეთად გამომიზოგე,
ჩამოღვენთილი მაგ შენს ლამპართან.
მერე ჯანდაბას, თუღა შენს ცეცხლზე
დაფერფლილს ქარი სადმე გამფანტავს.

7

ცისფერ ფარდაგზე ალანდულია
ქარცეცხლიანი ვნების ტორტმანი.
და შუაღამე დამზვავებია,
ყორნის ნაგლეჯი და ნაკორტნალი.
ცისფერ ფარდასთან გართხმული ჩრდილის
ქალამნით ნელა მოიპარები.
ჩარაზე კარი... კარი ჩარაზე...
აპრილის ხეებს გლეჯენ ქარები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აყვავებული ატმის ხის ტოტი
ჩემს სასთუმალთან დაბერტყე — შენი.
ცისფერ ფარდაზე ატმის ტოტების
კიბით მივწვდები შენს ცხოველ ზენიტს.

8

ჯვრის სარეცელზე ვარ გაწოლილი
და ჩემს წამებას ველი დიდებულს.
შენი ტუჩების თხელი ფურცლები
გადამაყარე ალმოკიდებულს.
შენი სხეულის თხელი ფერები
ჯვარზე მილურსმულს გადმომაშალე...
ველარ მოვთოკავ ვნებააწყვეტილ
შენი მერნების ცხელ-ცხელ ავშარებს.
აბა, რა ვიცი, იქ რა იქნება...
აბა, რა ვიცი, იქ რა იწყება...
მო, მაზიარე ჯვრის სარეცელზე
შენთან უმაღლეს თავდავიწყებას.

9

ჩიტის ფრთებიდან გადმოვარდნილო
ჩემო პატარა ზეცის ნაჭერო,
მო, პეპლის ფრთაზე საყდარს დაგიდგამ, —
იქ შეგიტაცო და შეგაჭენო.
მო, პეპლის ფრთაზე წამოვიჩოქოთ
და ჩემი ზამთრის თოვლს ელალადე.
მღვიმეში ღამე ამიყვავილე
და იმ ყვავილთან აღარ დაღამდეს.
შენს ბორცვებამდე მე მოვაღწიე
სულ ძაგძაგით და სულ დაგდაგითა.
ჩიტის ფრთებიდან გადმოვარდნილო,
მო, პეპლის ფრთაზე საყდარს დაგიდგამ.

10

პატარა ბაღის კარი გამიღე,
მღვრიე საწუთროს უწმინდესობავ.
ნისლის კალთაზე სხივი აცეკვდა,
შენი ნისლების მანდე მწყემსობა.
ვნების ქარცეცხლთა უცეცხლესობავ,
ტრფობის წალკოტთა უტურფესობავ...
ფესვი გაგექცა შენ ჩემს მიწაში
და ჩემს დაკორძილ ფესვებს ესობა
გამაძაგძაგე, შემაძლებინე
უნეტარესი გზნების შეცნობა...
შენ ჩემი ბაღის წმინდა ჩანჩქერო,
მღვრიე საწუთროს უწმინდესობავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლექსში გაუკვდავებული ქალის ნოსტალგია

1

აჰა, ღვთაებავ, მიწიერი
ერთი გმინვაც სასოწარკვეთის,
უცხო მიწიდან მამულამდე
მწვდომი გმინვა მჭკნარი წალკოტის.
„შენ ჯვარს იწერდი იმ ღამესო,“ —
მეფე-მგოსნის ცრემლთა ღაღადი.
გაფრინდა ცრემლი სიყვარულის
მარადიულ ედემ-ბაღამდი.
გალმერთებული ლექსში ქალი
მიწას შერჩა მჭკნარი წალკოტით...

. . . . .

აჰა, ღვთაებავ, მიწიერი
ერთი გმინვაც სასოწარკვეთის:

2

„ღვთისა ხარ, მაგრამ, ღვთის სტუმარო,
ახლა მაინც ნუ მესტუმრები.
გამოცლილია, ყელგამშრალი
დაბზარულან ჩემი სურები.
მოგონებათა ცხელ ბუხართან
წაფერფლილ ღველფს მივეხურები.
მდურვების ქარი წამფრენია,
სულს მიწეწავს ქარი მდურვების.
შემომეძარცვა წუთისოფლის
მოელვარე სულსათბურები.

. . . . . .

ღვთისა ხარ, მაგრამ, ღვთის სტუმარო,
ახლა მაინც ნუ მესტუმრები.

3

ღამე კი არა, მე თვითა ვარ
ახლა ღამე, ღამედ ქცეული.
ღრუბელზე არა, ყრმობის მთვარე
ჩემ პეშვზეა ზურგშექცეული.
სული ეული, მილეული,
ილვენთება ნაღვლით მღვრეული.
შემომეფლითა ძოწეული
ავთა ქართა შემორღვეული.
აწლა ღამეთა უდაბნოში
მშრალ ქვევრებთან მე ვარ წვეული.
მამულეული ცა შორს არის,
მზე შორს არის მამულეული.

ჰა, სტუმარო... ჩემს დახშულ კარს
ნუ გაალებ, ნულა მომელტვი.

აწ ფერფლიღა ვარ მშობელ ციდან
აქ დამსხვრეულ ჩემი კომეტის.
აწ დაძონძილი ლანდიღა ვარ, —
ბნელში გავყვე, ნეტა, რომელ ტივს?!
არა, სტუმარო... ჩემს დახშულ კარს
ნუ გააღებ, ნუღა მომელტვი.
ვაი, შენ ჩემო საწუთროო,
შენ მინდორზე რად გამოვედი?!
ცხელ სტრიქონების ჯვარზე გაკრულს
რადღა მიხმობს ჩანგი პოეტის?!

5

ჩემი მშვენება იქ, მამულში,
მგოსნის ცრემლზე ჰყვავის მარადის.
გადმოვხვეწილვარ აქ საჭკნობად,
მივლანდლანდობ ბოლო ბანამდი.
აღარ ველვარებ უცხო ქარში
იავნანის ანა-ბანათი.
ცრემლის კურცხალი მიმაქანებს
ჩემს ამღვრეულ ცრემლთა ღვარამდი.

დღეო, ღვთიურო, სხვათა ცის ქვეშ
დამიღამდი, გამიწკვარამდი.
ქარვის მტევანი, ჰა, ვაჭკნები
ბოლო სტრიქონს ჩემი ბალადის.

6

წუთისოფელი — ჩემი ერთი
წუთის ელვა, — გაკრთა სტრიქონად.
სხვა არა რა ვარ, ღვთის წილ-ხვედრი
სილამაზეც დრომ ჩამიქოლა.
მეფე-მგოსანმა სევდის ზარზე.
ღვთაებრივი ელვით მიმკონა.
და უკვდავების მისის გზაზე
სატანჯველად მეც გამიყოლა.
აწ ჩემს დაღმართზე ჭმუნვის ურმით
უცხო გზაზე თავქვე მივგორავ.
სხვა არა რა ვარ, ჩემს ზღაპარში
მგოსნის გარდა არა იყო რა.

7

ო, ღვთაებრივო მგოსნის ჩანგო,
რად შემეხე მთრთოლვარ ლარებით?!
მარყუჟებივით მომხვევია
ეგ სიმები მოელვარენი.
ჩემი მგოსანი ზე გაფრინდა
თავის ნისლით, თავის ქარებით.
მე შემრჩა სევდის ველ-მინდვრები
ნაყანარ და ნაჩალარები.

ლექსის სტრიქონებს გაჰყვნენ ჩემი
ანგელოსნი მონარნარენი...
ო, ღვთაებრივო მგოსნის ჩანგო,
რად შემეხე მთრთოლვარ ლარებით?!

8

შენ აღზევდი და მე დავეცი,
სიყვარულზე მოთქმით აღზევდი.
მუზათ საუფლომ ბჭე გაგიხსნა,
სევდის მთაზე ცხოვლად აღსვეტილს.
მე მამულის ბჭეს განვერიდე
არრის მცოდნე შენთა მუზათა.
წუთისოფელმა ჩემს ლტოლვილ სულს
საჭკნობარი სვე განუმზადა.
შენი მუსიკის სატაძრეთში
მე შევადნი სანთელს დიდებულს.
დრო წენს ჩემს ნაწნავს შენი ლექსის
სტრიქონებზე გადმოკიდებულს.

9

ქართლის ასულნო, ჯვრისწერის წინ
საყდრის კართან წამით გახევდით,
მეფე-მგოსანი თქვენი ხომ არ
გითვალთვალებთ ცრემლის ნაღვერდლით?!
ნუ უწილხვედრებთ თქვენც სატანჯველს,
მგოსნებს ტანჯვაც ჰყოფნით მამულის.
აწ ბუხარივით ვარ ჩამქრალი,
ჩაფერფლილი და ჩაკვამლული.
უფრთხილდით ლექსებს, მარადჟამულ
გოდებისთვის ლექსებს განწირულთ.
ეს გაუმარჯოს, ჩვენს ხატებთან
მდგარ მგოსნების ყივილს არწივულს.

10

არა, სტუმარო, შენ მოგყვება
საქართველოს მწვანე ქარები.
ჩემს სიბნელეში ნუ შემოხვალ,
ჩემს ლანდს ნულა მიეკარები.
ნუ გამახსენებ, არ ჩამოჰკრა
სიყმაწვილის ჩემის ზარები.
მე აღარ ვგავარ, აღარ ვგავარ...
დახშულია მლვიმის კარები.
ლექსის მწვერვალზე გარჩენილა
ჩემი სული ნაელვარები.

. . . . . . .

გაბრუნდი... და ჩემს მეფე-მგოსანს
ჩამოაშრე ცრემლის ღვარები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## შოთა ლეჟავა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა





ელექტრონული
ბიბლიოთეკა

# ლეონარდო შენგელია



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა



გივი კახიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დუნეთი

დუნეთი მთაში შეყუჟული, პატარა რაიონული ცენტრია, მიხვეულ-მოხვეული, მოკლე მოკირწყლული ქუჩებით, უმეტესად ერთსართულიანი ქვის შენობებით, პატარა მოედნით. მოედნის ერთ მხარეს ძველი ორსართულიანი, ადმინისტრაციული შენობაა, მოპირდაპირე მხარეს — პატარა ბაღი, ორი ასწლოვანი ხით, ტირით, ერთი დასასვენებელი სკამით და სკამის პირდაპირ ხით ნაკეთი გალიით, რომელშიც შარშანდელ დიდთოვლობისას დაჭერილი ირემი გამოუმწყვდევიათ. ირემი, მისი სიდიდისა თუ გალიის სიპატარავის გამო, შემობრუნებას ვერ ახერხებს და სევდაჩამდგარი, ცრემლიანი თვალებით დღენიადაგ მოედნისკენ იცქირება.

ბაღს დაბალი ყორე არტყია ირგვლივ. შესასვლელი მოედნის მხრიდან აქვს. შესასვლელთან ერთსართულიანი, ქოხივით შენობა დგას, შენობაში ავტოსადგური და საპარიკმახეროა მოთავსებული. აქვე უყვართ თავისუფალ დროს თავშეყრა დუნეთელებს, ხვდებიან და აცილებენ ავტობუსებს, ისვრიან ტირში, ყვებიან ძველსა თუ ახალ ამბებს.

ბაღის უკან ახალი, ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი წამოჭიმულა, რომელიც, შემოჯარული ერთ და ორსართულიანი სახლების გამო, გაცილებით მაღალი ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია!

იმ გზის პირას, ავტობუსები რომ დადიან, დუნეთის სიამაყე, სავარცხლების ქარხანა აღუმართავთ. ქარხნისთვის ლამაზი სახელი — „მერცხალი“ დაურქმევიათ, რასაც დიდი წარწერა ადასტურებს. ქარხანაში შემავალი ყველა კარი, თვით ეზოს ჭიშკარიც კი სავარცხლის ფორმისაა. ქარხნის შესასვლელში გაკრული მრავალი მოწოდება ნაჟელს ჰფენს მთელი კოლექტივის ბრძოლას შრომის დისციპლინისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის.

●

ზაფხულის ადრიანი დილაა. ქალაქის ყოველი მხრიდან მოჩანან ქარხნისაკენ მიმავალი პირველი ცვლის მუშები. მუშებს, განურჩევლად ქალისა თუ კაცისა, სპეცტანსაცმელი აცვიათ, მოდიან მარტონი, წყვილ-წყვილად, ელოდებიან, ესალმებიან ერთმანეთს, იკრიბებიან ჯგუფებად და მიკითხვ-მოკითხვითა და საუბრით აგრძელებენ გზას.

თითქმის ყველას თივის პატარა კონა აქვს იღლიაში ამოჩრილი. როგორც კი ბაღს გაუსწორდებიან, შიგ შედიან, თივას ირემს გადაუგდებენ და კვლავ აგრძელებენ გზას, რამდენიმე მუშა ქარხნის მხრიდან მოდის საუბრით გართული. მივლენ ბაღთან, შევლენ, გადაუყრიან ირემს თივას და ისევ ქარხნისკენ ბრუნდებიან. სასაუბრო თემა — თითქმის ყველასთვის ერთია: დღეს პარასკევია, ორშაბათიდან კი ქარხანა ახალი პროდუქციის, გრეხილი სავარცხლების გამოშვებაზე გადადის.

— ნახე?

— მაგარია, ძმაო!

— ჩელიაბინსკი დავტოპკეთ.

— რის ჩელიაბინსკი, რა ჩელ...

— შენც იტყვი, რა!

— მე არ მინახია ასეთი...

— მაგარია, ძმაო!

— მალე სამ ცვლაზე გადავალთ.

— ჰო, ერთ კვირაში, ალბათ.

— მაგარია, ძმაო!

— გერონტის ტრაბახს ველარ აუვალთ...

— არა აქვს რო სატრაბახო?

— გერონტისა და ლენასაც.

— მაგარია, ძმაო!

●

ფოსტალიონი დადის დუნეთში. წერილებსა და გაზეთებს არიგებს. ვისაც საფოსტო ყუთი აქვს, შიგ უგდებს ახალი ამბების შეკვრას, ვისაც არა და, ან პირდაპირ ეზოში გადაისვრის ჭიშკრის ზემოთ, — ან კარქვეშ შეუცურებს.

გზად შემხვედრი მუშები ესალმებიან:

— სულიკოს გაუმარჯოს, რა არის ახალი? — ეკითხება ერთი.

სულიკო შეჩერდება.

— „ბრძოლაში"?

— აბა!

— თითქმის სულ გრეხილზეა ლაპარაკი. მეოთხე გვერდზე დუნეთის ახალი გეგმაა დაბეჭდილი.

— ლამაზია?

— გაგიხარდება კაცს.

— ქიშვარდისთან იყავი?

— იქ ბოლოს მივდივარ ხოლმე

— თანაც გადაკრავთ, არა?

— დღეს როგორ იქნება, არ ვიცი, გაგიუდება ქალაქის გეგმას რომ ნახავს.

— ნუ გეშინია, გერონტი დაიყაბულებს.

— ღმერთმა ქნას, კარგად დამთავრდეს. ორშაბათიდან იწყებთ, არა?

— კი, კარგად იყავი.

— კარგად იყავით, აბა, თქვენ იცით!

სულიკო გაუყვება ქუჩას. ჩანთაგადაკიდებული, ველოსიპედს ხელით მიაგორებს. ერთ ჭიშკარს მიადგება, ჩანთიდან გაზეთს ამოიღებს და დახედავს. ამ დროს ჭიშკარიც იღება.

— ოჰ, სულიკოს გაუმარჯოს, მომე გაზეთი! — ეუბნება სულიკოს შუახნის, სპეცტანსაცმლიანი კაცი.

სულიკო ჩაფიქრებით უყურებს გაზეთს, შემდეგ უკან დასაბრუნებლად შემოტრიალდება.

— ამას ვერ მოგცემ, — ეუბნება მუშას.

მუშა მკლავში ხელს მოჰკიდებს და შემოატრიალებს სულიკოს.

— რა არის, რატომ ვერ მომცემ?

— თქვენი და ტოკლიკიშვილის გაზეთები ამრევია.

— რაზე ატყობ?

— ამას ტოკლიკიშვილი აწერია, რომელსაც მამრიკიშვილი ეწერა, იქ ჩამიგდია.

— რა გაზეთები აქვს გამოწერილი ტოკლიკიშვილს?

— „ბრძოლა".

— მე?

— „ბრძოლა".

— მერე რა მნიშვნელობა აქვს, მომე ერთი, თუ ძმა ხარ, გადავხედო.

— მნიშვნელობა რომ არ ჰქონდეს, მაშინ ამას მამრიკიშვილი ეწერება და იმას — ტოკლიკიშვილი.

სულიკო შემოტრიალდება და უკან ბრუნდება.

— ბიუროკრატი ხარ, მთხოვ შენ კიდევ სავარცხელს! — მისძახის გაბრაზებული მუშა.

— ნუ ილანძღები, სავარცხელს ტოკლიკიშვილი მომცემს, — პასუხობს სულიკო და გზას აგრძელებს.

●

ქარხნის შესასვლელთან ერთმანეთს ესალმებიან, გზას უთმობენ მუშები. ზოგს მოწიწებით უკრავენ თავს, ზოგსაც ხელის აწევით ანიშნებენ, დაგინახეო.

მბრუნავ, სავარცხლის ფორმის კართან მდგარი „დარაჯებიც" ასევე იქცევიან.

— ქალბატონ მარიამს ვახლავართ, ნოშრევანოვიჩს ჩვენი სალამი! რას გახირულხარ, გიგლა, გამოეტიე, ვერა ხედავ, ხალხი დგას!

გამოცდილი დარაჯი შედარებით ახალბედას ხმადაბლა ეუბნება:

— კარგად დააკვირდი, არც ერთს არ უდევს სავარცხელი ჯიბეში...

მართლაც, არც ერთ მუშას არ უდევს სავარცხელი გულის ჯიბეში.

●

მოედნიდან ქალაქგარეთ ერთი ვიწრო, ოღროჩოღრო გზა გადის. ამ გზის ნაპირას არავინ სახლობს, ოდნავ მოშორებით ერთი ორსართულიანი ხის ძველი სახლი დგას მხოლოდ.

იღება სახლის ჭიშკარი. გერონტის ხელით გამოჰყავს მოტოროლერი და ლენას ელოდება. ლენაც გამოდის და კეტავს ჭიშკარს. ორივენი მოტოროლერზე სხდებიან. გერონტი ქოქავს მანქანას და ქალაქისკენ დაიძვრებიან.

მოედანზე ფოსტალიონი შემოაჯდება ველოსიპედს და ამ გზისკენ გადაუხვევს. გზაში გერონტი და ლენა ხელის აწევით ესალმებიან ფოსტალიონს. ლენას და გერონტის დანახვაზე ფოსტალიონი, მისალმება რომ მოასწროს, ადრევე იწყებს ხმამაღალ ძახილს:

— ლენას ვახლავარ, გერონტის გაუმარჯოს!

●

გერონტის სახლი საუცხოო კრინდრითა და ხეხილის მაღალი ხეებით. პირველი სართულის ერთ ოთახში ტახტზე ქიშვარდი, გერონტის მამა, წევს. თვალები დახუჭული აქვს. უცებ ხელებს გადაშლის და თვალებს არც ახელს ისე, მთელი ხმით იძახის:

— ეჰ-ეჰ-ეჰ-ეეეე, ოქროპიიიიირ, ეჰ-ეჰ-ეჰ-ეეეე!

მეორე სართულზე თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი წევს ლოგინში, თვალები ეშმაკურად უკიაფებს, ეტყობა, ამ ძახილს ელოდებოდა.

— ოჰ-ოჰ-ოჰ-ოოოო, ბაბუუუ ოჰ-ოჰ-ოჰ-ოოოო! — ხმამაღალი შეძახილითვე პასუხობს ოქროპირი.

— გამოდი, თუ ვაჟკაცი ხარ! — ისმის ქვემოდან ქიშვარდის ხმა.

— დამიძაგრდი, მოხუცო! — გასძახის ოქროპირი და ლოგინიდან წამოხტება. ბაბუა-შვილიშვილი მინდორში გამორბიან ტრუსებისა და მაისურების ამარა და ჭიდაობას იწყებენ.

ჭიდაობას რა უნდა,
ფეხის გამოკვრა უნდა!..

ჭიშკარს ფოსტალიონი მოადგება.

— მასპინძელო!

ჭიდაობას სწყვეტენ.

— ოჰ, მობრძანდი, სულიკო! — შეიპატიჟებს ფოსტალიონს ქიშვარდი, თვითონ კი ოთახში შედის ჩასაცმელად.

ფოსტალიონი დიდი მსხლის ძირას ჩადგმულ მაგიდასთან მიდის, ველოსიპედს ხეს მიაყუდებს, ცარიელ ჩანთასაც იქვე დადებს, ქიშვარდის ჟურნალ-გაზეთებს მაგიდაზე დააწყობს, ჩამოჯდება და ოფლს იწმენდს.

ამასობაში შილიფად ჩაცმული ქიშვარდი ოქროპირს წელზევით ცივი წყლით ზელს, თვითონაც შეისხამს ერთ-ორ მუჭა ცივ წყალს სახეზე, შეიმშრალებს და ფოსტალიონისკენ წავა.

პირველი სართულის ერთი ოთახიდან ქიშვარდის ქალიშვილი ნათელა გამოდის, ლანგრით არყიანი გრაფინი, მსუბუქი საუზმე, ვაზაზე დაყრილი თხილი და ჭიქები გამოაქვს.

არავინ ეპატიჟება სულიკოს და არც თვითონ იდებს თავპატიჟს. ეტყობა, თითო ჭიქის გადაკვრა აქ ყოველდღიურ წესად აქვს დადგენილი და ყველაზე გვიან იმიტომ მიაქვს ქიშვარდისთან გაზეთები.

— სხვა, რას მეტყვი ახალს? — არაყს ასხამს და ეკითხება ქიშვარდი სულიკოს.

— თქვენ ვაჟსა და რძალს აქებენ ძალიან, გეტყოდათ, ალბათ, გერონტი ორშაბათიდან რომ...

— ვიცი, ვიცი, — ქიშვარდის აშკარად სიამოვნებს შვილისა და რძლის ქება. — მერე რაო? დილის მადლი შეგვეწიოს, — ჭიქას მიუჭახუნებს ფოსტალიონს და არაყს გადაჰკრავს.

— მერე რაო და, ყოჩაღ გერონტი და ელიკო, ეს რა დიდებული სავარცხელი მოუგონებიათ. იაფიც ჯდება, ლამაზიც არის და გამძლეცაო. დილის მადლი შეგვეწიოს! — ფოსტალიონიც გადაჰკრავს, გააურჟოლებს, შემდეგ გაუჩრდება, თითქოს არყის რეაქციას ამოწმებსო და კმაყოფილი სახით გადაილებს საუზმეს.

— მაინც რაო, კაცო, რაო? — არ ეშვება ქიშვარდი, ეტყობა, მეტი სასიამოვნო სიტყვების მოსმენა სურს.

ახლა სულიკო ასხამს არაყს.

— რაო და, ჩელიაბინსკელებს ხომ [illegible]რეთ ყოფა, ახლა...

— ჩელიაბინსკი რაა, შე კაცო, ჩელიაბინსკი კი არა და, მგონი...

— კი, კი, მაგასაც ამბობენ, კაცობას გეფიცები... ორი სახარება შეგვეწიოს.

საუზმობენ. სუფრას ოქროპირიც უერთდება. ნათელას ცხელი ხაჭაპური და ჩაი გამოაქვს. ნათელას სუფრაზე გაზეთები ხელს უშლის, ჯერ იღლიაში ამოიჩრის, შემდეგ წასვლისას მიაქვს.

— „სხვას რას წერს მებრძოლი"?

— დუნეთის განახლების პროექტია დაბეჭდილი, — ფრთხილად, სხვათა შორის ამბობს სულიკო.

— მერე ამდენი ხანი გაჩერებული ხარ, შე კაცო? ნათელა, „მებრძოლი" მომიტანე!

ნათელას გაზეთი მოაქვს.

— დუნეთში ახალი შემოსასვლელი გზა კეთდება, საცხოვრებელი სახლები და ადმინისტრაციული შენობა უნდა აშენდეს.

— ოჰო, ყოჩაღ, ქოჩაღ დუნეთელებო! ა, რას იტყვი, ოქროპირ, ვაშენებთ თუ არა ახალ დუნეთს! — ამას ამბობს ქიშვარდი, თან გაზეთს ფურცლავს ნელა და მეოთხე გვერდზე ჩერდება, სადაც დუნეთის პერსპექტიული გეგმაა დაბეჭდილი.

ქიშვარდი აღტაცებული ათვალიერებს გეგმას.

— ჰო, ჰო, ჰო, თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო! ა, ვაშენებთ თუ არა ახალ დუნეთს, ოქროპირ, რას იტყვი შენ.

ოქროპირი წამოდგება, ისიც გეგმას ჩაჰკირკიტებს.

— ეს სულ საცხოვრებელი სახლები იქნება? — ეკითხება ოქროპირი სულიკოს.

— კი, — ნაჩქარევად პასუხობს სულიკო, არაყს ასხამს და დგება, — სამი სახარება შეგვეწიოს!

— ახალ დუნეთს გაუმარჯოს, ჩემო სულიკო, ახალ დუნეთს! დაჯექი, კაცო, რა გეჩქარება.

— არა, მეტი მომივა.

სვამს, შემდეგ ჩანთასა და ველოსიპედს წაავლებს ხელს, ერთი მუჭა თხილს ჯიბეში ჩაიყრის, ეთხოვება მასპინძლებს და კმაყოფილი, რომ ახალი გეგმის განხილვას იოლად დაალწია თავი, ჭიშკრისაკენ მიდის.

●

ალმასკომის თავმჯდომარის ოთახის კარს ფრთხილად აღებენ გიორგი და ვახტანგი. ვახტანგი საშუალო სიმაღლის, სქელი კაცია, გიორგი ქიშვარდივით მაღალი და კაფანდარაა.

თავმჯდომარე კარის ღრიჭოში დაინახავს მათ, წამოდგება შესაგებებლად.

— მობრძანდით, ბატონო გიორგი, მობრძანდით, ბატონო ვახტანგ!

ოთახი პატარაა და უბრალოდ გაწყობილი.

თავმჯდომარე დასვამს ორივეს, თვითონაც დაჯდება და ღიმილით ათვალიერებს მოსულთ.

— როგორ ბრძანდებით, როგორ გიკითხოთ?

— გმადლობთ, არა გვიშავს რა! — პასუხობს გიორგი, საერთოდ, მთელი საუბრის დროს მხოლოდ თავმჯდომარე და გიორგი აქტიურობენ. ვახტანგი გამუდმებით დუმს და ისმენს. გიორგისა და თავმჯდომარის საუბარზე რიაგირებას მისი სახის გამომეტყველება ამჟღავნებს მხოლოდ.

თავმჯდომარე ერთხელ კიდევ დაკვირვებით შეათვალიერებს ორივეს, ჩაახველებს, ყელსახვევს შეისწორებს და ომახიანად დაიწყებს:

— ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე სხდომებს საკუთარ ბინაში ატარებს. რატომო, იკითხავთ, იმიტომ, რომ მის სამუშაო ოთახში მხოლოდ სეიფი და ერთი სკამი ეტევა. განათლების განყოფილების გამგეს ცუდი ბინა აქვს, თვითონ სხვასთან არ დადის, სკოლა სამ ცვლად მუშაობს. ამიტომ იძულებულია, სხდომები მხოლოდ კარგ ამინდში ჩაატაროს ხოლმე ეზოში. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ბავშვებს ზაფხულობით არდადეგები აქვთ. ჩვენ კი იმ ოჯახს ქარხნის ახალ საცხოვრებელ სახლში ორ ბინას ვაძლევთ — სამოთახიანს და ოროთახიანს.

ვახტანგი და გიორგი ჯერ ერთმანეთს გადახედავენ გაკვირვებულები, შემდეგ ცოტა არ იყოს შეშფოთებით დაუწყებენ თვალიერებას თავმჯდომარეს.

თავმჯდომარე მათ უცნაურ მზერას შეამჩნევს და შეჩერდება.

— მაპატიეთ, მგონი ცუდად დავიწყე.

— რას ბრძანებთ, ბატონო, გისმენთ. — არეულად პასუხობს გიორგი.

— ჩვენი დღევანდელი „მებრძოლი“ წაიკითხეთ ალბათ?!

— კი ბატონო, როგორ არა.

— როგორ მოგწონთ დუნეთის გეგმა?

— გადასარევია, ნეტა მოვესწრებოდეთ, თორემ...

— მოსასწრები რა არის, შე კაცო! სამ-ოთხ წელიწადში თითქმის დამთავრებული იქნება ყველაფერი. ახალ სკოლაში წელსვე შევლენ ბავშვები. რაც შეეხება ადმინისტრაციულ შენობას, გაის ამ დროისათვის მზად იქნება. გზის მშენებლობა თბილისის მხრიდან უკვე დაიწყეს, ერთ კვირაში დუნეთიდან შევუდგებით საქმეს.

— ღმერთმა აგაშენოთ!

თავმჯდომარე ცოტა ხანს შეისვენებს, შემდეგ კითხულობს:

— გზა, ხომ იცით, სად უნდა გავიდეს?

— კი, როგორ არა.

— ადმინისტრაციული შენობა სად უნდა აშენდეს, იცით?

— გზის პირას, მაგრამ ზუსტად რა ადგილს, არ ვიცით.

— ჰოდა, ამ საკითხზე შეგაწუხეთ.

— ჩვენ თუკი რამე შეგვიძლია!

— გეგმით, ადმინისტრაციული შენობა ქიშვარდის საკარმიდამო ნაკვეთზე უნდა აშენდეს, — ამას ნაწყვეტ-ნაწყვეტად, თითქმის დამარცვლით ამბობს თავმჯდომარე და გამომცდელად აკვირდება ხან ერთს, ხან მეორეს.

ამ სიტყვებზე გიორგიც და ვახტანგიც ისე შეიშმუშნებიან, თითქოს რაღაც ტვირთი აჰკიდესო უხერხულად. თვალს არიდებენ თავმჯდომარეს. მათთვის უკვე ყველაფერი ნათელია. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ გიორგი ჩაახველებს და გაბედავს:

— ვითომ ცოტა იქით ან აქეთ არ შეიძლებოდა ამ შენობის აშენება?

ვახტანგიც და გიორგიც იმედის თვალით შესცქერიან თავმჯდომარეს.

— სამწუხაროდ, არა, ბევრი ვიწვალეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ყოველი მეტრი გაანგარიშებულია.

— მეხის დაცემასავით იქნება ქიშვარდისთვის, — ამბობს დანაღვლიანებული გიორგი.

— მე ვიცი, თქვენ სამნი ბავშვობიდან მოყოლებული დღემდე განუყრელი მეგობრები ხართ. ქიშვარდის ძალიან უყვარხართ და პატივს სცემს თქვენ სიტყვას.

— ეგ მართალია, მაგრამ...

— ბატონო გიორგი, რადგან დუნეთის ახალი გეგმა რაიონის ინტერესებიდან გამომდინარეობს, უფლება გვაქვს, ქიშვარდის უარს სულაც არ მივაქციოთ ყურადღება, მივცემთ ახალ ბინას, ავუნაზღაურებთ ეზოს საფასურს და ავიღებთ ძველ სახლს. მაგრამ ჩვენ უაღრესად დიდ პატივს ვცემთ ქიშვარდის წარსულს, მის თავდადებას ჩვენი რაიონისათვის, ახლა გერონტი და ლენა?..

— ბოდიში, ბატონო თავმჯდომარე, გაწყვეტინებთ! გერონტი თუ ნახეთ ამ საკითხზე?

— ვნახეთ, როგორ არა, ლენა და გერონტიც იყვნენ აქ.

— მერე?

— თვითონ თანახმანი არიან, მამამისის ეხათრებათ. გერონტიმ თქვა — მოხუცდა და გაუძნელდება მამაპაპური ადგილის მიტოვება. თქვენ თუ ეტყვით, ამჯობინებს, მე შვილი ვარ და შეიძლება უარი მითხრასო.

ოთახში დუმილია. შემდეგ ისევ თავმჯდომარე იწყებს ლაპარაკს:

— ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ თქვენზე შე-

საფერი ვერავინ გამოვძებნეთ ამ საქმისათვის. თქვენ ისევ იკრიბებით მგონი რიგრიგობით?

— კი, ეს კვირა მაგისია.

— დღეს პარასკევია, მიხვალთ?

— კი, დღესაც და ხვალაც უნდა მივიდეთ.

— ჰოდა, ძალიან კარგი. ეს საქმე, როგორც ძველმა და გამოცდილმა ადვოკატმა ვახტანგმა უნდა წამოიწყოს ჩემი აზრით.

ვახტანგი ბურთივით შეხტება, შემდეგ საცოდავად გადახედავს ჯერ ერთს, შემდეგ მეორეს.

თავმჯდომარე შეამჩნევს ვახტანგის გამოხედვას და ღიმილით ეუბნება:

— მე კაცო, რაც შენ თაღლითები და ქურდები დაგიცავს, ერთხელ ჩვენი კანონიერი საქმეც დაიცავი!

გიორგის უხარია, პირველი სიტყვა ვახტანგს რომ დაევალა და თვითონაც ხმას აწევს თავმჯდომარეს:

— რა თქმა უნდა, ვახტანგის სიტყვას სხვა ძალა აქვს. სად მაგისი გამოცდილება ამ საქმეში და სად ჩემი!

ვახტანგი გაბრაზებით გახედავს მეგობარს, ხშირ-ხშირად იწმენდს ოფლს, ხვნეშის.

— ჰო, რაც მთავარია, ბატონო ვახტანგ, — ამბობს თავმჯდომარე, — საქმე ძალზე საშურია, ახალ სახლში, მესამე სართულზე ერთი სამოთახიანი — გერონტის ოჯახისათვის და იქვე, გვერდით, ოროთახიანი ბინა — ქიშვარდისა და ნათელასათვის მზადა გვაქვს. რა დღესაც თანხმობას იტყვის, იმ დღესვე კომისია შეაფასებს ეზოს და ფულსაც გადავუხდით. მოკლედ, დრო არ ითმენს.

— ჩვენ ჩვენი მხრით არაფერს დავიშურებთ, — ამბობს გიორგი.

თავმჯდომარე წამოდგება.

— ახლა მაპატიეთ, ქარხანაში უნდა წავიდე, ორშაბათიდან, ხომ იცით...

— კი, კი, როგორ არა, გრეხილი, ხომ?

— ჰოდა, თათბირი გვაქვს დანიშნული...

სტუმრებიც წამოდგებიან. თავმჯდომარე სათითაოდ ართმევს ხელს მათ და აცილებს.

— მოკლედ, თქვენი იმედი მაქვს. პასუხი ხვალ დილით შემატყობინეთ.

●

მოედნის მხრიდან ქიშვარდის სახლისკენ ახალგაზრდა, ასე, ოცდახუთ-ოცდაექვსი წლის კაცი მიდის. თვალშისაცემად აცვია. ქიშკარს მიადგება. ხედავს, ხის ძირას ჩადგმულ მაგიდაზე ბაბუა და შვილიშვილი ჭადრაკს თამაშობენ.

— ახლა დავრაზმავ ჩემს მხედრებს, — ესმის ოქროპირის ხმა.

ცოტა ხანს გაუბედავად დგას, შემდეგ დაიძახებს:

— ქიშვარდი ბიძია, გამარჯობათ!

მოჭადრაკეები სტუმარს გახედავენ.

— საინტერესოა, ახლა რას მოიგონებს, — ეუბნება დაბალი ხმით ქიშვარდი ოქროპირს, სტუმარს კი ხმამაღლა გასძახებს: — გაგიმარჯოს, მობრძანდი, სოზარ!

— გმადლობთ, ბიძია ქიშვარდი, მეჩქარება, იქნებ სავარცხელი მათხოვოთ.

ბაბუა და შვილიშვილი გაკვირვებით გადახედავენ ერთმანეთს.

მეორე სართულის ფანჯარას ნათელა მოსდგომია, ფარდას იფარებს და ისე გასცქერის სოზარს. სავარცხლის ხსენებაზე სიცილი აუვარდება.

— სავარცხელი? — გაკვირვებით კითხულობს ქიშვარდი.

— კი, სავარცხელი, ჩემი სახლში დამრჩა და...

ნათელა ფარდას შორდება.

— ნათელა! — გასძახის ქიშვარდი. — სოზარს სავარცხელი გამოუტანე!

ნათელა კიბეზე ჩამორბის, სოზარისთვის სავარცხელი მოაქვს.

ქიშკართან დგანან. სოზარი დაბნეულია, გულმოდგინედ ივარცხნის შემელოტებულ თავს.

— კი მაგრამ, სხვა ვერაფერი მოიგონე?

— რა ვიცი, დავიბენი. სამსახურში რატომ არა ხარ?

— დღეს და ხვალ მამას რიგია და ვახშამს ვამზადებ სტუმრებისათვის.

— შეამზადე?

ნათელა უარის ნიშნად თავს აქნევს.

— გამაგიჟებ, რამდენჯერ გითხარი, შეამზადე და მოვალ-მეთქი!

გოგო დარცხვენილია, თავდახრილი. ბოლოს ჩუმად ამბობს:

— დღეს სტუმრები რომ წავლენ, მერე... იმათ რომ ნახავს, კარგ ხასიათზეა ხოლმე.

სოზარი სავარცხელს უბრუნებს.

— მოხვალ სამსახურში?

— კი, ნახევარ საათში მოვრჩები ყველაფერს.

ამ ხნის განმავლობაში ბაბუა და შვილიშვილი მოჭუტულ თვალებს არ აშორებენ ქალვაჟს.

— გმადლობთ, ბიძია ქიშვარდ! — დაიძახებს წასასვლელად გამზადებული სოზარი.

— არაფრის. დაიტოვე თუ გინდა!

— რა?

— სავარცხელი.

სოზარი დაირცხვენს.

— არა, გმადლობთ, დღეს გრეხილს მომიტანენ... — ამბობს პასუხად და ჩქარი ნაბი-

ᲒᲘᲕᲘ ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ
ᲓᲣᲜᲔᲗᲘ

ჭით შორდება ქიშკარს. ნათელა სახლისკენ მიდის.

ქიშვარდი ნათელას გასაგებად ეკითხება ოქროპირს:

— დალაქი რომ ქუჩა-ქუჩა სავარცხლის თხოვებას დაიწყებს, როგორ უნდა იყოს იმისი საქმე, თუ მეტყვი, ჩემო ოქროპირ?!

— თქმა არ უნდა, ძალიან ცუდად.

— რა უნდა ქნას ასეთმა ხელოსანმა?

— ხელობა უნდა გამოიცვალოს. — ჭკუასაკითხავი კაცივით პასუხობს ოქროპირი.

ნათელა დარცხვენილი აირბენს კიბეზე.

ბაბუა და შვილიშვილი სიცილით უბრუნდებიან ჭადრაკს.

●

ვახტანგი და გიორგი აღმასკომიდან მოდიან. ვახტანგი დაბოღმილია, გიორგი ცოტა დარცხვენილი.

— ჩემი ხელითა ხარ მოსაკლავი, — ამბობს ვახტანგი.

— კაცმა რომ თქვას, მე რა შუაში ვარ?!

— ადვოკატი, ორატორი... გადაგიხდი, თუ ვყოფილვარ კაცი!

გიორგი უფრო მეტად დაირცხვენს.

— კარგი ახლა, მაპატიე, კაცმა რომ თქვას, ჩემი რა ბრალია, თავმჯდომარემ თვითონ გითხრა...

— გაპატიე, კარგია! — ვახტანგი შეჩერდება, გიორგისაც შეაჩერებს და ხმადაბლა ეუბნება: — კლიენტს ფულს ვართმევდი და მოსამართლეს ვაძლევდი, რა ორატორობა უნდა ამას. ქიშვარდის რა, ფულს ხომ ვერ ვაკადრებ!

— რატომ ამბობ ეგრე! ერთხელ, მახსოვს, ისეთი კითხვა მიეცი პატიმარს, მთელი დარბაზი გაიტრუნა. — მაინც ცდილობს ვახტანგის გულის მოგებას გიორგი.

— თვითონ პატიმარმა გამაფრთხილა, ასე მკითხეო, — მოუჭრის ვახტანგი.

გზის გასაყართან ჩერდებიან.

— შენ უფრო უყვარხარ ქიშვარდის, — ბოლო ვარიანტს ცდის გიორგი, მაგრამ ვახტანგი ისე გადახედავს, რომ საბოლოოდ ნებდება.

ცოტა ხანს უბრად დგანან. შემდეგ ისევ გიორგი დაიწყებს მობოდიშებით:

— მე მხოლოდ დავეთანხმე თავმჯდომარეს, კაცმა რომ თქვას...

ვახტანგი მიტრიალდება და სახლისკენ წავა.

— მიხვალ? — დაადევნებს კითხვას გიორგი.

— მივალ, — პასუხობს ვახტანგი.

გიორგი მოპირდაპირე მხარეს გაუყვება.

●

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავტოსადგური და საპარიკმახერო ერთ პატარა ქოხშია მოთავსებული ბაღის შესასვლელის გვერდით. ეს ადგილი დუნეთელებისთვის საყვარელი თავშესაყარი ადგილია. ახლაც სამი-ოთხი ახალგაზრდა იქ ტრიალებს. ერთ-ერთ მათგანს, ქიტესა ჰქვია, იგი ტირს განაგებს.

საპარიკმახეროს შესასვლელთან სკამი დგას. სკამზე ორი მოხუცი ზის და რიგს ელოდება. საპარიკმახეროში სოზარი ერთ ხანში შესულ კაცს პარსავს. ცოტა განზე ორი პატარა ბიჭი დაბალ ჯორკოზე ჩამომჯდარა, შედარებით მაღალ სკამზე შაში გაუშლიათ და თამაშობენ.

ერთი თერთმეტ-თორმეტი წლისა იქნება, მეორე ცოტათი უფროსი. ოთახში სისუფთავეა. კედლებზე რამდენიმე პლაკატი და უამრავი სიგელია გაკრული. პლაკატები შრომისკენ მოუწოდებენ ადამიანებს, ჩარჩოში ჩასმული სიგელები კი სოზარის სოცშეჯიბრებებში გამარჯვებებს ადასტურებს. სარკის გვერდით წარწერა მიუწებებია სოზარს: „თქვენ გემსახურებათ ხელოსანი ს. ჯეირანაშვილი". გვარი დიდი ასოებითაა დაწერილი.

გარეთ მდგარი ახალგაზრდები კამათობენ. ერთი მოხუცი უსმენს.

— ქიტესას გუშინ ორმოცდაცამეტი გაუკეთებია ხუთიდან, — ამბობს ერთი.

— ჰოო, ქიტეს? — ეკითხება მეორე.

ქიტესა ბაღის ყორეზე ჩამომჯდარა, გზისკენ იყურება, ბიჭებს ხმას არ სცემს.

— ორმოცდაცამეტი არ ვიცი, ძმაოსა, ორმოცდათერთმეტი კი ნაღდად გამიკეთებია, — ამბობს მესამე.

— ორმოცდათერთმეტი არა! — არ უჯერებს მეორე.

— ჰო-მეთქი, თუგინდ ლუდზე დავნაძლევდეთ.

— ლუდი არ არის.

— ერთ საათში ამოიტანენ ქალაქიდან.

საუბარში მოხუცი ერევა!

— ყველაზე მეტი ქულა ათი არ არი? — კითხულობს იგი:

— ჰო.

— მერე, ხუთიდან ორმოცდათერთმეტი როგორ უნდა მოაგროვო?

— ათიანზე ტყვიას ტყვიაში თუ ჩასვამ, თერთმეტ ქულად ითვლება.

— ჰოო?!

— ქიტესამ გუშინ ორმოცდაცამეტი გააკეთა, ძია შაქრო, არა, ქიტეს? — ამბობს პირველი.

— ქიტესას რა დაუშლის, ამოდენა გინგლა წამოუყუდებულა, სხვა არაფერზე ფიქრობს, — ამბობს მოხუცი, თან სიგარეტს იმზადებს მოსაწევად.

— მაშ არ გინდათ ნაძლევი? — კითხულობს მესამე.

— საცაა ავტობუსი შემოვა, მერე, — პასუხობს მეორე.

ქიტესა წამოდგება, საპარიკმახეროში შევა, მაგიდაზე დაგდებულ ყუთიდან ერთ სიგარეტს აიღებს და მოუკიდებს.

— მოვამზადეო? — ეკითხება სოზარს.

სოზარს კლიენტისთვის ცალი ლოყა თითქმის გაუპარსავს.

— ამ საღამოს აუცილებლადო.

— ეეჰ, — ხელს ჩაიქნევს ქიტესა და გარეთ გადის.

მოედანს გახედავს. მოედანზე ნათელა გამოჩნდება. ქიტესა თავს შეაბრუნებს კარისკენ:

— სოზარ, მოდის!

სოზარი წამსვე ანებებს პარსვას თავს, ხალათს იხდის, კარადის კარს აღებს და ჰკიდებს. შემდეგ სარკესთან მივა, თავის თავს ათვალიერებს, კმაყოფილია.

ცალლოყაგაპარსულ კლიენტს გული ცუდს უგრძნობს, სკამის სახელურებზე ნერვულად ათამაშებს თითებს.

— კიდევ წახველ, კაცო? — ეკითხება დალაქს.

— გიგუშ, გააგრძელე, — კლიენტისკენ არც იყურება, ისე დაუბარებს ერთ-ერთ მოშაშეს სოზარი და კარისკენ წავა.

შედარებით უფროსი მოშაშე დგება, დინჯად მიდის კარადასთან, გამოიღებს მის სარგო თეთრ ხალათს, გადაიცვამს და კლიენტთან მიდის.

— მანამ არ მოიშლის, სანამ ერთხელ მართლა არ გავაგრძელებ მაგას — ჩაიბუზღუნებს დაბოლმილი კლიენტი.

გარეთ ისევ ისე დგანან ბიჭები. მოხუცებიც თავიანთ ადგილებზე სხედან. ქიტესა ბიჭებს შეუერთდება. საპარიკმახეროდან გამოსული სოზარი ბაღის კუთხესთან მდგარ ნათელასაკენ მიდის.

— შეამზადა თუ იცი? — ეკითხება ერთ-ერთი ბიჭი ქიტესას.

— ამ საღამოსო.

სოზარი და ნათელა ბაღის გვერდითა ქუჩას გადაჭრიან და სახლს მიადგებიან. „ბიბლიოთეკა“ აწერია ერთ-ერთ კარს. ნათელა ჩანთიდან გასაღებს იღებს. ათიოდე წლის ბიჭი გამოჩნდება, მათკენ მორბის. სოზარს რომ გაუსწორდება, შეჩერდება:

— გიგუშა იქ არი? — ეკითხება.

— ჰო, რა იყო?

ბიჭი პასუხს არ აძლევს, ისე გაიქცევა.

ნათელა კარს აღებს, ბიბლიოთეკაში შედიან.

გიგუშა კლიენტს პარსავს.

ათიოდე წლის ბიჭი კარს მიადგება.

— გიგუშ, ერთი წუთით გამო!

— რა იყო? — გიგუშა პარსვას თავს ანებებს და გარეთ გამოდის.

ბიჭი მოშორებით გაიყვანს გიგუშას.

— მამა ჩამოვიდა ცხვარიდან.

— მერე?

— მოვკლავო.

— რადაო?

— დალაქობა რა ვაჟკაცის საქმეაო.

— სოზარი თუ დალაქია, ვისზე ნაკლებია, ვითომ?!

— ეგრე უთხრა დედას: ან „მერცხალში“ წავიდეს, ან...

— „მერცხალში“ არ წავალ.

— ან „მერცხალში“ წავიდეს, ან ჩემთან ცხვარშიო, თუ არა და, მოვკლავო.

— ცხვრის პარსვაზე წავალ და მივეხმარები.

— მოკლედ, ახლავე ამოვიდესო.

გიგუშა ცოტა ხანს ჩაფიქრდება, შემდეგ საპარიკმახეროში შევა, ხალათს გაიხდის და კარადისკენ მიდის.

— შეენც, ბიჭო?! — შეშინებული კითხულობს კლიენტი.

— ომარ, გააგრძელე! — ეუბნება ჯორკოზე მოწყენით ჩამომჯდარ მასზე უმცროს მოშაშეს. ომარი გამოცოცხლდება, სწრაფად წამოხტება და ისიც კარადასთან მიდის. მასაც გამოაქვს მისი ზომის ხალათი.

კლიენტს თვალებზე სიმწრის ცრემლები აქვს მომდგარი.

გიგუშა ძმასთან ერთად გამოდის საპარიკმახეროდან.

ომარი დინჯად მიუახლოვდება კლიენტს და ფეხის წვერებზე შედგება.

— ოჰ, ერთი თქვენი თავი მომცა ცხვარში! — ამბობს სატირლად გამზადებული ხმით კლიენტი.

გარეთ ისევ სხედან მოხუცები, ახალგაზრდებიც ისევ ისე დგანან ბაღის შესასვლელთან.

— ხუთ ბოთლს ვყიდულობ, თუ ორმოცდათერთმეტს გააკეთებს, — ამბობს მეორე.

დიდი სიჩქარით მომავალი ავტობუსი გამოჩნდება, მკვეთრად ამუხრუჭებს. გადმოდიან მგზავრები. ზოგი ხელბარგას გარეშეა. უმრავლესობა ქალები არიან, ქალაქში ნავაჭრით დატვირთული ხელჩანთებით. ორი შუახნის კაცი გადმოდის ავტობუსიდან საუბრით, იღლიებში ქალაქური პური ამოუჩრიათ, მეორე ხელით კი თითო შეკვრა ბალახი უჭირავთ. ბაღში შევლენ, ირემს ბალახს გადაუყრიან და გალიის პირდაპირ მდგარ სკამზე ჩამოსხდებიან საუბრის გასაგრძელებლად.

●

უკვე აგრილებულა. ხის ძირას, მაგიდაზე, ქიშვარდი და გიორგი ნარდს თამაშობენ. ვახ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანგი დაღვრემილი ათვალიერებს ეზოს, ნარდს ყურადღებას არ აქცევს.

— მოკალი, თუ ვაჟკაცი ხარ! — ამბობს ქიშვარდი.

გიორგი კარგა ხანს ათვალიერებს ქვების განლაგებას.

— უნდა მოვკლა, მეტი რა გზაა. კამათელი აურიე, იცოდე, თორემ...

გიორგი ქვას უკლავს ქიშვარდის. ქიშვარდი გამეტებით ურევს კამათელს.

— ძაღლის კი არა, სპილოს ძვალი ხარ, გენაცვალე, იაქე! — შესძახებს და კამათლებს შეისვრის.

— ჰო-ჰო-ჰო, რა გითხარით, ძვალი კი არა, ოქროს ნატეხია! ქვას აცოცხლებს. — ნახე, ბიჭო, ვახტანგ, რა ვქენი?!

ქიშვარდი ახლაღა შეამჩნევს ვახტანგი ხადლაც, სხვაგან რომ იყურება და დაღვრემილია.

— შენ რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, რა მოგივიდა? — ეკითხება მეგობარს.

— გეგმაში თუ ეგრეა, ვერაფერს გააწყობ, — დაუფიქრებლად ამბობს ვახტანგი.

— კაცმა რომ თქვას, ნამდვილად ასეა, — იმწამსვე უდასტურებს გიორგი.

ქიშვარდი გაკვირვებით შეხედავს ჯერ ერთს, შემდეგ — მეორეს:

— ავი ზნე ხომ არ შეგყრიათ რამე, გააგორე, თუ კაცი ხარ!..

— ჩვენ ისე, უბრალოდ, ვახტანგი, ხომ იცი, ისე, კაცმა რომ თქვას, გეგმას ვერსად წაუხვალ, — მიკიბულ-მოკიბულად ამბობს გიორგი და კამათელს აგორებს.

ქიშვარდი კამათლებს აღარ აქცევს ყურადღებას, დაეჭვებით აცქერდება მეგობრებს.

— ახლავე თქვით ყველაფერი!

ვახტანგი და გიორგი ხმას არ იღებენ, დასჯილი ბავშვებივით არიან გატრუნულები.

— ჰა, იტყვით თუ არა?!

ბოლოს ვახტანგი დიდი გაჭირვებით, თითქოს თვითონ იყოსო დამნაშავე, ისე საცოდავად გაუსწორებს თვალს ქიშვარდის და შეეკითხება:

— კაცო, დუნეთის ახალი გეგმა ნახე?

●

სამზარეულოში ოქროპირი ღვინის გადმოსხმაში ეხმარება ნათელას.

ლანგარზე პურ-მარილი დაწყობილია უკვე.

— ეგეც ჩამოასხი და გავიტანოთ, — ეუბნება ნათელა ოქროპირს.

ოქროპირი დოქში ღვინის გადმოსხმას ამთავრებს, დოქს ნათელას გაუწვდის, თვითონ ბოცას შეასწორებს და მოულოდნელად ამბობს:

— დალაქობა რა ვაჟკაცის საქმეა.

ნათელა ამ დროს ღვინის წვეთებისგან ამშრალებს დოქს. ოქროპირის სიტყვაზე შეცბება, დოქს მაგიდაზე დადგამს და ბიჭს მოუტრიალდება:

— რაზე ამბობ?

— ვითომ არ იცი, რაზედაც ვამბობ...

— შენ ჭკუით იყავი, თორემ ყურებს აგახევ!

— ნათი, განა ცუდია, კარგი ბიჭია...

— ნათელას ესიამოვნება ოქროპირისგან სოზარის შექება, განაბული უსმენს.

— ...მაგრამ,. აი, დალაქობა, რაღაც არ გამოდის.

— შენ რა, ბაბუაშენმა გითხრა ასე?

— ბაბუაჩემმაც და მეც. რა, სულ პატარა ხო არ უნდა ვიყო?!

— ახლა გაჩუმდი და წაღებაში მომეხმარე.

— დღეს უნდა შეამზადო?

ნათელა გაკვირვებით მოხედავს ბიჭს, მერე გაეღიმება და ნაღვლიანად ეტყვის:

— ბარემ მინდოდა, მაგრამ დღესაც ისეთი დღე გამოვიდა, რო...

●

მაგიდასთან მეგობრები ისე სხედან, თითქოს ერთმანეთთან უბრად არიანო. ნათელა მოდის, მაგიდის საფარი მოაქვს.

— აღარ თამაშობთ? — კითხულობს იგი.

არავინ პასუხობს.

ნათელა ხვდება, რომ სათქმელი უკვე ნათქვამია და ფრთხილად ალაგებს ნარდს. მაგიდის საფარს აფარებს. შემდეგ მიდის და ლანგრით საუზმე მოაქვს, გვერდით ოქროპირი მოყვება დოქებით ხელში.

— ბარაქა სუფრას, — ამბობს ოქროპირი და დოქებს მაგიდაზე შემოდგამს. დაღვრემილ მოხუცებს რომ დაინახავს, ქიშვარდთან მიდის და მუხლებზე შემოაჯდება. ნათელა სუფრას აწყობს.

— რა იყო, ბაბუ?

— ოჰ, შენ ხარ, ოქროპირ! ვაჟკაცი გვსტუმრებია, აბა, დრო დავიწყოთ, ღვინო ჩამოასხი, ვახტანგ!

ვახტანგი ღვინოს ასხამს. ნათელა ისევ სამზარეულოსკენ მიდის.

— გაგიმარჯოს, — ამბობს ქიშვარდი და ჭიქას მიუჭახუნებს მეგობრებს. მოისმის მოტოროლერის ხმა. ვახტანგი და გიორგი შვებით გადახედავენ ერთმანეთს.

ჭიშკარს მოტოროლერი მოადგება. ლენა გადმოდის მანქანიდან და ჭიშკარს აღებს. გერონტი პირდაპირ სუფრასთან მოაყენებს მოტოროლერს.

— კამპანიას გაუმარჯოს!

●

საღამოს. დუნეთის ქუჩებში ბოლო ცვლას მორჩენილი, სახლისკენ მიმავალი მუშები გა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩნდებიან. ყველას სავარცხელი უდევს სპეცტანსაცმლის გულისჯიბეში. სამი მუშა მოედნიდან ერთ ვიწრო ქუჩაზე გადაუხვევს და სასადილოს კარს მიადგება.

— რას იზამ, ძმაო, ნაძლევი ნაძლევია. — ამშვიდებს ახალგაზრდას და სუსტს შუახნის ზორბა მუშა.

— ვახშმობის წინ კიდეც მოგვიხდება ახ-ასი. — მხარს უბამს პირველს მეორე მუშა, ტანად ისიც მოსული კაცია.

— კარგით ერთი, გეყოფათ, შედით ახლა, — ამბობს სუსტი.

შედიან, პირდაპირ დახლთან მივლენ. პირველი მუშა სასადილოს თვალს მოავლებს, კუთხის მაგიდასთან სოზარს და მის მეგობრებს დაინახავს, ისევ დახლისკენ მიბრუნდება. სოზარი მათკენ ზურგშექცევით ზის და ახალმოსულებს ვერ ხედავს.

— ას-ასი დაგვისხი, — ეუბნება სუსტი დახლიდარს.

დახლიდარი დახლს სველ ჩვარს გადაუსვამს, ჭიქებს დადგამს და გახსნილ ბოთლს წაავლებს ხელს. ზორბა მუშა შეაჩერებს:

— ბარემ ერთი ბოთლი გახსენი, რაღაა გასაყოფი, — თან ამხანაგებს გადახედავს.

— სწორია, — ადასტურებს მეორე, — დასაყოლებელიც მოგვეცი რამე.

სუსტი ხმას არ იღებს.

ზორბა ასხამს, გაგვიმარჯოსო, ამბობს, სვამს და საჭმელს აყოლებს, თან სუსტს ამხნევებს:

— მიდი, კაცო, რა სტუმარივით იქცევი.

სუსტს, ეტყობა, არ უნდა დალევა, არ უნდა კი არა, არ შეუძლია. ისეთი სახე აქვს, შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს არაყი დანალევი. დიდი დაძაბვით იღებს ჭიქას და ნელ-ნელა, ზიზღით, სახედაღმეჭილი სვამს. მოიშორებს თუ არა ჭიქას, მწვანილს იტენის პირში და გააყრუოლებს. ბოლოს დაცხრება, სახე დაულაგდება. როგორც კი სამშვიდობოს იგრძნობს თავს, დინჯად ეუბნება ამხანაგებს:

— კარგი ჩამოსხმაა.

ჭამით გართული მუშები თავის ქნევით ეთანხმებიან.

ზორბა ბოთლს ჩამოასრულებს.

— კიდევ გაგვიმარჯოს! — ამბობს და გადაჰკრავს. მეორე მუშა და სუსტიც სვამენ. სუსტი აღარ იჯღანება, ცოტა მწვანილს წაწიწკნის და უმიზეზოდ გაიცინებს მხოლოდ.

— გვიანგარიშე, — ეუბნება ზორბა დახლიდარს. დახლიდარი საანგარიშოს გადმოიღებს და ანგარიშობს. სუსტი ფულს ამოიღებს და გადათვლის.

— მაგას კიდევ ხუთი ბოთლი ღვინო დაუმატე, — ეუბნება ზორბა დახლიდარს.

სუსტი ზორბას ახედავს, გაუღიმებს, გადათვლილ ფულს კიდევ წაუმატებს და უაზროდ შეაცქერდება დახლიდარს. დახლიდარი კიდევ ჩაყრის ანგარიშში. სუსტი ფულს აძლევს. ზორბა სუსტის ჯიბიდან სავარცხელს ამოიღებს, დახლიდარს აძლევს და ეუბნება:

— ღვინოსა და სავარცხელს სოზარს მიართმევ, ჩვენ რო წავალთ, მერე

— არის, — ეუბნება დახლიდარი.

სუსტს იქით-აქედან ხელს ამოსდებენ და სასდილოდან გადიან.

კუთხის მაგიდასთან სოზარი, ქიტესა და ქიტესას სამი დამქაში სხედან და ღვინოს სვამენ. ყველანი დაღვრემილები არიან.

მოდის დახლიდარი. ღვინო მოაქვს.

— კამპანიას გაუმარჯოს, სოზარს მოართმევს.

სოზარი მიმოიხედავს. მოშორებით მხოლოდ ორი უცხო კაცი ზის.

— ვინ იყო?

— შაქრომ მოგართვა.

— რა კაცია, კაცო, ეს შაქრო! — ამბობს პირველი ახალგაზრდა

— ძალიან პურმარილიანია, — ეთანხმება მეორე.

— თან ესეც გამომატანა, — ამბობს დახლიდარი და ჯიბიდან სავარცხელს იღებს. სავარცხელი ახალია, გრეხილს რომ ეძახიან, იმისი ნიმუშია. ყველა აღტაცებულია. სავარცხელი ხელიდან ხელში გადადის.

— ნახე რა ნაკეთობაა!

— ანტიკაა!

— რა თქვი?

— კარგია-მეთქი, რა!

— ჰო, ძალიან კარგია!

სოზარი სავარცხელს ჯიბეში იდებს, დახლიდარი ქიტესას გამოწვდილ ჭიქას ართმევს, გაგიმარჯოთო, დალოცავს სუფრას, სვამს და მიდის.

— შაქროს გაუმარჯოს! — ამბობს ქიტესა.

— გაუმარჯოს, მართლაც კაცური კაცია!

— ძალიან პურმარილიანია!

სვამენ. პირველი აღტაცება ქრება. ისევ ჩაფიქრებულსა და დაძაბულ სახეებს მიიღებენ. განსაკუთრებით სოზარს ეტყობა ნერვულობა. კარგა ხნის შემდეგ ქიტესა ამბობს:

— ეჰ, მახლას, დღევანდელი დღე კარგი ყოფილიყოს!

ჭიქებს უჭახუნებენ ერთმანეთს, სვამენ. ისევ დუმილია. უცებ ქიტესა მოუბრუნდება სოზარს:

— კაცო, ხომ უყვარხარ?

ბიჭები სოზარს მიაჩერდებიან.

— შენს გარდა, არავინ მინდაო და, რა ვიცი.

— მაშ, უყვარებიხარ!

— ეგრე გამოდის.

---

გივი კახიანი

დუნეთი

— მერე ეგ დალოცვილი, ადგეს და გამოგყვეს, — ამბობს პირველი

— ქიშვარდის სჯერა.

— შენ უყვარხარ და ქიშვარდის სჯერა? — იკვირვებს მეორე.

— იმ ოჯახში ყველას ქიშვარდისა სჯერა.

კიდევ დუმილი. შემდეგ მესამე ბიჭი კითხულობს:

— ქიშვარდიმ რაღა მინდაო?

— ხელობა გამოიცვლოს, დალაქობა რა ვაჟკაცის საქმეაო!

— აუჰ! — შეიცხადებს სამივე ბიჭი ერთხმად. ქიტესა დუმს.

— შენც ადექი და დაუმტკიცე შენი ვაჟკაცობა, — ამბობს პირველი.

— ჰო, ადექი და წაართვი გოგო, — მხარს უბამს მეორე.

სოზარი ხელს ჩაიქნევს, შემდეგ ღვინოს ჩამოასხამს.

— ნათელას გაუმარჯოს, კარგი გოგოა, — ამბობს ქიტესა.

ხუთივენი სვამენ.

— „მერცხალში" წავიდეს, ანდა ცხვარშიო. ან იქ რა მინდა, ან იქა! იმას კი არ იტყვიან, რომ მთელ დუნეთში ზოგი მეცხვარეა და ზოგიც სავარცხლებს აკეთებს, კარგი პარიკმახერი კი მე ვარ მხოლოდ.

— სწორია! — ეთანხმებიან ბიჭები.

ქიტესა ღვინოს ასხამს.

— თითოც დავლიოთ, დღევანდელი დღე კარგად დამთავრებულიყოს! — ამბობს იგი.

— იმ ჩემი ცოდვით სავსეებსაც რომ დღეს მოუნდათ გეგმის დაბეჭდვა!

— აბა!

სვამენ. ცოტა ხანს დუმილია. მოულოდნელად პირველი ახალგაზრდა ეკითხება სოზარს:

— ბიჭო, უარი რომ გითხრას, რა უნდა ქნა, ჰა?

თანამეინახეებს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ყველა სოზარს მიაჩერდება დაძაბული. სოზარიც დაძაბულია და ჩაფიქრებული. შემდეგ ამხანაგებს არ უყურებს, ისე ამბობს მძიმედ და შეუვალად:

— ეს ისევე იქნება, ახალდედაგარდაცვლილი, ნერვულ პარიკმახერს კლიენტმა წვერის პარსვის დროს უმიზეზოდ დედა რომ შეაგინოს!

ნათქვამის აზრს მიუხვედრებელი ბიჭები ისევ სოზარს შესცქერიან, მხოლოდ ქიტესა იტყვის:

— ეგრეც ვიცოდი...

— როგორ? — ახლა ქიტესას მიუბრუნდებიან ბიჭები.

— ყელს გამოვჭრით!



●

ეროვნული

აულაგებელ სუფრის თავზე ნათურა ანათებს. სუფრასთან პაპიროსის ბოლში გახვეული ქიშვარდი ზის მხოლოდ. სტუმრები წასულან. ოქროპირსაც სძინავს ალბათ, ზევით, მშობლებთან. დიდხანს ზის ასე ქიშვარდი. ცოტა მოშორებით ხეს მიყრდნობილი ნათელა მოჩანს. ბოლოს ნათელა წამოვა მაგიდისკენ.

ქიშვარდის ჭურჭლის ხმა გამოიყვანს ფიქრებიდან. ნათელა სუფრას ალაგებს.

— ო, შენა ხარ, ნათი?!

— ცუდად ხომ არა ხარ, მამა?

— მე ცუდად რა გამხდის, ჩამოჯექი.

ნათელა გვერდით მიუჯდება მამას, ხელს გადახვევს და თავს მკერდზე მიადებს. ცრემლები ადგება თვალებზე.

— საწყალ უდედაშენობას რახან გავუძელ, ქვა ვყოფილვარ, ქვაზე მაგარი.

ნათელა თვალებს ხუჭავს კურცხალი მაინც მოუონავს. კარგა ხანს არიან ასე.

— ძალიან გიყვრს ის ბიჭი, გოგო? — ეკითხება ქიშვარდი. მის ხმაში სევდაა, სიბერისა და მარტოობის დიდი სევდა.

ნათელა თვალს არ ახელს, ისე აქნევს თანხმობის ნიშნად მამის მკერდზე თავს.

— ჰო, შვილო, უნდა გიყვარდეს აბა, რა, ცხოვრება თქვენია. სოზარიც კარგი ბიჭია.

ნათელა თავს ველარ იკავებს, მეორე ხელსაც მოხვევს მამამისს, კოცნის, თან ხმამაღლა ტირის.

ქიშვარდსაც უკიაფობს თვალები.

●

ადრიანი დილაა. ქალაქის ყოველი მხრიდან ქარხნისაკენ მიმავალი მუშები მოჩანან. მოდიან მარტონი, წყვილ-წყვილად, ერთმანეთს ელოდებიან, ესალმებიან, იკვრებიან ჯგუფებად და მიკითხვ-მოკითხვითა და საუბრით აგრძელებენ გზას.

თითქმის ყველას პატარა თივის შეკვრა აქვს იღლიაში ამოჩრილი. როგორც კი ბაღს გაუსწორდებიან, შიგ შედიან, შეკვრას ირემს გადაუგდებენ და კვლავ აგრძელებენ გზას. რამდენიმე მუშა ქარხნის მხრიდან მოდის საუბრით გართული. შევლენ ბაღში, გადაუყრიან ირემს ბალახს და ისევ ქარხნისაკენ ბრუნდებიან.

ხუთსართულიანი სახლი. მესამე სართულის ერთი ოთახი. ტახტზე ქიშვარდი წევს, თვალები დახუჭული აქვს. უცებ ხელებს გადაშლის და თვალებს არც ახელს, ისე იძახის მთელი ხმით:

— ჰე-ჰე-ჰე-ეეეე, ოქროპიიიიირ, ეჰ-ეჰ-ეჰ-ეეეე!

— ოჰ-ოჰ-ოჰ-ოოო, ბაბუუუუ, ოჰ-ოჰ-ოჰ-

ოოოო! — ისმის ოქროპირის საპასუხო ხმა გვერდით ბინიდან.

ძახილზე ქარხნისაკენ მიმავალი მუშები ჩერდებიან, ხუთსართულიანი სახლისკენ იცქირებიან, სახლის ფანჯრებს აქა-იქ ფარდები ეხსნება.

— გამოდი, თუ ხარ ვაჟკაცი! — ისმის ქიშვარდის ხმა.

— დამიმაგრდი, მოხუცო! — პასუხობს ოქროპირი.

— რა მოხდა?

— საიდანაა ყვირილი?!

— მგონი ქიშვარდის ხმაა!

— ჩქარა, კაცო, გერონტისთან, უჭირთ!

ხალხი მირბის სადარბაზოსაკენ. უკვე ხუთსართულიანი სახლის ყველა ფარდა გადახსნილია. იყურებიან ფანჯრებიდან, ერთმანეთს უხმობენ, მიუთითებენ, ხალხი წრიალებს.

ტახტზე ქიშვარდი წამომჯდარა, უაზროდ ათვალიერებს კედლებს. შემდეგ დგება, ნელ-ნელა იცვამს და მძიმე ნაბიჯებით გადის ოთახიდან. კიბეზე უკვე ხალხია თავმოყრილი. უცებ მოტეხილი, თვალსა და ხელს შუა დაბერებული ქიშვარდი კიბეზე ეშვება. გატრუნული ხალხი გზას აძლევს. ზევით, ცოტა მოშორებით, გამოჩნდება, როგორ მიარღვევს ხალხს ოქროპირი ქიშვარდისკენ.

ქიშვარდი ბაღში შედის. სკამს ეძებს დასაჯდომად. გალიის წინ დაინახავს ბაღის ერთადერთ სკამს, მიდის და დაჯდება, მის წინ ირემია, მასავით სევდიანი, უკვე ყველაფერს შეჩვეული და შეგუებული, მაგრამ მაინც თვალებში ცრემლჩამდგარი.

ხალხი ნელ-ნელა იშლება.

ოქროპირი მიდის ბაბუასთან, მუხლზე ჩამოუჯდება და ხელს გადახვევს მხარზე.

ორივენი ირემს შესცქერიან.

— რა ლამაზი ირემია, არა ბაბუ?

— ჰო, ბაბუ, ლამაზია.

— ცოდვაა.

— ჰო, ცოდვაა, ბაბუ.

— ბაღის უფროსს რომ ვთხოვოთ, არ გაუშვებს?

— ვთხოვოთ, ბაბუ, იქნებ გაუშვას კიდეც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელა შალვაშვილი

## მომაშველე მზე!

ხასიათწამხდარია ამინდი,
გუნებამტკივანი — მე,
თვითონაც აღარ ვიცი, რა მინდა,
ვიცი კი: მიშველის მზე!
ელვა გამოკრთება კანტიკუნტად,
წამისად გაარღვევს ბნელს,
ოჰ! ეს უმზეობა როგორ მხუთავს,
რა უიმედობას მფენს.
გუნებაწამხდარია ამინდი,
ხასიათმტკივანი — მე,
ცაო, ეს ბნელი დღე რად მინდა, —
ჩქარა მომაშველე მზე!

## ოჰ, ეს სიზმრები!

მიგეჩქარებათ, — არ დაგაყოვნებთ, —
ყველას თავ-თავის გზები მიგვიხმობს,
მეც ჩემი გზა მაქვს, თან... აყოლილი
სიზმრები უნდა გადავიკითხო.
ოჰ, ეს სიზმრები! — საიდან მოდის,
წუხელის თეთრი მხედარი ვნახე,
თეთრ ცხენზე მჯდარი თეთრ ველზე ჰქროდა
თეთრი ეფინა ვეება სახლებს, —
იდგა სითეთრე და ამ სითეთრით
სიმშვიდე იდგა უნეტარესი,
ჰყვაოდა მთვარე — ზეცის სიკეთე,
კრთოდნენ ვარსკვლავნი — მთვარის ფარეშნი.
და მაინც სხვაგვარ ჩაეჭდო მზერას
თეთრი მხედარის თეთრ ველზე ქროლა,
მისი მახვილით დაძრული ელვა
და თეთრი ველით მოგვრილი თრთოლა.
ოჰ, ეს სიზმრები! გულიგულ ძილში
საიდან სად არ გახეტიალებს,
ცხადით სიზმრების გარჩევას გიშლის,
რევს სიზმარეულ-ცხადლივ იარებს.

## ლოდინით ვცოცხლობ...

აი, ეს ჟამი, რომელიც მიყვარს, —
გამომიცოცხლდნენ მკვდარი ჭადრები...
უჩინო ქარი ჭადრებში ბრიყვობს,
მზერა ხასხასა ჭადრებს ადნება...
ჰოი, ეს ჟამი რარიგად მიყვარს, —
როცა მაისი ედება ხმელეთს...
ერთი წლის წინაც ამგვარად იყო,
ასე იქნება ერთი წლის მერეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდის მაისი და... ისევ მოდის,
მოვა და მწვანეს დაანთებს კოცონს...
წლიდან წლობამდის ვუნდები ლოდინს
და ამ მაისის ლოდინით ვცოცხლობ.

## ᲐᲡᲔᲗ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ

გლეხის ქალიშვილი — ტირიფი, —
თავდახრილი და მორცხვი,
წიფელი — ჩაცმული შილიფად,
მწვანეგადაკრული ბორცვი,
ნიავი — მოჩურჩულე აბრეშუმი,
ღელე — აწყვეტილი კვიცი,
შროშანი — კრთომა-შარიშური,
გვირილა — ქალწული მკვირცხლი,
იები — წმინდანთა იერი,
ჰაერი — ჯანსაღი, ხმიერი;

ბუჩქები — ბოხვერა ბელები,
გაცრიატებული ბაიები...
ხენი — ცადაწვდილი ხელები,
ჭრიჭინობელები — ველური არიები...
ჭაბუკი უფლისწული — ალვა,
მზეთუნახავი — მინდორი,
შინდი — მოყვავილე ქარვა,
გული — ხალასი და მიმნდობი...
ოჰ! აქ სიცოცხლეა გავლა, —
ასეთ გარემოში მინდოდი.

## ᲤᲠᲗᲔᲑᲘᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ

ენა წაერთვა ჩემს სიყვარულს, წაერთვა ენა, —
მარადიული, მრავლისმთქმელი დუმილი ერგო...
ზესვლას ჩვეული, უეცარად დავეშვი ფერდობს,
უიშვიათეს სტუმრად მექცა ზეობა-ლხენა.

არ გამიხუნდა მარტოოდენ მომავლის რწმენა,
მინთია იგი უკვდავ ბაზმად, როგორაც მენთო...
სხეულსა ზედა არა ღმერთი, ეს... რწმენა ღმერთობს,
მაპურებს, და ვით იის კონას, — მაწოდებს თმენას.

არცა მუდარა-ღაღადისით ვაწუხებ ზენას, —
ეს ღაღადისი ფუჭი გარჯა მგონია ერთობ...
და მაძლიერებს რწმენა, როგორც არწივი — ერდოს,

როგორც განთიადს მგალობელი ფრთოსნების ფრფვენა,
ოღონდაც გწამდეს, რას იწამებ, ზენას თუ ქვენას,
ეს სულერთია, რადგან კაცის ფრთებია რწმენა.

## ᲗᲣᲙᲘ...

თუკი ამ სოფელს ისეთს დავტოვებ,
ჩემი მოსვლისას იყო როგორიც,
რაღად მოვედი, ჩემო ბატონო,
ამ ფუჭად მოსვლის ვინ არს მომგონი.
თუკი ამ სოფელს დავტოვებ ისეთს,
როგორიც ჩემი მოსვლისას იყო, —
მაშინ ვინ მეტყვის აქ მოსვლის
მიზეზს,
იქნება ერთი ქვა აკლდა რიყეს?!

თუკი ამ სოფელს ისეთს დავტოვებ
როგორიც იყო იგი ჩემამდე,
რაღად მიბოძეთ გონი, ბატონო,
უგუნურების ჯურღმულს შემაგდეთ!
თუკი ამ სოფელს ისეთს დავტოვებ,
როგორიც იყო ჩემამდე იგი,
რად მომიყვანეთ, დიდო ბატონო,
დაირღვეოდა არმოსვლით რიგი?

თამაზ ჯიბლაშვილი

# [illegible]

რომანი

— ენა ხომ არ გადაგიყლაპია, თამამად თქვი! ამბერკი მძიმედ სუნთქავდა, ხელებს ისრესდა და იატაკს ჩასცქეროდა.

— გასაგებია ყველაფერი, — თქვა დათომ, — ამბერკი აღიარებს დანაშაულს, ეს ერთიც ვაპატიოთ!

კრებიდან გამოსულს თავი მტკიოდა. მშიოდა კიდეც. მე და ცალტვინა მაღაზიაში შევედით და მშრალი საჭმელი ვიყიდეთ, შინ რომ მივედით, სუფრა გავაწყეთ. ლერიმ გრაფინით წყალი შემოიტანა.

ვიღაცამ დააკაკუნა, ლერი წამოდგა და კარი გააღო. ამბერკი გატრიალდა, მერე მოვალო. გავედი, ხელი მკლავში ჩავავლე და შემოვიყვანე. მოდი, არა გშია-მეთქი. სუფრიდან ახლა ავდექით; ცალკე მინდა გელაპარაკო.. ლერი წამოხტა, წავალ, ოღონდ არ იჩხუბოთო. ამბერკი აიწურა, მხრები აიჩეჩა და საყვედურით შეხედა. ლერი წავიდა. ამბერკიმ ბალიშიდან სიგარეტი აიღო და ასანთი მთხოვა.

— იცი, რაზე მოვედი, ყური დამიგდე, — სახეში კი არ მიყურებს, კედელს შესცქერის, — როგორც გინდა ისე ჩამითვალე, არც ბოდიშის მოსახდელად მოვსულვარ და არც პატიებისთვის. ცუდად გამომივიდა. ქარხნის დარდი აღარ მაქვს, თქვენ რომ გაწყენინეთ, იმაზე მწყდება გული, მეც კაცი ვ:რ, ხო იცი?..

ამბერკი ფანჯრისკენ მიტრიალდა.

— სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. — მე ვეუბნები.

— ჩემს მაგივრად რატომ გეუხერხულება? გაუეუილს გატეხილი სჯობია.

— რაც იყო, იყო!..

— არც ისე გაფუჭებული ვარ, რომ კარგი არ მესმოდეს; არც ის იფიქრო, ოსტატი ვარ და მეთვალთმაქცებაო, თავშეუკავებლობის ბრალია ყველაფერი, უცბად ვიცი აპილპილება.

წამო, სუფთა ჰაერზე გავიდეთ-მეთქი, ვუთხარი და წამოვდექი. ძირს რომ ჩავედით, ვარლამა და ცალტვინა ქაქანებდნენ; მივხვდი, ჩვენზე ლაპარაკობდნენ. ჩვენც მათთან დავსხედით. ვარლამას ენა ექავებოდა და გუდას მოხსნა. მერე ადგა, უჯრა გამოსწია და დიდი კონვერტი ამოიღო. კონვერტზე მსხვილი ასოებით ჩემი გვარი და სახელი ეწერა.

ოთახში ავედი და კითხვა დავიწყე.

. . .

20 ივნისი.

გამოკეტილ ოთახში ვზივარ. არასოდეს ასე მარტო არ ვყოფილვარ. ფანჯარასაც არ ვეკარები, სულმა გარეთ არ წამძლიოს-მეთქი. მაგნიტოფონს ჩასართავი გაუტყდა, კაპიკია ახლა ამის ფასი. ტელევიზორის ანტენა ქარმა გადაღრიცა და აღარ აჩვენებს.

ერთი სიტყვით, მარტო ვარ, ნამდვილად ჩემს თავს ვეკუთვნი. საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებით გამოვტენე ოთახი. თავაუღებლივ ვმეცადინეობ ან თვალებს დავხუჭავ ხოლმე და ვფიქრობ.

26 ივნისი.

ისევ გამოკეტილში ვარ. დედა და მამა აგარაკზე წავიდნენ. საჭმლისთვისაც აღარ გამოვდივარ გარეთ. მეზობლის ქალი შემომიტანს ხოლმე ხანდახან. ალბათ გაგიკვირდება, რა სიგიჟეა ასკეტური ცხოვრებაო. ცხოვრებას კი არ გავურბივარ, ახლა მარტო ვარ და ძალაუნებურად ასე გამომდის.

ისე კი ისევ ბლომად ვეწევი; ცოტათი გულგრილიც გავხდი. არ გეგონოს, რომ გარდავიქმენი. კაცი რომ ერთ დღეში მამა აბრამის ბატკანი გახდება, სიმართლე გითხრა, იმისი არაფერი მწამს. თუმცა, ხომ გახსოვს, გვადი ბიგვაზე რომ მეუბნებოდი, ხომ შეიძლება მეც

---

დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ცისკარი“ № 10, 11.

ერთ დღეში გავიგო ამ ქვეყნის ავ-კარგი. იმ დღეს ზოგიერთ რამეში მართალი იყავი და იმიტომაც გამოგთათხე. გაიხსენე. შენგან დამდუღრულივით წამოვედი. მთელი ღამე თეთრად გავათენე და შემზიზღდი. განა მარტო შენ, ჩემი თავიც შემზიზღდა.

14 ივლისი.

ხვალ მოსკოვს მივდივარ. მამა მომყვება. არ ვიცი, სად ჩავაბარებ. მგონი, კარგად მოვემზადე, თუ ბედი მაქვს, წყალში არ ჩამეყრება წვალება. წინასწარ რა გითხრა. იქნებ ჩემკენაც მოიხედოს ღმერთმა.

25 ივლისი.

გუშინ მთელი დღე ქალაქში დავყიალებდი. ჩემმა ბიძაშვილმა ნახევარი მოსკოვი შემომატარა.

15 აგვისტო.

ორი ხუთიანი ჩამიწიკწიკეს...

26 აგვისტო.

სიხარული განგიცდია? ასეთი დიდი სიხარული პირველად ვიგრძენი. მოკლედ, იმ გრძელ სიაში ჩემი გვარიც წერია. გათავდა, სტუდენტი ვარ!

29 აგვისტო.

მე და ნატალია პროხოროვნა ახლახან საჯარო ბიბლიოთეკიდან დავბრუნდით. პროხოროვნა წიგნების გიჟია. ოთახები უნიკალური გამოცემებით აქვს გამოჭედილი. ხვალ დიდ თეატრში ვაპირებთ წასვლას. ნატალია პროხოროვნა კარგ გუნებაზეა, ზეგ მისი ვაჟიშვილი იგორი ჩამოდის. მე არ ვიცნობ, მაგრამ პროხოროვნა ძალიან აქებს.

15 სექტემბერი.

ლექციები დამეწყო. სამყაროს რომ გავურბოდი, მთლად ასე არ ყოფილა საქმე. იგორი ჩამოვიდა და ამაფორიაქა. კარგი ბიჭია. გუშინ კინოში ვიყავით. ხელი მთხოვა, აღარ ვიცი რა ვქნა. პასუხი არ მითქვამს, ან რა პასუხი უნდა გავცე, ერთი კვირის გაცნობილი მყავს, ესეც რომ მატყუარა გამოდგეს, გავგიჟდები. ისე კი დაულაგებელი არ უნდა იყოს. გული მეუბნება ჰოობა უთხარიო. მანდ რომ ჩამოვიდე, რა უნდა გავაკეთო, მაინც ამრეზილად მიყურებთ და, თუ ბედი მაქვს, აქაც ბედნიერი ვიქნები. ვერ გეტყვი, რა მოხდება.

. . .

დიდხანს ვფურცლავდი რვეულს. შიგადაშიგ ხელმეორედ ვკითხულობდი და ჯულიაზე ვფიქრობდი. არ გამკვირვებია, დღიური რომ მე გამომიგზავნა.

კედლისკენ გადავბრუნდი და თვალები დავხუჭე, დღის სიჩუმეს ვუგდებდი ყურს. ნალვლიანი ზამთარი უქაროდ ზაფრავდა ფოთლებგაყვითლებულ ხეებს. ვიღაცამ კარზე დააკაკუნა, ვარლამმა ღრეჭვით შემოვიდა, თავთან დამიჯდა.

როგორა ხარ, ძველო? —

— ძველებურად. — ავდექი და რვეული ბალიშის ქვეშ ამოვდე.

— დადიანივით რომ გაშხლართულხარ, [illegible]ში ვერ გამოხვალ?

— ვერა ხედავ, რა ამინდია, ძაღლს არ გააგდებენ გარეთ.

ვარლამამ ფანჯარაში გაიხედა, „პრიმა“ მოსრისა და გამომცდელად შემომხედა, რას მიყურებ-მეთქი, ისეო, მეუბნება

მერე ალმაცერად შემომხედა და ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა.

— წამო, ივლიანეს შევუაროთ, ნაავადმყოფარია და გოუხარდება.

ყელი შევიფუთნე და ძირს ჩავედით. ივლიანე სავარძელში იჯდა და მეთვრამეტე ხმით ხვრინავდა. გრძელ მერხზე ჩამოვსხედით. ვარლამამ ყასიდად ჩაახველა.

ივლიანე წამოიზლაზნა, სანამ ძილბურანიდან გამოვიდოდა, ონკანთან მიბარბაცდა, სახე წყლით მოიზუნზლა და, გამარჯობათო, მოკვიტრიალდა.

— რავა ხარ, ივლიანე? — ვარლამამ ფეხი ფეხზე შემოიდო.

ივლიანემ სახე შეიმშრალა, სარკეში ჩაიხედა, გახეშეშებული, გათეთრებული თმა გადაივარცხნა და სავარძელში მოკალათდა.

— შენ რავა ხარ, ვარლამა ჩატონო?

— რა მიჭირს, თუ არის — ვფქვავ, მინდს არ ვიწუნებ.

— აგაშენა ღმერთმა!

— იწექი ივლიანე?

— აბა, რადიკულიტმა დამარტყა და კინაღამ შენი ჭირი წავიღე. გოდოუშენდაყენ პატრონი, დაიწყო ზამთარი და მომკლავს.

— კი გვინდოდა მოსვლა, მარა...

— რა ისმის ქვეყნიერებაზე ახალი, ვარლამა? — ივლიანემ მაკრატლით წარბზე ბეწვი შეიჭრა.

— არაფერი, ძველებურად ვცხოვრობთ.

— ამ ჭირიან ჩინელებს ვერაფერი გავუგე და შენ არ იტყვი, რაშია საქმე?

— მაგათ თვითონ არ იციან, რა უნდებლარიან და მე რა გითხრა. ისე კაცმა რომ თქვას, თლა ვერ არის დალაგებული ამბავი. ჩვენი ტერიტორია დაგვიბრუნეთო.

— რომელიო, რას ამბობ?

— რომელიო და ისაო. ჩვენი მამა-პაპა მაგ ადგილებში ნადირობდა და ჩვენიაო ურალამდე რომ მიწებია, იმას გვედავებიან.

— თნი არ უნდათ?

— ჯერ ეს დაგვიბრუნეთ და ონზე და ამბროლაურზე მერე ვილაპარაკოთო.

ივლიანემ თეთრი, ნაოჭებიანი თითები უპეებში ამოისვა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგას ჰიტლერივით ხომ არ მოუვა, თუ იცი?

— მაქამდე არ მივა საქმე.

— თუ ჭკუა აქვს, არ უნდა მივიდეს. კამეჩთან მარქენალ ხარს რქები შერჩება? მეტი არაა ჩემი მტერი!

ვარლამამ კვერი დაუკრა, თუ გონზე არ მოვიდნენ, საქმე ნაღდად ცუდად წაუვათო.

ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ იფხორებოდა სარკეში ივლიანე, მერე როგორ გაიზმორა, გადაწვა და ორივე ხელი ხალათზე აისვჩაისვა. ბებრული, ფუმფულა ლოყები ჩაუცხრა და თითქოს ყელი უნდა გამოსჭრანო, უკან გადააგდო თავი, ის თავი, რომელიც ყოველთვის უცნაურ რამეებზე ფიქრობდა და ხშირად პატრონსაც და ვარლამასაც გამოუვალ მდგომარეობაში აგდებდა. არც ვარლამა გახლდათ მამა აბრამის ბატკანი, ხანდახან ისეთ მწარე-მწარეს ეტყოდა, ივლიანე ხმას ვერ იღებდა, მაგრამ ივლიანეს უფრო დაბრიყვებული ჰყავდა ჩვენი შვეიცარი, რადგან კარგა ბევრად უფროსი იყო მასზე და არც ვარლამა იყო ისეთი კაცი, ზრდილობის არითმეტიკა არ სცოდნოდა, უთმობდა.

ერთხელ ვარლამა ნასვამი მობრძანდა ონიდან. კარგა ხანს იბოდიალა, ლობე-ყორეს მოედო და დივანზე გაიშხლართა. ვიღაცამ ხელები გულზე დაუკრიფა. ივლიანემ თეთრი, გახამებული გულსაფარი გამოიტანა და სუდარასავით გადააფარა. ცალტვინამ თავთან სანთელი აუნთო. მთელი საერთო საცხოვრებელი ვესტიბიულში მოგროვდა. ზურია მიქაძემ მაგნიტოფონი ჩართო — „დაისის“ შესავალი ჩაუკრა. იქ ამბავი ატყდა, ჩტრისას! ლოლა ძლივს გააკავეს, ვარლამას გაღვიძება უნდოდა. შინაურები საპატიო ყარაულში ვიდექით. ხალხი გვეხვეოდა და ზუზუნებდა. ამბერკიმ დაიძახა, ტახტი შუაგულ ვესტიბიულში გადავდგათო. დავტაცეთ ხელი და გავიტანეთ. ლოლა რომ ლოლაა, იმანაც ვეღარ შეიკავა სიცილი. პანაშვიდი დამთავრებული არ იყო, რომ ვარლამამ გვერდი იცვალა, ყველანი სადალაქოში გავიკრიფეთ და იქიდან ვზვერავდით. ვარლამამ გვერდი ისევ იცვალა, მერე დააცხიკა და წამოდგა. სკამზე სანთელთან ერთად ვარლამას სათვალე, საბუთები და ახალთ-ახალი გაზეთები ეწყო. ვარლამა წამოიზლაზნა. აქეთიქით გაიხედ-გამოიხედა და ხმამაღლა შეიკურთხა. სანთელი კარადის უჯრაში ჩამალა, საბუთები ჯიბეში ჩაილაგა და გაზეთის კითხვას შეუდგა. ივლიანემ ვეღარ მოითმინა და გავიდა.

— წინსაფარი დავკარგე და აქ არ ყოფილა!

— შენია, ივლიანე?

— ა, შტამპი! — აჩვენა ივლიანემ.

— წამძინებია ბოშო.

ივლიანემ წინსაფარი აიღო, დაფცერთხა და დაკეცა. მეც გავედი, მივედი და გვერდში დავუსკუპდი.

— შენ ამინთე სანთელი? — ვარლამამ მეკითხება.

— რა სანთელი?

— არ ვკვდები და თავს არ გამანებებთ?

— რას ამბობ, ვარლამა?

...— გახსოვს შარშან სუდარაში რომ გამოგაწყვეთ! — გაიხსენა ივლიანემ.

— მახსოვს, — თქვა ვარლამამ, — სანთელი შენ ამინთე, ხო? — მე მეკითხება.

— არა, ცალტვინამ!

— ძაღლის სანთელი, ბოშო?

— ორნახადი თაფლისა იყო!

— ორნახადი თაფლი ვის გაუგონია, შე ჩურჩუტო?

— ბებიაჩემი თაფლს ორჯერ ხარშავს, შაქრიანობა ემატებაო.

— არაყიც ორნახადი ექნება ბებიაშენს?

— კი, ღვინოსაც სამ-სამჯერ აყენებს, თოფივით გამოდის!

წადი, დაიკარგე აქედანო, დამიღრიალა და გვერდზე გაიწია. ხმა აღარ გამიცია, ავდექი და გამოვედი. ხვავრიელად ბარდნიდა. აფივფივებული ბელურები თოვლში იკენკებოდნენ, თოვლისგან დამძიმებული ტოტები მიწისკენ იზნიქებოდა და გაზონების მთელ მწკრივს თეთრი ხალიჩა ეფინა.

ჩვენი ქუჩის იქით, მეოთხე ქუჩაზე ცირა უნდა მოსულიყო. მივდიოდი და გახურებულ შუბლს თოვლის ფანტელები მიგრილებდა. ბავშვები სკვერში გამოშლილიყვნენ და ერთი ურიამული გაჰქონდათ.

დავინახე, ცირა რომ სადარბაზოდან გამოვიდა. ქუჩა ისეთი ნათელი იყო, ჩრდილი არ მოჰყვებოდა. ბოლო დროს გულს ისეთი ბაგაბუგი აღარ გაუდიოდა, მაგრამ იმ წუთში კარგა გვარიანად კი მიცემდა. მივედი და წინ ავეტუზე.

— ვერ შემაშინებ. — მითხრა ცირამ.

ჩემს სიცოცხლეში პირველად გამოვდე მკლავში ხელი და ქუჩას გავუყევით. ისევ თოვდა, აცაბაცად, მაგრამ მშვიდად და მე აღარ ვგრძობდი ზამთრის ნაღველს. ცირა საყელოში იფუთნებოდა და ცოტათი მეკვროდა კიდეც. ქალაქი სითეთრეში იყო ჩაფლული...

14.

შინ რომ მივედი, ვარლამამ დეპეშა დამახვედრა, ბებიაშენი საიქიოში გამოუძახიათ და აბა შენ იცი, თავი არ მოიკლაო, გული ჩამწყდა. ოთახში აღარ ავსულვარ, ამ წუთში მივდივარ-მეთქი, ვუთხარი ვარლამას და გარეთ გამოვედი. სანამ ტაქსს დავიჭერდი, კარგა ხანს ვიყურყუტე სიცივეში. ვიდექი და ბებიაჩემზე ვფიქრობდი, მერე შევბრუნდი და გაითზს და-

ვურეკე. ასე და ასეა ჩემი საქმე და სოფელში გავრბივარ-მეთქი.

ავტობუსს სულზე მივუსწარი. ის იყო, უნდა დაძრულიყო. შოფერმა მითხრა, ფეხზე დგომა მოგიწევსო, დავყაბულდი, მერე რაღაც ყუთზე დამსვა და კარგა მაგრად დავიჟეჟე. მაგრამ არად ჩამიგდია, ვიჯექი და თვალწინ ბებია მედგა.

შინ რომ მივედი, ნათესავები აზმუვლდნენ, დედაჩემმა შემომტირა და მეც გვარიანად ვიზლუქუნე. მამაჩემი მარანში სახლიკაცებს ეთათბირებოდა. დამინახა თუ არა, ბიჭი ჩამოსულაო, ჩაილაპარაკა და გადამეხვია. ახლა მეზობლებმა ჩამომართვეს ხელი. ერთმა, ახლო ნათესავად რომ გვერგებოდა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა და ისიც კი მითხრა, ბებიაშენი რომ არ მომკვდარიყო, მიქელ-გაბრიელი მეც შენს უნახავს წამიყვანდაო.

იმ საღამოს დიდყურიანთ მოსემ გადაგვიპატიჟა, შიმშილით ნუ დაიხოცებით, მიცვალებულს თითო ჭიქა წავუქციოთ, კარგი დედაკაცი იყო, ეკუთვნისო. ჩემი ძმა არ წამოვიდა, შინ დავრჩები, საქმე მაქვსო. გავედი და ჯერ სახლს შემოვუარე, აქა-იქ კედლები დაბზარულიყო. ეზოსაც დატყობოდა მამაჩემის სიბერე. ბოსელში დასაკლავად გამზადებული მოზვერი თივას იცოხნებოდა და, რომ შევედი, საცოდავად შემომხედა, მეწველი ძროხა კუთხეში მიმდგარიყო. ბოსელი მივათვალიერ-მოვათვალიერე და გარეთ გამოვედი. ციოდა. ცივგომბორზე უკვე ჩამოეთოვა...

დამიძახეს, მოსე იყო, მეზობელი, გელოდებითო. სუფრა დიდ ოთახში გაეწყოთ და ხალვათობა იყო. სულ შინაურები იყვნენ, მაშინვე დავსხედით. კარგა მოშიებული ვიყავი, პირველმა ჭიქამ დამარეტიანა, მეორემ დამათრო...

დასაფლავების დღეს დილიდანვე თოვდა. ჯერ თხლად წამოთოვა, მერე წამოუშინა, ღობეები დათოვა. კარგა ხანს ბარდნიდა. ხალხი ილანძღებოდა, რაღა დღეს მოუნდა, დაბინდებამდე მაინც ეცლიაო. ეზო და ორღობე გადათეთრდა, სახლის სახურავებმაც იცვალეს ფერი. თოვდა და თოვდა. ჩემს კბილა ბიჭებში ვიდექი. ბიჭები ლაზღანდარობდნენ, შიგადაშიგ ზოგიერთი ჩუმად იცინოდა კიდეც. მე რომ იქ არ ვყოფილიყავი, ისეთ რამეებს იტყოდნენ, სიცილით დაიხოცებოდნენ. ანეკდოტები რომ დაიწყეს, ვითომ საქმე მაქვს-მეთქი, გამოვბრუნდი და ორღობე მოვათვალიერე, ძალიან ხომ არ აიჭინჭყლა, გასასვლელად როგორი იქნებამეთქი. გამოვედი და თვალს არ ვუჯერებ. ავტობუსი გაჩერდა! ჯერ ვარლამმა ჩამოხტა, მერე ცალტვინა, ცოტა ხანში მთელი ბრიგადა ჩამოლაგდა. ვარლამა წინ მოდის და ხელებს მოიქნევს. გადამეხვია და მკოცნის, ბიჭებმა სათითაოდ გადამკოცნეს, ბოლოს გაიოზმა მაკოცა. ვდგავარ და თვალით ცირას დავეძებ. არ ჩანდა. ზოია და მაყვალა აბუზულები მიყურებდნენ. ამათი დანახვა კი გამიხარდა, მაგრამ მაინც ცუდ გუნებაზე დავდექი. ვარლამა მოვიდა. და მკლავში ხელი გამიყარა; გათოშილი, ცხვირი ასწითლებია. ქუდი გვერდზე მოუგდია, კინტოსა ჰგავს, ოღონდ უხეიროს; ცალტვინა თვალს მიკრავს, ნაყლურწია და ეპატიებაო. მაღლა ავიყვანე. ქუდმოხდილი ვარლამა რომ დავინახე, კინაღამ სიცილი წამსკდა — სერიოზული, მაგრამ გამოთაყვანებული სიფათი ჰქონდა. ერთიორჯერ წაუსრუტუნა კიდეც, მერე დააცხიკა და ცალტვინამ ბეჭებში ჩასცხო.

გარეთ გამოვედით. თოვს, ნუღარ იტყვი. უფრო მოემატებინა, ეზოშიც დაედო და ღობეებზეც. სიგარეტს მოვუკიდე, ვარლამამ ყარაულისა ამოიღო, თან მეუბნება, სადმე გვერდზე მივდგეთ, სალაპარაკო მაქვსო. ვიფიქრე, ალბათ ცირამ დააბარა-მეთქი რამე.

თვალი თვალში გამიყარა და კუშტად მითხრა:

— ბრიგადიდან ბიჭები გადაუყვანიათ.

— რაო?

— ცალტვინას დიდი უსიამოვნება მოუვიდა უფროსებთან.

— მერე?

— რაღა მერე, პავლე მოსკოვში გამოუძახებიათ და აბესალომმა ნახა დრო, რავარც უნდოდა, ისე გააკეთა.

— ბრიგადა მართლა დაშალეს?

— მოსატყუებელი რა მაქვს. ე. დოუძაბე ბიჭებს და ჰკითხე.

— ორი დღეა, რაც წამოვედი.

— შენ რომ წამოდი, იმ დღეს დაუწერიათ ბრძანება. კაცმა რომ თქვას, მთლად კი არ დაუშლიათ, მარა რაღა კომკავშირული გამოვიდა.

კანკალმა ამიტანა. ვარლამამ „პრიმა" მომაწოდა და ასანთი ამინთო. თვითონაც ხელი უკანკალებდა, მაგრამ ვითომც არაფერიო, ნაფაზს ნაფაზზე არტყამდა და მერე ფეხების ბაკუნსაც მოჰყვა. გააჩერე-მეთქი, მცივაო. კი არა სციოდა, ნერვიულობით მოსდიოდა. ცალტვინას დაუქნია თითი.

— ბრიგადა მართლა დაშალეს? — ცალტვინას ვკითხე.

— თითქმის.

— ოთარი სად არი?

— სამდღიან სემინარზე გამოიძახეს, ხვალ ჩამოვა. პავლეც მოსკოვშია.

— რამდენი გადაიყვანეს?

— რაც კაი ბიჭები იყო, ყველა გადაიყვანეს.

— შოთაც?

— ჰო. ამბერკი დატოვეს, მაგას თქვენს მეტი ვერავინ მოუვლისო.

---

თამაზ ჯიბლაშვილი

ადამიანი მარტო არ არის

— კარგი და პატიოსანი. პავლემ იცოდა ეს ამბავი?

— მგონი არა. ჩამოვა და მაგათ ეშმაკებს დაუფრთხობს.

ვიდექი და ხან ცალტვინას შევყურებდი, ხან — ვარლამას. აღარ თოვდა, თოვლი დნებოდა და სახურავებიდან წვეთ-წვეთად ჩამოდიოდა. ხალხი ეზოში გამოიშალა. ცოტა ხანში ბებია გამოვასვენეთ. სასულე ორკესტრი უკრავდა. ორღობეები და მთელი ეზო ხალხით აივსო. ვარლამა გვერდში მედგა, ხელში ქუდი ეჭირა და სრუტუნებდა. გზაზე რომ გავედით, თოვლჭყაპი წამოვიდა. ხალხმა ნაბიჯს აუჩქარა. თხელ პლაშჩში გამოწყობილი ვარლამა კარგა გვარიანად ამოილუმპა. სუფრას რომ მივუსხედით, არაყი მოითხოვა, მოართვეს და გადახუხა, ეს გასახურებლადო, მერე კი ღვინო სვა და გამოთაყვანდა კიდეც. დარდიან გულზე მეც გადავყლურწე, ბიჭებსაც დავალევინე. ავტობუსში რომ ავლაგდით, ვარლამას სლოკინი აუვარდა: აქ ქელეხში ისეთი პურ-მარილი იციან, სამი იმერელი გადაიხდის ქორწილსო. ქალაქში რომ ჩამოვედით, პირველად ვარლამა მივიყვანეთ შინ, მერე შოფერმა საერთო საცხოვრებელში მიგვლალა. კარგა ხანს ვიწრიალე. დილით ადრიანად გამეღვიძა. ცალტვიპაც წამოვაგდე, საამქროში წავიდეთ-მეთქი.

სანამ ოთარი მოვიდოდა, სადისპეტჩეროში შევიარეთ. ცვლის უფროსები რაღაცაზე კინკლაობდნენ და იმათ ყაყანში არაფერი ისმოდა. დისპეტჩერს ვთხოვე, დაურეკეთ, გაიოზი მოვიდა თუ არა-მეთქი. არაო, მითხრა. უკან გამოვბრუნდით. ოთარი მოსულიყო და იმასთან შევედით. ცერად ამომხედა და გამიღიმა.

— გაიგე, ბრიგადა რომ დაშალეს? — ვეკითხები.

— როგორ თუ დაშალეს?!

— ისე. აიღეს და დაშალეს!

— ვინაო, რას ამბობ?

— სოფელში ვიყავი, ბებია მომიკვდა, ჰოდა, ეს ამბავი დამხვდა.

ოთარმა ყურმილი აიღო და დისპეტჩერს დაურეკა.

— ალო, აბესალომი საამქროშია? მოძებნეთ, დამირეკოს, დიახ, დიახ...

— რაღა შოთა გადაიყვანეს, უმაგისოდ როგორ უნდა ვიმუშაოთ? ეგ კაცი იყო და ბრიგადა!

— დაიცა, დაიცა, ახლავე გავარკვევ.

— გახსოვთ, რა ამბავი იყო, არამც და არამც ბრიგადა არ დაშალოთო. ავდგები და კომკავშირის ქალაქკომში წავალ.

— გულს ნუ იხეთქავ, ყველაფერი წესრიგში იქნება.

— ერთი ხელის მოსმით რომ გადაწყვიტა, ვითომ რაო, ეგ ხომ არ არის ამ საამქროს ბატონ-პატრონი?

— მოვა და გავიგებთ, რაშია საქმე.

ამასობაში კარიც გაიღო. აბესალომი შემოვიდა და მაგიდას მიუჯდა.

— კომკავშირელები გვიჩივიან, — ეუბნება.

— რაო, რა უნდათ?

სიგარეტი ამოვიღე;

— დაგიშლიათ ბეთანელის ბრიგადა.

— არა, ხალხი გადავიყვანეთ.

— ხომ მოვილაპარაკეთ, ამ ბრიგადისთვის ხელი არ უნდა გვეხლო.

— ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ... ასე ჩავთვალე საჭიროდ.

— რატომ არ დაგვიცადეთ?

— საქმე გაფუჭდებოდა, ოთარ!

— ერთი ბრიგადიდან რომ თორმეტი გადაიყვანეთ, სად გაგონილა?

— მეც ბევრი ვიფიქრე, მაგრამ რა უნდა მექნა. ამ ბოლო დროს საამქროდან სამოცამდე კაცი წავიდა. სერიოზული საფრთხის წინაშე ვდგავართ. ხალხი გვაკლია, ლამისაა გეგმა ჩაგვივარდეს.

— ესე იგი, არ ვაკეთებთ იმას, რაც მუშას აკმაყოფილებს, თორემ რატომ უნდა მიდიოდნენ საამქროდან? პირობებს ვერ ვუქმნით და იმიტომ! მიზეზი უამრავია და გასარკვევი, თითოეული მუშა უნდა შევისწავლოთ, უნდა შევისწავლოთ მათი სურვილები, დიახ, ეს მთავარია, თუმცა, ჯერ კომკავშირულ ბრიგადაზე ვილაპარაკოთ. აბესალომ, დღესვე უნდა დავაბრუნოთ ბიჭები.

აბესალომმა მხრები აიჩეჩა, გრაფინიდან წყალი დაისხა და შემომხედა. ვიჯექი და ვუყურებდი. არც ის მეპუებოდა, მერე გაეცინა.

— კარგი, ყველაფერს გავაკეთებ. ეს კომკავშირელები ისეთი ხალხია, ვერ ვუღალატებ. — ადგა და კარი გაიხურა. უხმოდ ვისხედით... შორიდან საამქროს ყრუ გუგუნი ისმოდა. სადღაც ორთქლმავალმა დაიკივლა.

საამქროდან რომ გამოვედი, ბინდდებოდა. ქალაქი უკვე გაეჩირაღდნებინათ. ჩავუარე კაფე „აისს“ და წიგნების მაღაზიისკენ გავწიე. შვიდს ათი წუთი აკლდა. შვიდზე ცირას უნდა შევხვედროდი. ვიდექი სიბნელეში და ვაბოლებდი. ცირა რომ მოვიდა, მკლავში ხელი ჩავავლე და მეორე მხარეს გადავიყვანე.

— სად მიდიხარ? — მეკითხება.

— საცა მარტონი ვიქნებით.

— რა მოგივიდა?

— ისეთ გუნებაზე ვარ, მხოლოდ შენთან მინდა ყოფნა.

პროსპექტზე უხმაუროდ მისრიალებდა ხალხით გაჭედილი ტროლეიბუსი და მავთულებიდან ნაპერწკლებს ისროდა. უილაჯოდ თოვდა. მივდიოდით, თან აბესალომზე ვლაპარაკობდით.

მე აბესალომს ვლანძღავდი და ვემუქრებოდი, ცირა იცინოდა.

— შენ რატომ არ ჩამოხვედი ბებიაჩემის დასაფლავებაზე? — ვკითხე მერე.

— დეპეშა ხომ მიიღე?

— არა.

— დაიფიცე.

— რა მაქვს მოსატყუებელი.

— გინდა ქვითარს გაჩვენებ.

მოვტრიალდი და თმაზე ტუჩები დავადე. რაღაცნაირი სუნი ჰქონდა, დამათრობელი, ყრუანტელმა დამიარა. ნუ გამითამამდიო, ტუჩებზე ხელი ამაფარა. იმდილანდელივით ხელისგულზე ვაკოცე, მერე წელზე ხელი შემოვხვიე და მივიკარი. მოიცაო, მეუბნება, ჯიბიდან მოსაწვევი ამოიღო და მომცა.

— ვარლამა დაპატიჟე, შაბათს ახალგაზრდული შეხვედრა გვაქვს.

— გაუხარდება.

— ჩემგან გადაეცი.

— ძალიან უყვარხარ ვარლამას.

— მეც მიყვარს.

— როცა დამიმარტოხელებს ხოლმე, სულ შენზე მეკითხება, როდის მოგყავსო.

— შენ რას ეუბნები?

— არ მომყვება-მეთქი.

— რატომ ატყუებ?

— როდის ვატყუებ, თუ გამოყოლა გინდა, გამომყევი.

ხელები დამიჭირა და მკერდზე მიიკრა. გორაკიდან თბილისისკენ მიმავალ გზატკეცილს გადავხედეთ. მინდორი დათოვლილი იყო. ქალაქში ჩამოვედით თუ არა, ნაღველი ისევ შემომაწვა. უხმოდ მივუყვებოდით ქუჩას. ირგვლივ ლამპიონები ჩახჩახებდნენ. ხალხი კანტიკუნტად იროდა და აშკარად ემჩნეოდა, როგორ მშვიდდებოდა მთელი დღის ვნიასით დაღლილი ქალაქი.

პროსპექტზე შევუხვიეთ. მოედნის კუთხეში, ბალის გასწვრივ ბიჭები იდგნენ. აქ ყოველთვის დგანან და გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებენ. იქვე შორიახლო რაზმელები ლაპარაკობდნენ. იმათ რომ ჩავუარეთ, ამბერკი შეგვეფეთა, მოგვესალმა და აწეული მხრებით გაიარა, ჩვენ კულტურის სასახლისკენ წავედით. შვეიცარი სკამზე თვლემდა. საცეკვაო დარბაზიდან მუსიკა ისმოდა.

— ბილეთები, — წამოდგა შვეიცარი.

— გინდა შევიდეთ? — ცირას ვეკითხები.

შინ წავიდეთო. უკან გამოვბრუნდით. მოვდივართ და თან ვფიქრობ, ნეტავ სადმე წამაყვანინა-მეთქი ცირა. ოღონდ ისეთ ადგილას, საცა კაცის ჭაჭანება არ იქნებოდა. ტყეში, მეტყევის ქოხში, ანდა სადმე, უკაცრიელ კუნძულზე; ერთი სიტყვით, ათასი აზრი მიტრიალებდა თავში. თუ სიმართლე გინდა, ცირა შინ უნდა მიმეცილებინა, მე კი საერთო საცხოვრებელში ვიყავი წასასვლელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნახე როგორ აგვირ-დაგვირიეს? — ვეკითხები.

— ხვალ ბრძანება იქნება და ბიჭებს დააბრუნებენ.

— ვიცი, მაგრამ რისთვის დასჭირდათ?

ცირამ მხრები აიჩეჩა და შემომხედა. მაღაზიის კუთხეში შევჩერდით. კაცის ჭაჭანება არ არის. გიყვარვარ-მეთქი, ვეკითხები, ნუ მეკითხებიო, ისევ ტუჩებზე მაფარებს ხელისგულს. მე ვჩუმდები, ჩემს ირგვლივ კი ყველაფერი ხმაურობს და კარგა გვარიანად თოვს.

— გვიანაა, წავიდეთ.

— თუ გინდა, ჩემთან წამოდი საერთო საცხოვრებელში.

— გაგიჟდი?

— არ გაინტერესებს, როგორ ვცხოვრობ? დღეს ვარლამა მორიგეობს.

— მოსაწვევი გადაეცი, არ დაგავიწყდეს.

— მომკლავს, რომ დამავიწყდეს.

— წავიდეთ. თეა მგონი ფანჯარაში იჭყიტება.

— ნეტავი მაცოდინა, როგორია ეგ შენი თეა.

— გადარეულია. კატები და ძაღლები უყვარს.

— ვარლამასაც უყვარს კატები და ძაღლები.

— ლოგინში თუ არ ჩაიწვინა, არ დაიძინებს.

— ვარლამას მაწანწალა ძაღლები და კატები უყვარს.

— ნუ სულელობ, კეთილი, პატიოსანი კაცია. აბა შალიკოს კი არა გავს?

სადარბაზომდე მივაცილე და მაშინვე უკან გამოვბრუნდი. ცალტვინა შინ არ დამხვდა. ცოტა ხანს წიგნი ვიკითხე, მერე სინათლე ჩავაქრე. კარგა ხანს არ დამეძინა. გულაღმა ვიწექი და ცირაზე ვფიქრობდი. თვალწინ სულ იმის სახე მედგა და იმის ხმა მესმოდა. ხელებზე და სახეზე იმისი სუნი მქონდა. წამოვდექი და სიგარეტი მოვწიე. ნამწვი რომ გადავაგდე, ფანჯრის რაფაზე ჩამოვჯექი და გარეთ დავიწყე ცქერა. მალე გაზაფხული მოვა-მეთქი, ვფიქრობდი, არც ზამთარი მიყვარს და არც აპანაქება ზაფხული. გაზაფხული და შემოდგომა მირჩევნია.

ისევ ლოგინში შევწექი. ვიწრიალე, ვიწრიალე და ბურანშიც წავედი. დილით სახელდახელოდ ჩავიცვი და პირი დავიბანე. ძირს ჩამოვედი. ვარლამა დივანზე პირქვე იწვა და ხვრინავდა.

— ეი! — დავუძახე.

ვარლამა აკრუსუნდა, გადმოტრიალდა და წამოჯდა. ერთ საათს იზმორებოდა, მერე ქეჩოზე თმა გაისწორა და ქუდი დაიხურა.

— მიდისარ? — მეკითხება.

— მივდივარ. ეს მოსაწვევი გამომართვი, ცირამ გამოგიგზავნა. — თვალები მჭიდებით ამოისრისა და სათვალე წამოიცვა.

— პურ-მარილი გექნებათ?

— თუ მოხვალ, გვექნება.

აშენდა თქვენი ოჯახიო, შემომძახა და საქმიანად წამოდგა. სატინის ხალათი გაისწორა, სარკეში ჩაიხედა და გაიარ-გამოიარა, მერე მოვიდა და გამეჯგიმა.

იმ საღამოს საამქროს წითელ კუთხეში ახალგაზრდული საღამო გაიმართა. ის იყო ორკესტრმა დააგუგუნა, რომ ვარლამაც გამოგვეჭიმა, ახალთ-ახალი შავი კოსტუმი ეცვა და ჰალსტუხიც გაეკეთებინა. ქუდი რომ მოიხადა, სიცილი ამიტყდა, მაგრამ მოვიდა და დამანამუსა, ამ ერთხელ საცინად ნუ ამიგდებ, კარგ გუნებაზე ვარ და ანგარიში გამიწიეო.

ვალსი რომ დაუკრეს, ცირამ პავლე გაიყვანა საცეკვაოდ.

— კარგა ხანია არ მიცეკვია, — უთხრა პავლემ. — ფეხებში გაგებლანდები. — მოხდენილად კი ცეკვავდა. მთელი დარბაზი იმათ უყურებდა. პავლე ცირას ელაპარაკებოდა და ხმამაღლა იცინოდა. ცეკვა რომ დაამთავრეს, კედელთან დადგა და დარბაზი მოათვალიერა. შევყურებდი და ვხედავდი მის დანაოჭებულ სახეს. არც ისე ბებერი იყო, მაგრამ თვალებთან, კუთხეებში უამრავი ნაოჭი ჰქონდა გაბლანდული. დამინახა რომ ვუყურებდი და მკლავზე ხელი დამადო.

— იცი, ჯურხა, — ხმადაბლა მეუბნება, — რაც დღეს იყო, ხვალ აღარ იქნება... მოვა ახალგაზრდობა, სხვა თაობა, ჰოდა, იმის თქმა მინდოდა, ყველას თავისი აქვს გასაკეთებელი.

გავუღიმე და თავი დავუქნიე. მერე ჩემთვის ხმა აღარ გაუცია, იდგა და მოცეკვავეებს ათვალიერებდა. ცალტვინა ვარლამას ექაქანებოდა, ვარლამა შუბლს იჭმუხნიდა და კედელ-კედელ იწევდა. ცოტა ხნის შემდეგ თენგო მოვიდა და გვერდში ამომიდგა.

— ეგ ცხვირი რამ ჩაგიჭყლიტა? — მე ვეკითხები.

— კრივზე დავდივარ.

— კალათბურთელი არა ხარ?!

— ვიყავი.

მუსიკა შეწყდა. ოთარი მოვიდა და კედელთან დაჯდა.

— როგორაა საქმე? — მეკითხება.

— ვცეკვავთ, ვერთობით.

— შალიკო არ ცეკვავს?

— შალიკო მექელეხეა.

იცინის. მეც ვიცინი. შალიკო ანზორ ოზხერელს ექაქანება, ხელებს იქნევს. ანზორი დაჭაბული უგდებს ყურს. იქვე დათო ლომინაძე და ზოია დგანან. ვარლამას თვალი იქით უჭირავს, შალიკოს გაცნობა უნდა, შეპირებული ვარ, გაგაცნობ-მეთქი. ვარლამას ხელი ჩავავლე და შალიკოსთან მივიყვანე, გაიცანით-მეთქი, ხელი მაგრად ჩამოართვეს. შალიკომ იცოდა, ვინც იყო ვარლამა, მაგრამ თვალით არ ენახა და ახლა გულმოდგინედ ათვალიერა. არც ვარლამამ დააკლო, ეს ჩემზე უბედური ჩანსო, შემომჩივლა. ლაპარაკი აღარ გაუბამთ, ცირა მოვიდა და ვარლამას სთხოვა, მეცეკვეო. ვარლამა მოყვდა, არა, შენი ჭირიმე, სად მე და სად ცეკვაო. ცირამ ხელი გაუწოდა, ხათრს ნუ გამიტეხ, ამ ერთხელ მეცეკვეო. ვარლამა გაიოფლა, გასავათდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ცირამ მაინც გაიყვანა. ეს მუზმუზელა ბიჭები არ გადაირივნენ! ზოგმა სტვენა ატეხა, ზოგმა სიცილი. ვარლამამ, ეგრე არ უნდაო და,ა შალახო გაახურა. უნდა გენახა სიცილ-ხარხარი, კინალამ დავიხოცეთ. ჯერ ისევ იმ ამბავში ვიყავით, როცა ღია კარში ამბერკი გამოჩნდა. საყელოგახსნილი, მიჩაჩულ-მოჩაჩული, ბარბაცით შემოვიდა და იქვე გაიხირა.

— მთვრალია, — თქვა ლერიმ.

ამბერკიმ პაპიროსი ამოიღო.

— წამო, გარეთ მოვწიოთ, — დათო მიუახლოვდა, — აქ ნუ მოსწევ.

— საქმე ნახე, — ამბერკი ეუბნება.

— მთელი უფროსობა აქ არის. უხერხულია.

— ჩემი საქმისა მე ვიცი.

— რო გეუბნები, დამიჯერე, უხერხულია.

ამბერკი მიტრიალდა და გაბარბაცდა. ცირა გავიყვანე საცეკვაოდ.- ლილისფერი კაბა ეცვა, მუქი. ძალიან უხდებოდა. თითები მელნით ჰქონდა ისევ დათხვრილი. იცოდა, რომ მომწონდა და ერთი პირობა ვიფიქრე კიდეც, ალბათ ჩემი გულისთვის დაითითხნა-მეთქი. ცეკვა რომ გავათავეთ, ვარლამასთან მივედით. ვარლამა წამოხტა და ცირას თავი დაუკრა. გაგვეცინა. დიდებულად ცეკვავდითო, შეგვაქო. მანამ ქარს ამოვიღებდით, ლერიმ და ზოიამ იცეკვეს, თან ლაპარაკობდნენ და ვარლამას უყურებდნენ. ცეკვა რომ დაამთავრეს, ხელიხელჩაკიდებული გამოვიდნენ. მივედი და ლერის ვეუბნები, ვარლამა პურ-მარილს კისრულობს და ღმერთი არ გაგიწყრეს, გუნება არ გავუფუჭოთ-მეთქი. ვარლამა აიფხორა, ვინც არ იკისროს, ცხვირ-პირი შეურცხვესო. ადგა და ხელი გამომიშვირა, ცაციო. ყასიდად დავურტყი. არაყს მე არა ვსვამ და შენი წყალ-წყალა ღვინო არ დაილევა-მეთქი. კარგა ხანს ვიქაქანეთ, ვარლამა მიხვდა, რომ ვეხუმრებოდით და შეგვეშვა. გარეთ რომ გამოვედით, სიცივემ ამიტანა. თოვდა და ცოტა ნიავიც უბერავდა. ვარლამა პლაშჩში იყო გამოწყობილი და კბილებმა კაწკაწი დაუწყო; მოვდიოდით და ხმამაღლა ვლაპარაკობდით. ვარლამა ცდილობდა ფეხი ჩემთვის აეწყო, მე ნაბიჯს ვურევდი და ვარლამა ბუზღუნებდა. ნასაღდათარი კაცი ვარ,

წესიერი სიარული მიყვარს. თქვენ რა გიშველებათო.

— ცეკვა კი კაი გცოდნია. — ლერი ეუბნება.

— თქვენ რომ ცეკვა იცით, მაგისთანა დავიწყდა. — ხმამაღლა თქვა ვარლამამ.

— რაც მართალია, მართალია, შალახოს ვერავინ დაგიწუნებს. — ახლა მე ვახელებ.

— შენ შალახოს ნუ ეხუმრები. მე რომ ხელს გავშლი, ხალხი წვება.

— ოლონდაც! ვიწექი და ისე გიყურებდი.

ვარლამამ ცირას შეხედა და გამექუანა. საყელო წამოვიწიე. თოვდა-მეთქი. თოვდა კი არა თოვლ-ჭყაპი მოდიოდა. ცირამ მკლავში ხელი გამიყარა და მომეკრა

— გცივა? — ვეკითხები.

ძალიან მცივაო. ვიფიქრე, ტაქსი რომ იყოს, გავაჩერებდი-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე; ცირა გავაცილე. კარგა გვარიანად გავუივდი. შინ რომ მივედი, გავიხადე და მაშინვე ლოგინში შევწექი. გათენებისას ჩამეძინა. დილით ცოტათი თავი მტკიოდა და სახსრებიც მტეხდა. წავივარჯიშე, თუ მიშველის, ეს მიშველის-მეთქი. დერეფანში მოვყევი სირბილს, ოფლიც გამომივიდა და სანამ შემაშრებოდა, ისევ ლოგინში შევძვერი. თორმეტ საათზე ჩიტივით ვიყავი. ვარლამა მომადგა და ადგომა არ მაცალა, ლაპარაკით გამომათაყვანა. ბოლოს მითხრა, სასადილოში ჩავიდეთ. წუხანდელი ნამთვრალევი ვარ და თითო ბოთლი ლუდი გადავკრათო. წავედით. ძეხვიანი ერბოკვერცხი და კატლეტი მოვატანინეთ. ვარლამა კრუსუნებს და ლუდს წრუპავს, თან თვალი სამრეცხაოსკენ უჭირავს. ერთი დალია და მეორე მოატანინა. მერე ადგა და სამრეცხაოს სარკმელს მიადგა. კარგა ხანს იდგა და ქაქანებდა. ბოლოს დავინახე, რუსის ქალს ელაპარაკებოდა. ვიწრო სარკმელში ქალს მხოლოდ ფუმფულა ლოყები მოუჩანდა. ვარლამა თავის ქნევითა და კრეჭვა-კრეჭვით გამობრუნდა. კაი დედაკაცია, გუშინ პირველად გავეარშიყე და მგონი დავიყაბულეო. კარგა ხანს მეტრაბახა. მე რომ ქალები მინახავს, იმდენი მზესუმზირა არ მიჭამიაო.

— რა ჰქვია? — ვეკითხები.

— სიმართლე გითხრა, არ ვიცი.

— ვერ მოგსვლია კაი საქმე.

— სად წავა, ავდგები და ვკითხავ.

— პაემანი თუ დაუნიშნე?

— ხვალ მოვილაპარაკოთო.

— აგრაფინამ რომ გაიგოს, სად მიდიხარ?

— ვერ გაიგებს

— ივლიანეს არ უთხრა, თორემ რადიოში გამოაცხადებს.

— ივლიანეს რა ესმის, ბოშო, ბატივით ორი ფეხი აბია.

სამზარეულოდან ის ქალი გამოდის და მაგიდებს ალაგებს. ვარლამა სკამზე შეტრიალდა. ქალი [illegible]

რებს, რალაცის თქმა უნდა, მაგრამ, ეტყობა, ჩემი ერიდება და სრუტუნებს.

წავალ-მეთქი. ვარლამა არ მიშვებ[illegible] უფრო გაბედულად ვარო. მეცინება. ვარლამა ერთ ადგილზე წრიალებს. ქალმა ყველა მაგიდა აალაგა, ჩვენილა დარჩა. სამრეცხაოში შევიდა და აღარ გამოდის. ვარლამა ნაფაზს ნაფაზზე ურტყამს. მეც ვაბოლებ. ბოლოს ქალი მოდის. ჩაკურატებულია. მოდის კი არა, მოგორავს. თეძოები უთაფთაფებს. ვარლამა მკლავზე ეპოტინება და ჩიქორთული რუსულით ელაპარაკება, სახე ულაულაებს და ყურებიც აწითლებული აქვს. ქალს გაზუნზლული ჩვარი უჭირავს ხელში, ვარლამა სწორედ იმ ხელზე ჩაფრენია და არ უშვებს. ავდექი და გამოვედი. ცოტა ხნის შემდეგ ვარლამაც გამომყვა. სიგარეტი მთხოვა, საღამოთი უნდა ვესტუმროო, მეუბნება.

15

მოყამული ამინდია. არც თოვს, არცა წვიმს. ხანდახან ქარიც წამოუქროლებს და ფანჯრებს აზანზარებს. ჰა, ჰა, მზემ უნდა გამოიხედოს, ღრუბლები წამოუვლის და ისევ ისუდრება ტატნობი. ვარლამას ეგეთი ამინდი არ უყვარს, მცივანაა და ბუზღუნებს. ივლიანეს რადიკულიტმა გაუხსენა, გაუხსენა და საპარიკმახერო გამოაკეტვინა. ვარლამამ დრო იხელთა და შინ ესტუმრა. მეორე დღეს კვეხნით აგვიკლო, ხმაც ამას ჰქვია, მე რომ ხალხს სეირი დავმართეო. არც თვითონ ადგა კარგი დღე. კრუსუნებდა და ვაი დედას იძახდა. გავედი და სასადილოდან ერთი ბოთლი ბორჯომი მოვუტანე. ნეტა ლუდი წამოგეღოო. ლუდიც მოვართვი. დღეს თუ გადავრჩი, ხვალიდან დამლევი აღარა ვარო. ცოტა რომ მოსულიერდა, სასადილოში გავედით და ვისადილეთ. მალე ცალტვინაც გაგვიამხანაგდა, ბიბლიოთეკიდან მოდიოდა და მოშიებული იყო. ვისხედით და უხმოდ ვჭამდით. ვარლამამ ორი ბოთლი ლუდი გამოწრუპა და მოფერიანდა ნუ დაგვზარდები, დალაგებულად მოგვიყევი, გლაშასთან საქმე როგორა გაქვს-მეთქი. გიყვარდეს, გამოცოცხლდა. ამისთანა დედაკაცის მნახველი არა ვარო. სუფთა, სუფთა და ძალიან ადამიანიო. ვუყვარვარ და თავზე მევლებაო. ვსხედვართ და ვხარხარებთ. გლაშა სამრეცხაოს სარკმლიდან იყურება, ვარლამასაც იქითკენ გაურბის თვალი, მერე დგება და მიდის. კარგა ხანს ლაპარაკობენ. გლაშა კისკისებს.

...საერთო საცხოვრებლიდან ცირას დავურეკე, კინოში წავიდეთ-მეთქი. შვიდის ნახევარზე უკვე ერთად ვიყავით.

მივდივართ მე და ცირა და თან ვლაპარა-

კობთ. ჩავუარეთ კაფე „აისს“, საჩუქრების მაღაზიას და ხიდზე გავედით. მოედანი რომ გადავჭერით, ვიღაც გადარეულმა ჩაგვიქროლა და წყალი შემოგვასხა. მოვბრუნდი და მუშტი მოვუღერე. ისე გაქანდა, არც გაუგია. მერე სიგნალით აიკლო იქაურობა. მთვრალიაო. ცირა მეუბნება; კინოსთან ხალვათობა იყო. მოლარეს მეჩვიდმეტე რიგი ვთხოვე. გათავდაო და მეთვრამეტე მომცა. დავსხედით და სინათლეც ჩაქრა. აბდაუბდა სურათი გამოდგა; სიყვარულზე იყო და ლამაზმა გოგომ გამომიკეთა გუნება, თორემ თავიდან გული ვერ დავუდე. მართლა ლამაზი და მოხდენილი იყო. ერთი შეხედვით ცირა მეგონა. უყურე, შენა გვავს-მეთქი. ცირამ ხელზე ხელი მომიჭირა. გაჩუმდით. გავჩუმდი და ეკრანს მივაშტერდი...

საერთო საცხოვრებელში რომ დავბრუნდი, ცალტვინა მაგიდას უჯდა და კითხულობდა. ჩემს საწოლზე ვარლამა გაშხლართულიყო. თვალებზე ქუდი დაეფარებინა და ფშვინავდა. ხმაურზე წამოჯდა. ლერიმ წიგნი დახურა. პალტო გავიხადე და კარადაში შევკიდე. ვარლამა გაიზმორა, თითები გაატკაცუნა და ჩაახველა.

— მოხვედი? — მეკითხება.

— როგორც ხედავ!

— თუ გშია, ძეხვი და ყველი მიირთვი.

— არა მშია.

— მაშ დაჯექი!

ვარლამამ ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და ბალიშზე დადო. მაგიდას მივუჯექი. ოთხად დაკეცილი რვეულის ფურცელი ლია კონვერტიდან ამოვიღე და გავშალე.

„თუ ცირა ქორიძეს თავს არ დაანებებ, მოგკლავ“.

— რავარია? — ვარლამა მეკითხება.

— ძალიან ლაკონურად და გასაგებად არის ნათქვამი, ეტყობა არა ხუმრობს. — ავდექი და სიგარეტს მოვუკიდე. ვარლამა მე მიყურებს, ლერი ჭერს შესცქერის. სიჩუმე ჩამოვარდა. ოღონდ ეგ არის — ქარი აზანზარებს ფანჯრებს. ვარლამა თვალებში მიძვრება და მეკითხება:

— ჰა, ვისზე გაქვს ეჭვი?

მხრები ავიჩიჩე; ვარლამა ჯიქურ მიყურებს და ასკვნის:

— თავი მომჭერი, თუ აიწურაძის ოინები არ იყოს.

— არა მგონია.

— თავი მომჭერითქვა...

— უსაბუთოთ ლაპარაკი არ მიყვარს.

— საბუთი ხელში გიჭირავს.

— ძნელია ამის თქმა, ვარლამა!

— თუ გინდა, ნუ დაიჯერებ. აიწურაძის მამაძაღლობაა, წყალი არ გაუვა.

— რაში დასჭირდა?

— იმაში, რომ გული მოგიკლას. თანაც იმ გოგოზე უჭირავს თვალი. ეგ არი და ეგ.

— ვარლამა მართალს ამბობს, — წამოდგა ცალტვინა. — სხვა ამას არ გააკეთებდა.

ხმა აღარ ამომიღია, გახდა დავიწყე. ვარლამამ კარგა ხანს იწრიალა და წავიდა. ლოგინში მივწექი. ლერიმ სინათლე ჩააქრო და დაწვა.

მთელი კვირა ჩემს ჭკუაზე აღარ ვიყავი, ძაღლის გუნებაზე დავდექი. შაბათს ვარლამას დომინოში წაგებული არაყი ვაყიდინე და გამოვთვერით. წავალ, აიწურაძეს დავიჭერ და ანგარიშს გავუსწორებ-მეთქი. ვარლამამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ცემით კი ნამდვილად ვცემდი. მეყო ამდენი მოთმენა.

კარგა ხანს ვილაპარაკეთ. ცოტა რომ გამოვფხიზლდი, მერელა დავწექი. დილით ადრე გამეღვიძა. საამქროში რომ წავედი, ლერის ისევ ეძინა. აღარ გამიღვიძებია. ჯერ კიდევ კარგა დრო იყო და ეძინოს-მეთქი. მაგრად ციოდა. სწრაფად რომ არ მევლო, გავიყინებოდი. საამქროში მივედი და დგანს შემოვუარე. კუნჭულკუნჭულ დავიარე, წესრიგშია თუ არა-მეთქი. ცვლა რომ ჩავიბარე, ცოტა გუნებაზე მოვედი, დგანიც გამართულად მუშაობდა და ამან უფრო გამომაკეთა. ერთი სიტყვით, საქმე კარგად მიდიოდა. არც სხვა ბრიგადები მუშაობდნენ ურიგოდ, მაგრამ ჩვენ მეტს გვაქებდნენ. მანამ ხალხს გადაიყვან-გადმოიყვანდნენ, ზედიზედ ორჯერ გავიმარჯვეთ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მერე ცოტათი გული გაგვიტყდა, მაგრამ ბიჭები მალე დაშოშმინდნენ, რახან გაგვწირეთ, ეხლა ჩვენ ვიცით და თუ კიდე გიხლიათ ხელი, თქვენ თავს დააბრალეთო. პავლემაც ისეთ დღეში ჩაყარა ზოგ-ზოგები, რომ კისერი აეწვათ. მორჩა, გათავდა, თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვის, ხელს აღარ გახლებთო. შოთაც დაგვიბრუნეს და სხვა კაი ბიჭებიც. ამბერკი აიწურაძე რომ არა გვყოლოდა, რა გვიჭირდა. ყველას ყელში ამოგვივიდა. შევახურებდით, ერთი-ორი დღე თუ ეყოფოდა. მერე ისევ თავიდან იწყებდა. დაგვიანებასა და გაცდენას ვინა ჩიოდა, მთვრალი მოვიდოდა ხოლმე და, იმის შიში გვქონდა, მარცხი არაფერი მოუვიდესო.

კარგა რომ მოდღევდა, ელექტრიკოსებს შევუარე, ოპერატორის პულტი არ მომწონს და ნახეთ-მეთქი. უფროსი ელექტრიკოსი სადღაც გასულიყო და ჩამოვჯექი. ვზივარ და სამაქანო დარბაზს ვათვალიერებ. მეტაბელე გოგო შემოვიდა, წამო, საამქროს უფროსი გეძახისო. გავყევი. კაბინეტში რომ შევედი, რასა ვხედავ, ამბერკი არა დგას. გაიოზი მაგიდასთან ზის და პავლეს ფერიფური აქვს წასული. შევედი და კარებთან დავდექი. პავლე ზის და მე მიყურებს, ამბერკი თავჩაღუნულია, მუჭში სისხლიანი ცხვირსახოცი უჭირავს. თან მინდა ვკითხო, რა მოხდა-მეთქი, თან — ხმა ვერ ამომიღია. მივედი და მაგიდას მივუჯექი.

— რა ვქნათ, ჯურხა? — პავლე მეკითხება — ეტყობა ამას საშველი არ დაადგება.

— რა მოხდა?

— ზედ არ ეტყობა, სასადილოში აყალმაყალი აუტეხავს და იქაურობა დაულეწია. — გაიოზი ამბობს, თან ამბერკის უყურებს, სახეზე ზიზღი ალბეჭდვია. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. საგლინავი საამქროს გადასწვრივ ორთქლმავალმა დაიკივლა.

— ეგ ცხვირ-პირი ვინ გაგილამაზა? — ვეკითხები.

ამბერკიმ ღვარძლიანად ასწია თავი და ცერად შემომხედა. პავლეს ფერი უფრო წაუვიდა. ვიცოდი იმის ამბავი, ერთი თუ იფეთქებდა, ვეღარ გავაჩერებდით.

— გააგდეთ საამქროდან! — თქვა მან.

— გაგდება რად მინდა, მე თვითონ წავალ.

პავლე დიდხანს ზომავდა თვალით, მერე დაბალი ხმით უთხრა:

— ბევრი ვეცადეთ, მაგრამ, ეტყობა, შენგან კაცი არ გამოვა. ეხლა რაც მოგივა, შენ თავს დააბრალე, წადი.

ამბერკი გავიდა. კარგა ხანს ხმა არ ამოგვიღია. მერე პავლე მეუბნება:

— ჩადი და ის ბიჭი ნახე. მედპუნქტში მიუყვანიათ.

ვინ ბიჭი-მეთქი. თურმე თუნგოსთვის გაუხეთქავს წარბი. ავდექი და გამოვედი. შუბლგასისხლიანებული თენგო ტახტზე წევს და მიღიმის. მივედი და ტახტზე ჩამოვუჯექი.

— რა მოგივიდა? — ვეკითხები.

— ამბერკიმ დამაკერა.

— მერე?

— რაღა მერე, ვერა ხედავ, წარბი მაქვს გახეთქილი.

— მერე?

— ვაჰ! მერე, მერე. ჩხუბი ამიტეხა, რიგში ვიდექი და ტყუილუბრალოდ ამიტეხა. არც აცია, არც აცხელა, ანაზდად დამაკერა.

— ეგ როგორ?

— რა როგორ, ჩემს უკან იდგა და მიტურტურებდა, ხან პანჩური ამომკრა, ხან თავში მითაქა, ხალხი გვიყურებდა.

— გტკივა?

— მეწვის.

— ისიც კარგად არის დალილავებული.

— ბიჭები რომ არ ყოფილიყვნენ, მოვკლავდი.

— დიდხანს უნდა იწვე?

— ეხლა ავდგები.

— შინ წადი და დაისვენე. — ექთანიეუბნება.

— შინ რა უნდა გავაკეთო, ტკივილითაც აღარ მტკივა, ცოტათი მეწვის. — წამოიწია და წამოდგა. მხარზე მოვუთათუნე. ბინტში სისხლს გამოეჟონა. გამოვედით.

იმ საღამოს შინ ვიჯექი და გამოცდისათვის ვემზადებოდი. თან ამბერკიზე ვფიქრობდი, დანერვები მეწეწებოდა. ცალტვინაც კითხულობდა. ცოტა ხნის შემდეგ ვარლამამ მოგვიკაკუნა. შემოვიდა თუ არა, მაგიდას მიუჯდა და „პრიმა“ აახრჩოლა. მერე ერთი ყასიდად დააცხიკა და მეორე მიაყოლა.

— რა ჯანდაბა მოგივიდა? — ვეკითხები.

— გავცივდი და არ ვიცი, რა მეშველება.

— არაყი გამოგაკეთებს.

— შენ ეს მითხარი, ამბერკიმ კიდევ მიჰქარა?

— ჰო.

— რაღას უყურებთ, ადექით და გააგდეთ.

— მოუწევს კიდეც.

— შენ არ იყავი, გულზე რომ იბაგუნებდი, ხელი არ ახლოთო, — ცალტვინა ეუბნება.

— კაცი მეგონა და მთხლე ყოფილა. ა, ნახე, რაცხა წერილია შენს სახელზე.

კონვერტი გამოვართვი და გავფხრიწე.

„თუ ცირას თავს არ დაანებებ, ორივეს მოგკლავთ“.

ვარლამა გაცოფდა, მოვკლავ, მაგის დედა ვატირეო. წარბიც არ შემიხრია. აღარც ვარლამას ვუგდებდი ყურს, ისევ წიგნის კითხვა განვაგრძე. ვარლამამ კარგა ხანს იღუღლუნა და გავიდა.

მთელი დღე წიგნებს ვუსხედით. საღამოს ვარლამა გავგზავნეთ და მაღაზიიდან საჭმელი მოვატანინეთ. ცოტა ხანში დავწექით კიდეც. შუაღამისას გამომეღვიძა, ძილში შევხტი და იმან გამომაღვიძა. სიზმარში ვითომ ვიღაცა მახრჩობდა. თვალი გავახილე. ოთახში მთვარე შემოპარულიყო და სარკეს აშუქებდა. ანარეკლი მთელ ოთახს ანათებდა. წამოვჯექი და საათს დავხედე. ზუსტად ოთხი იყო. დერეფანში გავედი და სიგარეტი მოვწიე. კარგა ხანს ვიწრიალე, მერე თავიც ამტკივდა და თეთრად გავათენე.

დილით საამქროში რომ მივდიოდი, ავტობუსიდან ამბერკი დავინახე, საერთო საცხოვრებლის წინ იდგა და აბოლებდა.

შესვენებაზე დათო ლომინაძე მოვიდა, გვერდზე გამიხმო და დაბალი ხმით მითხრა:

— უნდა გავრიცხოთ ამბერკი!

— რა მოხდა?

— ამ წუთში შოთას ეჩხუბა, იქ რომ არ ვყოფილიყავი, ცოდო დატრიალდებოდა.

— კრება მოიწვიე.

სამუშაოს შემდეგ კომკავშირის ბიუროს ოთახში შევედით. დათო მაგიდას მიუჯდა.

— ამხანაგებო, — დაიწყო დათომ, — დღის წესრიგში დგას ერთი საკითხი. უნდა გადავწყვიტოთ, აიწურაძე დარჩეს თუ წავიდეს ბრიგადიდან.

---

## თამაზ ჯიბლაშვილი

## ადამიანი მარტო არ არის

— მაგაზე ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ და სალაპარაკო რაღაა? — თქვა უფროსმა გამხურებულმა ნოდარმა.

— გავრიცხოთ და ლაპარაკიც მორჩება!

— გავრიცხოთ! — დაიძახეს აქეთ-იქიდან.

— ამბერკი, აბა მოიწიე აქეთ!

ამბერკიმ შუბლი მოიჭმუხნა, ჭუჭყიანი თითებით ცხვირსახოცი მისრის-მოსრისა. ცალი თვალი ჩალილავებული ჰქონდა და ბოროტად უელავდა.

— მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ, — დათო ამბობს, — გავიგოთ რა უნდა ამბერკის, რა აწვალებს, რით არის გაბოროტებული და რას გვემართლება.

თავჩაღუნული ვიჯექი და ვგრძნობდი, საფეთქელზე როგორ მებერებოდა ძარღვი.

— ჩვენ დიდი ხანია გაგებული გვაქვს, რაც უნდა, მაგას კი ვერ გავაგებინეთ — გაიოზი ამბობს, — აიწურაძე თქვენი ბრიგადის ღირსი არ არის, ადექით და გარიცხეთ. — ამ დროს ვარლამა შემოვიდა. ბიჭებმა ადგილი დაუთმეს.

— კარგ დროს მოხვედი, დაბრძანდი, ვარლამა!

— აბა, — წამოდგა დათო, — რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

— გავრიცხოთ! — თქვა ზოიამ.

— გარიცხვით გავრიცხოთ, მაგრამ რა გამოვა — დაიწყო თენგომ, — წავა და უარესს გააკეთებს. ჯობია მაგის მშობლებს მივწეროთ, ჩამოვიდეს მამამისი და ნახოს, რა ვაჟკაცია ამბერკი.

— გლეხკაცს რომ მიწიდან მოაცდენ, ვერაფერი ბიჭობაა. — ვარლამა იძაგრება.

— არა, — თქვა ლერიმ, — სწორედ მშობლებთან უნდა შევარცხვინოთ. სკოლა და სოფელი სხვაა, დიდია, საამისოდ ნუ გავწირავთ.

— ჭკუასთან ახლოა.

— მაშასადამე, მშობლებს შევატყობინოთ.

— რაღას უყურებთ, დავწეროთ.

— მარტო მე ხომ არ დავწერ, მიკარნახეთ. — დათო ამბობს.

„პატივცემულო ანა და პატივცემულო ლევარსი!

ჩვენ, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს დგან „400“ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები, გაცნობებთ...“

დათომ წერილი ხმამაღლა წაიკითხა, კარგა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— თუ თანახმა ხართ, მოვაწეროთ ხელი, — თქვა დათომ.

— მოდი, ჯურხა, მოაწერე.

აღარ ვიცოდი, რა მექნა. ამბერკი თავჩაღუნული იჯდა და ქვეშ-ქვეშ იყურებოდა. ვფიქრობ, იქნებ ადგეს და პატიება გვთხოვოს-მეთქი. ის კი ადგილიდან არ იძვრის. ზის და გველოდება, რა მოხდება. ბიჭები სათითაოდ მოდიოდნენ მაგიდასთან, ხმას არავინ იღებდა, რაღაცნაირად უხმოდ აწერდნენ ხელს. ბოლოს ვარლამამ აიღო კალამი და ამბერკის დააკვირდა, ამბერკიმ ცერად ამოხედა, ვარლამამ ამოიოხრა და ხელი მოაწერა მანამდე პაპიროსი არავის მოგვიწევია, ახლა ყველამ ერთდროულად გავაბოლეთ. ამბერკიმაც ამოიღო სიგარეტი, მოუკიდა და გავიდა.

— ამბერკის თუ ეს უშველის, ამასაც ვნახავ, — თქვა შოთამ, — ლევარსი გადაირევა, თორემ სხვა კი არაფერი.

გარეთ გამოვედით. ვარლამა ამეტორღიალა და ერთად ვიარეთ...

16.

გორაკებს აქა-იქ სიმწვანე შეეპარა. ერთი კვირის შემდეგ მოჭიატე მზე ნალვერდალივით აენთო და დაიფერფლა. ჩვენთან რომ გაზაფხული იცის ხოლმე, ცხელი, დავიდარაბიანი, ისეთი დარი დაიჭირა. ერთი სიტყვით, ზაფხული უცბად დაგვიდგა. სამაისოდ სიცხემ თავი მოგვაბეზრა და ხალხი პერანგებსა და თხელ კაბებში გამოეწყო. ვარლამამ ლურჯი სატინის ხალათი ჩაიცვა, ქუდი მოიხადა და ჩვენც სალაპარაკო გაგვიჩნდა. მერე ის იყო, საამქროში შემოგვეჩვია და აღარ მოგვეშვა. ამბერკი ბრიგადიდან კი გავრიცხეთ, მაგრამ საამქროდან არ გაუგდიათ, — მტვირთავად გადაიყვანეს. გაგვებუტა, თუ სადმე მთვრალი მოგვიხელთებდა, კარგა გვარიანად გამოგვლანძღავდა ხოლმე. ვარლამამ აიჩემა საერთო საცხოვრებელში ფეხს აღარ შემოვადგმევინებო, მაგრამ გაბრაზება რომ გაუვლიდა, ხელს ჩაიქნევდა, იყოს, იქნებ ჭკუაზე მოვიდეს და კაცების სათვალავში ჩავაგდოთო. ერთხელ მოვიდა და მეკითხება:

— ბოშო, ექსკურსიას არ აწყობ?

— როგორ არა.

— სად აპირებ?

— შუამთაში.

ვარლამამ თვალები დაკუსა.

— წამიყვანეთ რა.

თუ რიგიანად მოიქცევი, აუცილებლად წაგიყვანთ-მეთქი.

მას შემდეგ ვარლამა საამქროდან აღარ მოგვშორებია. დღეგამოშვებით სასადილოში მორიგეობდა და ჯოხით დაგვდევდა. შენი მეჩქარება არ ვიცი, რიგში დადექი და წესიერად მოიქეციო.

მთელი დღე მზარეულს ადგა თავზე, ცხიმი ნორმაზე უყავი, გრამი არ დააკლო, თორემ შავ დღეს დაგაყენებო. მზარეული ბუზღუნებდა. მაგრამ მეტი რა ჩარა იყო, იდგა და გრამობით წონიდა. მართალია, მზარეულსა და მებუფეტეს ვარლამას ჯაჯღანი არ ეპიტნავებოდათ, მაგრამ ხალხი იყო მადლიერი. ავდგეთ და ვარლამა სასადილოს გამგედ გადმოვიყვანოთო.

ვარლამამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, თუ ღმერთი გწამთ, ქურდობას ნუ დამაწყებინებთ. შალიკო თავმჯდომარემ, როგორც საზოგადოებრივი კონტროლის წარჩინებული, ვარლამა ქების სიგელით დააჯილდოვა.

— მზად ხარ, ვარლამა? — ვეკითხები ერთხელ, — ხვალ მივდივართ.

— მატყუებ, ბოშო?

— მოსატყუებელი რა მაქვს?

— დაიფიცე.

— სასახლესთან მოდი ექვსზე.

ვარლამამ უნდოდ შემომხედა, მერე ხელები მოიფშვნიტა და თქვა:

— წავალ ახლა და გავემზადები.

ვარლამა ძუნძულით წავიდა. ფანჯრიდან ვუყურებდი ოდნავ წელში წახრილ გრძელკისერა კაცს, რომელიც მთელ სიგრძეზე მიიქნევდა ხელებს.

ცრიატ, უმზეო ცაზე ღრუბლები გროვდებოდნენ. სიცხით კი მაინც ცხელოდა. ვაითუ გაავდრდეს-მეთქი. იალღუჯიდან წამოსული ბურუსი მტკვრისპირას ტყეს ეფინებოდა. მარტენის საკვამურიდან გაწოწოლავებული შავი კვამლი ძირსჩამოსულ ღრუბელს ერთვოდა და მერე ქალაქისკენ მიცურავდა. გარეთ რომ გამოვედი, დასავლეთის ქარი უბერავდა. ქარი კვამლს სახეში გვაყრიდა და პირში დამწვარი ჟანგისა და სპილენძის მოტკბო, უსიამო გემო დამრჩა. შინ მივედი, დავიბანე და გავიპარსე. ზუსტად ექვსზე გამეღვიძა. ფეთიანივით წამოვხტი და ცალტვინაც წამოვაგდე. გარეთ გამოვცვივდით. შორიდან დავინახე: მოედანზე ვარლამა იდგა და აქეთ-იქით იყურებოდა. ავტობუსი ჯერ არ იყო მოსული.

— ყველგან პირველი ხარ, — ვარლამას ვეუბნები — გამარჯობა!

— გამარჯობა, ბოშო! მართლა ტყუილი არ მეგონა?!

— შენ რომ ტყუილი იცი, ისე კი ნუ გგონია. რა მოგაქვს?

— იმერული ღვინოა, ვერ დამიწუნებ.

— კახეთში რომ კაცი ღვინოს წამოიღებ და ისიც იმერულს...

ქუჩაზე ცირა გადმოდიოდა, მივედი და ხელჩანთა ჩამოვართვი.

— ავტობუსი არ მოსულა?

— არა ჩანს.

— ექვსისთვის დავიბარეთ. საცაა მოვა.

— ნეტა თეა წამოგეყვანა.

— როგორ უნდოდა წამოსვლა! — გაჩერდა და შემომხედა, მერე სახლისკენ გაიხედა. თეა ფანჯრიდან გვიქნევდა ხელს.

— მიდი და წამოიყვანე.

— კვირა რომ ყოფილიყო, მართლა წამოვიყვანდი.

მალე ავტობუსიც გამოჩნდა.

ხალხი უკვე ეყანებდა და ალარაფერი ისმოდა. ვარლამა შოთას ხმამაღლა ელაპარაკებოდა.

— ამ ხნის კაცი ვარ და პირველად მივდივარ ექსკურსიაზე.

— არც მე მაქვს ქვეყანა მოვლილი.

— კარგი სანახავია შუამთა?

— მივალთ და ნახავ. გული გაგინათდება.

— ჯურხა ამბობს, ამალამ შოთასთან უნდა გავათენოთო.

— მაშ როგორ?

— ბევრნი ვართ.

— ფიქრი ნუ გაქვს, დავეტევით.

ავტობუსმა სიჩქარე აიღო.

ბიჭებმა სიმღერა წამოიწყეს. ქალაქიდან გავედით და გორაკებში ჩაკარგულ ვიწრო, მოასფალტებულ გზას ავუყევით. მზე მაღლა იწევდა და მინებში ბრჭყვიალებდა. კისერწაგრძელებული ვარლამა ყეენივით გაჯგიმული იჯდა, ხან შოფერს ელაპარაკებოდა, ხან — ექსკურსიამძღოლს. ექსკურსიამძღოლს თვალები ებლიტებოდა და ვარლამას შესჩიოდა.

— გუშინ ჩამოვედი გელათიდან, ვაჭრობის ხალხი მყავდა. ორი ღამის უძილო ვარ, მაინც არ მომეშვნენ.

— ურტყით? — ჰკითხა ვარლამამ და გაუღიმა.

— იმერლები გადაგვეკიდნენ, ხო იცი იმათი ამბავი, მომსპარი ვარ მთელი თვით.

სოფელი გამოჩნდა. ამწვანებულ ხეხილში გახვეულ წითელკრამიტიან დაბალ სახლებს თუთიის სახურავიანი მაღალი შენობები ჩრდილავდა. შარაზე ბლავილით მოიზლაზნებოდა გაფანტული ნახირი. თავსაფრიანი დედაკაცი წყაროზე მისუხსუხებდა. გზის გასწვრივ, თმააბურძგნილი ბიჭი მწვანედ შეღებილ ალაყაფის კარს აღებდა. დილის ძილს გადაჩვეულ სოფელს მზის ამოსვლამდე ეტყობოდა დაღლა. გზის გადაღმა მინდორზე ტრაქტორი ბუბუნებდა.

სიმღერით, საუბრით, სიცილით ნელ-ნელა გაილია გზა. ვარლამა შოფრისკენ შეტრიალდა.

— მალე მივალთ? — ეკითხება.

— საათნახევრის გზა დაგვრჩა.

— ძაან დავიღალე.

— ამისთანა მანქანა მთელ გარაჟში არ არის.

— მთლად ახალი რომ იყოს, მაინც ვერ ვიტან. — ვარლამა შემობრუნდა და მომღერლებს გახედა. ავტობუსი მოხრეშილ გზაზე რყევა-რყევით მიდიოდა უკან. ტყავის სავარძელზე წამოსკუპებულ ბიჭებს აქანავებდა.

წყაროსთან ცოტა ხნით გავჩერდით. მუხლიც გავმართეთ და პირიც გავისველეთ.

მალე შუამთაც გამოჩნდა. ხმაურით შევესიეთ მონასტრის შემოგარენს.

---

## თამაზ ჯიბლაშვილი

## ადამიანი მარტო არ არის

მზე ჩასასვლელზე რომ მიდგა. ავიბარგეთ. ავტობუსი დაღმართზე დაეშვა.

ორღობეში ავტობუსი გაგვეჩხირა. იქაურობა წყალს დაეტბორა. არც იქით და არც — აქეთ. ჩამოლაგდითო, დაიძახა ვიღაცამ. ჩამოსვლა არ გინდა? მანქანა კიდე. არ იქნა და არ ეშველა— ერთ ადგილზე ღმუის. შენი პატრონი დედაო, ილანძღება შოფერი. ლამის გაგიუდეს. მერე ჩამოვხტით და რაც იმ ლაფში ვიგორავეთ!.. როგორც იქნა, ამოვათრიეთ.

შოთა მანქანაში აღარ ჩაგვჯდომია, ფეხით გამოგვყვა. ემანდ, ჭიშკართან დააყეთ, ეგ არი ჩვენი სახლიო. შოფერი ადადლანდა, ნეტა ცოტა იქით გამეჩერებინა, აქედან როგორღა გავალო. როგორც მოვედით, ისე გავალთო, დაამშვიდა ვარლამამ.

ჭიშკარს თუშურქუდიანი, ვეება კაცი მოადგა. ცალი ხელით კარი გაგვიღო, მეორეთი კი ის ერთიციცქნა ნაბდის ქუდი მოიხადა, მოიხადა და იქვე დადგა.

— ლიმონა ძიაა, გაიცანით, — გვითხრა შოთამ.

ლიმონამ თავი დაგვიქნია, ქუდი მუჭში მისრის-მოსრისა და უხერხულად დაგვითმო გზა.

— შემობრძანდით! — ბოხი, მჭექარე ხმა ჰქონდა. ბიჭებმა ხელი სათითაოდ ჩამოვართვით. იდგა ლიმონა და თავის ტორში ჩვენ ხელს იდებდა, თან რაღაცნაირად მორცხვად იღიმებოდა. იქით მთელი ეზო ქვევრებით იყო მოფენილი. ეზო გავიარეთ თუ არა, აივანზე შავხილაბანდიანი დედაკაცი გამოჩნდა. კიბეზე დაეშვა, კაბის კალთაზე ხელები შეიწმინდა და მობრძანდით, მობრძანდითო, შემოგვეგება. ახლო რომ მოვიდა, მაშინვე ვიცანით, შოთას დედა იყო, ჰგავდა.

შოფერმა მანქანა ეზოში შემოაგრიალა და იმის ხმაც მიწყდა. ბიჭები აქეთ-იქით გაიშალნენ. გოგოები აივანზე ავიდნენ, ეზო მოვათვალიერეთ და ჩვენც მაღლა ავლაგდით.

— აგერ სკამები, დასხედით, — გვითხრა შოთას დედამ, სწრაფად გაიარა ჩვენს შორის და ოთახში მიიმალა. მეზობლის კუტიკარიდან ხილაბანდწაკრული ქალი გამოვიდა, ბიჭებს გვერდი აუარა, სვეტებშუა გაძვრა და კიბე ამოირბინა. ერთი პირობა შედგა კიდეც, ეტყობოდა, შუაში გავლა არ უნდოდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, მოგვესალმა და იმ ოთახში შეიმალა, სადაც წეღან შოთას დედა შევიდა.

ბიჭები შოთას შემოეხვივნენ და რაღაცაზე აროხროხდნენ. ლიმონამ ჭიშკარი მიხურა და შუა ეზოში შოფერს ელაპარაკებოდა. მალე ჩამობნელდა.

ცოტა ხნის შემდეგ ლიმონამ დინჯად ამოიარა კიბე და ვარლამაც ამოიყოლა. ზოგი ტახტზეა ჩამომჯდარი, ზოგი მოაჯირზე, დანარჩენები — სკამებზე. შორს, საღამოს ბინდ-ბუნდში კავკასიონს ვუყურებთ. პირველად დაბალი ხმით ვლაპარაკობდით, მერე ვიღაცამ გაიცინა, მერე სვეტზე ჭიგოსავით შემოხვეულმა ნოდარმა სიმღერა წამოიწყო.

ლიმონა თავჩაღუნული იდგა კუთხეში და გაზეთის ნაგლეჯში მსხვილად დაჭრილ თამბაქოს ახვევდა. ლერიმ ასანთი აუნთო.

— თამბაქოს არ შეახვევ? — ლიმონამ ქისა გაუშვირა.

— აგერ ვარლამას უყვარს მუქთა და უარს არ გეტყვის.

ვარლამამ თავის სახელის გაგონებაზე გრძელი, წოპწოპინა ცხვირი შემოაბრუნა და თვალებით იკითხა, რაზე მახსენეო.

— თუთუნს არ შეახვევო?

— თუ შინაურულია, რატომაც არა.

ვარლამამ ხელისგული გაუშვირა. შოთას დედა ოთახიდან გამოვიდა; საპონი და ახალთახალი პირსახოცი გამოიტანა. აივნის სვეტზე მიმაგრებულ პირსაბანზე ხელ-პირი დავიბანეთ.

— სუფრასთან მოდით, — თქვა შოთამ.

შევედით და მაგიდას მივუსხედით. ბიჭები კედლის მხარეს ჩავლაგდით, ლიმონა კარებთან იდგა და შეშუპებული თვალებით სუფრას ათვალიერებდა. მე ცირას ვუყურებდი. ის და ზოია ერთად დასხდნენ. შენთან გადმოვჯდები-მეთქი. მოდიო. გვერდში მივუჯექი. ნუ დათვრებიო, მთხოვა. თუ არ დამიძალეს, დედას გეფიცები, ნამუსიანად დავლევ-მეთქი. ვიცი შენი სინდის-ნამუსის ამბავი და სჯობს უნამუსოდ დალიოო. მოვილაპარაკეთ, შოთამ ლიმონა სათამადოში დასვა. ლიმონამ იუარა, რა ჩემი საქმეა, შოთამ ითამადოს, შინაურები ხართ და ერთმანეთს იცნობთო, არ დავანებეთ. ლიმონამ ულვაშზე ხელი გადაისვ-გადმოისვა და დოქს წაეტანა.

— მე დავასხამ, — სთხოვა დათომ.

— ამ ერთხელ მე დავასხამ. — თქვა ლიმონამ.

უხმოდ დავიწყეთ ჭამა. ვარლამამ ქათმის ბარკალი დაითრია, მარილი მოაყარა, გამოიხედა და თვალი ჩამიკრა. მერე წიწმატი დაფერთხა გვერდზე და პირში ჩაიტენა. ლიმონა, მანამ სადღეგრძელოს იტყოდა, კარგა ხანს გვათვალიერებდა.

— ალექსა რომ დაგხვედროდათ, ნუღა იტყვი, — თქვა ლიმონამ, — გუშინღამ თიხაზე წავიდა მთაში, რა ქნას, მექვევრე კაცია... არ იცოდა, თორემა... აჰა, ესეც თქვენი ჩამობრძანებისა იყოს, გაგიმარჯოთ!

ვარლამამ ხელები ერთმანეთს გაუგლასუნა და ჭიქა გამოსცალა. ექსკურსიამძღოლმა პირველი ზიზლით დალია, მეორესაც კრიჭაშეკრული წრუპავდა. მესამე სადღეგრძელოზე გათამამდა და ჭიქა გადმოაპირქვავა.

— მარტო თლილი ჭიქებითა ვსვათ? — იკითხა ლიმონამ, — დიდი რამე გავურიოთ.

— კარგს იზამ, ბატონო! — შეეშველა ვარლამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თამრო, მაიტა, ე ჯამი წამაილე!

— თოკი მოაყოლე მაგას, თორემ აგერ ვარლამა დასაბმელი შეიქნება და რა გვეშველება. — თქვა ლათომ.

— დასაბმელი ვინ შეიქნება, ვნახავთ მაგას. — გაიფხორა ვარლამა.

ხელჩართული სმა შეიქნა. ვსვამდით და ვმხიარულობდით.

ლათომ სიმღერა წამოიწყო, კაი ლამაზი პირველი ჰქონდა, მეორე ნოდარმა უთხრა და გივყვარდეს, რიგიანი სიმღერა გამოგვივიდა. ვარლამამ ლიმონას მხარზე ხელი გადახვია, აგვყევით. აჰყვა კიდეც. აჰყვა და ჩააჩუმა, ვარლამას თვალები გადაუტრიალდა, ამას აქ რა უნდა, სასახლეში რო გუნდია, იქ უნდა მღეროდეხო. ადგა და ტაშფანდურა გაახურა, მერე ვადახტა და შალახო ჩამოუარა. ექსკურსიამძღოლმა, ეგრე არ უნდაო, და, ლეკური დასცხო.

— უწინ მაინც სხვა ხალხი იყო, — ვარლამა ლიმონას ემასლაათება.

— ეგრე იყო, მაშ.

— აბა ეს ჭილყვავებია ვაჟკაცები?

— რათა კაცო, ყოჩაღი ბიჭები ჩანან.

— განა მართლა რა, კარგი ბიჭები არიან.

— შენა ხარ მაგათი უფროსი?

— არა, ის მაღალი, გოგოსთან რო ზის, მაგის საცოლეა.

— მართლა?

— შვილებს გეფიცები.

— მაშ, მოდი მაგათი სადღეგრძელო დავლიოთ.

— ხალხო, — ხაფი ხმა აქვს, ცოტა ხრინწიანიც, — დამაცათ, ერთი სადღეგრძელო უნდა გითხრათ იგეთი რო, აბა ყური დამიგდეთ. — ხალხი დაშოშმინდა და დალაგდა. ლიმონა ვარლამასკენ გადაიწია და რაღაც წასჩურჩულა, ახლა ვარლამამ წაუჩურჩულა, ლიმონამ თავი დაუქნია, გავიგეო, — ჰოდა, იმას გეუბნებოდით, ამ ახალგაზრდებს რომ უყურებთ, ერთი საპატარძლო ყოფილა და მეორე — სასიძო, შააბეროთ ღმერთმა. ჯურხავ, გაგიმარჯოს! შენცა, შვილო, სუ მუდამ ყვავილებივით იყავით!

ვაი, დედავ, ცირა არი და აღარც არის, ზოიას ამოეფარა, მაგრამ ამოდენა ხალხში სად დაიმალებოდა. პირველად ვარლამა წამოხტა, კაი ხანს გვაჯანჯლა, მერე მოვიდა და ორივე გადაგვკოცნა. რა უნდა მექნა, ავდექი, ცირა ვადღეგრძელე და მადლობა მოვიხადე. აბა. სიმღერაო. ვარლამამ „შენ ხარ ვენახი“ წამოიწყო. კარგად გამოგვივიდა.

დილით ბიჭების ხმაურმა გამაღვიძა. ვიღაცა დიდხანს, გაბმით ახველებდა, დაოსებული ფრუტუნებდა. მივხვდი, ვარლამა იყო. ცოტა ხნის შემდეგ პირს ვიბანდით და ვწუწაობდით. ლიმონა აწკავწკავებულ ძაღლს უჯავრდებოდა. მეზობლის გოგო-ბიჭები ღობეს მოსდგომოდნენ და ძეძვნარში იჭყიტებოდნენ. საყელოჩახსნილი, თმააწეწილი შოთა ნაფეხურებით აჭიჭყნილ ტალახში იდგა და ხელში ორი პირსახოცი ეჭირა. ბიჭები რიგრიგობით მიდიოდნენ შესახ-ხელდახელოდ მოწუნწულ სახეს იმშრალებდნენ.

ქალებს სუფრა გაეწყოთ და ჩვენს მოლოდინში აივანზე იდგნენ.

— სუფრასთან მობრძანდით. — გვთხოვა შოთამ.

უცებ ჭიშკარმა დაიჭრიალა. ყველამ იქითკენ გავიხედეთ.

ალექსა მოსულაო, თამრო გაქანდა და კიბეზე დაეშვა.

ლია ჭიშკართან ფაშატი ფრუტუნებდა და ორთვალას წინ და უკან აქანავებდა. ალექსამ ცხენს ალვირი დაუჭირა, შუა ეზოში გაჩხირულ ავტობუსს გამოხედა და ფაშატი დაძრა. შოფერმა მანქანა დაქოქა და წინ წაიოაგორა. ალექსამ ორთვალა რომ შემოიყვანა, ცხენი ხეზე მიაბა, ონკანი მოუშვა, ხელები დაისველა და შარვალზე გაისვ-გამოისვა.

— გამარჯობათ, სტუმრებო! — ქვემოდან ამოგვძახა.

— ალექსა ძიას გაუმარჯოს!

— მანდ რას უდგეხართ, შინ ვერ შეხვალთ?

— შენ გელოდებით. — ჩასძახა ლიმონამ.

— აჰა და, მეც ამოვალ!

ამოვიდა. დიდი, ვეება ხელები მოიფშვნიტა და თქვა:

— ახლოდანაც გამარჯობათ!

ალექსა სუფრის თავში დაგვიჯდა. ჩვენც დავლაგდით. ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

— კეთილი და პატიოსანი! — თქვა ალექსამ. — პური გავტეხოთ.

ბიჭები ცხვირს იბზუებდნენ, იხვეწებოდნენ, ნუ დაგვალევინებო. ლიმონამ, რახან ღვინო არ გინდათ, აღარ დაგაძალებთო და არაყი ჩამოატარა.

— ჩაუფინეთ, ბიჭებო, ჩაუფინეთ, — იძახის ალექსა და ცხელ ხაშლამაში ძვლიან ხორცს არჩევს.

— ბიჭებო, — წამოდგა ალექსა, — კარგია, რომ მოგიფიქრებიათ და ჩამოხვედით. ერთი პირობა მეც მინდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ იმოდენა საქმეა, ვეღარ აუვედი. გოგობიჭების უნახაობამ ხო თვალები დამიშრიტა. ძალიან გამახარეთ. თქვენი ჭირიმე, თქვენი! გაგიმარჯოთ, ახალგაზრდებო, ჩვენო ფიქრო და იმედო, კაი მამების კარგო შვილებო!..

ლია კარში გაჭრილი სიმღერა სოფელს ეფინებოდა.

მზე ალაზნის ველზე იწვა და სინათლით ავსებდა ქვეყანას.

სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს დაველშვი-

თამაზ ჯიბლაშვილი

ადამიანი მარტო არ არის

დობეთ. მთელი გზა ბაბეანთ ალექსა მედგა თვალწინ. ბიჭებიც სულ იმაზე ლაპარაკობდნენ — შოთა გააბრიუეს ალექსას ქებით. ვარლამა გულზე ხელს იბაგუნებდა, ბიჭი არ ვიყო თუ რთველზე არ ჩამოვუაროო. შოთაც ეპატიჟებოდა.

ვარლამა გადაიწია და შოთას საკოცნელად მისწვდა.

— წამოვალ, ღმერთმანი, წამოვალ და ამ გოგოებსაც თან წამოვიყვან.

გოგო მიდის მოხვეულში,
ოდელია რანუნი...

— დავუშვათ და მიდის, — თავი წამოყო დათომ.

— ვსტაცე ხელი არ გოუშვი...

— გაუშვი, თუ ღმერთი გწამს. — შეეხვეწა დათო.

— ჯიბგირები ხართ თქვენ!

— რომელი საათია? — იკითხა შოფერმა.

— მალე ხუთი იქნება. — უპასუხა ვარლამამ და წინ გადაჯდა.

— გაჩერებულა ჩემი ჯაბახანა. — შოფერმა საათი ყურზე მიიდო.

— გეჩქარება?

— ამ საღამოს ქორწილში ვარ დაპატიჟებული.

— კოკისპირული იქნება ხომ?

— დედა შვილს არ აიყვანს ხელში, — გამოცოცხლდა შოფერი.

— დედამისი მეხვეწება...

— რას გეხვეწება, ვარლამა?

— აკოცე და გამოუშვი...

ავტობუსი რომ გაჩერდა, უკვე შეღამებული იყო. საღამოს სიგრილემ ცირა შეაკანკალა და მომეკრა. ვარლამა ჩამოვიყვანეთ. ჩამოსვლის დროს ერთი წაბანცალდა კიდეც. სახლამდე მივაცილე. სადარბაზოსთან დაგვემშვიდობა და კიბეებს აუყვა. გამიკვირდა, სხვა დროს აუცილებლად შეგვიპატიჟებდა, ახლა რა მოუვიდა-მეთქი. ალბათ, ძალიან მთვრალი იყო და იმიტომ.

— მოკლავთ თქვენ მაგ კაცს, — ცირა მეუბნება.

— ამ ბოლო დროს ძალიან გადაუყვა სმას.

— თქვენი ხნისა კი არ არის, საცაა სამოცს მიუკაკუნებს, ნუ ეხუმრებით.

პროსპექტიდან ვიწრო ქუჩაზე გადავედით. მაღაზიის ჩაბნელებულ ვიტრინასთან ჩრდილი დაირხა. ამბერკიმ გზა გადაგვიჭრა და მოგვესალმა. ცირა შეცბა.

— ექსკურსიაზე რატომ არ წამოხვედი? — ვეკითხები.

— ექსკურსიაზე! — ირონიულად ჩაიცინა, — მერე, ზედმეტი ბარგი რომ ვიქნებოდი?

— საიდან მოიტანე? — ვეკითხები ისევ.

— ზედ გემჩნევა. მიყურებ და გული გერევა.

— სისულელეს ლაპარაკობ.

— არ გეხუმრები.

— წადი, თუ ძმა ხარ, გზას ბარაქა დააყარე!

— ძაან გოგოების კაცი გახდი...

— ენა ჩაიგდე!

— ტყუილია?

— ერთხელ შეგრჩა და ეხლა წადი, მოთმინებიდან არ გამომიყვანო.

— მეორედაც მიიღებ...

შიგ ყურის ძირში გავუშალე. ამბერკი დაბარბაცდა, დარტყმამ წააქცია. სანამ გონს მოვიდოდა, წამოვწიე და ცხვირ-პირში დავუნაცვლე. ისეთ გულზე ვიყავი, მოვკლავ-მეთქი. სახე სულ დავუსისხლიანე. ერთიც დავარტყი და აღარც ამდგარა. კეფა დაჰკრა ბორდიურს. ფანჯრიდან ქალმა დაიკივლა. ხალხი მოგროვდა. ცირას ხელი ჩავავლე და იქაურობას სწრაფად გავცილდით.

ცირა მძიმედ სუნთქავდა და ერთიანად ცახცახებდა.

— დამშვიდდი და შინ წავიდეთ, ჩემთან წამოდი, გაიგე?

— შინ კი არა, წამო, სადმე გავიაროთ. — მკლავში ხელი გავუყარე. და წავედით. უკაცრიელ ქუჩაზე ჩამიჩუმიც არ ისმოდა. სადგურისკენ მივდიოდით. ირგვლივ ყველაფერი დუმდა. რესტორანიც გამოკეტილი იყო, სამორიგეოც. ლიანდაგებს გავუყევით.

ამბერკიზე აღარ ვფიქრობდი. ნერვიულობამაც თითქმის გამიარა და თანდათან დავმშვიდდი. ხმას არც ერთი არ ვიღებდით. ცირა თავჩაღუნული მომყვებოდა.

ნიავი სიგარეტის ნაპერწკლებს სიბნელეში ფანტავდა. თხელ ღრუბლებში სავსე მთვარე მოცურავდა. მაღლა აწეული ცა უამრავი წვრილ-წვრილი თვალით დასცქეროდა დედამიწას. რკინა-ბეტონის ქარხნიდან ცემენტის სუნი მოდიოდა.

აღარაფერი გვალიზიანებდა, სიჩუმეში მხოლოდ ჩვენი ფეხის ხმა და ქარხნის შორეული გუგუნი გვესმოდა.

17.

იმ დღეს საამქროდან გვიან გამოვედი. შუაგული ზაფხული იყო და სიცხის ბული ტრიალებდა. მართალია, მზე ჩასასვლელზე იყო, მაგრამ მაინც მაგრად აჭერდა. ბალი გადავჭერი და ქუჩას გამოვუყევი. მერე ისევ ბაღზე გამოვიარე. ბაღში უფრო ჩახუთული ჰაერი იდგა, ნიავიც არ იძროდა. მაღაზიას რომ ჩავუარე, ამბერკი დავინახე. ელდასავით მეცა. ვიღაც ბიჭებთან იდგა. მას შემდეგ, რაც ჩხუბი მოგვივიდა, თვალი აღარ მომეკრა და ეხლა გუნება გამიფუჭდა. რატომღაც სინდისის ქენჯნა ვიგრძენი. იქნებ ასე არ უნდა მოვქცეოდით, იქნებ სხვა ხერხით აჯობებდა მასთან საუბარი? იქნებ ვერ გავუგეთ? დადგება დრო და თვი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

თონ შეგვახსენებს ჩვენს შეცდომას-მეთქი. ადამიანი ხომ ერთ წუთს არა ცოცხლობს? დანაშაულს ვინ არ ჩადის? ალბათ მეტ-ნაკლებად ყველა. ჩვენ ვერ გავუგეთ ამბერკის. მართალია, არც იმან გვისმინა, მაგრამ ჩვენც დამნაშავენი ვართ.

გამოვბრუნდი. ვიფიქრე, ცირას დავურეკავ და გამოვიყვან-მეთქი. ვილაც გოგო რეკავდა, კედელთან დავდექი და გავაბოლე. კარგა ხანს ვიდექი, ის იყო უნდა გამოვბრუნებულიყავი, რომ გოგო გამოვიდა, გამოვიდა და რასა ვხედავ — ჯულია შემრჩა ხელში! მომვარდა და გადამეხვია.

— როდის ჩამოხვედი?

— გუშინ. როგორა ხარ?

— რა მიჭირს. შენა?

— როგორც მიყურებ. შენთან ვრეკავდი, ვერაფრით ვერ გამოვედი. — მ⸱ლავში ხელი ვ⸱მიყარა.

ქუჩა გადავჭერით და ბაღისკენ წავედით. ცირას სახლს რომ ჩავუარეთ, ავიხედე, ღია ფანჯარაში ფარდა შეირხა, ჯულიამ შემომხედა და მომეტმასნა; ფეხის აწყობა სცადა. ნაბიჯს ავუჩქარე, თან ზევით ავიხედე. ცირამ ფარდა გაასწორა და მიიმალა.

სკამზე რომ დავსხედით, სიგარეტი ამოვიღე, ჯულიამ სანთებელა მომაწოდა.

— შენ ჩამოგიტანე სახსოვრად.

— გმადლობ. — სანთებელა გამოვართვი და სიგარეტი გავუწოდე. ხარბად გააბოლა, ნათაზი დაარტყა და შემომხედა. მეათედ მკითხა, როგორა ხარო.

— რა ქენი, არ გათხოვდი? — ვეკითხები;

ჯულიამ სიგარეტს დახედა და თითით დაფერფლა.

— მე სადა მაქვს მაგის ბედი. არ იცი, რა უიღბლო ვარ?

— ამ საქმეში შენ რომ გიმართლებს, ბედიც ამას ჰქვია.

— ნუ იცი მწარე ლაპარაკი. გახსოვს, დღიური რომ გამოგიგზავნე. ჰოდა, გავთხოვდი კიდეც, მაგრამ არ გამომადგა.

— რატომ?

— ვერ შევეწყეთ, ლოთი და ვიგინდარა გამოდგა. სამ თვეს ძლივს გავუძელი. მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. გული მტკივა. შენი ამბები მომიყევი.

— რა უნდა მოგიყვე, ცოცხალი ვარ.

— გხედავ, შენ სხვა მითხარი.

— ყველაფერი ძველებურად მიდის. ტექნიკუმს ვამთავრებ, ვარლამა ბერდება და მაინც ჰარიჰარალოს გაიძახის.

— მართლა, ვარლამა როგორ არის?

— რა უჭირს.

— ძალიან მომწონს ეგ შენი ვარლამა.

— იმასაც ახსოვხარ, ხშირად გკითხულობდა.

— მომიკითხე. — გადმოიწია და მაკოცა. გვარიანად დაბნელებულიყო და არც არავინ ჩანდა. კარგა ხანს ვიყავით ჩაკრულები. ამდენი მკოცნა, სული შემეხუთა. წამოვიწიე ... რასა ვხედავ, თვალი ხომ არ მატყუებს-მეთქი. ცირამ არ ჩაგვიარა! გვერდში ვილაც გოგო მიყვება. არა, ცირა არ იქნებოდა. ნამდვილად მომეჩვენა-მეთქი.

ჯულიას საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა. მთლად გასავათდა. ავდექი, თმა გავისწორე.

— წავიდეთ, — ვეუბნები.

— რა დაგემართა?

— არაფერიც არ დამემართა, წავიდეთ.

— წელიწადია არ მინახიხარ, რა მოგივიდა?

— წავიდეთ, ჯულია, საქმე მაქვს.

უნდოდ მიყურებს. მძიმედ სუნთქავს, ვერც ჩემი საქმეა კარგად, სისხლი ძალუმად მიჩქაფუნებს.

— მოიცა, ჯურხა, რა დაგემართა?!..

—ისეთი საქმე მაქვს, წაუსვლელობა არ შეიძლება.

— კარგი ერთი, რა დროს საქმეა. ზეგ მივდივარ და როდისღა გნახავ?

— სხვა დროს იყოს, ახლა არ შემიძლია!

— შინ წავიდეთ. ჩვენები სოფელში არიან და მარტოკა ვარ.

— ხო გითხარი, მეჩქარება-მეთქი. — ხელი მოვკიდე და გამოვწიე. ის იქით, მე — აქეთ. ვერაფერი შევასმინე, ავდგები და მივატოვებ. ხელი გავუშვი დ ვეუბნები: უნდა წავიდე, შენ თუ გინდა, დარჩი-მეთქი. ო, რა ყოფით წამოვედი, უკან აღარ მიმიხედავს, მივრბოდი. ტელეფონის ჯიხურამდე რომ მივედი, სული მოვითქვი და ჯიბე მოვიქექე. ბედზე ორკაპიკიანი აღმომაჩნდა, მაშინვე აპარატში ჩავუძახე. დავრეკე, მაგრამ ხმა არავინ გამცა. ცოტა ვაცალე და კიდევ დავრეკე. არც მაშინ გაუციათ ხმა. მერე ყოველ ათ-თხუთმეტ წუთში ვრეკავდი, მაგრამ ყურმილს არავინ იღებდა. ცირას სახლს ჩავუარე, სინათლე ენთო და კაი გაჩახჩახებულიც იყო. გუნება გამიფუჭდა. კარგა ხანს ვიდექი, მერე გამოვბრუნდი და კაფეში წავედი. ცოტა თუ არ დავლიე, ნამდვილად გული გამისკდება-მეთქი. მაგიდას მივუჯექი თუ არა, ოფიციანტიც მოვიდა, კატლეტი და სამასი გრამი კონიაკი დავუკვეთე. სანამ მომიტანდა, ერთი სიგარეტი მოვწიე. ვიჯექი და ხალხს ვათვალიერებდი. ოფიციანტს ელირსა მოსვლა. დავისხი და მშიერ გულზე გადავკარი. სანამ შევჭამდი, ერთიც დავლიე. კონიაკმა გამახურა. შევატყვე, ვმშვიდდებოდი. ოფიციანტს თითი დავუქნიე და ვთხოვე, ორასი გრამი კიდევ მომიტანე-მეთქი. სულ რომ გამოვწრუპე, გარეთ გავედი.

მაღაზიების გაჩაღებულ ვიტრინებს დავუყევი. ვატყობდი, მთვრალი ვიყავი.

შინ რომ მივედი, ანა მიხაილოვნამ დამინახა და თავი გადააქნ-გადმოაქნია. მივედი და ვაკოცე. იმანაც მაკოცა. როცა მთვრალი ვიყავი, მკოცნიდა ხოლმე. ლოგინში ჩავწექი. ცოტა ხანს ვიწრიალე, დაძინება ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ვიწექი და ცირა მედგა თვალწინ. ერთი-ორჯერ ჟულიაც გამახსენდა. ამან ნერვები უფრო ამიწეწა. ავდექი, შარვალი ჩავიცვი და ძირს ჩავედი. ანა მიხაილოვნას სათვალე წამოეწია და ქსოვდა. რომ დამინახა, თვალები გაუფართოვდა. მივედი და ტელეფონის ყურმილი ავიღე. პირველად სხვაგან მოვხვდი, ბავშვმა მიპასუხა, მეორედ მგონი სწორად გავიდა ნომერი, მაგრამ ხმა არავინ გამცა. კარგა ხანს ვრეკავდი. ისევ დავწექი. ვითომ წავიკითხავ-მეთქი, მაგრამ აღარც კითხვის თავი მქონდა.

თუ მართლა ცირა იყო... მერე თავი დავიმშვიდე, ცირა არ იქნებოდა, ნამდვილად მომეჩვენა-მეთქი. არა-და ის იყო. სიარულიც იმისი ჰქონდა, ჩაცმულობამ კი დამაეჭვა. — ასეთი კაბით არ მინახავს.

ცოტა ხანში ჩამეძინა. თვალი რომ გავახილე, ვარლამა მადგა თავზე.

ნასვამი იყო და ლაპარაკით გამომათაყვანა. გლაშა მივატოვე და კარგი საქმეც ვქენიო. თურმე ნუ იტყვი და, ფული უთხოვია. თუ საყვარელი ხარ, საყვარელი იყავი, მთვრალი რომ მომადგები და მეტრაბახები ასეთი და ისეთი ვარ, კაცობისა რა გაცხიაო. გამოწველა დამიწყოო.

— ფული გთხოვა?

— მაშ, ბოშო, ფული რომ მქონდეს, რაღა მიჭირს, ჩემს ვირგლა ბიჭებს ფული გოუჩერდებათ?

— ქალად თუ ვარგოდა, ვარლამა?

— ნულა იტყვი. ხო ნახე, როგორ ულაულაუებდა ლოყები. მაგ საქმეში ბადალი არ ჰყავს.

— დაიძინე და მეც დამაძინე.

ვარლამა მიწვა და იმწუთში ჩაეძინა. ცალტვინა მაინც იყოს აქ, ზოიას გაეკიდა ზღვაზე, რა ამბავში იქნებიან. ვარლამა ისე ხვრინავს, გული მიღონდება. დღისით მეძინა, ახლა თვალს ველარ ვხუჭავ. ვარლამა ხვრინავს, მე — ვფიქრობ, დრო ნელა გადის. სინათლე ავანთე და კითხვა დავიწყე. ვარლამას ისევ გემრიელად ეძინა. ერთი-ორჯერ გვერდი იცვალა და ისევ ღრმა ძილს მიეცა. როგორც იქნა გათენდა, წამოვხტი და პირის დასაბანად გავვარდი.

დგანები გუგუნებდნენ და გავარვარებული მილები გორგოლაჭზე მოგორავდნენ. შადრევანზე წყალი დავლიე და შევჩერდი. ელვა გამოეკრათ და წასაკითხად მივედი. ივლისში ლომიძის ბრიგადამ ბეთანელის ბრიგადას აჯობაო, იმხელა ასოებით დაეწერათ, გამეცინა. მოვბრუნდი და დგანზე ავედი.

— წაიკითხე? — შოთა მეკითხება. მხრები ავიჩეჩე, რას ვიზამთ-მეთქი. [illegible] სასოებით მუშაობდა; თვალმოუშორებლად ვუყურებდი.

— ნახევარი წლის შედეგები როგორლაა? — ახლა დათო მეკითხება.

— ვალდებულებასაც გადავაჭარბეთ. ასორმოცელებსაც ვაჯობეთ და საამქროშიც პირველები ვართ. გული არ გაიტეხოთ. — გამოვბრუნდი და სამმართველოსაკენ გამოვწიე. ჯერ პარტბიუროსკენ გავუხვიე, მოდი, ოთარს შევუვლი. კაი ხანია არ მინახავს და ცოტა გულსაც გადავაყოლებ-მეთქი. ოთარი პარტიულ კომიტეტში წასულიყო და შალიკო მისჯდომოდა მაგიდას.

— მობრძანდი, ჯურხა, გენაცვალე, მობრძანდი. — წამოდგა შალიკო, — რავა ხარ?

— გვარიანად.

— მოედანი მაინც ვერ მოვაწყეთ, ხომ?

— რაღა დარჩა, სკამებს შევღებავთ და...

— სხვა რას იტყვი ახალს?

— ახალს მე რას გეტყვი, მაგრამ ერთი კი მინდა გკითხო, ჩემი ბინის საქმე როგორაა?

— განცხადება გაქვს შემოტანილი?

— რახანია.

— მოგცემთ, აბა არა?! შენისთანებიზა რამდენისთვის მიგვიცია. წელს თუ არა, გაისად ნაღდად მიიღებ.

— ხომ არ დაგავიწყდება?

— მაგის დავიწყება რავა იქნება, შე კაცო. გამოსვლა დავაპირე.

— ცოტას მორჩა, გულზე არ გადამვარდა. გუშინ ოთარი მელაპარაკებოდა, ჯურხას კომკავშირის ბიუროს ოთახის გასაღები მიეცი, ხანდახან ამოვიდეს და საქმეებს მიხედოსო.

— რა საქმეებზე მეუბნები?

— მდივნის მოადგილე არა ხარ შენ?

— მერე?

— ჰოდა, ცირა ხომ შვებულებაშია, შედი და დაჯექი, რა გენაღვლება?

გამოვტრიალდი, სიცხისგან დამძიმებული ჰაერი მახრჩობდა და შუბლი ოფლით მქონდა დაცვარული. მივდიოდი კვიპაროსების ფართო ხეივანში, ჩემს ირგვლივ ყველაფერი ხმაურობდა და მე სადღაც უსასრულობისკენ მივექანებოდი. როგორ გამოვედი ქალაქში, როგორ გავიარე ბაღი და როგორ გავედი პროსპექტზე — არ გამიგია. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ძალიან შორიდან მოვდიოდი. დაღლილიც ვიყავი და მოთენთილიც. ჩემს ირგვლივ უცხო იყო ყველაფერი, უცხო იყო გარემო, ვერაფერს ვხედავდი. მერე რაღაცნაირად წარიმართა ირგვლივ სანახაობა და... გადასასვლელზე მანქანამ დაამუხრუჭა, ხალხი იქით გაიქცა, მეც გავრბოდი. მანქანის თვლებთან ბავშვი ეგდო, გაფითრებული და შეშინებული. დედა კიოდა,

სახეს იხოკდა. შოფერმა ბავშვი ხელში აიყვანა. არაფერი დაშავებია. ხალხი მალე დაიშალა. მოწურული გული თანდათან დამიმშვიდდა...

ბაღში შევედი. აუზში ბავშვები ჭყუმპალაობდნენ. სკამზე ჩამოვჯექი. ვიჯექი და ვაბოლებდი. მერე ვიღაც პატარა გოგო მოვიდა და გვერდში მომიჯდა. გოგოს ხელში წიგნი ეჭირა, ერთი ორჯერ ქვეშ-ქვეშ შემომხედა. ვიღაცას მივამგვანე, ეს რა ნაცნობი სახე აქვს-მეთქი. ათი წლისა იქნებოდა, ღია წაბლისფერი თმა, დიდრონი თვალები და აპრეხილი ცხვირი ჰქონდა. ცოტა ხნის შემდეგ ბერიკაცმა ნაყინი გამოატარა. ბავშვები ახმაურდნენ, ნაყინი იყიდეს და აუზზე ჩამოსხდნენ. ჰოდი, მეც ვიყიდი, გულს გავიგრილებ-მეთქი. ნაყინის გამყიდველს დავუძახე.

— ორი?

— ჰო, — ნაყინი გამოვართვი, მოვტრიალდი და ერთი გოგოს გავუწოდე. გამომართვა და მადლობაც გადამიხადა. ნაყინს ქაღალდი შემოვაცალე. იმანაც დაიწყო ჭამა.

— რა გქვია? — ვეკითხები.

— თეა.

გული შემიქანდა, ერთი უყურე ამას, ვინ ყოფილა-მეთქი. ხელებზე შევხედე, მელნით ჰქონდა დათითხნილი. აღარ მიყურებს, ნაყინს ჭამს. მზე ცაცხვებს ეფარება, ბიჭები ტანზე იცვამენ.

— გინდა კიდევ გიყიდო ნაყინი?

— გმადლობთ.

— რაზე მიხდი მადლობას, თუ გინდა, მითხარი.

— არა, არ მინდა, — შემომხედა და გაიღიმა. მიცნობ-მეთქი? მხრები აიჩეჩა. მიყურა, მიყურა და მომიჩოჩდა, გიცანითო.

ხმა აღარ ამოგვიღია. ვისხედით და ერთმანეთს ვუყურებდით.

ხელი თმაზე გადავუსვი. თავი კისერში ჩარგო და მოიკუნტა.

— ახლა გამოიტანე? — წიგნზე ვეკითხები.

— დიახ.

— თუ მოგეწონოს, მითხარი და მეც წავიკითხავ.

— აუცილებლად გეტყვით. — წამოიწია და საათზე დამხედა. — შვიდია უკვე. წავალ.

— გაგაცილებ.

მზე სახლებს მოფარებოდა და მთელ ქუჩას ჩრდილი ეფინა. თეა ოდნავ წინ მიდიოდა, წიგნი ორივე ხელში ეჭირა.

წიგნების მაღაზიასთან რომ მივედით, შეჩერდა, დიდი, გაბრწყინებული თვალებით შემომხედა და მითხრა:

— მოვედით.

თავზე ისევ გადავუსვი ხელი. გატრუნული იდგა. რომ დამცილდა, მოიხედა და ხელი დამიქნია. მერე სწრაფად მიიმალა.

შინ რომ მივედი, სინათლე ავანთე და ფარდა გადავწიე. ისედაც განათებულ ქალაქს სავსე მთვარე დაჰყურებდა. თუნუქით გადახურული სახურავები მთვარის შუქს ირეკლავდა. მარტენის მილებიდან ამოწოწოლავებული შავი კვამლი აღმოსავლეთისკენ მიცურავდა. ეზოს მხრიდან ფანჯარას მივადექი და გადავიხედე. სწორედ ამ დროს შემომისწრო ვარლამამ.

— სად ხარ, ბოშო? შენს ძებნაში სული ამომხდა.

— რა მოხდა?

— რა მოხდა და, დეპეშა მევიდა, ცალტვინას და ზოიას ხელი მოუწერიათ და მატარებელზე დაგვხვდითო.

— რას ამბობ, მართლა?

— ა, დეპეშა.

ვარლამას ვეცი და გადავკოცნე.

წვერი გავიპარსე და გამოვეწყვე კიდეც. სარკეში ჩავიხედე. ნიავი ფანჯარაში იჭრებოდა და მაგიდაზე გაზეთებს აფრიალებდა. მე და ვარლამამ შოთას დავურეკეთ, თორმეტის ნახევარზე საერთო საცხოვრებელში მოდი, ასეა და ასე საქმე-მეთქი. სიხარულისგან გადაირია.

— წამო, დომინო ვითამაშოთ, — ვარლამა მეუბნება.

— არ იცი და რა უნდა გეთამაშო.

— წამო, წამო!

ვარლამას კარგა ხანია უნდოდა რევანშის აღება; ახლაც მოგების სურვილი ჰკლავდა. დავსხედით და ორი ხელი ვითამაშეთ, ორივე მოვუგე. ბუზღუნი დაიწყო, იღბლიანი ხარ, თორემ თამაშით ვერა მჯობიხარო. როგორც იქნა, ერთი მომიგო. მეოთხე ხელი კარგა ხანს გაგვიგრძელდა, ბოლოს ისიც მოვუგე.

ზუსტად თერთმეტი იყო, შოთა რომ მოვიდა. ძირს ჩავედით, ვარლამა ერმილეს დასაძახებლად წავიდა. ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირვებია, ერმილემ მანქანა გამოათუხთუხა, ვარლამა წინ წამოსკუპდა. შოთამაც დაქოქა თავისი „მოსკვიჩი" და დავიძარით. ჯერ ადრე იყო და ლუდის დასალევად შევედით. ვარლამამ ჯიბეში ხელი არავის ჩაგვაყოფინა, ჩემზე იყოსო, ორ-ორი კათხა დავლიეთ.

სადგურზე გავედით. მატარებლის მოსვლას ათი წუთი აკლდა და ბაქანზე მოვყევით სიარულს. სადგურის მორიგე აქეთ-იქით დარბოდა, ხან სამორიგეოში შეიმალებოდა, ხან ისევ გამოჩნდებოდა. ზოიას მშობლები არა ხვდებიან თუ ვერა ვხედავ-მეთქი. ხალხი ბლომად ირეოდა, ამიტომ ძნელი იყო გარჩევა. მერე შოთამ ზოიას მამა იცნო. ცოტა ხნის შემდეგ მატარებლის სტვენა გაისმა, მალე ელმავლის შუ-

ქურაც დავინახეთ და ხალხიც ამოძრავდა. ელმავალმა ჩაგვიქროლა და კარგა შორს წავიდა.
ე, ბიჭო, ცალტვინაო, იყვირა ვარლამმა. ჯერ ერთ ვაგონს გავაყოლე თვალი, მერე მეორეს, მაგრამ ლერი ვერ დავინახე. ვარლამა გაიქცა და ჩვენც გავყევით. ლერი კიბეზე იდგა და ხელს გვიქნევდა. შემოვეხვიეთ. ხვევნა-კოცნა რომ ატყდა, ქალებმა წაუტირეს, მოვიხედე და ვარლამაც არ იცრემლება! წავუმუჯლუგუნე. ცხვირსახოცი ჯიბეში იკრა და გაიკრიჭა.

მალე მანქანებში ჩავსხედით და დავიძარით. მთელი გზა საყვირით გავიარეთ და ზოიასთან რომ მივედით, იქაც კარგა მაგრა ვაჭყიპინეთ. მთელი სახლი გარეთ გამოეფინა. ცალტვინა ყინჩად იყო, ახალთახალი კოსტუმი ეცვა და ძალზე უხდებოდა. მაგიდას მივუსხედით. სუფრა დიდ ოთახში გაეშალათ. ლერის თამადად ვუნდოდი, მაგრამ ვიუარე და ვარლამა დავუყენეთ. არც აცია და არც აცხელა, ყანწი მოითხოვა.

...დილის ოთხი საათი იყო, რომ ავიშალეთ. ერმილემ წამოგვიყვანა. ოთახში ავედი, სინათლე არ ამინთია, ლოგინზე ჩამოვჯექი. ერთბაშად საშინელი მარტოობა ვიგრძენი; სინათლე ჩავრთე. არც ამან მიშველა. გული მეწურებოდა. ცალტვინას ლოგინს დავაცქერდი. კიდევ უფრო ვიგრძენი სიმარტოვე. ახლა აღარ მახსოვს, რა იყო ეს გრძნობა, ვამბობ, სიმარტოვის მწვავე შეგრძნება იყო-მეთქი, მაგრამ მთლად ასეც არ ყოფილა. კიდევ იყო რაღაც სხვა, გულის შიგნით რომ მწიწკნიდა და მტკიოდა კიდეც. ტანზე არ გამიხდია, ლოგინზე გადავწექი. ფართოდ გახელილი თვალებით შევცქეროდი ჭერს, რომელზეც შუქის ნაპცეცები დაცოცავდნენ.

18.

ზაფხულმა ხალხი მოთენთა. ოფლში გახვითქული ბიჭები გასავათდნენ, მაგრამ მოწმენდილ ცას, მზეს, ღამით ვარსკვლავებსა და უღრუბლო ამინდს მაინც თავისი ეშხი ჰქონდა. ბრიგადა ბეჯითად მუშაობდა, — ხან ასორმოცელები იყვნენ წინ, ხან — ჩვენ. მერე ის იყო, პავლე ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილედ გადაიყვანეს და, ცოტა ხნით, გულში სიცარიელე გაგვიჩნდა, სიხარულის ნაცვლად ყურები ჩამოვყარეთ, გეგონება, ცხრა მთას იქით წავიდაო, დაგვენაღვლა. მერე ამასაც მივეჩვიეთ და საამქრო ძველ კალაპოტში ჩადგა. ორჯერ შაბათობა მოვაწყეთ, ერთხელაც იალლუჯაზე წაგვიყვანეს და ხეები დაგვარგვევინეს. ერთი სიტყვით, საქმე წინ მიდიოდა. მალე ზამთრისთვისაც უნდა დაგვეწყო სამზადისი. დგანის მიმდინარე რემონტიც ჩასატარებელი გვქონდა, ოღონდ ის კი ვერ გადავწყვიტეთ, როდის დაგვეწყო. გაიოზი იძახდა, სექტემბერში ჯობია, გრაფიკს ნუ დავარღვევთო, არადა, დგანი უკვე შესაკეთებელი იყო და აღარ ვიცოდით, რა გვექნა. იმ დილით სწორედ ამაზე დამიძახა გაიოზმა.

— რა ვქნათ? — მეკითხება.

— მე თუ მკითხავთ, დღესვე უნდა გავაჩეროთ დგანი. სამი დღე საკმარისი იქნება.

— როგორმე უნდა გავუძლოთ. ზაფხულში რემონტი ვის გაუგონია?

— დამკალიბრებელი დგანი მაინც სულ მოშლილია.

— ორ კვირაში არაფერი მოუვა. მერე დავცხოთ.

ტელეფონი აწკარუნდა, გაიოზმა ყურმილი აიღო. ღია ფანჯარაში ცხელი ნიავი უბერავდა. გაიოზი შუბლიდან ოფლს იწმენდდა და დაღლილ თვალებს აფახულებდა. მანამ ის ლაპარაკობდა, ცირაზე დავიწყე ფიქრი. საცაა ჩამოვა და რა უნდა ვუთხრა-მეთქი. კარგა ხანია ამაზე ვიჭყლეტდი ტვინს, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე. ბოლოს, გადავწყვიტე ტყუილი მეთქვა. თუ დამადგებოდა, ბაღში განახე ჯულიასთან ჩახვეულიო, დავიფიცავდი, მე არ ვიყავი-მეთქი, აღარ გადავთქვამდი. ახლაც ამაზე ვფიქრობდი. უცებ სასწრაფო დახმარების მანქანის გაბმულმა სირენამ გამომაფხიზლა. გაიოზმა ყურმილი დადო და ფანჯარაში გადაიხედა.

კიბე ჩავირბინეთ. ხალხი გვირაბში გარბოდა. ჩვენც იქით გავიქეცით. კაცმა არ იცოდა, რა მოხდა, მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე შესკუპებული მეტაბელე გოგო გვირაბში წაიქცა და მუხლები გადაიყვლიფა.

— რა მოხდა? — ვკითხე ვიღაცას.

კაცი მოკვდაო.

რაც ძალი და ღონე მქონდა გავიქეცი.

მილებში ჩაჭეჭყილი, სისხლში მოთხვრილი ამბერკი გულაღმა ეგდო. ფეხები და ცალი ხელი აღარ უჩანდა, მილებქვეშ ჰქონდა მოყოლილი. მანამ ხიდური ამწე მოვიდოდა, ფერდაკარგული ხალხი უაზროდ ყვიროდა. როცა ამწემ მილების კონა ასწია და ამბერკი საშინელი სიმძიმისგან გათავისუფლდა, ექიმმა მაჯა გაუსინჯა. ვიღაცამ საკაცე მოარბენინა. ამბერკი აღარ სუნთქავდა, სახეზე მკვდრისფერი ედო, სისხლიანი ხელები მოკრუნჩხოდა და ორივე ფეხი გვერდზე მოღრეცოდა. როცა საკაცეზე ვაწვენდით, ამოიგმინა. დაფეთებული ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა.

საკაცე მე და დათომ ავწიეთ. ამბერკიმ ისევ ამოიგმინა, დაკუნთული მარჯვენა გულზე ედო, მეორე კი საკაციდან ჩამოვარდნოდა, გაიოზმა აუწია და საკაცეზე დაუდო. შუბლზე და წარბიდან ჩამონადენი სისხლი გვერდზე გადახრილი თავიდან ყელზე ეღვრებოდა. თხელი ტუჩები გალურჯებოდა.

ამბერკი საოპერაციოში შეიყვანეს. მე და ცალტვინა დერეფანში ვიდექით. გვინდოდა ექიმებისა და ექთნების სახეზე ამოგვეკითხა ის სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლე, რომელიც ამ დროს ყველასათვის გაურკვეველია ხოლმე.

გაიარა ერთმა მტანჯველმა საათმა. მიიწურა მეორეც. სართულის მორიგე ექთანმა ძირს ჩამოგვრეკა. ჩამოვედით და ეზოში სკამზე ჩამოვსხედით. იქ მოკეთებული ავადმყოფები ისხდნენ და მომხდარ ამბავზე ლაპარაკობდნენ. არავინ იცოდა, რა ხდებოდა საოპერაციოში; ყველას კარისკენ გვეჭირა თვალი.

ცოტა ხნის შემდეგ ვარლამაც მოგვადგა. იდგა უხმოდ, მხრებში მოხრილი და ხალხს ათვალიერებდა. საავადმყოფოს ეზო საერთო საცხოვრებლის ბიჭებით აივსო. კარს გავცქეროდით. იქ კი საქმიანად შედიოდნენ და გამოდიოდნენ თეთრხალათიანი ადამიანები, ხანდახან შვეიცარიც გამოანათებდა ხოლმე მოტვლეპილ თავს და უკმეხად იშორებდა აბეზარ მნახველებს. შესასვლელში ხალხი ყაყანებდა და კარზე არახუნებდა.

— იქნებ რომელიმე ავსულიყავით და ამბავი გაგვეგო, — თქვა ვიღაცამ.

— ვინ შეგვიშვებს?

— ვცადოთ.

— ჰოდი, მთავარ ექიმთან შევიდეთ. — თქვა დათომ.

— არ შეგვიშვებენ.

— როდის მოიყვანეს? — იკითხა ყავარჯნიანმა კაცმა.

— თორმეტზე.

— ეხლა ოთხი იქნება. — საათებს დავხედეთ. მართლა ოთხი იყო.

— კიდე კაი, პროფესორი აქ არის. — თქვა ყავარჯნიანმა.

— ვინ პროფესორი? — ვარლამა ეკითხება.

— ვიღაცას ჩამოუყვანეს, ოპერაცია გადადეს და ახლაც აქ არის. წეღან ამბობდნენ, იმ ბიჭს ბედი ჰქონია, ოპერაციას პროფესორი უკეთებსო. — ოცი წელიწადი მოსკოვში უმუშავნია, მაგარი ვინმეაო.

კარებში ახალგაზრდა ექიმი გამოჩნდა. გამოგვხედა და ჩვენკენ წამოვიდა.

— ბიჭებო, სისხლი გვჭირდება სასწრაფოდ, გაიღებთ?

ოთხი კაცი გავყევით. მაღლა აგვიყვანა, დერეფანი გავიარეთ და კარგა მოზრდილ ოთახში შევედით.

— იცი რომელი ჯგუფის სისხლი გაქვს? — — მეკითხება.

— საიდან უნდა ვიცოდე, სისხლს პირველად ვიღებ.

— მოიტა თითი. — ჩხვლეტა არც მიგრძვნია. თეფშზე გასინჯა და ჩაახველა. — ცისფერი სისხლი გქონია.

— პირველი ჯგუფია?

— ჰო, დაწექი. — ამობურცული ვენა ორი თითით გამისინჯა, რეზო შორიახლო იჯდა და მიყურებდა. ორი სხვა გარეთ იცდიდა.

— ცოტა ხანს იწექი და მერე გაიარ-გამოიარე. — ექიმი გავიდა. ათი წუთის შემდეგ შემობრუნდა.

— ავდგე? — ვეკითხები.

— ადექი და, თუ გაქვს, ასანთი მათხოვე.

— სიმართლე მითხარით, როგორ არის?

— სისხლს უსხამენ. — თან სიგარეტს უკიდებს.

— ეგ ვიცი, მაგრამ თვითონ როგორ არის?

— კარგად არის.

— ოპერაცია დამთავრდა? — ახლა რეზო ეკითხება.

— მთავრდება

— ლაპარაკობს?

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, კარგად იქნება.

ექიმს დავემშვიდობეთ და ძირს ჩამოვედით. ხალხი შემოგვეხვია.

— რას ამბობენ, როგორ არისო? — დაგვაყარეს აქეთ იქიდან.

მოსაღამოვდა. ისევ იმ ადგილას ვისხედით და ველოდებოდით. ხალხი რომ მიწყნარდა, მორიგე ექიმი დავიხელთე და ვთხოვე, შეგვიშვი-მეთქი. სძინავს და არ ღირს შესვლაო. გაიოზი მოვიდა, მთავარი ექიმი შვებულებაში ყოფილიყო და მოადგილესთან შევიდა. კარგი ამბავი გამოგვიტანა. გაიოზი რომ წავიდა, ავადმყოფებიც აიბარგნენ.

— ამაღამ ვიღაცა უნდა დარჩეს აქ. — თქვა რეზომ.

— აქ არა ვარ, მე დავრჩები. — წამოხტა ვარლამა.

— მე დავრჩები, — ვთქვი მე.

— წამო, შევჭამოთ რამე და ორივე დავრჩეთ. — არ შემეპუა ვარლამა. — ამდენი სისხლი გაიღე და მშიერი გინდა იყო?

კაფე დაეკეტათ და რესტორანში შევედით. კუთხეში დავსხედით. ორკესტრი დაბალი ხმით უკრავდა და სიმყუდროვე იგრძნობოდა. ვარლამამ თვალით ოფიციანტი მოძებნა და თითი დაუქნია. მანამ საჭმელს მოგვიტანდნენ, თითო მოვწიეთ.

უხმოდ ვჭამდით. მერე ჭიქები შავი ღვინით შევავსეთ და ამბერკის სადღეგრძელო დავლიეთ. ცოტა ხნის შემდეგ ოფიციანტმა ჩვენს მაგიდასთან ვიღაც მელოტი კაცი მოიყვანა. კაცს ჩვენთვის არც შემოუხედავს. ოფიციანტი კარგა ხანს აღარ გამოჩენილა. სიგარეტს მოვუკიდე. უცნობი მობრუნდა და მანიშნა, შეიძლება ავიღო თუ არაო.

— ინებეთ, — ვეუბნები. მადლობა გადამიხადა.

დარბაზი გამბით ზუზუნებდა. კედლის ნათურები მკრთალად ანათებდა, სამაგიეროდ ჩამოშვებული ჭაღი კაშკაშებდა.

ოფიციანტი რომ მოვიდა, უცნობმა მოხრაკული სალათა, ბივშტექსი და ერთი ბოთლი არაყი შეუკვეთა. ჯიბიდან ძეწკვიანი საათი ამოიღო და გულის ჯიბიდან სათვალე ამოაძვრინა. ვარლამამაც დახედა თავის „პობედას".

სანამ მეორე თავ საჭმელს მოგვიტანდა, კარგა დრო გავიდა. ვარლამა ფრუტუნებდა და დარბაზს ათვალიერებდა. ერთი შევუბღვირე კიდეც, მაგრამ ვერ შევასმინე. ჭამდა და თან ჩანგალს თეფშზე აწკარუნებდა. მაგიდის ქვეშ ფეხი წავკარი. ვარლამამ მაინც ვერ გაიგო. ამასობაში ოფიციანტმა უცნობს საჭმელი მოუტანა. იგი აუჩქარებლად ჭამდა და ესტრადას გასცქეროდა. თეფშისაკენ რომ იხრებოდა, მელოტი თავი სინათლის შუქზე ულაპლაპებდა. ცოტა ხნის შემდეგ ჭიქა არყით გაიპიპინა და თვალით ჩვენი ჭიქები მოძებნა.

— მიირთვით, — გვეუბნება, — ამ ბოთლს მარტოკა ვერ გამოვცლი, სამივემ დავლიოთ.

— გმადლობთ, ბატონო, აგერ ერთი ბოთლი ქე გამოვწრუპეთ და გვეყოფა, — მიუგო ვარლამამ.

— ისეთ გუნებაზე ვარ, ცოტა შეხურება მინდა. თქვენც გთხოვთ, დალიოთ. — ჭიქები შეგვივსო.

ვარლამას ნერწყვი გადასცდა და ჭიქა მიიჩოჩა.

— მარტოკაცი ჭამაშიც ცოდოაო, ხომ გაგიგონიათ, — გვითხრა მელოტმა და ერთი ამოსუნთქვით გადაკრა.

— დავლიოთ, აბა, ჯურხა, ამაღამ მაინც არ გვიწერია ძილი და ფხიზლად გავათენოთ.

— ღამის ცვლაში ხართ? — გვეკითხება.

— საავადმყოფოში მივდივართ, მეგობარს ოპერაცია გაუკეთეს.

— ჰოო, — უცნობმა საათი ამოიღო და უსათვალოდ დიდხანს დასცქეროდა. — მეც საავადმყოფოში მეჩქარება.

— ავადმყოფთან მიბრძანდებით?

— დიახ, ძალიან რთული ოპერაცია იყო, ხუთი საათი გავიდა უკვე, კრიზისი...

— ექიმი ხართ? — თვალები დააჭყიტა ვარლამამ.

— ქირურგი. დღეს ძალიან რთული ოპერაცია მქონდა. ღმერთის წყალობით ყველაფერი კარგად დამთავრდა, ახლა თვით ორგანიზმზეა დამოკიდებული.

— შეგხედეთ თუ არა, ვიფიქრე, რომ ექიმი იყავით, — მე ვეუბნები.

საათს დახედა, — დიდი დრო გასულა, მელოდებიან, — ადგა და თავი დაგვიკრა. ოფიციანტი მოიხმო, ფული გადაუხადა და კარისკენ გაემართა.

— თავი მომჭერი, ეს თუ ის პროფესორი არ იყოს, — ვარლამა მოტრიალდა და უყურებს.

— ნამდვილად ის იქნება, გავყვეთ.

გარეთ გავცვივდით... ტაქსის გაჩერებაზე მივუსწარით.

— თქვენ საით? — გვიცნო.

— საავადმყოფოში, მეგობართან.

— მაშ, ერთი გზა გვქონია.

ტაქსი მოვიდა. კარი გავაღე და წინ დავსვი. წამოწვიმა. ბუჩქებზე ჩანდა, როგორ ცრიდა. შოფერმა მინის ·საწმენდი ჩართო. გაკაშკაშებულ სინათლეზე მკვეთრად ჩანდა პროფესორის პროფილი.

— თქვენ გაუკეთეთ ოპერაცია აიწურაძეს? — ვეღარ მოითმინა ვარლამამ.

— ვის?

— დღეს ქარხანაში ავარიაში რომ მოყვა, იმაზე გეკითხებით.

— ის არის, — შემოტრიალდა, — ნამდვილად ის არის. არაჩვეულებრივ მოტეხილობასთან გვქონდა საქმე. მაგრამ ყოჩაღი ბიჭი ჩანს. — მანქანის საათს დახედა. — მოვედით უკვე. — კარი გააღო და გადავიდა. ფულის ამოღება დააპირა, მაგრამ შოფერმა არა ქნა, ჩემს ხარჯზე წამოგიყვანეთო.

— იცით ეგ ვინ არის. — შოფერი გვეუბნება, — მაგას ფულს როგორ გამოვართმევ. იმკვირია ბალღი მივუყვანე და კაპიკი არ აუღია, რა, მე კაცი არა ვარ? ამ დილით ქარხანაში ბიჭი დასახიჩრდა, მაგან გაუკეთა ოპერაცია, დახატავო ამბობენ. მაგარია, ოცდაათი წელიწადი მოსკოვშია ნამუშევარი, ოქროს ხელები აქვს.

მაღლა რომ ავედით, ვარლამა ექთანს გამოელაპარაკა, როგორ არისო. ექთანმა თავი გადააქნ-გადმოაქნია და ვერაფერი გვითხრა. მორიგე ექიმმა დაგვინახა, ეხლავე ძირს ჩადითო. ვარლამამ ყელი გამოუწია. არაფერი გაგვივაცა. ძირს ჩამოვედით, ბაღში შევედით და სკამზე დავსხედით. ირგვლივ ისეთი სიჩუმე იყო, გული შეგიღონდებოდა. სხვაგან სიჩუმე ისეთი ამაზრზენი და საშიში არ არის, როგორც აქ. ზიხარ და მოლოდინში საოცარი გრძნობა გეუფლება. არ იცი, როგორი იქნება ყოველი ახალი წამი და რა მოხდება ერთი საათის შემდეგ.

ფანჯრებს ავხედე. სინათლე აქა-იქ ენთო. ვარლამა ადგა. სახეზე წყალი შეისხა, გაიზმორა და ისევ დაჯდა. შადრევნიდან წყლის თქრიალი ისმოდა. ყურთან კოღომ ჩამიზუზუნა. ვარლამამ საათს დახედა. მაგრამ ვერ გაარჩია და თავი დაანება. კარგა ხანს უხმოდ ვისხედით. მოვიხედე. ვარლამა სკამზე გადაწოლილიყო და დასაძინებლად ეწყობოდა. ნაპირისკენ ჩავიწიე. ხვრინვა რომ ამოუშვა. წამოვდექი და შესასვლელისკენ წავედი. კარის ფანჯრიდან დავინახე, შვეიცარი სავარძელში გადაწოლილიყო და ეძინა. კარს ფრთხილად მივაწექი. ფეხაკრეფით ავუარე გვერდი და მაღლა ავედი. პალატის კართან სუნთქვა შემეკრა. სიჩუმემ ცოტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემაშინა კიდეც. ხელის კანკალით შევაღე კარი. ამბერკი გულაღმა იწვა, ისე იყო შეხვეული, ველარ გავარჩიე თავი საით ჰქონდა და ფეხები — საით. ოთახში დახუთული ჰაერი იყო და ცხელოდა. ფანჯარა გამოვაღე. მერე ამბერკის დავხედე. ტუჩები და ცხვირი ოფლით დაცვაროდა. ცხვირსახოცით მოვუწმინდე. ვიდექი და დავყურებდი. მერე სკამზე ჩამოვჯექი, ოთახი მოვათვალიერე; ბათქაშჩამონგრეული ჭერი რომ დავინახე, მივხვდი, ის პალატა იყო, მე რომ ვიწექი.

სადღაც კარი გაიღო, დერეფანში პარკეტი აჭრაჭუნდა. ექთანმა რომ წამოიწია, სწორედ მაშინ შემოვიდა პროფესორი. ექთანმა გაოცებით შემომხედა და ნამძინარევი თვალები მოისრისა. პროფესორი კართან შეჩერდა, მერე ახლოს მოვიდა, დამაკვირდა და მკლავზე ხელი წამავლო.

— თქვენა ხართ?

ექთანი დაიბნა, ხალათის სწორებას მოჰყვა. პროფესორი ამბერკისთან მივიდა, დაიხარა და დიდხანს უყურებდა.

— გემრიელად სძინავს. — თქვა პროფესორმა. — დილით სიცხე გაუზომეთ და მითხარით. — მერე ჩემკენ მობრუნდა:

— ბიჭი მაგარი ჩანს, პერიტონიტს თუ გადავურჩით... ეგ ორ დღეს არ გაიღვიძებს. ეძინოს, ავადმყოფისთვის ყველაზე კარგი წამალი ძილია. თქვენც დაისვენეთ, იმედიანად იყავით, — წამოდგა და დაგვემშვიდობა. თენდებოდა.

ვარლამა ეზოში მელოდა.

ქუჩაში რომ გამოვედით, შვიდი ხდებოდა. ნელი ნაბიჯით მივდიოდით. გაღვიძებული ქალაქი ხმაურობდა. დილის მზით გაბრწყინებული ცა მაღლა აწეულიყო. უკვე ცხელოდა და ხალხი პაპანაქების შიშით ადრიანად გამოსულიყო საქმეზე. მაღაზიაში შევიარეთ, პური და ძეხვი ვიყიდეთ და საერთო საცხოვრებლისკენ გავწიეთ. ლოგინში რომ ჩავწექი, კარგა ხანს ვიტრიალე. ვარლამა გაუნძრევლად იწვა და ჭერს შესცქეროდა.

— არ გეძინება? — მკითხა მან.

არა-მეთქი. ვარლამა ჩემკენ გადმოტრიალდა და თავქვეშ ბალიში გაისწორა. ლაპარაკი გავაბით. მერე ჩაგვეძინა. არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა. თვალი რომ გავახილე, ვარლამა გამქრალიყო. ანა მიხაილოვნამ მითხრა, ბორჯომი დალია და საავადმყოფოში გაქანდაო.

19.

იმ დღეს გადაუღებლად წვიმდა და ზაფხულის ქარი ზუზუნებდა. საამქროში ჰაერი ჯერ ჩაიხუთა, მერე აგრილდა. ქარი ალმოსავლეთიდან უბერავდა. ძლიერ ქარს საამქროში მტვერი და ნაგავი შემოჰქონდა. რახან აგრილდა, ამას ვინლა ჩიოდა. მე და გაიოზი გასასვლელში ვიდექით და მილებით დატვირთულ ვაგონებს ვათვალიერებდით. გარეთ ორთქლმავალი ქშინავდა და საცაა დაიძვრებოდა. ირგვლივ ყველაფერი გუგუნებდა. დგანზე ავედი. აქ კი კაი მაგრა ცხელოდა. მართალია, ვენტილიატორი უბერავდა, მაგრამ ვერაფერს აკლებდა. აქეთ-იქით მიმოვიხედე. ნოდარი გამურული შუბლიდან ოფლს იწმენდს.

— რამდენია?

— ბლომად! — პულტიდან მეძახის.

ხიდური ამწე ჩემს ზემოთ მირახრახებს, მემანქანე ზარს აძლევს, გამეცალეთო. ღუმელიდან ხმაურით გამოვარდა გახურებული ნამზადი, როლგანგებზე დაეცა და დგანის მუშა უჯრისკენ გაცურდა. მერე წახნაგოვანი როლგანგების ბოლოს მოულოდნელად შეჩერდა. ნაპერწკლები ციცინათელებივით ირევიან.

ცვლა ჩავაბარე და გარეთ გამოვედი. წვიმას გადაეღო, ისევ ძველებურად აჭერდა. საერთო საცხოვრებელში კაცის ჭაჭანება არ იყო. ანა მიხაილოვნამ მითხრა, ვარლამამ დარეკა, ექვსზე მოვალ და უჩემოდ ფეხი არ მოიცვალოსო. ავედი და წამოვწექი. ვარლამას ლოგინში ძველი ჟურნალი მომხვდა ხელში და თვალიერება დავუწყე. ვარლამაც შემოვიდა. ისეთია, ფერიფური აქვს წასული.

— რა ვქნათ, ჰა? — მეკითხება.

— რა უნდა ვქნათ, წავიდეთ.

— მაგაზე კი არ გეუბნები, ბოშო.

— რა დაგემართა, აღარ იტყვი?

— ლევარსი ჩამოსულა და აგერ ზის...

— ლევარსი ჩამოსულაო?!.

— ჰოდა. რა ვქნათ ახლა? უფროსი მაჩვენეთო, სიტყვა მაქვს სათქმელიო. ამბერკის ამბავი არ იცის, ბაიბურშიც არ არის.

— აუჰ!..

— რა ვუთხრათ?

— რას ეუბნებიან ხოლმე ასეთ დროს?

— კი ვიცი, რასაც ეუბნებიან, მარა რავარი სათქმელია ახლა ეს ამბავი? კაცი ისედაც გულზეა გახეთქილი და ცეცხლზე ნავთი დავუსხათ? — ვარლამა წამოდგა და გაიარ-გამოიარა. ერთხანს შეჩერდა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხელი ჩაიქნია. ავდექი და მაგიდიდან სიგარეტი ავიღე.

— მორჩი სრუტუნს და თქვი, რა ვქნათ?

ვარლამა შეჩერდა, თვალი მომიჭუტა და მტკიცედ მითხრა.

— აქ, ბოშო, მიკიბვ-მოკიბვა არ გამოვა. ყველაფერი უნდა ვუთხრათ.

— ჩადი და ამოიყვანე.

კარი რომ გაიხურა, გულმა ისეთი ბაგაბუგი მორთო, ვიფიქრე, ბუდიდან არ ამომივარდეს-მეთქი. ნეტა მიწა გამხეთქოდა და ამბერკის

მამა არ ჩამოსულიყო. ცოცხალ-მკვდარს რომ დახედავდა, რაღა უნდა გვეთქვა? მე ვარლამას იმედი მქონდა, ენაგატლეკილია და რაღაცას მოახერხებს-მეთქი.

მაგრამ...

ლევარსი დავინახე თუ არა, წამოვდექი.

— გამარჯობა, ბიძია, შენი!

ხელი მაგრად ჩამომართვა. სკამი დავუდგი. დაჯდა. თან ოთახი აათვალიერა.

— ნამეტანი სიცხეები სცოდნია თქვენთან, — ახლა წიგნების კარადისკენ წაუვიდა თვალი, — სოფელშიც ცხელა, მარა აქ ნამეტანია.

— წელს მაინც, ნულა იტყვი! — ჩაურთო ვარლამამ.

ლევარსიმ ქისა ამოაძვრინა, ჩიბუხი პირში ჩაიდო და ჩაბერა. ვარლამამ „პრიმას" მოუკიდა. გულისგამაწვრილებელი სიჩუმე ნერვებს მიშლიდა. მე ვარლამას ვუყურებდი, მან ფეხი ფეხზე შემოიდო და იატაკზე დაფერფლა. ლევარსიმ ჩიბუხი გაალვივა. მერე ხალათის ჯიბიდან ოთხად მოკეცილი ქაღალდი ამოიღო, მაგიდაზე დადო და ხელისგული დააფარა. ვარლამამ სრუტუნი დაიწყო. მოხუცს, ეტყობოდა, მოთმინების ძაფი უწყდებოდა, მაგრამ გარეგნულად არაფერს იმჩნევდა. ცალი ხელი ისევ ქაღალდზე ედო, თითქოს ეშინოდა არ დამეკარგოსო.

— სადაა ის ჩემი ვაუბატონი? — იკითხა უცებ.

ვარლამამ თვალები დაკუსა, მოიკუნტა, მეც დავთარი ამერია.

— საავადმყოფოშია, ბატონო. ქარხანაში პატარა ავარია მოუხდა და...

ლევარსიმ დინჯად გაამოლა, თუმცა აუინულებული სახე გაუფითრდა. შუბლზე ძარღვი გამოებერა. გავისუსეთ. ორივეს გვესმოდა, ლევარსიმ სუნთქვას როგორ მოუმატა.

— ცოტათი დაშავდა, ბატონო, საშიში არაფერია.

ლევარსიმ ღრმად ამოისუნთქა.

— შეიძლება ვნახო? — იკითხა მერე.

ავტობუსში არ დამჯდარა, ხალხს ფეხდგომელა ათვალიერებდა. საავადმყოფოს კარებთან ნოდარი შეგვეფეთა, როგორ არის-მეთქი, სძინავსო.

ვესტიბიულში ავადმყოფები და მნახველები ისხდნენ და დაბალი ხმით ლაპარაკობდნენ. შვეიცარი ვიღაცა ბავშვიან ქალს ეჩხუბებოდა, ან ბავშვი გაიყვანე გარეთ, ან ორივენი გადითო.

პალატაში ჯერ ვარლამა შევიდა, მერე—ჩვენ. ამბერკი გულაღმა იწვა. სკამი ავიღე და ლევარსის დავუდგი. ლევარსი არ დამჯდარა, მივიდა და ავადმყოფს დააცქერდა. იდგა და უხმოდ უყურებდა, უყურებდა ისე, როგორც ეს მამას შეუძლია მხოლოდ. მე შემოვტრიალდი და ფანჯარაში გავიხედე. მზით გათანგულ ეზოში საავადმყოფოს ნალვლიანი სადამო იპარებოდა, როცა მოვიხედე, ლევარსი უკვე იჯდა. ვარლამას ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. საწოლის თავს დავეყრდენი. ამბერკი შეიშმუშნა. თვალი გაახილა, ჯერ დაბნეულად გადმოგვხედა და მერე გაფართოებული თვალები ლევარსის მიაპყრო. ღიმილთან ერთად ხელი გამოაპარა საბნიდან და მოხუცს მუხლზე დაადო. ლევარსი არ განძრეულა, ამობურცული ძარღვი შუბლზე თანდათან დაუცხრა.

— ჩამოხვედი? — მძიმედ, ჩურჩულით ჰკითხა ამბერკიმ.

— ჰო, ჩამოვედი. — ლევარსიმ ხელზე ხელი დაადო.

მე და ვარლამა დერეფანში გამოვედით, იქვე დავსხედით. კარი ღია იყო.

— როგორა ხარ, ბიჭო?

— ნუ გეშინია, კარგად ვარ. ცოტა დაჟეჟილი ვარ. — საწოლი გაჭრაჭუნდა.

— გტკივა, შვილო?

— მტკიოდა, ეხლა ცოტათი მტკივა.

— რა ვქნათ ახლა?

— რა უნდა ვქნათ, მოვრჩები და ისევ ისეთი ამბერკა ვიქნები.

— აქ უპატრონოდ როგორ უნდა იყო, ჰა?

— რათა ვარ უპატრონოდ, ბიჭები აქ არ არიან?

— ბიჭები?

— ჰო. დედა როგორ არის?

— დაბერდა.

— ნეტა არ ჩამოსულიყავი. რომ ავდგები, მე თვითონ ჩამოვალ.

— კარგს იზამ.

— წამოვდგები თუ არა, შვებულებას ავიღებ და ჩამოვალ.

— აბა შენ იცი.

— როდის მიდიხარ?

— არსადაც არ მივდივარ, აქ უნდა ვიყო.

— შინ წადი, თორემ დედაჩემი გაგიჟდება. — მართლა უპატრონო კი არა ვარ.

— რომ შეიძლებოდეს, შინ წაგიყვანდი.

— არ შეიძლება. ხომ გითხარი, გამოვკეთდები თუ არა, მაშინვე ჩამოვალ. რა გატირებს?

— რახან ცოცხალი ხარ, სატირალი რაღაა?

პალატიდან ხმა აღარ ისმოდა. დერეფანში ავადმყოფები გამოიშალნენ. ჩვენ წინ ექთანმა პაკაპუკით გაიარა. ავდექით და პალატაში შევედით.

— როგორა ხარ, ძველო? — ვარლამა ეკითხება.

— ახლებურად,— ტუჩები ულიმის.

— გაჭამოთ? — ახლა მე ვეკითხები.

— არა მშია. მამაჩემს ბილეთი აუღეთ და შინ გაუშვით.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ. — ბრაზობს ლევარსი, — წასვლა ჩემი საქმეა.

ცხრა იქნებოდა, საავადმყოფოდან რომ გამო-

ვედით. ბიჭებმა თავი მოიკლეს, ლევარსი მშიერია და ვავახშმოთო. რესტორანში წავიყვანეთ. იჯდა და იციცქნებოდა. მერე ჩვენი სადღეგრძელო დალია, ის იყო და ის. დღეს ნუ დამალევინებთ და მეორედ რომ ჩამოვალ, ჩემზე იყოს პატივისცემაო. დიდხანს აღარც ჩვენ გავჩერებულვართ. ვარლამმა შეუჩნდა, გინდა თუ არა, ჩემთან წამოდიო. ლევარსიმ იუარა, ჯურხას გავყვები, ვნახავ, ახალგაზრდები როგორ ცხოვრობენო.

შინ რომ მივედით, გავიყვანე და ხელ-პირი დავაბანინე.

— ნამგზავრი ბრძანდებით და მოისვენეთ, — ვეუბნები.

ლევარსიმ გახდა დაიწყო. გავედი და წყალი შემოვიტანე. ლევარსი უკვე იწვა და ჭერს შესცქეროდა. მეც ჩავწექი. კარგა ხანს ახველებდა, არც მე მეკიდებოდა რული. დილით თვალი რომ გავახილე, ლევარსის ლოგინი ცარიელი დამიხვდა. ელდა მეცა, წამოვხტი, სასწრაფოდ ჩავიცვი. ნამდვილად გაიპარა-მეთქი. ლევარსის სკამი გარეთ გაეტანა და ვარლამას ელაპარაკებოდა.

— ამ დილაადრიან რამ გაგაღვიძა?

— შაი გიდი! სოფელში ამ დროს ნახევარი დღის საქმე მოლეული გვაქვს, ქალაქელებს გიყვართ ძილი, ბიძია, თვარა...

— არც მასეა საქმე. დღეს რომ არ ვისვენებდეთ, ქარხანაში ვიქნებოდით უკვე.

საავადმყოფოში რომ მივედით, ამბერკის ელვიძა. სიგარეტი მომაწევინეო, მთხოვა. იცოდა, არ მიქცემდი და ყასიდად მთხოვა. ლევარსი თავთან სკამზე ჩამოუჯდა და ლაპარაკი გააბეს. ჩვენ გარეთ გამოვედით.

— დღეს არსად დამეკარგოთ, თვარა დაგხოცავთ. — გვითხრა ვარლამამ.

— რას გვექადნები? — დათო ეკითხება.

— ექვსზე წითელ კუთხეში მოდით და გაიგებთ.

ცოტა ხნის შემდეგ ლევარსიც გამოვიდა. ეტყობოდა, კაი გუნებაზე იყო. ჩავიწ-ჩამოვიწიეთ და შუაში ჩავისვით.

— ბიჭი, ეტყობა, კარგად არის. შინ წავალ, თორემ დედაკაცი გადამერევა. მომავალ შაბათს ჩამოვაკითხავ.

— ხვალ წადი, — უთხრა ვარლამამ.

— სიტყვა მაქვს დატოვებული და, ხო იცით დედაკაცის ამბავი, გადაირევა.

ვარლამა ბევრს ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ლევარსი წამოდგა, ულვაში აისწორჩაისწორა. გზაზე თუ დამაყენებთ, დიდი მადლობელი ვიქნებით. ქუჩაში გამოვედით, დათომ ტაქსი გააჩერა. მანქანაში რომ ჩავსხედით, ლევარსი მომიბრუნდა. ერთი თუ კაცი ხარ, საერთო საცხოვრებლისკენ გამატარე, რაცხა ქაღალდი დამრჩა იქ და ნუ დაიზარებ, ჩამომირბენინეო, ავედი და ჩამოვუტანე. ლევარსიმ ქაღალდი გულისჯიბეში შეინახა და დიდი შეიკრა, ავტობუსში რომ ავიდა, ფანჯრიდან გადმოგვძახა, ჩამოვალ და ამ ქაღალდს მერე გაჩვენებთო, ხელი დავუქნიეთ. ავტობუსმა ზოზინით მოუხვია და სანაპიროზე გავიდა.

— ექვსზე საერთო საცხოვრებელში მოდი, არ დამეკარგო, — შემახსენა ვარლამამ.

— რა მოხდა, არ მეტყვი?

— მოდი და იქ გეტყვი.

— კარგი აბა, ცოტა ხანს ქალაქში გავივლი და მოვალ.

ტაქსი გააჩერეს და ჩასხდნენ. ვიდექი და ვუყურებდი, როგორ მიდიოდა მანქანა, მერე მოვბრუნდი და სანაპიროს დავუყევი. ცხელოდა. მართალია, ყვითელი ფოთლები ცვიოდა და შემოდგომის სუნი ტრიალებდა, მაგრამ მზე მაინც მაგრა აჭერდა. მოვდიოდი და ისეთი გრძნობა მქონდა, უცხო ქალაქში რომ გაუჩნდება ხოლმე კაცს. თუმცა ისევ ის სანაპირო, ისევ ის სახლები და ხეები იდგა, ისევ ნაცნობი იყო ყველაფერი, მაგრამ მაინც უცხო მეჩვენებოდა იქაურობა.

ტელეფონის ჯიხურში შევედი. თეამ მიპასუხა, იმწამში მიცნო.

— როგორა ხარ? — მე ვეკითხები.

— კარგად. თქვენ როგორ ბრძანდებით?

— არა მიშავს. ის წიგნი წაიკითხე?

— დიახ. გუშინ დავამთავრე.

— მოგეწონა?

— ძალიან.

— მერე? აღარ გახსოვს, რას შემპირდი?

— როგორ არა. გინდათ, მოგიტანოთ?

— რა ვიცი, მომიტან?

— თუ გინდათ, ცირას გამოვატან.

— ცირას?

— დიახ. გუშინ ჩამოვიდა.

უცებ ტელეფონი გაითიშა. ყურმილი ხელში მეჭირა და კარგა ხანს მესმოდა წყვეტილი ხმა. საათს დავხედე, ხუთი ხდებოდა. გარეთ გამოვედი და ცირაზე დავიწყე ფიქრი, თან ბაღისკენ მივდიოდი, ბაღში რომ შევედი, მომაგონდა, სიგარეტი აღარ მქონდა და მაღაზიისკენ მივბრუნდი. ცირას სახლს რომ ჩავუარე, ფანჯრებს ავხედე, იქნებ თეა მაინც დავინახო-მეთქი. არავინ ჩანდა.

კარგა ხანს ვიბორიალე, მერე ვარლამა გამახსენდა და საერთო საცხოვრებელში წავედი. წითელ კუთხეში ბიჭები ხორხოცებდნენ, მაგიდაზე ჩამოსასხმელი ღვინო და შამპანურები ეწყო. დათო ლომინაძე და ცალტვინა დომინოს უსხდნენ.

— რა პურ-მარილი გაგიწყვია, ვარლამა? — ვეკითხები.

— ვარლამა დღეს სამოცისა გახდა და მაღარიჩს იხდის. — თქვა დათომ.

მივედი და ვაკოცე. თვალზე ცრემლი მოერია. მხარზე წავუთაქე, მოვეხვიე და ხელმეორედ ვაკოცე. იმანაც მაკოცა. გავედით და წითელ კუთხეში მაგიდას მივუსხედით.

ოთახში საღამოს ბინდი შემოიპარა. წამოვდექი და ძირს ჩავედი. ტელეფონთან მივედი და ნომერი ავკრიფე. ხანამ სუნთქვა შემეკვრებოდა, ნაცნობმა ხმამ მიპასუხა.

— ცირა, გესმის, ცირა!

ერთი წუთით ყველაფერი გაწყდა. გაწყდა ხმაც, სუნთქვაც, ერთი სიტყვით, ყველაფერი შეჩერდა. მერე ისევ გაისმა ხმამაღალი სუნთქვა და ჩურჩული:

— ჯურხა!

— ჰო, მე ვარ, ჯურხა. გესმის, ცირა?

ქუჩა ჩახჩახებდა. სწრაფად მივდიოდი. მაღაზიის კუთხეს რომ მივუახლოვდი, გული შემიქანდა.

კუთხესთან, იქ სადაც უამრავი აფიშებია ხოლმე გაკრული, ცირა დავინახე. ჩემკენ მოდიოდა. რაღაც დრო გავიდა, არ ვიცი, რამდენი. ჩვენ პირისპირ ვიდექით. მე მისი ხელები მეჭირა. მას დიდი, მშვიდი და ლამაზი თვალები ჰქონდა. ღრმად ვსუნთქავდი. ირგვლივ იყო სიმშვიდე და ქალაქი ჩახჩახებდა. ადამიანები დინჯად, აუჩქარებლად მიმოდიოდნენ. ოლონდ მანქანები დაჰქროდნენ სწრაფად და ქალაქი ჩვეულებრივი ცხოვრებით გუგუნებდა.

— როგორა ხარ? — მე ვეკითხები.

— რა მიჭირს, შენ?

— ძალიან მომენატრე!

— ჯულია არ მოგენატრა?

— ჭირსაც წაუღია იმისი თავი!

— ნუ იწყევლები!

— ქუჩაში დამიჭირა, ამეტორღიალა და აღარ მომეშვა. რა ჯანდაბად მინდა?

მიყურა, მიყურა და მხრები აიჩეჩა.

— დედას გეფიცები, მართალს გეუბნები,

— ადვილად ლაპარაკობ.

— თუ ღმერთი გწამს, ნულა გამახსენებ.

— ღმერთი რომ გწამდეს, ამას არ გააკეთებდი.

— ხომ გითხარი, ძალით ამეკიდა, ვილაპარაკეთ და წავიდა, სისულელეები მექაქანა.

— წავიდეთ აქედან, — მითხრა და მიტრიალდა.

ვიწრო ტროტუარზე გავედით, ხელი გავუყარე, ვგრძნობდი, მთელი სხეული დაძაბული ჰქონდა.

ხიდის ქვეშ მატარებელმა გაიარა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს იმ მატარებლით ჩვენც მივქროდით. მერე ბორბლების რახრახი მიწყდა და ლიანდაგს შავი მდუმარება ჩამოეფარა. შევაჩერე და ჩემკენ შემოვატრიალე, რესტორანში შევიდეთ-მეთქი.

— ისედაც მთვრალი ხარ, რა გერესტორნება?

— დღეს ვარლამას დაბადების დღეა და იმიტომ დავლიე.

— მართლა, როგორ არის?

— ყოჩაღად. სამოცისა გახდა და მაღაროში იკისრა.

— მოკითხვა გადაეცი.

— თუ ცოცხალი ვნახე, აუცილებლად გადავცემ. წამოხვალ?

— სად?

— რესტორანში.

არაო, თავი გააქნია. ნელა მივდიოდით. განათებული ქუჩიდან სიბნელეში შევედით. მტკვრის სანაპიროზე ჩავედით.

მდინარეს გავცქეროდით. წყალი სწრაფად და მღვრიედ მიექანებოდა.

— თითქოს მდინარეზე მივქანაობთო, არა? — მითხრა ცირამ.

თავთხელზე ქაფქაფა წყალი გადარბოდა. გაღმიდან გრილი ნიავი უბერავდა. ცირასკენ შევტრიალდი, ხელი ხელზე მოვუჭირე. ერთმანეთს თვალებში ჩავცქეროდით. ღრმად ვსუნთქავდი და ვგრძნობდი, როგორ უფეთქავდა მკერდი იმასაც.

მტკვარი კი თავაწყვეტილი მიექანებოდა სამხრეთისკენ და თან უამრავი შლამი, რიყე მიჰქონდა. ჩვენ გარინდებული გავცქეროდით მის მოძრაობას, თითქოს ახეთი უნდა დაგვემახსოვრებინა.

ცირამ ხელი გამომიწოდა. გამოკვართული, პატარა მკერდი ჩემკენ მოაბრუნა. ჯებირი გავიარეთ და გორაკზე ავედით. აქედან ხელისგულივით მოჩანდა ქალაქი. ტყის იქით, მტკვარგალმა ქარხნიდან ამოსული კვამლი უკიდეგანო ცისკენ მიიწევდა.

— ხედავ, სადამდე გაიზარდა რუსთავი, მალე ამ გორაკზეც ამოვა. — მითხრა ცირამ.

სწორი, მაღალი სახლები და ლარივით გაჭიმული ქუჩები ისე იყო განათებული, ოფიქრებდი, მათგან შორს კი არა, ძალიან ახლოს ვართ.

— დიდი ქალაქი ყოველთვის გულგრილია, — თქვა ცირამ.

— მაგრამ ადამიანებს მაინც უყვართ დიდი ქალაქი.

დაღმართზე დავეშვით. გორაკს სანახევროდ ჩრდილი ეფინა. სიბნელეში შევედით, ცირა შევაჩერე და ვაკოცე. იმანაც მაკოცა. მერე ჩამოშლილი თმა გადავუწიე და თვალებში ჩავხედე. პირისპირ ვიდექით და ერთმანეთს ვუყურებდით. მე ვგრძნობდი, რომ ამიერიდან აღარ ვიყავი მარტო. ჩემთან იყო ცირა და ქვეყნიერება, რომელიც ამ გორაკის ერთი ციდა გადასახედიდან ასე კარგად მოჩანდა და ძალზე დიდი და უსასრულო იყო. მთვარით, ვარსკვლავებით და კიდევ რაღაცით განათებულ ფერდობზე დავეშვით. ვერცხლისფრად მოელვარე მტკვარი ფართო ხეობაში მიიკლაკნებოდა. ქვემოთ რომ ჩამოვედით, მანქანამ ჩაგვიქროლა.

ალვების ხეივანში ორპირი ქარი უბერავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეის შუქი და ხვალის იმედი

ვალე, ნაოხრები,
ჯულღაი, წყალთბილა.
ერთი წინუბანი
და აბათხევიც, —
ოდესღაც რა იყო
და მერე — რა ქმნილა,
როგორ დაექანა
ქვევით და ქვევით.
ნახე ახალციხის
ციხე საოცარი.
მთათა ხერხემალზე
დანისლული...
მერე ალებული,
მერე ნაოხარი,
შიგნიდან გატეხილი
კრწანისივით...
ამ ციხეს მოჰგავდა
ეს მხარეც მამაცი,
ბევრჯერ დაცემული
ღალატით.

აქ იყო ათას მტრის
შუბი და მახვილი,
თაჯები, ჯვარი თუ
ხალათი...
ასჯერ დანგრეული,
აყრილი, მოთხრილი,
მონად გაყიდული
ძალათი.
სულ დაპირებებით
ყელამდე მოყრილი
და სავსე
ცხრა ხათაბალათი...
მხარევ სალოცავო,
მხარევ გზანათელო,
მხარევ კურთხეულო,
მარადის!
სწორედ დღეის შუქი
და ხვალის იმედი
შენს ძველ მთაგორებზე
გადადის!..

## მიწის ყადრი

(ნათელა ციხკარიძეს)

იქნებ ასე იყოს და...
იქნებ ასე არც არის.
ყველამ იცის მამულის
სიყვარულის საზღვარი.
იქნებ დუმდნენ მუზები —
როცა ქუხდა სამღარი...
იქნებ მაშინ ამ ყანებს
ლურჯად ედგათ ღალანი...
ზოგი ხარკად გვტაცებდა,
ზოგი — ინაწილებდა
და ეგონათ — ჩვენ ვართო
პატრონად და შვილებად.
შენ კი — აქაური და
კარგი გოგო ამგვარი,
დღეს ამოწმებ სად გადის
საქართველოს საზღვარი...
მონაპირე მამულის

ფრთაგაშლილო მერცხალო,
იქნებ, იქნებ ამ მიწას
ისევ შენ დაეხმარო...
მიწის ყადრი მან იცის,
ვინც საზღვართან ახლოა.
მანდ ყოველი მტკაველი
ჩვენი სამოსახლოა...
ეგ შენსავით ვინ იცის...
შენ კი არ დაივიწყო
იდუმალა,
დამალა,
ხიზაბავრა,
სხვილისი...
მუდამ შემართებულო
და მართალო ყელამდი.
შენი საქმე ნათელი
მარად უნდა ელავდეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კოხტასთავის ციხესთან

(ირ. ციციშვილს)

დღე — ქარ-წვიმა,
მზის სხივები,
სიცივე და
ქარი — ღამით.
უპატრონოდ
ვიძარცვები
კოხტასთავის
ციხესავით.
გასაოცარ ისტორიას
ვერ შეიგრძნობ თუ არ ნახავ.
დამალაში გადამმალეთ.
ნუ მაჩვენებთ ნაქალაქარს.
მის ქარვასლებს,
ყოფილ ბაზარს,
შვიდასსა და რვაასწლიანს.
კლდეკარსა და
ქვაბთაციხეს, —
ჩემს გუშინდელ
ისტორიას.
ნუ მაჩვენებთ თმოგვის ციხეს,
თორემ თვალი — მეცრება...
ახლა უკვე ასე ნგრევას
და ციხის შლას — ეშველება!!!
მზე მწველი და
ქარი, წვიმა,
სიცივე და
ყინვა — ღამით...
მალე ვიტყვით
— აღმადგინეს
კოხტასთავის ციხესავით...

## იმერეთში

სამ დღეს ვიყავ სიზმარეთში,
ათს გავცვლიდი თითო დღეში.
მომეგება ტკბილი, თბილი
ხიბლით სავსე იმერეთი...
სიტყვა — ტკბილი,
გულით — თბილი,
სული — დიდი და მაღალი.
სიყვარული ისეთი და
იმოდენა დამაყარეს...
ამომიჯდა ლამის გული.
ვინ მიგიშვა წასვლად გზამდე!
მესხმებოდა ფრთები თითქოს
უცებ ასჯერ გავიზარდე!..
თავპატიჟი მსურდა გულით.
აქ, სტუმარი რას ვიზამდი?
მაგრამ სუფრას წამში შლიდნენ
სანამ ხელებს დავიბანდი.
— ერთი წუთით, მხოლოდ ერთით.
— აბა, ვთხოვოთ უმცროს-უფროსს!
მაგიდასთან მობრძანდით და
კი, ბატონო, — ვისაუბროთ...
ახლაც მესმის ახლობლისთვის
მოფერება — თქმული მათი:
„დედა რავა გაზრდილათი“
„რავა დამშვენებულათი!..“
და დავდივარ მოხიბლული.
კაცს სჭირდება განა მეტი?
გულნათელი...
შუქმომფენი
დიდებული იმერეთით...
...სამ დღეს ვიყავ სიზმარეთში...

## ჯუმბერ ტიტარაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ტანჯული

რომანი

„**დიდი** ხისულელე ჩავიდინე, აქ რომ მოვედი...“ — ფიქრობდა გედეონი: ბუნდოვნად ახსენდებოდა, როგორ ათვალიერებდნენ წელან ოჯახის უფროსები, აფორიაქებული იყო კვლავ, საშინელ თავის ტკივილსაც გრძნობდა, რომელიც წამითაც არ განელებოდა საიუბილეო საღამოს აქეთ და ის მტანჯველი ფიქრებიც ვერ ჩამოსცილებოდა ვერაფრით... მერე სხვა იქ მყოფებიც გააცნო ლალიმ ბიჭებს: თავიდან თავისი თანაკურსელები — სამი გოგო და ერთი ბიჭი.

წელან, ვიდრე გედეონი და რეზო ლალის მშობლებს ეცნობოდნენ, გოგონები ოთახის ერთ კუთხეს მიჰყუჟოდნენ, ის ბიჭი კი მოპირდაპირე მხარეს დამდგარიყო განცალკევებით, ღრმა ფიქრს მინებებული აბოლებდა და აბოლებდა, ყურადღებასაც არ აქცევდა ირგვლივ მყოფთ, ხოლო გოგონები ხმის ამოუღებლად იდგნენ, ყურადღებადქცეულნი, გაფაციცებით შესცქეროდნენ გედეონსა და ლალის, მხოლოდ ხანდახან თუ გადაუჩურჩულებდნენ რაიმეს ერთიმეორეს და, ეღიმნენ, როგორც იქნა, ბოლოს: ლალიმ იმათკენ წაიყვანა გედეონი და რეზო, განცალკევებით მდგომი ბიჭიც იხმო მერე და თქვა: „იცნობდეთ, ეს გედეონია...“ ერთმანეთს გადახედეს გოგონებმა ამის გაგონებაზე, ეს კი იმისი ნიშანი იყო, ადრევე გამოეცნოთ, რომელი იქნებოდა გედეონი... რეზო დაკვირვებით შესცქეროდა გოგონებს, ერთერთი მათგანი მოსვლოდა თვალში განსაკუთრებით, შავთვალა, მაღალი რომ იყო და ფართოდ ამოჭრილი კაბის გულისპირიდან სუნთქვისას ატორტმანებული ქათქათა მკერდი რომ მოუჩანდა... გოგონებმა კი ხელი რომ ჩამოართვეს გედეონს, თავთავიანთი სახელები წარმოსთქვეს, ჩურჩულით თუ ხმამაღლა: „ლელა, ვერა, ბელა...“ ის ბიჭიც ასევე მოიქცა, წელანდელისა არ იყოს, იბღვირებოდა ახლაც, ბონდოო, — თქვა ხელის ჩამორთმევისთანავე. ბელა რქმეოდა იმ გოგოს, რომელიც რეზოს მოეწონა და ახლა ისევ იმას უმზერდა, განგებ არ სჩადიოდა ამას, თვალს ვერ აცილებდა, ძალა არ ჰყოფნიდა საამისოდ და გოგოსაც არ გამოეპარვია დაჟინებული მზერა ვაჟისა, რამდენჯერმე თვადაც შეხედა — გაოცებასაც გამოხატავდა ერთდროულად და სიამოვნებასაც: ნამიანი თვალები ჰქონდა, დაბურუსებული...

„ეს კი რეზოა, გედეონის მეგობარი...“ — თქვა ლალიმ და ისევ გამეორდა ის ხელის ჩამორთმევაცა და ლელა, ვერა, ბელა, ბონდო... უფრო დიდხანს დაიყოვნა თავის ხელში ბელას თითები რეზომ, ვინემ სხვებისა: ფაფუკი, თბილი ხელის მტევანი ჰქონდა და გრძელი, მოქნილი თითები, ბელაო... — წარმოსთქვა და ვიდრე ხელს ართმევდნენ ერთმანეთს, ერთურთს თვალებში შესცქეროდნენ — ჩაფიქრებული იყო იმ დროს ბელა, რეზოს იმისი თითები რომ ეკავა ხელთ, უმზერდა ვაჟს და უფრო და უფრო იბურუსებდა თვალებს... „ლექსივით არის ამათი სახელები, — გაიფიქრა რეზომ და გუნებაში წაიღიღინა კიდეც, ლელა, ვერა, ბელა, ბონდოოო, — მაგრამ რომელიღაც ამათგანი დისონანსია, — რითმის მიხედვით ბონდო, ისე კი, ეშმაკმა უწყის, რო-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ცისკარი“ № 11.

მელი...“ გაცნობის შემდგომ უბრად იყვნენ ერთხანს, იმ ასაკისანი აღარ გახლდნენ, უცებ რომ აურიამულებულიყვნენ ასეთი ვითარებისას... თუმც რეზო როდი კარგავდა უქმად დროს: გაწყობილ მაგიდას მოავლო თვალი — დიდებული სუფრა გაეშალათ მართლაც. ჩიტის რძეც არ აკლიაო, ისეთი; მერე ისევ ბელას შეხედა რეზომ: მზერა აარიდა ქალმა, თვალთაგან უცებ ჩამოიცილა ბურუსი და თავი ჩაღუნა. ხოლო რეზომ გაიფიქრა — „თუკი დრო მექნა დღეს და განცალკევებით მოვიხელთე სადმე, ავდგები და სიყვარულს ავუხსნი ბელას...“ ამასობაში გაცნობის მერმინდელი დუმილისათვის განკუთვნილი დროც ამოწურულიყო და სხვა სტუმრებისაკენ წაიყვანა ლალიმ გედეონი და რეზო. გააცნო იმათაც... მერე კი მაგნიტოფონი ჩართეს. საცეკვაო მუსიკა გაისმა თუ არა, თითქმის ერთდროულად გადახედეს ერთმანეთს ბელამ და რეზომ: ჯერ რეზომ გაიხედა ქალისაკენ და გაუელვა, თუ შემომხედავს, საცეკვაოდ გავიწვევო... ბელასაც როდი დაუყოვნებია — დაბურუსებული თვალები მიანათა რეზოს: სამიოდე ნაბიჯის დაშორებით იდგა გოგო ბიჭისაგან და ელოდა. არც ჩაფიქრებულა რეზო, გადადგა ის სამი ნაბიჯი, რომელიც ბელას აშორებდა. მზერა არ მოუცილებიათ ერთმანეთისათვის იმ დროს ქალ-ვაჟს და. გიწვევთ საცეკვაოდო. მიმართა რეზომ. ყველა იქ მყოფმა გაიგონა იმისი ხმა. ისე ხმამაღლა იყო ნათქვამი და უცებ ბონდოს მიაპყრეს თვალი — ლალიმაც, ლელამაც, ვერამაც და კიდევ სხვებმაც.

გედეონი კი თავის ფიქრს მისცემოდა კვლავაც და არც ჰქონია ვინმეს დარდი... რეზომ რომ უთხრა ბელას, გიწვევთ საცეკვაოდო, ბონდო შეტოკდა უეცრად და ძალაუნებურად მიიქცია იქ მყოფთა ყურადღება. ყველამ იგრძნო იმისი შეცბუნება. აშკარა იყო, ეკლად დაესო გულზე რეზოს საქციელი... ბელა კი რეზოს შესცქეროდა, ვიდრე ვაჟი იმ სამ ნაბიჯს გადადგამდა და, როგორც კი ხმა ჩაესმა მისი, თანხმობა განაცხადა: „ვიცეკვოთ, სიამოვნებით...“ — ჩურჩულით წარმოსთქვა და თავი ჩაქინდრა...

ოთახში საცეკვაო მუსიკა იღვრებოდა. მხუბუქად ტრიალებდა ლალი, აფრიალებოდა კაბის ბოლო და მომხიბვლელად აყოლებდა სხეულის ყოველი ნაკვთის რხევას მუსიკის ტაქტს. გედეონს შესცქეროდა თანაც, რომელიც უხალისოდ ირჯებოდა: მოშვებოდა სხეული, თვალებში აშკარად გამოხატული კაეშანი ჩასდგომოდა. ლალის კი, როგორც ყოველთვის, მაშინაც ბუნებრივად გამოუდიოდა ყველაფერი, ლამაზად ირწეოდა ცეკვის დროს. თვალს ვერ აცილებდა ვაჟს, დათვივით რომ აძუნძულებულიყო, ჩასჩურჩულა კიდეც: ნამდვილი დათვი ხარ, მოუხეშავიო... ამას რომ ეუბნებოდა, თვალებში ჩვეული სითბო ჩაჰგუბებოდა, რომელიც ნაცნობი და ძალზე ძვირფასი რამ გახლდათ გედეონისთვის, მაგრამ ვაჟს ახლა ლალის თვალთა გუგებისათვის როდი ეცალა: უნდილად ტრიალებდა, იმისი გონება კი ანგარიშობდა და ანგარიშობდა განუწყვეტლივ შემთხვევით გაგონილი სიტყვების, ფრაზებისა თუ წინადადებების ბგერათა რაოდენობას. ცეკვაცა და ლალისთან სიახლოვეც თუ კიდევ სხვა ყველაფერი, რაც კი იქა ხდებოდა მაშინ, ტანჯვისმომგვრელ სასჯელად ქცეოდა... ხოლო ლალი ვერაფერს მიმხვდარიყო, არც სურდა იმჟამად ფიქრი, უფრო კი არ ძალუძდა, ის დღე ზეიმი იყო მისი, ყველაფერი სიამოვნებას ჰგვრიდა: გედეონიცა და ყველა, ვინც იქ იმყოფებოდა, განსაკუთრებით კი გედეონი, რაღა თქმა უნდა...

— იცი, გედეონ, მართლა გნახე წუხელ სიზმარში, შეგპირდი და გნახე კიდეც: შენ?

— რა, მე... — გონს მოეგო, როგორც იქნა, გედეონი, თუმც მთლიანად ვერ დაეღწია თავი აკვიატებული სატანჯველისთვის. ლალის შესცქეროდა თითქოს ახლა, მაგრამ არა, სხვაგან იყურებოდა, სადღაც ეშმაკებში...

-- შენ არ გინახივარ წუხელ სიზმარში?

— არა, — წაიბუტბუტა უხალისოდ, მაგრამ შეიგრძნო უმალ, უფრო კი ალღომ უკარნახა, რაც უნდა ეთქვა და ზოზინით განაგრძო, — წუხელ არ მინახიხარ, ისე კი, ხშირად გნახულობ ხოლმე..

— რა კარგი იყავი, იცი? — უთხრა ლალიმ, — როგორ გითხრა, არ ვიცი...

რეზო და ბელა კი ხმის ამოუღებლად ცეკვავდნენ: ხანდახან ერთმანეთს შეხედავდნენ, შესცქეროდნენ ერთხანს ერთიმეორეს, მერე ჯერ ბელა მოაცილებდა მზერას, მოარიდებდა თვალს და უფრო ახლოს მიიწევდა მისკენ, ოღონდაც მსუბუქად, თავს ჩაღუნავდა ამ დროს, ყვავილივით დახრიდა და რეზოს მკერდზე ელამუნებოდა იმისი თბილი სუნთქვა: აარიდებდა ხოლმე ისიც მზერას, მაშინ, როცა ბელა თავს ჩაქინდრავდა და ქალს ფრთხილად იზიდავდა, მერე კი ისევ თითქმის ერთდროულად შეხედავდნენ ერთმანეთს და კვლავ ჩაღუნავდა წამის შემდგომ ქალი თავს და ყოველივე ეს: ცეკვაც, ისიც, ხმას რომ არ იღებდა არც ერთი მათგანი და მათი სხვა მოქმედებაც, ბუნებრივად რომ ხდებოდა — ერთმანეთისათვის წამიერი თვალის შევლება, თუ არიდება მზერისა, საოცრად უბრალოს, ძალზე ჩვეულებრივსა და მსუბუქად ინტიმურ ელფერს სძენდა ქალ-ვაჟის თითქმის შემთხვევით ურთიერთობას... დუმილი კი ზედმეტ ტვირთად იქცეოდა საცა იყო, პირველად ბელამ იგრძნო ესა, ალღომ მიახვედრა და ვაჟს ახე-

და, ამჯერად უფრო დიდხანსა და დაკვირვებით ათვალიერებდა, კვლავ ჩაებურუსებია მზერა, რეზოც შესცქეროდა და როცა მიხვდა, რაღაცას მეტყვისო, სახის გამომეტყველებამ მიანიშნა ქალისამ, ბელამ ჩაიჩურჩულა:

— კარგად იზეიმეთ ინსტიტუტის იუბილე? უჰ, როგორ მინდოდა დასწრება...

— კი, — მიუგო რეზომ და გაიფიქრა: „ლამაზი ხმა ჰქონია ბელას..."

— ჰო, კარგად ვიზეიმეთ... — ესა თქვა და ფიქრს მინებდა უცებ, ათიოდე წამი რომ გავიდა, მოულოდნელად უთხრა, თავადაც არ მოელოდა: — იცით რა? თქვენ როგორა ფიქრობთ, შესაძლოა თუ არა, ერთი ნახვით შეყვარება. რას იტყვით?..

ბელა არ მოელოდა ამგვარ შეკითხვას: ჩაფიქრებულმა შეხედა, უფრო დაუბურუსდა თვალები, ღიმილივით გადაურბინა მერე სახეზე შუქმა და ვიდრე რამეს იტყოდა, რეზოს ხმა ჩაესმა:

— სერიოზულად გეკითხებით...

ბელა ალარ ცდილა ღიმილის დაფარვას, თვალებშიც ჩაუდგა, ჩამოიშორა წელანდელი ბურუსი და სიცილნარევი ხმით წარმოსთქვა:

— არ ვიცი, მგონი თქვენ უფრო გეცოდინებათ...

— დღეს დამემართა ასეთი რამ, სხვა დროს არ მომსვლია, აი, წელან, როგორც კი თქვენ დაგინახეთ, ვიდრე გაგეცნობოდით...

ამის გაგონებაზე მრისხანება ჩაუდგა ქალს თვალებში, საავდროდ შეკრა წარბები და მიხვდა რეზო, განგებ სჩადიოდა ამას, ალღო კარნახობდა ქალური თავშეკავებულობისა... ცოტა ხნის შემდგომ კი იგრძნო ბელამ, — ამგვარი რამ ახლა ზედმეტიაო და ის მრისხანება, წელან რომ ჩასდგომოდა თვალებში, უცაბედად შეუცვალა ღიმილმა... მაგნიტოფონი გამორთო ამ დროს ლალიმ, მაგრამ ხუთიოდე წუთის მერე კვლავ ჩართეს მუსიკა და მაშინ იყო, ბონდო რომ გაემართა ბელასკენ: მერყეობდა ჯერ, ვიდრე ქალისაკენ გადადგამდა ნაბიჯს, გაუბედაობას შეებოჭა, ხოლო უფრო ადრე, ბელა და რეზო რომ ცეკვავდნენ, ოთახის კუთხეში დამდგარიყო კვლავინდებურად, მოშვებულ-დაბღვერილი, წელში მოკუნტული, სახე წამოჭარხლებოდა, აბოლებდა და აბოლებდა, თვალი არ მოუცილებია თან მათთვის და არც არაფერი გამოჰპარვია: არც ის, თავიდან რომ უბრად ცეკვავდნენ და დროდადრო თუ შეავლებდნენ ხოლმე თვალს ერთმანეთს და მერე მზერას რომ მოაცილებდნენ ერთურთს, ერთიმეორეს უფრო მჭიდროდ რომ ეკვროდნენ, არც ის დარჩენია შეუნიშნავი, ბელა რომ ალაპარაკდა პირველად; წამოჭარხლებულ-აგიზგიზებული იყო ბონდო, ვიდრე ცეკვა შეწყდებოდა და, აი, ამჯერად გაბედა, ბელასთან მივიდა, იდგა ქალის წინ ხმის ამოუღებლად, ბოლოს, როდის-როდის იყო მოახერხა სიტყვის დაძვრა, საცეკვაოდ გაიწვია...

— არ შემიძლია ახლა ცეკვა, — ბონდოსთვის არც შეუხედავს, ისე მიუგდო ბელამ, — გადავიქანცე...

— გადაიქანცე? — ვიდრე ამას გამოსცრიდა კბილთა შორის, თვალები აბრიალა ბონდომ, ბელა კი იდგა თავისთვის, ამაყი, შეუვალი, ზედაც არ უყურებდა ვაჟს, ის კი განაგრძობდა, — წელან კი, წელან კარგად ტრიალებდი...

— წელან სხვა იყო...

— სხვა იყო? უუხ... — ეს „უხ" რომ წარმოსთქვა, მაშინღა შეავლო მზერა ბელამ, თვალებში მძულვარება ჩაღვრილა და ბონდომ ყოველივე ცხადად რომ იგრძნო, უფრო მიეძალა მღელვარება, მარტო ეგ კი არა, ცახცახსაც ველარ იკავებდა. ქალს არაფერი გამოჰპარვია, ზიზღნარევი მზერა მიანათა ისევ, ბონდომ კი ხმის ცახცახით წარმოსთქვა: — რას გეუბნებოდა ის ტიპი...

— რასა და, ერთი ნახვით შემიყვარდიო, ვიცი, სიმართლე რომ არის, თქმამდეც შევატყვე, — ბელამ ის ზიზღი, თვალებში რომ აიკიაფა, საუბრის დასაწყისისას, აშკარა დაცინვით შესცვალა, — გაიგე, რასაც მეუბნებოდა? ახლა კი მომეშვი...

— უუხ, — ოხვრას ამოაყოლა ბონდომ მუქარა. — მოვკლავ!.. — და არეული ნაბიჯით წავიდა ოთახის იმ კუთხისაკენ, სადაც წელან იდგა და მაშინვე სიგარეტი გააბოლა...

რეზომ კი დაინახა, როგორ მივიდა ბელასთან ბონდო, მერე ბელას ზიზღით ანთებული თვალები რომ შენიშნა, განცვიფრდა, ვერ წარმოიდგენდა ვერაფრით, ისეთი მძულვარების გამოხატვა თუ ძალუძდა ბელას... ხოლო ოთახში მუსიკა ილვრებოდა და წყვილები ტრიალებდნენ ისევ. რეზო ამჯერად გედეონსა და ლალის შესცქეროდა, ყოველი მოძრაობა უცნაურად ლამაზი და ძალდაუტანებელი გამოუდიოდა ლალის... „რეზო, ცეკვა ალარ გინდათ?" — გაისმა უცებ ბელას ხმა და რეზო შეკრთა მოულოდნელობისაგან. ბონდოსკენ გაიხედა: შეტოკდა ბონდო და რეზოს ესროლა ბოროტი მზერა, თვალი არ მოუცილებიათ ერთმანეთისათვის, ვიდრე ბელას გასცემდა პასუხს, ბონდოს შესცქეროდა რეზო, მერე თავი დახარა ბონდომ და მზერა აარიდა... ყველაფერს ჩინებულად ჩასწვდა რეზო: ბელა უყვარდა ბონდოს, მოქმედებამ აგრძნობინა იმისამ — ბოროტმა მზერამ, ბელას ხმის გაგონებისთანავე რომ ისროლა აქეთ, არც ის გახლდათ ძნელი გამოსაცნობი, ცალმხრივი რომ იყო სიყვარული... ერთხელ კიდევ შეავლო რეზომ მზერა

ბონდოს და მაღალი. ბოხი ხმით წარმოსთქვა: „ოღონდ თქვენ ინებეთ, ბელა, და თქვენი ხმალი და ჩემი კისერი. ცეკვაზე როგორ გეტყვით უარს...“ ოთახში მყოფთაგან ყველას გაეღიმა. გარდა ბონდოსი და გედეონისა, ასეც უნდა ყოფილიყო: ბონდო ახლა ვერ მოდგებოდა ღიმილისა თუ სიცილის გუნებაზე, ხოლო გედეონი, რაღა თქმა უნდა, ბგერებს ანგარიშობდა კვლავაც და ისევ ჩვეული, აკვიატებული სიზუსტით, ვერაფრით ვერ დაეღწია თავი იმ მტანჯველი, ძვალსა და რბილში გამჯდარი საქმიანობისათვის — უაზროდ უკირკიტებდა ყოველ წარმოთქმულ წინადადებას, ოღონდაც კი მის სმენამდე დასულიყო... არც ლალი ყოფილა მაინცდამაინც დამშვიდებული იმჟამად, თვალნათლივ ამჩნევდა, საოცრად რომ გამოცვლილიყო გედეონი, სცადა კიდეც რამდენჯერმე, ამ ამბავზე ჩამოეგდო სიტყვა, მაგრამ თავს იკავებდა, კრინტი არ დაუძრავს, ეგონა, უხერხულობას გრძნობს, რაკი პირველად არის ჩემს ოჯახშიო...

— რას იტყვით, — ჰკითხა რეზომ ბელას, — შეიძლება თუ არა?

— რა?

— აი, ისა, წელან რომ გეუბნებოდით, — უთხრა რეზომ და გაიფიქრა: ნახავ, თუ არ შემიყვარდეს ეს გოგო, შემიყვარდეს კი არა, უკვე მიყვარსო, თავი დაირწმუნა მერე, — ერთი დანახვით შეყვარება...

— არ ვიცი, — წაიჩურჩულა ბელამ. ხმაც მიბნედილი ჰქონდა იმ დროს და თვალებიც, სახეც ავარვარებოდა, ხოლო სავსე, ვნებიანი ტუჩები იმდაგვარად აათრთოლა, ეგ ორი სიტყვა რომ წარმოსთქვა, რეზომ იაზრა უმალვე, ეს უკვე თანხმობას ჩამოჰგავდა და მოეჩვენა, თითქოს უფრო მეტიც იყო, ახლა მხოლოდ და მხოლოდ იმ სავსე ბაგეებს დასცქეროდა ქალისას, თვალს ვერ აცილებდა და მერე ისევ ჩაესმა ქალის ჩურჩული, — ნუ მეკითხები მაგას...

„რკინასავით მკლავები და თითები აქვს, თითქოს ფოლადისაგან იყოს ჩამოსხმული...“ — ფიქრობდა ბელა და უჩუოდა მაშინ სხეულის ის ნაწილები, ვაჟი რომ ეხებოდა, თვალებიც უფრო მეტად ებურებოდა და გონებაც უბურუსდებოდა თანდათან, ტკბილ, ვნებამომგვრელ მორევს ემორჩილებოდა ნელინელ. რეზოს არაფერი გამოჰპარვია, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან თავადაც მისაკუთრებოდა იმ წამლეკ მორევს: უმაღლესი ნეტარების გრძნობაც დაუფლებოდა ერთდროულად და უკმარისობისაც...

იმ დროს კი ლელა, ერთ-ერთი იმათგანი რეზომ რომ გაიფიქრა წელან, ლექსივით არის ამათი სახელებიო, უხალისოდ ტრიალებდა რომელიღაც თავის თანაკურსელთან ერთად და, სიმართლე რომ ითქვას, სულაც არ სურდა ცეკვა, პირუკუ, ნერვებს უჭიმავდა, ძაბავდა შინაგანად, რადგან ბონდო ებრალებოდა და რამდენჯერაც კი მოჰკრავდა თვალს იმას, ფიქრობდა: „ღმერთო ჩემო, ვაიმე, რა დაღონებულია ეს ბიჭი, საზიზღარი ბელა, საზიზღარი!..“ გული მტკივნეულად ეწურებოდა, ისე ებრალებოდა, იმგვარ გუნებაზე რომ ხედავდა ოთახის კუთხეში მდგომს, განცალკევებითა და ეულად, ვერაფრით რომ ვერ მორეოდა თავს... ცეკვავდა ლელა და ხან ბელას შეავლებდა მზერას, ხანაც ბონდოს, მაშინ, როცა ბონდოს შეხედავდა, თვალებს ცრემლი უნამავდა და სიბრალულით ევსებოდა გული, ხოლო როცა ბელას ჰკიდებდა მზერას, რომელიც კვლავაც თავდავიწყებით ეცეკვებოდა რეზოს, ლამის იყო, ნამჩამდგარ თვალებს იმისას ნიაღვრად წამოსკდომოდა კურცხალი, თუმცა არც ზიზღს გამოხატავდა იმ დროს იმისი თვალები და არც ბოროტებას, საერთოდ, არც გაბოროტება შეეძლო რაიმეზე ლელას და არც შეზიზღება ძალუძდა ვინმესი, იმდენად სათნო ბუნებისა იყო... ხოლო ვერა — ესეც იმათთაგანი გახლდათ, რეზომ რომ გაიფიქრა, ლექსივით არის ამათი სახელებიო — ქალბატონ ელენეს ესაუბრებოდა, როგორც კი მაგნიტოფონი ჩართეს, ტუჩები აიბზუა მაშინვე, აშკარად გამოხატა ამით, მოწყენილობა რომ დაუფლებოდა, იყო ერთხანს დაღვრემილი, სხვები რომ ცეკვავდნენ, მერე კი სუფრასთან მივიდა, დიდის გულმოდგინებით ათვალიერებდა ნაირ-ნაირ ნამცხვარსა თუ ტკბილეულს, ღიმილი ეფინებოდა წარამარა სახეზე, ეტყობოდა, მოსწონდა, ამ საქმიანობით როცა იჯერა გული, ხელახლა დასევდიანდა და ქალბატონ ელენესაკენ გაემართა... თავის თანატოლებთან ვერ გრძნობდა ისე შინაურულადა და თავისუფლად თავს ვერა, როგორც იმათ მშობლებთან: უფროსებთან მეტ საერთოს პოულობდა, საუბარიც უფრო ეხერხებოდა მათთან და ახლაც ქალბატონ ელენეს ემასლაათებოდა — საუცხოო ტორტის გამოცხობა ვისწავლე ამას წინათო, — ეუბნებოდა, — ერთი ჩინებული კულინარი გავიცანი და იმან მასწავლაო... ეს რომ თქვა, ქაღალდი და ფანქარი მოითხოვა, მერე მკვირცხლად დაწერა რეცეპტი და ქალბატონ ელენეს მიართვა, ნამცხვრის უნახავს გაგხდის, ისეთიაო... ნამცხვრის გამოცხობა ყველაფერს ერჩივნა ამქვეყნად ვერას, სწავლასაც, თეატრსაც და ყოველგვარ სხვა საქმიანობასა თუ გასართობს და, რაც მართალია, მართალია, დიდებულად გახლდათ დაოსტატებული, საგანგებოდაც იპატიჟებდნენ ხოლმე ნამცხვრის გამოსაცხობად...

მუსიკა კვლავ უკრავდა, მაგრამ ამჯერად აღარავინ ცეკვავდა, ჯგუფ-ჯგუფად დამდგარიყვნენ სუფრასთან მიპატიჟების მოლოდინში და ხმადაბალი საუბრით ირთობდნენ თავს...

ხოლო ლალი ღრმად ჩაფიქრებულიყო, მზე

რას ვერ აცილებდა გედეონს, რომელიც როგორცა ჩანდა. ვერავის ამჩნევდაირგვლივმყოფთაგან... „რა მოუვიდა ნეტავ, — ფიქრობდა ლალი. — ნუთუ ასეთი მორცხვია? თუმც წუხელაც ვერ იყო გუნებაზე. არა, დღეს უფრო დაღონებულია. არ მეგონა. ასე თუ მოერიდებოდა ჩემი მშობლებისა..."

— რა მოგდის დღეს. გედეონ. — მოთმინების ფიალა ავსებოდა უკვე ლალის. — მითხარი მაინც, რამ დაგაღონა, — ნაღველი ეისძალებოდა იმის ხმას. სახეზეც აღბეჭდვოდა კაეშანი. — ასე უნდა იყო ყურებჩამოყრილი ჩემი დაბადების დღეზე?

გედეონმა კარგად გაარჩია სიტყვები. რომელიც ლალიმ წარმოსთქვა ახლახან, თუმცა მაინცდამაინც ხმამაღლა არა ყოფილა ნათქვამი და ვიდრე მიხვდებოდა. რასაც ეუბნებოდა გოგო. ბგერები დაიანგარიშა ჯერ. ეს კვლავაც სურვილგარე მოხდა, უნებურად და მერეღა ჩასწვდა შინაარსს ნათქვამისას... „არა, აღარ უნდა დავიანგარიშო, შევძლებ კი? — ფიქრობდა და ლალის შესცქეროდა. — უნდა შევძლო როგორმე..."

— ჩვენებისა ხომ არ გერიდება? — ჰკითხა ლალიმ. თან გამომცდელი მზერა მიაპყრო ვაჟს. ის კი ჩაფიქრებულიყო უწინდებურად. — მართალი მითხარი...

ტვინი კი თავისას განაგრძობდა კვლავ — იმ აკვიატებულ და მომქანცველ საქმიანობას და. გედეონმა უპასუხოდ დატოვა ლალის შეკითხვა, შესაძლოა. ვერც ჩასწვდა შინაარსს ნათქვამისას, ხელახლა რომ გაიმეორა ლალიმ ის, რაც წეღან თქვა, მხოლოდ მაშინღა ალირსა პასუხი:

— არა. მოსარიდებელი რა მაქვს. — ჩაფიქრებული უსმენდა ლალი. გედეონს კი საშინლად აღიზიანებდა და აცლიდა ქანცს ყველაფერი, რაც იქა ხდებოდა, განსაკუთრებით, ლალისთან სიახლოვე. ამგვარი რამ პირველად იმ დღეს განიცადა და შეძრწუნდა. — არ მერიდება...

მერე ასეთი რამ მოხდა: ბონდო სად არისო. — იკითხა ლელამ და აქეთ-იქით მიმოიხედეს. მაგრამ ვერ დალანდეს ვერსად. აივანზე გავიდოდაო. — იფიქრეს. თუმცა იქაც არ აღმოჩნდა და მიხვდნენ. შეუმჩნევლად გაპარულიყო... დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ბონდოს საქციელმა. რეზომ კი გაიფიქრა: „აი, რომელი ყოფილა თურმე დისონანსი..."

— საზიზღარი. — თქვა ლალიმ და ხმა აუცახცახდა, ისე იყო ნაწყენი, — ღმერთო, რა საძაგელი ვინმე ყოფილა ბონდო. სულ არ ჰქონია ჩემი ხათრი, რაღა მაინცდამაინც დაბადების დღეზე მაწყენია...

— როგორ გაიპარა. ვერც ერთმა რომ ვერ გავიგეთ. — ამბობდა ლელა და ტირილი სურდა, — არა. როგორ ვერ შევნიშნეთ...

ვერას კი არაფრად ჩაუგდია ბონდოს გაპარვა. შესცქეროდა გაწყობილ სუფრას და თვალები უციმციმებდა. სახეც აკაშკაშებოდა...

— რამდენი ნამცხვარი გამოგიცხვიათ, ვაჟო, — უთხრა ლალის. — გადავირიოთ, ლამის არის ქალი. საკვირველია. როგორ მოასწარით. ისე კი. რა საზიზღარი ვინმე ხარ. რომ იცოდე, ლალი. გეთქვა ადრევე ჩემთვის. დაბადების დღეს რომ იხდიდი და გული როგორ დამიდგებოდა შინ, მეც მოვეხმარებოდი დედაშენს...

ხოლო ბელა ლელას დაეპარტოხელებია: წეღან. როგორც კი ბონდოს გაპარვის ამბავი გამჟღავნდა. მაშინვე ბელასთან მივიდა და ოთახის კუთხისაკენ გაიხმო. იქ იდგნენ ახლაც და გულდათუთქულ-დასევდიანებული ეჩურჩულებოდა ლელა ბელას:

— არა გრცხვენია. გოგო. როგორ ექცევი იმ ბიჭს, დესპოტი ხარ ნამდვილი. ჯალათი. ჯალათი... შენი გულისათვის გაიპარა. რა მოხდებოდა ვითომ. შეგეკავებია როგორმე თავი და რეზოსთან არ გეცეკვა...

— ნუ გაიპარებოდა. — უგულოდ პასუხობდა ბელა. ერთი სული ჰქონდა თან. როგორმე გაეთავისუფლებია თავი არამკითხე მოამბისაგან. — გდებულიყო აქ...

— უჰ. როგორ უყვარხარ. — ეუბნებოდა ლელა და თვალები ცრემლით ავსებოდა. გულიც უფრო უჩვილდებოდა. — როგორ უყვარხარ. გოგო. შენ კი. ტანჯავ. სულაც არ გებრალება. თითქოს დანაშაული იყოს სიყვარული...

— გეყოფა. — ცივი ხმით მიახალა ბელამ. — სხვა დროს აღარ მითხრა ასეთი რამ. რამდენჯერ მითქვამს შენთვის. ჩემთან ნუღა ახსენებ იმ ბედოვლათს-მეთქი!

— ეჰ. ქვის გული გაქვს. გოგო. ქვისა. — ოხრავდა ლელა. თან ისევ ბონდო დასდგომოდა თვალწინ. საცოდავზე საცოდავი არსება. როგორც თავად უწოდებდა ხოლმე ძალზე ხშირად. — როგორ უყვარხარ იმ უბედურს...

ლელა კვლავ იცრემლებოდა. ბელას რომ ელაპარაკებოდა და. უნდა ითქვას. საერთოდ ძალზე სათნო და შემბრალე გულის არსება გახლდათ. განსაკუთრებით მაშინ აუჩვილდებოდა ხოლმე გული მტკივნეულად. როცა ეტყოდა ვინმე. ანდა თავადვე მიხვდებოდა. ამა და ამ ადამიანს ესა და ეს უყვარსო... ამის გავება იყო და. მიეძალებოდა სევდა-ნაღველი. ცრემლსაც ველარ იკავებდა. სიყვარული ძალზე იღბლიანიც რომ ყოფილიყო, იმდულრებოდა და იცრემლებოდა მაინც. ხოლო თუ ცალმხრივი იყო, მტრისას მაშინ. ყველა შეყვარებული ებრალებოდა — რეალურად არსებულნიცა თუ

წიგნის, თეატრისა და კინოს გმირებიც და, აბა, რაღა გასაკვირია, ბონდო რომ შებრალებოდა. როცა ვაჟი თანაკურსელი იყო მისი, თანაც ერთიანად დაეჩანაკებია ცალმხრივ სიყვარულს, დამამცირებელსა და მტანჯველს... აცრემლდებოდა ხოლმე უმალ ლელა, როგორც კი გაიხსენებდა, ბელა რომ უყვარდა ბონდოს, თუკი მარტო იყო, აქვითინდებოდა კიდეც, ის კი არა, ზოგჯერ ხალხშიც ვერ შეუკავებია თავი... საცოდავი ბონდო, საცოდავი, ვაიმე, დედა, როგორ უყვარს, როგორო... — გაიძახოდა წარამარა და ალბათ ეს სიბრალული და ზედმეტი გულჩვილობა თუ იყო მიზეზი, შემდგომ, დრო რომ გავიდა, ერთ დიდებულ და წარმტაც დღეს იგრძნო ლელამ ცხადად, ბონდო შეუვარებოდა, მაგრამ თავზარდამცემი როდი ყოფილა ეს მოულოდნელი აღმოჩენა. მტანჯველი სიყვარულით შეჰყვარებოდა უკვე: ღამღამობით რული არ ეკარებოდა და დღისითაც მხოლოდ და მხოლოდ ბონდო ედგა თვალწინ, გასაკვირი კი ისაა, თავისი თავი არ შებრალებია მაშინ ლელას, ხოლო ბონდოს შეცოდება-სიბრალულზე ხომ ზედმეტია სიტყვის ჩამოგდება და რარიგ საოცარიც უნდა იყოს, ვაჟმაც წრფელი სიყვარულით უპასუხა. ვინ უწყის, შესაძლოა, ეს ერთგვარი შურისძიებაც კი გახლდათ ბელასადმი, ანდა განვლილი წლების ანაზღაურების სურვილი, როდესაც ცალმხრივ სიყვარულს მარტოდენ დამცირება მოჰქონდა ხოლმე და სხვა არაფერი...

სუფრას კი ჯერაც არ შემოსხდომოდნენ, ისეთი წუთები მომდგარიყო, როცა სამეჯლისოდ მისულ ხალხს ყველა ცერემონიალი შეუსრულებია უკვე და მეტი არა დარჩენია რა, სუფრას უნდა მიუჯდეს, და, აი, ლალის ხმაც გაისმა ამ დროს — მაგიდასთან უხმო სტუმრებს და იმათაც როდი დაუყოვნებიათ... ბელა და რეზო ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ და მიხვდებით ალბათ, შემთხვევითობის ბრალი რომ არ იქნებოდა: გოგოსაც ასე სურდა და ბიჭსაც... „თამადად რეზოს ვნიშნავ, — განაცხადა ლალიმ და ბიჭს მიმართა: — უარი არ მითხრა, მოდი, ნუ მაწყენიებ დღეს...".

როგორც რიგი და წესი მოითხოვდა ამგვარი შემთხვევის ჟამს, თავპატიჟი გამოიდო რეზომ, იუარა: რა სათამადო კაცი მე ვარ, უმჯობესია, გედეონს მივანდოთ სუფრის ხელმძღვანელობა. და ბელამ თქვა: „იუბილარის სიტყვა კანონია, ასეა მგონი. — ეს ხმამაღლა განაცხადა, ყველას გასაგონად, რეზოს მიუბრუნდა მერე, შესცინა ჯერ, შემდგომ თვალები დაიბურუსა, უმზირა და ბოლოს ჩასჩურჩულა, — მაინტერესებს შენი თამადობა, უარს ნუ იტყვი..." და რეზომაც თანხმობა განაცხადა — ორივე ყანწი პირთამდე შეავსო ღვინით, ერთი თავად დაიტოვა, მეორე კი გედეონს გადასცა და ჩაფიქრდა, სათქმელს ურიდა თავს, ბოლოს დაალაგა გუნებაში, რაც უნდა ეთქვა და ენად გაიკრიფა: აიყვანა ლალი ცამდე, და მართალიც იყო, ტრადიციისა თუ წესის თანახმად, პირველი სადღეგრძელო იუბილარს განეკუთვნებოდა... მერე კი გედეონი წამოდგა, იდგა საცოდავად, ვიდრე გონს მოიკრეფდა, აწურულიყო [illegible]; უმწეოდ ახამხამებდა წამწამებს, აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს, იმდენ ხანს იყო თავჩაღუნული, ბოლოს და ბოლოს უხერხულობა აგრძნობინა სუფრის წევრთ — დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო ირგვლივ და ამოღერღა როგორც იქნა: „გაგიმარჯოს, ლალი, კარგად იყავი, დიდხანს იცოცხლე..." სასმელი რომ გამოსცალა, დაცარიელებულ ყანწს ჩასცქეროდა... „რა საყვარელია ახლა, აი, ამ წუთას, აწეული რომ დგას, — ფიქრობდა ლალი და რატომღაც ქურდულად შესცქეროდა გედეონს, მერე შეებრალა, პიჯაკის სახელოზე დაჰქაჩა: დაჯექიო, და ისევ ფიქრს მიუბრუნდა, — სიზმარშიც ასეთი კარგი იყო..."

— ამ ტორტს რამდენი კვერცხი დასჭირდა, დეიდა ელენე? — იკითხა ვერამ, — კარგი გამოგსვლიათ ძალიან...

— შვიდი...

— აუჰ, რა დიდებულია?! — თქვა ვერამ,— ტორტის უნახავს გაგზდის, ისეთია, აი, მაგალითად, მე, — ლალის მიუბრუნდა. — ხომ იცი ნამცხვრებში კარგად რომ ვერკვევი, იშვიათად თუ შემხვედრია ასეთი უნაკლო ტორტი, ბიჭებო, აბა, თქვენც გასინჯეთ ერთი...

— გაგიჟდი, გოგო, — შეაწყვეტინა ბელამ, კარგად მოეხსენებოდა იმას ვერას ჩვეულება, რაკი ერთხელ ჩამოაგდო ნამცხვრებზე სიტყვა, მორჩა, აწი ველარ შეაჩერებდი. — ღვინოზე ნამცხვარი გაგონილა?

— რას ამბობ, — მიუგო ვერამ, — პირიქითაა, რომ იცოდე, აი, მაგალითად, მამაჩემი, კაი გვარიან მსმელად მიაჩნია ყველას და მართლაც ასეა, ხარივით სვამს, ჰოდა, პირველ ჭიქასვე აყოლებს ნამცხვარს, ამიტომაცაა, ღვინო ვერაფერს აკლებს, აბა, ბიჭებო, თქვენც სინჯეთ ერთი...

ისეთი პირი უჩანდა, ალბათ კიდევ დიდხანს გააგრძელებდა ვერა ნამცხვართა ქებათა ქებას, მაგრამ ბატონმა დავითმა მოითხოვა სიტყვა, ქალიშვილი ადღეგრძელა, დინჯად ლაპარაკობდა, დარბაისლურად და მართლაც სტოვებდა ეს ზონზროხა კაცი დარბაისელი ადამიანის შთაბეჭდილებას, შემდგომ კი ბოდიში მოუხადა სტუმრებს: „ხვალ ადრე ვარ ასადგომი და თუკი ნებას დამრთავთ, მოვისვენებ..." ეს რომ ბრძანა, აღარც დაუყოვნებია, სუფრას გაეცალა, მალე ქალბატონი ელენეც მიჰყვა მეუღლეს — დაღლილობა მოიმიზეზა... ხოლო ახალგაზრდები, როგორც კი უფროსები გაიგულეს, ახმაურდნენ უმალვე, თუმც არც მანამდე გრძნობდნენ თავს მაინცდამაინც შეზღუდულად; სუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ერთბაშად მოედო ჟრიამულისა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიცილის ხმა, სადღეგრძელოებიც უფრო ძალდაუტანებლადა და ხალისით მიჰყვა ერთიმეორეს: ყველა გამხიარულებულიყო ირგვლივ, მხოლოდ გედეონს ვერ დასდგომოდა საშველი... „აი, ახლა კი ეს ბარკალი გასინჯე, რა გემრიელია, იცი? დეიდა ელენეს შებრაწულია," — ეუბნებოდა ბელა რეზოს და შესცქეროდა, არ აცილებდა მზერას... „საცოდავი ბონდო, რა უბედურ დღეში ჩაიგდო თავი ბელას გადამკიდემ, — ფიქრობდა ლელა და რეზოსა და ბელას საუბარს აყურადებდა გაფაციცებით, სხვა აღარაფერი ედარდებოდა იმ საღამოს. და მართლაც, თითოეული სიტყვა, რომელიც ქალ-ვაჟს წამოსცდენოდა. მას შემდგომ, რაც სუფრას შემოსხდომოდნენ, ღრმად ჩაბეჭდვოდა გონებაში... — ვაი, რა საზიზღარია ეს ბელა. ამ საღამოს გაიცნო რეზო და რას სჩადის — ეკურკურება. ხალხისა მაინც მორიდოს, ბონდო კი, ეჰ, საბრალო. როგორ უყვარს?! არადა, ამათაც რომ შეუყვარდეთ ერთმანეთი, ღმერთო ჩემო, რა საბრალონი იქნებიან..." ცოტაც და, რეზო და ბელა ხმამაღალი საუბრიდან ჩურჩულზე გადავიდნენ თანდათან, ჯერ ნელ-ნელა უდაბლებდნენ ხმას და ბოლოს ჩურჩულად იქცა იმათი საუბარი. ორივე მათგანი დიდებულად გრძნობდა. ბუნებრივი იყო ესა: ჩურჩულმა უფრო ლამაზი და ინტიმური გახადა ურთიერთობა ქალ-ვაჟისა, რომელთაც მხოლოდ იმ დღეს გაეცნოთ ერთმანეთი და ისიც შემთხვევითობის მეოხებით და ახლა გუნებაში ერთიცა ნანობდა და მეორეც, ადრე რომ არ იცნობდნენ ერთურთს, ხოლო ჩურჩული აუცილებელი გამხდარიყო. ბელამაც იცოდა ესა და რეზომაც, როგორცა ჩანდა, საამისო გამოცდილება არც ვაჟს აკლდა და არც ქალს და ამასაც დიდებულად ხვდებოდა ორივე... უკვე ქალიც საამო ბურუსს მინებებოდა და ვაჟიც, ეს კი ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვების ბრალი იყო, სხვათა გასაგონად რომ ველარ გაემეტებიათ... ლელას კი თავგზა დაჰკარგვოდა, ცნობისმოყვარეობად ქცეულიყო...

— საოცარია, — გადაუჩურჩულა ბელამ რეზოს, —ამდენსა სვამ და ფრიადოსნობას როგორღა აზერხებ?..

— ფრიადოსნობას? — „ამან რა იცის..." გაუელვა რეზოს და ამ წუთას, როცა ეს ლამაზი ქალი ეჩურჩულებოდა, სამარცხვინოდ, უფრო კი თანდაყოლილ ნაკლად მიიჩნია ფრიადოსნობა და გაცილებით მეტი: დამცირებულადაც იგრძნო თავი. — შენ რა იცი?..

— მე ბევრი რამ ვიცი შენი, — არ დააყოვნა ბელამ, ამას რომ ამბობდა, თავი ჩაექინდრა, იმისი ხმა კი ჯადოსნურ სიმღერასავით ჩაესმოდა რეზოს. — თითქმის ყველაფერი ვიცი შენზე, ისიც, ზოგჯერ მუშტი-კრივზე რომ არ ამბობ უარს. შეიძლება გაგიკვირდეს კიდეც, მაგრამ გეტყვი მაინც: შორიდან გიცნობდი...

ვაჟს ესიამოვნა ქალის სიტყვები. ეჭვმა გაკენწლა ჯერ — ტყუილი იქნებაო, თუმცა მერე, რომ ჩაფიქრდა, სარწმუნოდ მიიჩნია ბელას ნათქვამი, სიხარულმა დარია ხელი და არც ჩაფიქრებულა, ისე იცრუა: მეც გიცნობდი შორიდანო...

— მართლა? — გაიოცა ბელამ და აღელდა, გუნებაც წაუხდა. უეცრად შეეცვალა დაბურუსებულ თვალთა ფერი, უფრო გამჭვირვალე გაუხდა თითქოს, ხოლო სახეზე აშკარად დააჩნდა სასოწარკვეთა. — მართლა მიცნობდი?..

— კი, — მიუგო რეზომ. — გიცნობდი. — და მხარზე გადახვია ხელი, არ მოელოდა თავადაც, ამას რომ მოიმოქმედებდა და ქალს ისევ დაუბურუსდა თვალები, სახეს მისას კი უცაბედად ჩამოსცილდა წეღანდელი სასოწარკვეთა, შემდგომ კი ფრთხილად ჩამოიცილა ბელამ ვაჟის მკლავი, ისე სათუთად, მოფერებას ჰგავდა...

— რას სჩადი, რეზო, აქ უხერხულია, — ჩასჩურჩულა ბელამ და ეს „აქ" ენიშნა რეზოს, ლამაზად იყო წარმოთქმული. — ვერა ხედავ, როგორ ჯაშუშივით გვითვალთვალებს ლელა?..

კვლავ ტრადიციისდა მიხედვით მისდევდა სადღეგრძელო სადღეგრძელოს, იცოდა ჩინებულად რეზომ, რა რის შემდგომ უნდა თქმულიყო და ის მკრთალი სინათლე ამჯერად თითქოს უფრო მკრთალად ანათებდა ოთახსაც და იქ მყოფებსაც — ბუნდოვნად, ნელ-ნელა და თანდათანობით იბინდებოდა ყოველივე... ხოლო გედეონი შემთვრალიყო იმ პირველი ყანწის გამოცლისთანავე, მაგრამ გუნება ვერ გამოკეთებოდა, ძველებური დღე ადგა ისევ, თუმცა ღვინოს კი ეძალებოდა, ეგების საშველი დამადგეს როგორმეო... არა, ამაო იყო ყველაფერი, ვერ განელდებოდა ის სატკივარი თუ სადარდებელი, რომლის ჩამოცილება შეუძლებელი რამ გამხდარიყო, გონება უფრო მეტი ხალისით ჩაჰკირკიტებდა იქ ნათქვამ ყოველ სიტყვასა თუ წინადადებას, სმენას რომ ჩასწვდებოდა, სულ ერთი იყო, აღიქვამდა თუ არა ცნობიერება, ანგარიშობდა წარმოუდგენელი სიზუსტითა და სისწრაფით... „რა ვქნა, რა წყალს მივცე თავი..." — მხოლოდ ამასღა დარდობდა გედეონი, თან ღვინოსაც კარგა გვარიანად დაერწია... ხოლო ლალიმ, დედა, როგორ მორცხვობს ეს საცოდავი, არა, უნდა გავართო როგორმეო... — გაიფიქრა და ორივე ხელი ჩასჭიდა, თავისკენ მიიზიდა და მკერდზე მიიკრო ვაჟის მკლავი, ბუნებრივი, ძალდაუტანებელი მოძრაობა იყო ესა... „იცი რა, გედეონ, ნუ ხარ ასე, — ევედრებოდა და ნელ-ნელა უნაღვლიანდებოდა თვა-

ლები, სახე კი გაფერმკრთალებოდა, — ვამხიარულდი, რა იქნება, ძალიან გთხოვ, ეს რომ მცოდნოდა, სულაც არ გადავიხდიდი დაბადების დღეს...“ ლალის თშილი სხეულის შეგრძნებამ და იმ ჩურჩულმა, საამოდ რომ ჩაესმა, უცებ დაუწმინდა გონება, გამოფხიზლდა კიდეც გედეონი და ის აკვიატებულიც გადაავიწყდა თითქოს: ახლა გულისყურით უსმენდა გოგოს, საოცარი სიცხადით აღწევდა მის ცნობიერებამდე ყოველი სიტყვა, მაგრამ მხოლოდ წამით, ხელახლა აერია მერე გონება... ლელამ კი, რადაი ბელა და რეზო ჩურჩულზე გადასულიყვნენ, სხვებსაც მიაქცია ყურადღება, დაინახა, როგორ ჩასჭიდა ლალიმ გედეონს ხელი მკლავში და როგორ მიიზიდა, გული აუჩვილდა უცებ, ორივე მათგანი შეებრალა: „საწყლები, ერთმანეთი უყვართ, ღმერთო ჩემო, რა ეშველებათ ამ საცოდავებს...“ მერე კი, ცოტა შევისვენოთ, რა უბედურებაა ამდენი ღრეობაო... თქვა ვიღაცამ და როცა სხვებმაც აუბეს მხარი, შესვენება გამოაცხადა რეზომ. ხოლო ლალიმ მაგნიტოფონი ჩართო და უმალვე დატრიალდნენ წყვილები...

აივანზე გავიდეთო, — უთხრა ბელამ რეზოს... ქალაქს ძილი დაუფლებოდა, შენობათა უმეტესობაში სინათლეები ჩაექროთ, მანქანის ხმაც იშვიათად თუ დაარღვევდა ღამისეულ მყუდროებას... ბელა და რეზო კი ქუჩას გადასცქეროდნენ: სიგარეტს აბოლებდა რეზო, ბარაქიანად ექაჩებოდა, დახარბებულივით, აივნის მოაჯირს დაყრდნობოდა ორივე მკლავით და მხარზე ქალის ლბილი მხრის შეხებას გრძნობდა, სასმელი არცთუ ისე მოჰკიდებოდა და საცა იყო ისიც გამოუნელდებოდა იმ სიგრილეში... „მეც მომაწევიე, — გაისმა ბელას ხმა. — არა, ახალ სიგარეტს ნუ ამოიღებ, ორივემ ერთად მოვწიოთ...“ და ბიჭის ხელს ჩაავლო გრძელი, მოქნილი თითები, ტუჩებთან მიიტანა და რამდენჯერმე მოჰქაჩა სიგარეტი, ღრმად ჩაისუნთქა კვამლი, ამოუშვა მერე და თვალიააყოლა. ხოლო რეზო მკრთალ სინათლეში ბუნდოვნად ხედავდა სავსე ტუჩებს ქალისას, მხრებზე დაფენილ ხშირ თმას, მკერდი კი, რომელიც, თითქმის მთლიანად ილანდებოდა ახლა, რადგან აივნის მოაჯირს გადაყრდნობოდა ბელა და ტანი ქუჩისაკენ გადაედრიკა, ქათქათებდა. მალე ბოლომდე დაიყვანეს ის სიგარეტი და ბელამ წაიჩურჩულა: „უჰ, როგორ დამარეტიანა...“ და ბიჭს სჭიდა თვალი, აშკარა იყო, სიგარეტზე უფრო ვაჟის სიახლოვეს დაერეტიანებინა ქალი და რეზო მიხვდა ამას, რადგან თავადაც არანაკლებ იყო დარეტიანებული, და, აი, ელვისუსწრაფესად გადაწყვიტა ის, რასაც წამის შემდგომ მოიმოქმედებდა, იცოდა, ვერარაფერი დააკავებდა და უცებვე შეასრულა განზრახული — ღონივრად მოიმწყვდია მკლავებში ბელა და ტუჩებით დააცხრა სავსე, ცხელ, ათრთოლებულ ბაგეებს იმისას: ხმა არ დასცდენია ქალს, თუნდაც ეგ იყო, ერთი ღონივრად შეფართხალდა ვაჟის მკლავებში, ხმელეთზე ამოგდებული თევზივით და კვნესასავით აღმოხდა რაღაც ნაზი ბგერა, გამაბრუებელი სურნელი ამოაყოლა იმ კვნესას და სხეული მოუდუნდა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამით, ვიდრე სუნთქვა არ შეუგუბდებოდა და ჰაერი რომ აღარ ეყო, გაუმკვრივდა მოულოდნელობისაგან მოდუნებული სხეული, გაიბრძოლა და როდის-როდის იყო, დაალწია თავი მჭიდროდ შემოსალტულ მკლავებს... „მხეცი, ნადირი!...“ წარმოსთქვა მერე აცახცახებული ხმით და ოთახში შევიდა... სუფრას შემოუსხდნენ ისევ... ბელა კვლავაც წელანდელსავით იყო გონებადაბინდულ-დარეტიანებული: უვარვარებდა სახე, დაბურუსებოდა თვალები, მაგრამ გონს მოდიოდა, ერკვეოდა ნელ-ნელა... ხოლო რეზო დამორცხვებული გამოიყურებოდა, ხმის ამოუღებლად მისჯდომოდა სუფრას და ცდილობდა, როგორმე თვალი აერიდებია ბელასათვის... ბელა კი, როგორც გონს მოეგო, თვალის ერთი შევლებისთანავე ჩასწვდა სულიერ მდგომარეობას რეზოსას. ესიამოვნა, არეული რომ გამოიყურებოდა და ღვინოსაც ადრინდელზე უფრო რომ ეძალებოდა. ბოლოს არც ის გამოჰპარვია ბელას, მალვით რომ გაიხედა რეზომ მისკენ, დამორცხვებულ-ნირშეცვლილმა და ქალმა მიბნედილი თვალები მიანათა, ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა უცებ სახეზე, მხოლოდ და მხოლოდ რეზოსათვის და მათი წელანდელი საიდუმლოსათვის განკუთვნილმა... „მარტო ჩახუტებაზეც კი შეიძლება შემოაკვდეს ქალი...“ — ამგვარი რამ გაიფიქრა ბელამ და ტანში შეაძაგძაგა. თანაც ჯერ კიდევ უგიზგიზებდა ტუჩები, ისე უხურდა, თითქოს მუგუზლები ედო ზედა, ხოლო მკერდზე, ბეჭებსა თუ სხეულის ყოველ სხვა ნაკვთზე, სადაც წელან ვაჟის რკინასავით მკლავები და დაკუნთული სხეული შემოტმასნოდა, ტკივილსა გრძნობდა. სწორედ იმ ტკბილი ტკივილის შეგრძნება იყო, ტანში ნეტარების მომგვრელ ჟრჟოლვა-ჟრუანტელად რომ უვლიდა და, რაც მთავარია, ბელა რეზოს გარეგნობასაც მოეჯადოვებია და სითამამესაც... არადა, ვინ უწყის, ბონდოც ასევე თამამად რომ მოქცეოდა და ის ნამეტნავი მოწიწებაც ჩამოეცილებია, რომელიც თან სდევდა ყველგან და ყოველთვის, ეგების ქალთან ბევრი იმდაგვარი რამისათვის მიეღწია, რაც ახლა სანატრელად ქცეოდა, მით უმეტეს, თავდაპირველად ბელას მოსწონდა კიდეც ბონდო და იმგვარი მოწონება გახლდათ ესა, ადვილი მოსალოდნელი იყო, ერთ მშვენიერ დღესაც უწრფელეს სიყვარულად ჰქცეოდა ქალს... ადრე ხდებოდა ყოველივე, გაცნობის პირველ დღეებში, მაგრამ შემდგომ და შემდგომ, რაკილა ვაჟს ზედ-

მეტი მორიდება-მოკრძალება შეატყო და იმასაც ჩახწვდა. თითქმის ავადმყოფურად თავმოყვარე და ამაყი რომ იყო და სწორედ ეს სიამაყე არ აძლევდა სათქმელის გამჟღავნების უფლებას. პირიქით. ქალისაგან მოელოდა იმის გამხელას. რაც თავად ვერ ეთქვა ავადმყოფობამდე მისული თავმოყვარეობის გამო. ქალმა თვალის დასანახად შეიძულა ვაჟი...

შუაღამე გადასული იქნებოდა კარგა ხნის. სტუმრები რომ აიშალნენ. იქამდე რეზომ კიდევ ერთხელ შეავსო ყანწი და. როგორც რიგი და წესი მოითხოვდა. კვლავ ლალი ადღეგრძელა... გედეონმა კი დიდხანს ატრიალა ღვინით სავსე სასმისი ხელში. ადგილზე ბარბაცებდა თან და კაციშვილს არ მორიდებია. იქ მყოფთა გასაგონად უთხრა ლალის: „მინდა ერთხელ კიდევ მოგმართო. ჩემო ლალი. ოცბგერიანი წინადადებით: გილოცავ დაბადების დღეს... და მადლობას მოგიხდი წინასწარვე თუ მეორე. ოცდასამბგერიან წინადადებასაც მათქმევინებ: მიყვარხარ. ძალიან მიყვარხარ...“ ლალის თვალები გაფართოებოდა: „აუჰ. როგორი მთვრალია. სიმთვრალეშიც ისეთივე კარგი და საყვარელი ყოფილა თურმე. როგორც [illegible] თვის...“

ქალბატონი ელენე კი მერეღა გამობრძანდა საძინებელი ოთახიდან. მოგვიანებით. როცა სტუმრები წასულიყვნენ — ახალგამოღვიძებული გახლდათ და ნამძინარევზე ერთხანს მთვარეულივით შესცქეროდა თავის ქალიშვილს. სახე ჩვეულებრივზე უფრო ალაჟღაჟებოდა იმ დროს. ბოლოს კი გონი მოიკრიბა და თქვა:

— კარგი ბიჭი ყოფილა...

— ვინა? — ჰკითხა ლალიმ და სახე წამოუწითლდა. თვალებში ნათელი აკიაფებოდა სიხარულისა. გატრუნულიყო პასუხის მოლოდინში და ერთხელ კიდევ ჰკითხა დაბალი. ათრთოლებული ხმით: — ვინ ყოფილა კარგი ბიჭი?

— ვინა და გედეონი. აბა. სხვაზე ვიზე გეტყოდი...

და უცებ კისერზე ჩამოეკონწიალა დედამისს ლალი...

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულადი ფეტელავა

## ხომ ასეა, ბიძაჩემო ბასა?

მუხის ფრთები რას უშავებს მეხებს?
მოკვდება და არ დაიდგამს კეხებს,
მუხას ჯიშით მოსდგამს სიუკმეხე,
ხომ ასეა, ბიძაჩემო ბასა?!

მაფშალია რას უშავებს ძერას?
მამულია მისი გულისძგერა,
სიმღერაა მისი ბედისწერა,
ხომ ასეა, ბიძაჩემო ბასა?!

საქართველო ვის უშავებს რასა?
სიდუხჭირეს გზები ჩაურაზა,
მტერს — მახვილი და ფიალა—ძმასა,
ხომ ასეა, ბიძაჩემო ბასა?!

## ბორანი ენგურზე

მომრავლდა ფონი, ვერ იმაგრებს ენგური ბორნებს,
ახლა ბავშვებსაც არ აშინებთ მისი ორანი,
სილაში წვანან და ბეჭები მიაგავთ ყორნებს,
და მოკიკინე თხებითაა სავსე ბორანი.

იქვე ჭოფია გელანტია გაახვევს თუთუნს,
მოჭუტავს თვალებს და უღიმის ბედნიერ მოდგმას,
თურმე ამ ბორნით უმგზავრიათ ცოტნეს და უტუს,
ახსოვს ამ ბორანს კოლხიდელი ქალების მოთქმაც.

ბაგირზე სხედან მერცხლები და ისმის ჟღურტული,
მერცხლების გუნდმა ძველის-ძველი ჯაჭვი ჩარკალეს,
მოაქვთ სარეცხი სოფლის ქალებს, მთების კუნჭული,
რომ ეტოტება ცარგვალს იქით ახალ ცარგვალებს,

აი, სწორედ იქ ერკინება ენგური წყვდიადს,
ოხრავს მებორნე, — ტირიფები ჩაქრნენ სილაში,
მაგრამ ჩემს ენგურს მნათობები სულში უწყვია,
მოდის ენგური, მოდის ხიდით, მოდის სინათლით.

## ჯარში ვაცილებთ ნაზოლარას

ალალებს სარეცხს ქარი და თოკი,
ხუჭუჭა თმებზე ჩუხჩუხებს დოქი,

ბაჯაღლო ხეებს ნიავი წნავს,
სპილენძის ვარცლში ბანაობს ძმა.

ხვალიდან ჯარში მამათა გზნებით...
ვხეხავთ და ვხეხავთ უფროსი ძმები,

სამშობლოს მთლად, სამშობლოს მტლად!
სპილენძის ვარცლში ბანაობს ძმა.

ხასხასებს, ღელავს ბუხარზე ლამფა,
საწოლზე ელავს სასაბნე ბამბა.

ბაჯაღლო ხეებს ნიავი წნავს,
სპილენძის ვარცლში ბანაობს ძმა.

## გ ვ ი მ რ ა

> თურმე ძველ კოლხეთში გვიმრის გიგანტუ-
> რი ხეები ხარობდა, რომელიც გადააჯიშა ჟამთა-
> ტრიალმა. გაგვიმრუჭდა და აწ ცელითაც ითი-
> ბება.
>
> მითიდან

ვით სულს ესატკივარა,
ვით სულს ესამძიმარა,
სად დაჰკარგე ის სიმაღლე
სალოცავო გვიმარა?
ვინც ცამ დაგაწინარა,
თქვი, რამ დაგამძინარა?!
სად გუგუნებს ის გრიგალი,
საით წაგამდინარა?!
სალოცავი ხე იყავი,
დაჩიავდი, გვიმარა?!

შენ თეთრონი ბუერები გაგიცრია,
შენ მნათობის შუქი თმებში
ჩაგიწნია,
შენ წვივები ნაკადულში ჩაგიწყვია,
შენ სიცოცხლე გრიგალებში
გაგიცვლია,
ვინც ცამ დაგაწინარა,
თქვი, რამ დაგამძინარა?!

შენს ენაზე მეტყველებდა საწმისი,
თუ რარიგად გამოედნოთ ფოლადი,
შთენილია ლანდებილა აწ ისი,
ოდეს ზეცას მწვანედ გადაბოლავდი.

იმ საწმისზე ჩაიშანთა შენებურად,
ოქროს ქვიშის მოპოვების წესები,
გაიღვიძე, ჯერ არ გადაშენებულა,
ღრუბლის წვიმად დამწურავი
მესეფი!*

ვინც ცამ დაგაწინარა,
თქვი რამ დაგამძინარა?!

მუხლი რისთვის გეღუნვის,
ამ სიმღერის გამგონეს?
შენ რომელიც გეყუდვნის
იმ ჰანგებში ჩამკონე!

გაიხსენე ხარება,
დილების გამყარება,
ვიკმარისოთ მთქნარება,
უსულგულო გვიმარა!

დაბასრულ გულს გაგიმრთელებს
დრო-ჟამი,
ხრიოკს ისევ გაგაშროშნებს
შროშანი,
უკუდგება ქარაშოტი მთოშავი,
უსულგულო გვიმარა!

შენ თეთრონი ბუერები გაგიცრია
შენ მნათობის შუქი თმებში ჩაგიწნია
შენ წვივები ნაკადულში ჩაგიწყვია
შენ სიცოცხლე გრიგალებში
გაგიცვლია,

ვინც ცამ დაგაწინარა,
თქვი, რამ დაგამძინარა?
გაიღვიძე შემოგევლე,
თორემ გამოგვივა რა!

ვით სულს ესატკივარა,
ვით გულს ესამძიმარა,
წამოდექი, წამოფრინდი,
წამოხეთქე გვიმარა!

* მესეფი — წვიმების წარმართული ღმერთი.

## მაფშალია

ესე არს მგალობელი ჩიტი. რომელ[illegible]რულად, ბულბულად იწოდების.

სხვა ქვეყანას არ გაფრინდე,
ჩემი ქვეყნის მაფშალია,
მარადია მამულის მზე
თუკი ჩემი დამშრალია.

ნეტავი რამ დაგილონა,
მაფშალია, ასე გული?!
მოდი პეშვში ჩამისახლდი —
ჰანგი გაათასებული.

ეს ცისკარი ოდითგანვე,
საქართველოს თავშალია;
სხვა ქვეყანას არ გაფრინდე
ჩემი ქვეყნის მაფშალია!

გახსენ ფრთები მთვარისფერი,
ყელი ციდან მომანათე!
ჩქარა სულში შემოფრინდი,
თორემ თავი მომანატრე!

უგალობე წმინდა ღელეს,
სადაც თხმელა და ფშანია,
სხვა ქვეყანას არ გაფრინდე,
ჩემი ქვეყნის მაფშალია!

## ჭრიჭინობელას

ხედავ ქარმა ველი როგორ მოცელა?
იგალობე, ჩემო ჭრიჭინობელა!

შეღამების სანუკვარო მგოსანო,
იგალობე, იქნებ ამაფრთოსანო!

არ გვჭირდება მეგობარი მესამე,
იგალობე, შენი გულის კვნესამე!

## შინ

დაშამბულა ჩემი ეზო, სხვა ფერია, სხვა სურნელი,
ქარს ხეები დაუმშვილდავს, არსად კვამლი სასურველი.

ეკალ-ბარდში გახვეულა ჩაქცეული ალაგეთი,
ტოტზე ჩხავის ხაპერების ბილიკები ალალბედი.

აქ მე კვამლი დამხვედრია მოლზე ნოხად დაფენილი,
ქარი კარებს აწკმუტუნებს სახელურზე ჩაფრენილი.

მე მეხურა თოკზე როა ეგ საბანი მოჩითული,
მეგებება დედაჩემი ხელით თვალებმოჩრდილული.

შაშვმა ფრთები შეაბინდა თუ სხეული ცით ამართა?!
თვალებს ცრემლი შეაფრინდა, მაჯებს — სისხლი
წინაპართა.

მოწყენილა ჩემი ეზო, სხვაა სურო, სხვაა თხმელა,
დაცვენილან ყვავილები — თითქოს დევმა ჩაახველა.

# დედაბოძი

აჩეხილ ტყესავით გოდებს
სვეტები გაყიდულ ოდის,
დაშალეს კოპწია ოდა,
კედლები ოქროთა ზოდის.

ლოთობდა ოჯახის მამა,
სოფელმა დამარხა მკვდარი,
დამკარით ათასი ყამა! —
ჟინჟლავს და წრიალებს ქარი.

წვიმაში ცისფერი ქალი,
თალხი და სოველი კაბით,
ნამდვილი ტყავი და ძვალი,
ვედროში ტივტივებს ხაპი.

ჯარგვალში ატირდა ჩვილი,
არწევენ, მწარეა ბოლი...
ლურსმანზე — გამხმარი ჩირი,
ხუროებს აჩქარებს მძღოლი...

დაშალეს, წაიღეს ოდა,
წაიღეს მერცხლების ბუდეც,
გარშემო ნაფოტი ცოტა,
სვეტები... საკვამლე მრუდე...

ბოკვერებს გამოზრდის ნანა,
ოდასაც შეუბამს სვეტებს,
სახლები დედებით დგანან,
მარადი კურთხევა დედებს!

ქეთევან ჯავახიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

1934 წელს, სექტემბრის თვეში, თბილისში გაიმართა სპარსეთის დიდი მწერლისა და მოაზროვნის ფირდოუსის დაბადების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა. ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის საქართველოში ჩამოვიდა გამოჩენილი სპარსი მეცნიერი, პროფესორი ნეფესი. იგი დაესწრო გამოფენის გახსნას და მამასთან და პავლე ინგოროყვასთან ერთად, ფოტოსურათი გადაიღო. ეს სურათი იმდროის პრესაში გამოქვეყნდა. 14 სექტემბერს კი ორჯონიკიძის სახელობის ბაღში გაიმართა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. მოხსენება ქართულ, რუსულ და სპარსულ ენებზე იყო დაბეჭდილი. მამა დაესწრო საზეიმო სხდომას. 16 სექტემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდ დარბაზში გაიმართა ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ინსტიტუტების გაერთიანებული სამეცნიერო სესია, სესიის მუშაობაში მამამაც მიიღო მონაწილეობა. სპარსეთის საკონსულოში დიდი ვახშამი გაიმართა სასტუმრო „ინტურისტის" შენობაში. ვახშამზე მამაც იყო ოფიციალურად მიწვეული.

1934 წელს მამამ ტაგანროგიდან გაზეთ „ტაგანროგსკაია პრავდას" რედაქციიდან ოფიციალური ბარათი მიიღო. საქმე ეხებოდა ჩეხოვის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეს, რომელიც 1935 წლის იანვარში ტარდებოდა. ეს წერილი საიუბილეო კომიტეტისაგან იყო გამოგზავნილი. წერილში აღნიშნულია, რომ საიუბილეო კომიტეტი შეუდგა მასალების შეგროვებას, რომელიც გააშუქებს ჩეხოვის შემოქმედებისადმი საბჭოთა თანამედროვეების დამოკიდებულებას. ბარათს ხელს აწერდა ტაგანროგის პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვარდანიანი, რომელიც ამავე დროს საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეც იყო. წერილის უკანა გვერდზე ჩამოთვლილი იყო კითხვები, რომელზედაც საჭირო იყო პასუხების გაცემა: როგორ აფასებთ ჩეხოვის სოციალურ მნიშვნელობას და, როგორც პროზაიკოსის, დრამატურგის ოსტატობას. ჩეხოვის რომელი ნაწარმოები მიგაჩნიათ სხვებთან შედარებით მნიშვნელოვნად. მოახდინა თუ არა გავლენა ჩეხოვის შემოქმედებამ თქვენზე და რა მიმართულებით და სხვა. წერილზე მამას მიწერილი აქვს, რომ მან ამ შეკითხვებზე პასუხი გასცა და 17 სექტემბერს საიუბილეო კომიტეტს გაუგზავნა. ასლი არქივს არ შემორჩენია.

●

1934 წელს „ლიტერატურნაია გაზეტას" რედაქციამ წერილი გამოუგზავნა მამას. თხოვდნენ მონაწილეობა მიეღო თათბირში, რომელიც ფოლკლორის საკითხებს ეძღვნებოდა. დღის წესრიგში ორი საკითხი იდგა: 1. ფოლკლორი და ფოლკლორისტიკა საბჭოთა კავშირში — მომხსენებელი იყო პროფ. სოკოლოვი. მეორე ნომრად ფოლკლორული კონცერტი იმართებოდა. წერილს მიწერილი აქვს: „სალამოები ქართული, ჩინური, ტაჯიკური პოეზიის და სხვ."

1934 წლის 7 ოქტომბერს გაზეთ „პრავდა"-ს რედაქციამ წერილი გამოუგზავნა მამას და თხოვდა მიეღო აქტიური და შესაძლებლობისდამიხედვით სისტემატიური მონაწილეობა ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების მუ-

დასასრული. დასაწ. იხ. „ცისკარი" № 7, 8, 9, 10, 11.

შარბაში. რედაქცია თხოვდა მას გაზეთში დასაბეჭდად გაეგზავნა თავისი მოთხრობები, წერილები, ნარკვევები. სასურველია შეგვატყობინოთ, — სწერდნენ, — რა ნაწარმოებებს შემოგვთავაზებდით ამჟამად. გაზეთ „პრავდაში" მამას ორი წერილი დაიბეჭდა. ორივე საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობის მონაწილეებს მიეძღვნა.

●

უკვე მოგახსენეთ იმის შესახებ, რომ მამა ქართული ენის სიწმინდეს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და მის დასაცავად თავგამოდებით იბრძოდა შინ და გარეთ. ენის ალრევას არავის აპატიებდა. ამისთანა შემთხვევაში ის ხმას აიმაღლებდა ხოლმე და თავის სათქმელს მოურიდებლად ამბობდა. ამის ირგვლივ ბევრი მაგალითია ცნობილი, ჩვენ კიდევ ერთ ამბავს გავიხსენებთ.

1934 წელს მამა მუშაობას შეუდგა თავის ბოლო რომანზე „ქალის ტვირთი". ამასთან ერთად, ფიქრობდა თავდაცვის თემაზე დაეწერა რამე. ამ მიზნით გადაათვალიერა წითელარმიელების ქართული გაზეთები და უკმაყოფილო დარჩა იმ ენით, რომლითაც დაწერილი იყო იქ გამოქვეყნებული წერილები. არც სამხედრო ტერმინოლოგიით დარჩენილა კმაყოფილი, სადაც მრავალი უზუსტობაა დაშვებული. მრავლადაა ნახმარი უცხო სიტყვები. ასეთმა ვითარებამ გადააწყვეტინა სათანადო ყურადღება მიექცია ამ დიდმნიშვნელოვანი და საჭირო საქმისათვის. მამა სამხედრო საქმეებში ნაწილობრივ ჩახედული იყო, სპარსეთის ფრონტზე ნამყოფი, და ომის თემაზე დაწერილი მიმოხილვების ავტორიც, კარგად ერკვეოდა ბრძოლების სტრატეგიასა და ტაქტიკაში, მაგრამ მიაჩნდა, რომ ამ საკითხებს მაინც ზედმიწევნით არ იცნობდა. ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე, როგორც თავად თვლიდა, მოითხოვდა სამხედრო საკითხებში ღრმად გარკვევას, ამასთან ერთად, სამხედრო ტერმინოლოგიისა და ქართული ენის ზედმიწევნით ცოდნას. ამიტომ დახმარებისათვის მიმართა თავის ძველ მეგობარს ვლადიმერ ცაგარელს, რომელიც ყოფილი სამხედრო პირი იყო და ამასთანავე ქართული ენის კარგი მცოდნეც. ცაგარელმა მამას თხოვნით, წერილი დაწერა სათაურით „სამხედრო მწერლობა და ენის სისუფთავე" და გასაცნობად მამას გადასცა. ავტორმა სამხედრო მწერლობის დიდ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ „მდიდარი ენობრივი მასალა და მისი უნარიანად გამოყენება აუცილებელია ყველა მწერლისათვის, მით უმეტეს, სამხედრო მწერლისათვის". წერილში მოყვანილია სამხედრო ლიტერატურაში არსებული დამახინჯებული ქართულის მაგალითები და ის უცხო ტერმინები, რომლებიც ქართულით შეცვლას საჭიროებდა. ავტორის აზრით, სამხედრო მწერლობაში უნდა შემუშავებულიყო ზუსტი ტერმინოლოგია. ხმარებიდან განდევნილიყო უცხო სიტყვები და ისინი შესაბამისი, ადვილად ასათვისებელი სიტყვებით შეცვლილიყო. უნდა მოსპობილიყო ცნებათა აღრევა, სიტყვების უხერხულად ხმარება.

ტერმინების ძიებაში იყო იმხანად რუსული ენაც. ცაგარელმა თავისი მოსაზრებები წერილობით ადრევე წარუდგინა ამიერკავკასიის წითელი არმიის სარდლობას, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

კარგად გაეცნო რა აღნიშნულ საკითხებს, მამამ 1934 წლის 5 ივნისს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა ამიერკავკასიის წითელი ჯარის გამოჩენილ სარდალს ამხანაგ ლევანდოვსკის: „გადავწყვიტე რა, თავდაცვის თემაზე დამეწერა რამე, გადავათვალიერე წითელარმიელების რამდენიმე ქართული გაზეთი და წიგნაკი და გაოცებული დავრჩი იმ ენით, რომლითაც დაწერილია ეს წერილები. ეს ენა ყოველთვის არ არის ხალხურ-ლიტერატურული. საკმარისად არ არის ნათელი და ზუსტი. მე ვერ დაგიმტკიცებთ თქვენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო საქმეში სიცხადესა და სიზუსტეს. ვინც ქართული ენა არ იცის, შეიძლება მოეჩვენოს, თითქოს ეს ენა ამ თვისებებით არ არის დაჯილდოებული. ეს ასე არ არის. მე დავიმოწმებ აკად. ნ. მარს და მსოფლიოში განთქმულ მრავალ მეცნიერს, რომლებიც მას ერთ-ერთ მსოფლიო მნიშვნელობის ენად თვლიან, რომელსაც ახასიათებს უკიდურესი ნათელობა, სიზუსტე და ძალზე მდიდარი ლექსიკა.

ცხადია, რომ მეცნიერების განვითარებასთან ერთად, ჩვენი ენა გვერდს ვერ აუვლის უცხო სიტყვების სესხებას, ამაზე არ არის საუბარი. საქმე ის არის, რომ წითელარმიელებისათვის გასაგები ბევრი ხალხური სიტყვა, რატომღაც შეცვლილია გაუგებარი უცხო სიტყვებით. ეს მავნე გატაცება სამართლიანად იდევნება რუსული მეტყველებიდან (ცოტა ხნის წინათ. ამის შესახებ სწერდა დიდი მწერალი მ. გორკი), მაგრამ რატომღაც მან მაგრად მოიკალათა ქართველი სამხედრო მწერლისა და ჟურნალისტის შეგნებაში. თქვენ რომ ქართულ ენას დაუფლებული ყოფილიყავით, უკეთ გამიგებდით. მე რამოდენიმე მაგალითს მოგახსენებთ. ზოგიერთი მწერალი ვერ ანსხვავებს ქვემეხს — ზარბაზანისაგან, მოწყობილობას — აგებულობისაგან, შემოვლას — დარაზმვისაგან. დამოუკიდებლობას — თავისთავადობისაგან, ოცეულს — მწყობრისაგან. სწორედ არ არის გადათარგმნილი ან ზედმეტად არის ჩართული რიგითი წითელარ-

მიელისათვის გაუგებარი და სახაცილო სიტყვები. ამგვარი თარგმანებისა და უცხო სიტყვების ავტორები არმიაში სახიფათო არევ-დარევასავრცელებენ, მარჯვედ აფარებენ რა თავს საშიშ სიტყვებს, როგორც არის „არქაიზმი“ ან „ნაციონალიზმი“, მაგრამ თქვენთვის ალბათ გასაგებია, რომ ლაპარაკი გვაქვს არა ამ მაფრთხობელებზე, არამედ ჯარში ზუსტსა და ნათელი სიტყვებისა და მცნებების დანერგვაზე, რომლის უქონლობა ომის დროს არაერთხელ, საშიშ შედეგებს იძლეოდა.

სამხედრო ტერმინოლოგია მეტისმეტად რთული საკითხია — ამიტომ მე უარს ვამბობ მზა ფორმულები შემოგთავაზოთ. ამ საქმეს სამხედრო პირი უნდა განაგებდეს, ამასთან ერთად, ქართული ენის კარგი მცოდნე. ჩემი მეგობარი ვლადიმერ ცაგარელი სავსებით პასუხობს ამ მოთხოვნებს. გთხოვთ გამოიძახოთ და მოუსმინოთ მას. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ რამეში დაეთანხმებით და სამხედრო საქმეში გამოიყენებთ მის მდიდარ გამოცდილებასა და ცოდნას. გულითადად გართმევთ ხელს და ავჭალის ბანაკში თბილი შეხვედრისათვის. აგრეთვე მშვენიერი მოხსენებისათვის ქართველ მწერალთა სახახლეში, ერთხელ კიდევ გიძღვნით მადლობას. იმედი მაქვს, შემოდგომაზე, ჯარების წვრთნის დროს შეგხვდებით. პატივისცემითა და მოკითხვით მ. ჯ.“.

ვლადიმერ ცაგარელმა ასეთი წერილი მოსწერა მამას: „პატივცემულო მიშა! მე მითხრეს, შენს სიტყვას ლიტერატურისა და ენის შესახებ ისეთივე მნიშვნელობა აქვსო, როგორც მ. გორკისას კავშირში. თუ გორკი ქორივით დაჰქრის კავშირის ლიტერატურასა და ლიტერატორთ, შენ არწივივით უნდა დასწოლდე შოთას კუთხეს, შოთას მემკვიდრეთ. შენ დიდი ინტერესი აღგეძრა. ჩემმა პიროვნებამ კი არ დაგაინტერესა, არამედ იმ საქმემ, სამხედრო-საგამომცემლო ლიტერატურამ, რომელსაც შენ საერთო ეროვნული საქმიანობა უწოდე. გავიხარე და გულზე მალამოდ დამედო ეს სიტყვები... არიან ვიღაცა უცნობები, რომელნიც ქუჩაში და სახლში არ მასვენებენ, ბათუმიდან ჩამოდიან და მეკითხებიან, ეს სიტყვა, ეს ტერმინი როგორ ვთარგმნოთ, სად ვიპოვნოთო. მე ამას ვახრულებ, როგორც ცოცხალი ლექსიკონი და კვლავ და კვლავ იმედი მეღვიძება — რაღაც წვლილის შეტანა შემეძლებოდა-მეთქი. ამან გამაბედვინა შენთან მოსვლა. გვაპატიებს, პირადად გაპატიებს შენ ისტორია, თუკი შეგიძლია, გაგებული ხარ და ითმენ ზემოხსენებულ მდგომარეობას სამხედრო ლიტერტურაში? შენ უპირატეს გისაყვედურებ და მოგმართავ, რადგანაც, თურმე — სიტყვა შენი, ხმალია შენი — რილასთვის ინახავ. როდემდის ჩაჰმალავ ქარქაშში, ვიდრე მთლიანად არ წახდება ქართლის ენა? შენს წერილზე, როგორც უნდა ვლოდინებიყავით, ამხ. ლევანდოვსკიმ ხმა არ გაგცა. გთხოვ გამოუნახო წამალი სამხედრო გამომცემლობას. გაუჩინო მეთაური, მზრუნველი და გულის შემატკივარი. შენი ძალა და გავლენა მიაპყრო ამ აბუჩად აგდებულ კუთხეს. შენი ვ. ლ. ცაგარელი 1984 წ. 21. XI“.

●

1984 წელს, დეკემბრის ბოლოს მამამ მოსკოვიდან საახალწლო მილოცვის ბარათ მიიღო გამოჩენილი საბჭოთა კრიტიკოსის ვიქტორ გოლცევისაგან, რომელიც იწერებოდა, რომ მას აზრად ჰქონდა „ლიტერატურული სააგენტოს“ მეშვეობით „არსენა მარაბდელის“ უცხოეთში დაბეჭდვა. ამ ამბავმა მამა გაახარა. ელოდა, რომ რომანი ინგლისურად გამოვიდოდა. მეორე წერილში, რომელიც 1935 წლის 15 ივლისს გოლცევმა გამოგზავნა, აღნიშნული იყო, ჯერჯერობით რომანის ინგლისში გაგზავნა ვერ ხერხდება. მაგრამ სააგენტოდან მითვლიან, იმედს არ ვკარგავთ, რომ არსენას ინგლისურად გამოვცემთო.

სამწუხაროდ, ეს საქმე ვერ განხორციელდა.

●

ზაფხული ახლოვდებოდა. ჩვენებმა არჩევანი დუშეთზე შეაჩერეს. დედას იქ ნათესავი ჰყავდა. დიდი ხანია გვეპატიჟებოდა და ამიტომ გადაწყვიტეს, იმ ზაფხულს მათთან ჩასულიყვნენ. შეკრეს ბარგი და გაემგზავრნენ. ბებიაჩემი თბილისში დარჩა, არსად არ მოისურვა წასვლა. მას შემდეგ, რაც გაგვქურდეს, შეშინებული იყო. მე ბინას ვუდარაჯებო, — თქვა. დუშეთში გაემგზავრნენ მამა, დედა და ჩემი და რუსუდანი, რომელიც იმ დროს 6 წლისა იყო.

ბექაურების ოჯახმა ვისთანაც ჩვენები საზაფხულოდ ჩავიდნენ, ზემოთა სართულში ერთი მოზრდილი ოთახი დაუთმო, თვითონ კი ქვემო სართულში დაიდეს ბინა, ასე რომ ყველაფერი კარგად მოეწყო და მამას მუშაობის და დასვენების კარგი პირობები შეექმნა. ერთი თვე დაჰყვეს მათ დუშეთში. იმ დროისათვის, მამას დაწყებული ჰქონდა „ქალის ტვირთზე“ მუშაობა. წერას დუშეთშიც აგრძელებდა, არ შეეძლო, მთელი თვის მანძილზე არაფერი ეკეთებინა, უქმად ყოფილიყო, არ ეწერა. თავის რეჟიმს ის არსად არასოდეს არღვევდა.

დუშეთში უმალ ხმა გავრცელდა, მიხეილი ჩამოვიდაო. მოდიოდნენ მის სანახავად. იქაური საზოგადოება მას დიდი პატივითა და სიყვარულით ხვდებოდა.

იმ ზაფხულს დუშეთში დედას ნათესავი ქალი მარიამი კეზელის ოჯახში იყო სტუმრად. კეზელებს დარბაისლური, ქართული ოჯახი ჰქონდათ. მარიამობა დღეს დედას მეგობარი თავის დღეობას იხდიდა და დედა და მამაც მი-

პატიჟებულები იყვნენ. მამამ რომ გაიგო, ვის ოჯახშიც იყვნენ მიპატიჟებულნი, სიამოვნებით განაცხადა წასვლაზე თანხმობა. სწორედ იმ დღეს კობიაშვილი ესტუმრა მამას და თავის ბაღში მოკრეფილი ყვავილების დიდი თაიგული მიართვა. საღამო რომ მოახლოვდა. ჩვენებს საფიქრალი გაუჩნდათ. რა წაეღოთ მარიამისათვის საჩუქრად. უეცრად აზრად მოუვიდათ კობიაშვილის მიერ მორთმეული თაიგული წაეღოთ. ამ ამბავმა გაამხიარულა მამა. ამის გამო გზადაგზა ბევრი უცინიათ კიდეც. წარმოუდგენიათ, ამ დროს კობიაშვილი რომ შეხვედროდათ, რა უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ და რას იზამდნენ, სად დამალავდნენ თაიგულს.

მასპინძლები თბილად შეხვდნენ მამას. ოჯახის უფროსი გადაეხვია, გადაკოცნა და უთხრა: მე ვამაყობ, რომ სტუმრად ხართ ჩემს ოჯახში. თქვენი წიგნები სულ გადაკითხული მაქვსო. დღეობაზე ბევრ სტუმარს მოეყარა თავი. შესანიშნავი სუფრა იყო გაშლილი, მასპინძელს ხინკალიც კი გაეკეთებინა. მამა მსმელი და მოქეიფე კაცი არ იყო, ვერ იტანდა ღვინოს, მაგრამ ქართული ლხინი და ქართული სუფრა უყვარდა და სიამოვნებით ატარებდა დროს.

იმ საღამოს მხიარულად და თავისუფლად გრძნობდა თავს, მოხუცებს სადღეგრძელო უთხრა და ისე მეგობრულად იყო ყველასთან, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ.

სტუმრებს შორის ერთი ახალგაზრდა ვაჟი იმყოფებოდა, მამას პირადად არ იცნობდა, მისი დიდი პატივისმცემელი კი იყო. მამას ვინაობა რომ გაიგო, კარგა ხანს გონს ვერ მოვიდა, შემდეგ სკამიდან წამოხტა, თავი ველარ შეიმაგრა და დაიძახა, ეს არის მიხეილ ჯავახიშვილიო? სიცილმა იფეთქა და საზოგადოება კარგა ხანს ვერ დამშვიდდა. ვაჟმა დაირცხვინა, მაგრამ ბოლოს, მამას სადღეგრძელოს რომ სვამდა. ისევ გაიმეორა: მე ასეთი არ წარმომედგინა მიხეილიო. მამამ გაიცინა და უპასუხა: მაშ თქვენ გეგონათ, „არსენა მარაბდელის დამწერი. ვინმე გოლიათი იქნებოდა და გაოცდით, ასეთი რომ დამინახეთო? კვლავ სიცილი ატყდა. ის ახალგაზრდა ვაჟი მთელი საღამო სიყვარულითა და სახოებით შესცქეროდა მამას, გვერდიდან არ სცილდებოდა და შეკითხვებს აძლევდა.

მამა დიდხანს იგონებდა იმ საღამოს და კეთილშობილ მასპინძლებს.

იმავე ზაფხულს მამამ ჩარგალში ასვლა და ვაჟას სახლის დათვალიერება მოისურვა. რაიკომში წავიდა, მდივანი ნახა და მანქანა სთხოვა. მდივანმა თხოვნა შეუსრულა, მანქანა მისცა და თან ორი მილიციელიც გააყოლა — უფრთხილდებოდნენ მამას. რაიმე ხიფათი არ მოსვლოდა...

მეორე დღეს ჩარგალში გაემგზავრნენ. ეს დაუვიწყარი მგზავრობა იყოო, — იგონებდა დედა. გზა გაჭყავდათ და იმ ოღროჩოღროებში, ცოტა არ იყოს, გაუჭირდათ მანქანას გავლა. ბუნება კი ირგვლივ ზღაპრული და მომაჯადოებელი იყო, ქვემოთ, ხევში ანკარა ნაკადული მიედინებოდა. რომლის ფსკერზე ქვები ჩანდა. ზემოთ კი, ხეებს შორის ლურჯი ცის პატარა ნაჭერი ციაგობდა. მამა ბუნების მშვენიერებით მოჯადოებული, გარინდებული იჯდა და სანახაობით ტკბებოდა, დედა კი ალტაცებაში მოდიოდა, ზოგჯერ მამას ხელს წაჰკრავდა და ეტყოდა: შეხედე, რა სანახაობააო. მამაც უპასუხებდა: „ჰო. შესანიშნავია აქაურობა, ერთხელ უნდა მოვახერხო და ხევსურეთშიც ავიდე". მილიციელები თავისთვის უხმოდ ისხდნენ და საუბარში არ ერეოდნენ.

უნდა ითქვას, რომ მამას შესანიშნავად ახსოვდა მცენარეებისა და ხეების ლათინური სახელები. სადმე რომ მივდიოდით ფეხით ან მანქანით, გამოცდას ჩამიტარებდა ხოლმე. მეტყოდა: „აბა მითხარი, ამ ხეს რა ჰქვიან, ამ ბუჩქს", ზოგის სახელი ვიცოდი, უმრავლესობას კი მამა იტყოდა. ლათინურად დაიწყებდა და იქვე ქართულ სახელწოდებასაც დააყოლებდა.

ჩარგალში ავიდნენ. იქვე. გზის პირას, ვაჟას წყარო მოედინებოდა. დედა და მამა მანქანიდან გადმოვიდნენ და წყალი დალიეს, მცირე ხანს შეისვენეს. მამამ რომ წყალი დალია, მილიციელებს მიუბრუნდა და უთხრა: „ხომ იცით, ეს ისეთი წყაროა, რომ საჭიროა კარგად მოუაროთ და გაუფრთხილდეთ. ეს ვაჟას წყაროა და არ დააშროთ". მამა გასცქეროდა ბუნებას, რომელიც მის თვალწინ იშლებოდა და ხმას არ იღებდა. შემდეგ ისევ მანქანაში ჩასხდნენ და გზა განაგრძეს. გზადაგზა მამამ მილიციელებს გამოჰკითხა: რამდენი მოსახლე იქნება აქ, რას აკეთებენ და როგორ ცხოვრობენო.

მანქანა სოფლის პირას გააჩერეს, ვინაიდან იქვე ახლოს ხევი იყო და ვერ გაივლიდნენ. გზას ფეხით აუყვნენ და ვაჟას სახლში ავიდნენ. იმდროისათვის სახლი მოუწყობელი იყო. მამამ მიიხედ-მოიხედა ირგვლივ. პატარა მთა დაინახა და თქვა: ამ მთას ვაჟას მთა უნდა დაერქვასო. სტუმრები სახლში შეიპატიჟეს ვაჟას მეუღლემ და ვაჟიშვილმა ვახტანგმა. მილიციელები კი გარეთ დარჩნენ. ვაჟას მეუღლემ ბუხარი აანთო, რძე აადუღა, მაწონი გამოიტანა და სტუმრებს გაუმასპინძლდა. მამა დაინტერესდა, როგორ ცხოვრობდა ვაჟას ოჯახი, ხომ არაფერი უჭირდა. ვინ ეხმარებოდა მათ და სხვა.

უკვე ღამდებოდა, სუფრა რომ გაიშალა. ოთახში დიდი ტახტი იდგა. ტახტის წინ კი — მაგიდა. მამა და დედა ტახტზე ჩამოსხდნენ და

ვახშმობას შეუდგნენ. მამამ ვახტანგს საუბარი გაუბა და თან დაარიგა, რომ ესწავლა და მამისეულ სახლ-კარისათვის ეპატრონა. გვიანობამდე ისხდნენ და საუბრობდნენ ვაჟას ცხოვრებაზე, მის ნაწარმოებებზე, ის ღამე ვაჟას სახლში გაატარეს. ლოგინი ტახტზე გაუშალეს ჩვენებს, მილიციელები კი გარეთ, თივაზე მიწვნენ და მიიძინეს. ყველანი დაღლილები იყვნენ და ამიტომ მალე ჩაეძინათ, მამამ კი ვერ დაიძინა. მან დედას უთხრა: ამ სახლში ვაჟას სული ტრიალებს, ძილი არ შემიძლიაო და მთელი ღამე ფიქრებში გაატარა. დილით ადგნენ, ისაუზმეს, მასპინძლებს გამოემშვიდობნენ, მანქანაში ჩასხდნენ და უკან, დუშეთისაკენ გამოსწიეს.

აი როგორ იგონებს მამას ასვლას ჩარგალში ვაჟას შვილი ვახტანგ რაზიკაშვილი: „ჩარგალს ვაჟას სახლის დასათვალიერებლად მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ამოვიდა. მას ცოლ-შვილიც თან ახლდა, ყველაფერი დიდი სიყვარულით და გულმოდგინებით დაათვალიერა. შემეკითხა ჩარგლის მთის სახელებს: ახუნი, გორისმთა, საშუბი... სულ პირველად იკითხა იმ მთის სახელი, რომელიც ვაჟას სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის აყუდებული. მე ვუთხარი — ამ მთას ჩარგლისთავს უწოდებენ-მეთქი.

ვაჟა ყველა ერისთვის ცნობილი პოეტია. ეს მთაც ყველა აქაურ მთაზე მაღალი, ლამაზი, პოეტის მახლობელი მთაა და ამიტომ მას ვაჟას სახელი უნდა ერქვასო, — თქვა მიხეილმა.

მწვანე თივის ზვინი მედგა, გამხმარი მთის ყვავილებით იყო აჭრელებული. მიხეილმა თქვა: ამაღამ ამ თივაზე უნდა დავიძინოთ, ვაჟასაც, ალბათ, უყვარდა მთის ნათიბი ბალახის სუნი და ბალახზე ძილიო...

ერთ დღეს, რაიკომის მდივანმა მამას ურჩია, ყაზბეგში ასულიყო და ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმი დაეთვალიერებინა. მამას მოეწონა ეს აზრი. მდივანმა მათ მანქანა მისცა და ამჯერად მეგზურად თავისი მეუღლე გააყოლა. მათ დაათვალიერეს სახლ-მუზეუმი და ახლომახლო მიდამოები. ირგვლივ საუცხოო სანახები იშლებოდა. დედა იგონებდა: თოვლით დაფარულ მთას მზე რომ მიადგა, ისე აბრწყინდა, თითქოს ძვირფასი თვლებით ყოფილიყოს მოჭედილიო, მამა აღტაცებაში მოჰყავდა იქაურ ბუნებას და გზას. დროდადრო მანქანას აჩერებინებდა, გადმოდიოდა. ცოტას გაივლიდა, შემდეგ ერთ ადგილზე გაჩერდებოდა, ასე გარინდული იდგა რამდენიმე ხანს, შემდეგ მიბრუნდებოდა და ისევ მანქანაში ჯდებოდა.

განზრახული იყო იმ დღესვე უკან დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ დედას უთქვამს, ბარემ კაზბეგში ავიდეთ, აქვე ახლოსა ვართ, რამდენი ხანია იქ არ ვყოფილვართო. მამას ესიამოვნა ეს აზრი. რაიკომის მდივნის ცოლსაც გაუხარდა, იქ ნათესავი მყავს და ბარემ მოვინახულებო. გადაწყვიტეს ორჯონიკიძეში წასულიყვნენ.

ორჯონიკიძეში საღამო ჟამს ჩავიდნენ. ის ღამე სასტუმროში გაატარეს. მეორე დღეს ქალაქში გავიდნენ. გაიარ-გამოიარეს. ისაუზმეს და ისევ გაისეირნეს. მამას და დედას 1918 წლიდან არ ენახათ ეს ქალაქი და ამიტომ ძალზე შეცვლილი ეჩვენათ. გზადაგზა ბევრი ნაცნობი შეხვდათ. მამა მათ კარგა ხანს ესაუბრა. მთელი დღის განმავლობაში ქუჩაში დასეირნობდნენ და ქალაქს ათვალიერებდნენ. მეორე დღეს დუშეთისკენ გამოსწიეს. ამის შემდეგ ჩვენები მალე დაბრუნდნენ თბილისში, რადგან მამას თავისი სახლ-კარი და მეგობრები მოენატრა.

●

1937 წელს სრულდებოდა 100 წელი პუშკინის გარდაცვალებიდან. თარიღისათვის მზადება ადრევე დაიწყო. 1936 წელს შედგა საკავშირო საიუბილეო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში მამაც შეიყვანეს. რუსეთში დიდი მუშაობა იყო გაშლილი. შემუშავდა მრავალი ღონისძიება. იმავე წლის 10 აპრილს კრემლში გაიმართა საკავშირო საიუბილეო კომიტეტის სხდომა. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ბუბნოვმა სხდომაზე დასასწრებად მამას დეპეშა გამოუგზავნა. მაგრამ მამა შეუძლოდ იყო და ამ სხდომას ვერ დაესწრო. მან დეპეშას მიაწერა: „არ წავსულვარ მ. ჯავახიშვილი 5/IV-36“. აღნიშნული სხდომის ოქმი მამას გადმოეგზავნა და მან ერთ გვერდზე მიაწერა: „ამ სხდომას ვერ დავესწარი. მ. ჯავახიშვილი“. მოსკოვში გამართულ კიდევ ერთ სხდომას ვერ დაესწრო მამა იმ მიზეზით, რომ დეპეშა გვიან მიიღო. ეს სხდომა კრემლში, მინისტრთა საბჭოში 1937 წლის 29 იანვარს გაიმართა, მამამ კი დეპეშა 27 იანვარს მიიღო. ის მატარებლით მგზავრობდა ხოლმე, მოსკოვში ჩასვლას კი იმ დროს მატარებელი სამ დღეს უნდებოდა. ცხადია, რომ სხდომას ვერ ჩაუსწრებდა. დეპეშას მიაწერა: „დაგვიანებულია. მ. ჯ. 27 I“.

1937 წლის 20 თებერვალს მოსკოვში პუშკინის საიუბილეო დღეები დაიწყო. ამ დღეს კავშირების სვეტებიან დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა პუშკინის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საკავშირო მწერალთა კავშირის მეოთხე პლენუმი. მამას დეპეშა გამოუგზავნეს და პლენუმზე მიიწვიეს. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ის მოსკოვს გაემგზავრა და სასტუმრო „ნაციონალში“ დაბინავდა. მამა რომ თბილისში დაბრუნდა, თან სამახსოვრო სურათი ჩამოიტანა, რომელიც პლენუმზე იქნა შესრულებული. ეს საინტერესო სურათია: აღნიშნულ პლენუმს ესწრებოდა მხა-

ტვარი, რომლის გვარი მამას არსად მითითებული არა აქვს. მხატვარს თან მაკრატელი და შავი ქაღალდი ჰქონია, ამ ქაღალდისგან მწერლების პორტრეტებს ჭრიდა და ქაღალდზე აწებებდა. მთავარი მაინც ის იყო, რომ ყველაფერს გასაოცარი სისწრაფით აკეთებდა და მისი ნამუშევარი მაღალ დონეზე იყო შესრულებული. როგორც ჩანს, ხელი უკვე გაწაფული ჰქონდა ამ საქმიანობაში, შესვენების დროს, სხდომების შუალედში, მან მამას გამოუჭრა და სახსოვრად გადასცა ქაღალდის ფურცელი, რომელზედაც ოთხი პროფილი იყო დაწებებული. საერთო ხედი ამ სურათებისა შთამბეჭდავია. პირველი პროფილი მაქსიმ გორკის ეკუთვნის — მისი ბიუსტის გამოსახულებაა. მეორე პორტრეტზე სტალინია გამოსახული. მესამეზე კვლავ სტალინის ორი პროფილია აღბეჭდილი, რომლებიც ერთმანეთშია ჩამჯდარი. მეოთხე კი მამას პროფილია. მამამ ამ სურათს ქვემოთ ასე მიაწერა: „მოსკოვი. 28/II-37 წ. პუშკინის სახელობის პლენუმი. ოთხივე სურათი გაკეთებულია სწორედ 2 წუთში. მ. ჯავახიშვილი“.

პუშკინის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით, მამას არქივში ინახება ოქმები, დეპეშები და სხვა მასალები, რომლებიც მეტყველებენ იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც ამ თარიღთან დაკავშირებით ტარდებოდა. პუშკინის იუბილეს დღეებში გამოშვებული იქნა ბრინჯაოს მედალი პოეტის გამოსახულებით, რომელიც 1937 წლის შემოდგომაზე მამასაც გამოუგზავნეს, მაგრამ გზაში დაიკარგა.

●

1936 წელი მნიშვნელოვანი იყო მთელი ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. სრულდებოდა თხუთმეტი წელი საქართველოს გასაბჭოებიდან და ეს თარიღი ფართოდ აღინიშნებოდა. თბილისში ჩამოვიდა ბელორუსიის მწერალთა დელეგაცია. მარტის თვეში კი საქართველოს დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა. წარგზავნილებს შორის მამაც იმყოფებოდა.

19 მარტს კრემლში მოეწყო საქართველოს დელეგაციის მიღება.

დელეგაციის წევრთა შეხვედრა მთავრობის წევრებთან მამამ ასე ჩაიწერა: „კრემლი. საქართველოს დელეგაციის მიღება 19/III ღამის 11/2 საათი. საჩუქრების მიღების დროს მეც ჩამოვართვი ხელი პოლიტბიუროს ყველა წევრს. სტალინი და ორჯონიკიძე ოდნავ გადმოიხარნენ ჩემსკენ და რამდენიმე სტყვის მოლოდინში მომაჩერდნენ. მე ვთქვი: წერა 1908 წლიდან დავიწყე, მაგრამ ნამდვილი მწერალი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გავხდი და ორჯერ იმაზე მეტი დავწერე, რაც იქამდე დაწერილი მქონდა. ყველა სტახანოველი და კოლმეურნე დაგპირდნენ თქვენ გადაექარბებინათ თავის თავისათვის და ერთმანეთისათვის. მე კი წელს მკითხველებს ახალ რომანს მივცემ, რომელიც უკვე იბეჭდება.

— სტალინი! — თემა?

მე: — 1905 წლის რევოლუცია საქართველოში. თავისთავად იგულისხმება, რომ მე გვერდი არ ავუარე ამხანაგ სტალინს. ისიც შედის რომანში, როგორც მოქმედი პირი.

სტალინი: — რა ჰქვია ნაწარმოებს?

მე: — ქალის ტვირთი.

სტალინი: — უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ქალის ხვედრი დაარქვათ?

მე: — მე რომანში გამომყავს ორი ქალი, რომლებმაც რევოლუციის ტვირთი წამოიკიდეს. ერთმა მათგანმა ეს ტვირთი ბოლომდის მიატანა, მეორე კი წაიქცა მისი სიმძიმის ქვეშ.

სტალინი: — ეს უკვე სხვა საქმეა.

მოსკოვი 20/III მ. ჯავახიშვილი.“

მეორე დღეს საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის ნაწილი ორდენებით დააჯილდოვეს. მამას შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა, ამასთან დაკავშირებით მთავრობამ კრემლში ვახშამი გამართა.

რამდენიმე დღის შემდეგ „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქციამ მიიწვია ჩვენი მწერლები. პაოლო იაშვილმა, ალიო მირცხულავამ და მამამ რედაქციაში სამახსოვრო სურათი გადაიღეს, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა. მამამ ლია ბარათი გამომიგზავნა მოსკოვიდან. იგი მწერდა: „ჩემო ქეთუნი! გკოცნი მრავალჯერ. იმედია, ყველანი ჯანსაღად დამიხვდებით. მეც კარგად ვარ. კიდეც მოვკეთდი. დამიკოცნე რამაზი და დედა. შენი მიხეილი“.

თბილისი დიდი ზეიმით შეხვდა თავის წარგზავნილებს. მათ დასახვედრად სადგურზე აუარება ხალხმა მოიყარა თავი და მწერლებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. შემდეგ დღეებში ორდენოსანი მწერლები ხვდებოდნენ საზოგადოებას და მოსკოვში გატარებულ დღეებზე თავის შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. პრესაში უხვად გამოქვეყნდა მასალები ამ მნიშვნელოვანი მოვლენების ირგვლივ. მამაც რამდენჯერმე შეხვდა თავის მკითხველებს, მოუთხრო მათ ჩვენი დელეგაციის წარმატებებზე, თავის შთაბეჭდილებებზე და მომავლის გეგმებიც გააცნო. ერთი ასეთი შეხვედრა ლაგოდეხელ კოლმეურნეებთანაც ჰქონდა.

1936 წელს მოსკოვში „არსენა მარაბდელი“ უნდა გამოსულიყო. რომანისთვის შესავალი წერილის დაწერა მამია ორახელაშვილს ჰქონდა დავალებული. მან წერილი მოსწერა მა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

მას და თხოვა ამ საქმესთან დაკავშირებით საჭირო მასალები გაეგზავნა: „პატივცემულო ამხ. მიხეილ! მე დამავალეს შესავალი სტატიის დამზადება თქვენი „არსენა მარაბდელის“ ახალ, რუსულ გამოცემისთვის. ვფიქრობ, თქვენ დაგროვებული გექნებათ ყოველგვარი მასალა იმდროინდელი ისტორიული ფონის დამახასიათებელი. იმედი მაქვს, სულ ცოტა ხნით მათხოვებთ, დაგიბრუნებთ უკლებლად და „უვნებლად“. ღრმა პატივისცემით მამია ორახელაშვილი. 29/II 36 წ. ქ. მოსკოვი“.

„არსენა მარაბდელის“ ახალი გამოცემა მოსკოვში 1936 წელს გამოვიდა. ის დაიბეჭდა „ისტორიული რომანების“ სერიით, რომელიც მ. გორკის რედაქტორობით გამოდიოდა. შესავალი წერილი მამია ორახელაშვილმა კი არა, ა. სვანიძემ დაწერა, რომელიც აგრეთვე მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

●

ერთხელ მწერალთა კავშირში სხდომას მამა თავმჯდომარეობდა. ერთი მწერალი სიტყვით გამოვიდა და იმის გამო, რომ მისი სიტყვა უინტერესო იყო, დარბაზში ხალხი ახმაურდა, ორატორს ყურს აღარავინ უგდებდა. მაშინ მამა წამოდგა, ზარს ჩამოჰკრა ხელი და საზოგადოებას ასე მიმართა: დაწყნარდით, ამხანაგებო, ყური დაუგდეთ, თორემ ორატორს სიტყვას გავუგრძელებთ. ყველას გაეცინა, მაგრამ დარბაზში მაშინვე სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ის მწერალი ამბობდა: ეს რა გამიკეთა მიხეილმა, ერთი სიტყვით მომსპოო.

მწერალთა კავშირის ერთ-ერთ სხდომაზე მამა სიტყვით გამოვიდა. ერთმა კრიტიკოსმა არ მოასვენა რეპლიკებით, მაშინ მამა მიუბრუნდა და უთხრა: „მიფრთხილდი, ჩემო კარგო, კალმის წვერზე მიზიხარ ტიპად“. დარბაზში სიცილი ატყდა.

ბესო ჟღენტმა მიამბო: ერთხელ მწერალთა კავშირიდან მიხეილს მოთხრობა გაუგზავნეს, რომელიც მას უნდა წაეკითხა და თავისი აზრი გამოეთქვა. მამამ თურმე მოთხრობა წაიკითხა და სათაურთან მიაწერა: „დაიბეჭდოს“. ბესო ჟღენტმა მოთხრობას რომ გადახედა, არ მოეწონა და გაკვირვებული დარჩა, რატომ მოიწონა ეს ნაწარმოები მიხეილმაო. მეორე დღეს მწერალთა კავშირში ბესო შეხვდა მამას და უსაყვედურა იმის გამო, რომ ასეთ მდარე ნაწარმოებს დაბეჭდვის ვიზა მისცა. მამამ დინჯად მოისმინა ბესოს საყვედური და უპასუხა: გეთაყვა, დამიბრუნეთ ის მოთხრობა. პატარა შეცდომა დავუშვი, სიტყვა დამავიწყდა და უნდა ჩავუმატოო. მოთხრობა რომ მისცეს, მამამ თავის ნაწერს წინ ერთი სიტყვა მიაწერა და თქვა: „აი ახლა სწორია“. ბესომ დახედა ნაწერს და წაიკითხა: „არ დაიბეჭდოს“. მამამ კი ღიმილით შეხედა ბესოს და უთხრა: „აი ხომ ხედავ, რა ძალა აქვს ერთ სიტყვას“!

●

მამამ ზედმიწევნით იცოდა გეოგრაფია. რომელსაც რომელიმე ქვეყანაზე ლაპარაკობდა, გეგონებოდათ, მისი ყოველი კუთხე-კუნჭული დავლილი აქვსო. ზოგჯერ მეტყოდა ხოლმე: აბა მითხარი, ასე პირდაპირ რომ წახვიდე, რა და რა ქვეყნები შეგხვდება, ხელს გაიშვერდა და ჩემი პასუხი რომ არ დააკმაყოფილებდა, თვითონ დაიწყებდა ქვეყნებისა და ქალაქების ჩამოთვლას. მდინარეებსა და მთებსაც კი არ გამოტოვებდა. იყურებოდა სივრცეში და გრძნობდით, რომ თვალნათლივ ხედავდა იმ ადგილებს, რომლებსაც ასახელებდა, წვრილმან დეტალებსაც კი ჩამოთვლიდა ხოლმე. შემდეგ მიმართულებას შეიცვლიდა და ახლა მოპირდაპირე მხარეს გაემგზავრებოდა. მე კი ფართოდ გახელილი თვალებით შევცქეროდი. ასე მეგონა, დედამიწის ზურგზე არ მოიპოვებოდა ადგილი, მას რომ არ სცოდნოდა. საქართველოში, სად რომელი ქვა იდო, მგონი ზეპირად იცოდა.

მკითხველი ხშირად ეკითხებოდა მამას და ჩემთვისაც არა ერთხელ მოუციათ შეკითხვა, დავლილი ჰქონდა თუ არა ის ადგილები, რომლებიც თავის ნაწარმოებებში აღწერა. ბევრი ადგილი, რასაკვირველია, საკუთარი ფეხით ჰქონდა შემოვლილი. ბევრი კი არ ენახა. და, საოცარი ის იყო, რომ ასეთი ადგილებიც მთელი სიზუსტით ჰქონდა ნაწარმოებში გადმოცემული. უთქვამთ კიდეც, თუ არ ნახა მწერალმა, მაშ საიდან იცოდა, რომ ამა და ამ მოსახვევში ზუსტად ასეთი ქვა იდო, ან სხვა რაიმე დეტალი არსებობსო, ამაზე პასუხის გაცემა გამიძნელდება. ამ შემთხვევაში, უთუოდ, ცოდნასთან ერთად, ალღოსაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა. წარმოსახვის უნარსაც გარკვეული როლი ენიჭება. მამა რომ ხელს გაიშვერდა და იმ მიმართულებით ჩამოთვლიდა ხოლმე ადგილებს, უთუოდ ხედავდა კიდეც იმ მხარეს, იცოდა იქაური ბუნება, ადგილმდებარეობა. მას მდიდარი ფანტაზია ჰქონდა და მოგზაურობის საკმაო გამოცდილებაც ეხმარებოდა.

●

უკვე მოგახსენეთ იმის შესახებ, რომ თავის სამუშაო მაგიდასთან, წერის დროს, მამა ისე ღრმად იჭრებოდა ფიქრებში, რომ ირგვლივ არაფერს ამჩნევდა. მაგრამ ზოგი რამ მაინც არ გამოეპარებოდა ხოლმე. ამაში ერთმა შემთხვევამ დამარწმუნა.

ინსტიტუტში სწავლის პერიოდში ჩემთან

ხშირად იკრიბებოდნენ ამხანაგები, მით უფრო სესიების დროს, როდესაც საგნებს ერთად ვამზადებდით. ერთი ჩემი ამხანაგი გოგონა პაპიროსს ეწეოდა და მოვიდოდა თუ არა ჩემთან, მაშინვე მთხოვდა, მამას კოლოფიდან რამდენიმე ცალი ამომეღო მისთვის. მამას ყოველთვის კარგი პაპიროსები ჰქონდა. როცა ის შინ არ იყო, ამას უფრო თამამად ვაკეთებდი. მაგრამ, ამავე დროს შიშიც მქონდა, ვიცოდი, მამა დაკვირვებული ადამიანი იყო და მისი მოტყუება არც თუ ისე ადვილი საქმე იქნებოდა, ერთ დღეს ჩემი შიში გამართლდა კიდეც. თურმე, მამას შეუნიშნავს, რომ კოლოფიდან პაპიროსები ეკარგებოდა. ჩემზე ვერ იფიქრებდა, რადგანაც იცოდა, რომ არ ვეწეოდი, მაინც გადაწყვიტა, გამოერკვია ეს საქმე.

ერთხელ მამა თავის ოთახში მუშაობდა, ჩვენ კი ჩემს ოთახში ვმეცადინეობდით. ჩემს ამხანაგს მოწევა მოუნდა და მთხოვა, ერთი ცალი მამას ოთახიდან როგორმე გამომიტანეო. მე უარს ვამბობდი, რადგან ვიცოდი, რომ პაპიროსის კოლოფი მამას ყოველთვის მარჯვენა მხარეს ედო და მეშინოდა, ასე თვალნათლივ კოლოფს მივკარებოდი. ამხანაგმა რომ არ მომასვენა მეტი გზა აღარ მქონდა, მისი თხოვნა უნდა დამეკმაყოფილებინა. ფრთხილად შევაღე კარი და ოთახში შევედი. მამას ჩემსკენ არც კი გამოუხედავს, ისევ განაგრძობდა წერას. მცირე ყოყმანის შემდეგ ხელი ფრთხილად გავაცურე კოლოფისკენ, კოლოფი ღია იყო და ამიტომ პაპიროსის ამოღება არ გამჭირვებია. ის იყო მივბრუნდი და კარისკენ გავემართე, რომ მამამ შემაჩერა: „დაიცა, სად მიგაქვს ეს პაპიროსი?“ ელდანაცემივით ერთ ადგილზე გავჩერდი. ისიც არ მინდოდა მამას გაეგო, რომ ჩემი ამხანაგი ეწეოდა და ამიტომ მოულოდნელობისაგან დავიბენი, ტყუილი კი არ მეხერხებოდა. ვუყურებდი მამას, რომელსაც სათვალე მოეხსნა, კალამი გვერდზე გადაედო და გამომცდელად თვალებში მიყურებდა. ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ისლა მოვახერხე, რომ გავიღიმე და ვუთხარი „ჩვენ გვინდა ერთი ფოკუსი გავაკეთოთ და ამისთვის ერთი ცალი პაპიროსი გვჭირდება“. მამას ჩემს ტყუილზე გაეღიმა და მიპასუხა: „ვიცი თქვენი ფოკუსების ამბავი, ამ ფოკუსების შედეგად მე სისტემატურად მეკარგება პაპიროსები“ შემდეგ ადგა და ოთახში შემომყვა. ჩემს ამხანაგებს ფერი წასვლოდათ და ერთ ადგილზე გაუნძრევლად ისხდნენ. მამამ ღიმილით მიმართა მათ: „აბა, ეხლავე მითხარით, რომლები ეწევით პაპიროსს“. ყველა გაწითლდა, მაგრამ ეს ცოდვა არავინ აღიარა. ჩვენ ვუმტკიცებდით მას, რომ ფოკუსი გვინდოდა გაგვეკეთებინა და იმიტომ დაგვჭირდა პაპიროსი. მამა უმალ მიხვდა ყველაფერს და ძალა აღარ დაგვატანა. არაფერი გვითხრა და თავის ოთახისკენ გატრიალდა. ჩვენ კი შერცხვენილები ვისხედით და სწავლის თავი აღარა გვქონდა. ამ შემთხვევის შემდეგ მამას პაპიროსები აღარ დაჰკარგვია.

1935-36 წ. წ. ჩვენი სახელოვანი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე მამას ბიუსტის გამოქანდაკებას შეუდგა. ტელეფონით დაურეკა მამას და სთხოვა, დროდადრო ჩემთან ამოდით სახელოსნოში და რამდენიმე საათი ამ საქმეს შესწირეთო. მამა დაეთანხმა. თავისუფალი დრო როცა ჰქონდა, ადიოდა ხოლმე ნიკოლაძესთან და საათობით იჯდა მის წინ სავარძელში. მას თან მიჰყავდა ჩემი და რუსუდანი, რომელიც იმ დროს შვიდი წლისა იყო.

იაკობ ნიკოლაძესთან მამას მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა, ერთმანეთი ახალგაზრდობაში გაეცნოთ, როდესაც პარიზში იმყოფებოდნენ. მაშინ იაკობი სახელგანთქმულ ფრანგ მოქანდაკე როდენთან მუშაობდა. აი როგორ იგონებს 1907 წელს ამ ამბავს მამა: „პარიზში გავიცანი ახალგაზრდა მოქანდაკე ბ-ნი ნიკოლაძე. ნიკოლაძეს საკუთარი პატარა ატელიე აქვს მონპარნასის ქუჩაზე და ხანგამოშვებით განთქმულ როდენთან მუშაობს. „საქართველოში მოქანდაკე - შიმშილით მოკვდება, — მეუბნებოდა „ხევსურის“ ავტორი, რომელმაც ამ ქანდაკებით უეჭველად დაამტკიცა თავისი ნიჭი — აქ კი ვცხოვრობ კიდეც და ვსწავლობ კიდეც“. ვნახე რამდენიმე ნაწარმოები: მშვენიერი დიდი ბიუსტი ბ-ნ ლოლობერიძისა და რუსთაველისა, პატარა და კოხტა ესკიზი „მაჩიჩი“, „მოცეკვავე ქალი“ და ქვის ქანდაკება „ქარი“, რომელსაც როდენმაც დიდი ყურადღება მიაქცია. ეხლა ბ-ნი ნიკოლაძე ნ. ბარათაშვილის ძეგლის იდეით არის გატაცებული და ელის, რომ ვინმე მისცემს საამისო მასალას და საშუალებას. მაგრამ მგონი ამას მალე ვერ მოვესწრებით: ეხლა ბარათაშვილისა და რუსთაველის ძეგლებისათვის არავინ არც დროს გაიმეტებს და არც ხარჯს. სამწუხაროა, მაგრამ ეს ასეა“.

იაკობ ნიკოლაძემ მამას უსახსოვრა შოთა რუსთაველის ქანდაკების ფოტოსურათი. რომელიც მამას თავის ოთახში კედელზე ეკიდა. მამას ბიუსტი ნიკოლაძეს დაუმთავრებელი დარჩა, რადგან ეს სამუშაო 1937 წელს შეწყდა.

პროზაიკოსთა სექციამ, რომლის თავმჯდომარე მამა იყო, გადაწყვიტა კ. გამსახურდიას რომანის „მთვარის მოტაცების“ საჯარო განხილვა მოეწყო. ამის შესახებ აცნობეს ავტორს და

სთხოვდნენ დასწრებოდა სექციის კრებას, რომელიც იმ დღეებში იმართებოდა. კ. გამსახურდიამ დასწრებაზე წერილობით უარი განაცხადა, რომანის გარჩევაზე კი თანახმა იყო. მოგვყავს კ. გამსახურდიას წერილი: „პატივცემულო მიხეილ, თქვენი წინადადების საპასუხოდ შემდეგი უნდა მოგახსენოთ: მწერალთა კავშირის სამდივნომ ისეთ მდგომარეობაში ჩამაყენა, რომ სამწუხაროდ, თქვენს მიერ უწყებულ კრებას ვერ დავესწრები. სექციის ჩამოსაყალიბებელი კრება მოიწვია, ჩემთვის არც კი შეუტყობინებიათ, ეს რომ შემთხვევითი ამბავი არაა, იქიდანაც სჩანს, რომ სწორედ იმ დღეს ორივე მდივანს ვხედავდი და არაფერი უთქვამს არც ერთს მათგანს.

ცხადია, ამის შემდეგ მე არ შემიძლია რაიმე თანამშრომლობა გავწიო პროზაიკოსების სექციაში. ახლა ჩემი რომანის გარშემო, თუ, როგორც თქვენ ამბობდით, თქვენ სექციას სურს ჩემი რომანის „მთვარის მოტაცების“ გარჩევა, მე რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს თუ ეს 19/IX მოხდება არც ამის საწინააღმდეგო მაქვს რაიმე, მხოლოდ კარგი იქნება რამდენიმე დღით ადრე მეცნობოს ეს, რადგანაც მე ამჟამად ძლიერ დატვირთული ვარ.

1985, 16/IX.

სალამით თქვენი კონსტანტინე გამსახურდია“.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების ენის საკითხებთან დაკავშირებით მამამ ლენინგრადში წერილი მისწერა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს კარპეზ დონდუას და სთხოვა „კაცია-ადამიანის“ ენის ირგვლივ გამოკვლევა გამოეგზავნა. კარპეზ დონდუამ წერილობით უპასუხა მამას: „დიდად პატივცემულო მიხეილ! გთხოვთ მაპატიოთ, რომ პასუხი დაგიგვიანეთ. „კაცია-ადამიანის“ ენის შესახებ მე სპეციალური გამოკვლევა არ მქონია. ქართული ენის კათედრის ერთ-ერთ სხდომაზე მოკლედ შევეხე „კაცია-ადამიანის“ სათაურის გენეზისს. ამასთან დაკავშირებით ორიოდე სიტყვა ვთქვი აგრეთვე სათაურის გაგების შესახებაც. ამხანაგებმა, (კერძოდ, აკაკი შანიძე) მთხოვეს ამ პატარა შენიშვნის დაბეჭდვა: პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვსო. გიგზავნით. თუ გამოიყენებთ, ინებეთ. პირადად მე საბაბი მომეცა უფრო სპეციალურად შევდგომოდი პლეონაზმისა და პლეონაზმისებური გამოთქმების შესწავლას. დიდად დამავალებთ, თუ მაცნობებთ მიღებას. პატივისცემით კარპეზ დონდუა. 18/XII-36 ლენინგრადი“.

კარპეზ დონდუას წერილი მამამ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ გადასცა გამოსაქვეყნებლად და წერილს მიაწერა: „ლიტ. საქ.-ოს“ გადავეცი დასაბეჭდად. 8/I-37. მ. ჯავ.“

1985 წელს მამამ დაამთავრა რომანი „ქალის ტვირთი“. იგი 1986 წელს მთელი წლის მანძილზე იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში“, ხოლო ცალკე წიგნად 1937 წელს უნდა გამოსულიყო. მთარგმნელ ნეიმანთან ერთად, მამამ ეს რომანი რუსულ ენაზე გადათარგმნა და გამოსაქვეყნებლად მოსკოვში გაგზავნა. მისი ბეჭდვა აგვისტოს თვიდან ჟურნალ „კრასნაია ნოვში“ უნდა დაწყებულიყო. ამასთანავე, რომანი ცალკე წიგნადაც გამოვიდოდა. როგორც მოსკოვში, ასევე უკრაინაში. რომანის ორი ცალი უკვე გაგზავნა სახელმწიფო გამომცემლობაში გასაცნობად.

1986 წელს მოეწყო „ქალის ტვირთის“ საჯარო განხილვა საქართველოს მწერალთა კავშირში, სადაც მამას მრავალი შენიშვნა მისცეს. ეს რომანიც, როგორც მისი სხვა ნაწარმოებები, მკაცრად იქნა გაკრიტიკებული. იმავე წლის ბოლოს, ჟურნალ „კრასნაია ნოვის“ რედაქტორის ერმილოვისაგან მამამ წერილი მიიღო. მას წაეკითხა რომანი და მრავალი შენიშვნა გაეკეთებინა. მამას არ მოეწონა ერმილოვის წერილის ტონი, მისი ზოგიერთი შენიშვნა უსამართლო და დაუსაბუთებელი ეჩვენა და ამის გამო გადაწყვიტა ეპასუხა მისთვის, მოგვყავს ეს პასუხი:

„ჟურნალ „კრასნაია ნოვის“ რედაქციას. ამხ. ერმილოვს.

დიდი დაგვიანებით გპასუხობთ წერილზე. თქვენ იწერებით, თითქოს რომანიდან ინდივიდუალური ტერორი ისე აშკარად ჩანს, რომ ბოლშევიკი ზურაბი ესერად გადაიქცა და მიიჩნევთ სათანადო ლიტერატურა წავიკითხო. კატეგორიულად ვაცხადებ უარს, თითქოს ესერს ბოლშევიკისაგან ვერ ვარჩევდე. მე ჟურნალისტი ვარ 1908 წლიდან, ვარ 1905 წლის რევოლუციის მონაწილე (მაშინ მე 25 წლისა ვიყავი), დავბერდი საქართველოს პოლიტიკურ ატმოსფეროში და პოლემიკებში ყველა ფრონტებზე, ვიცნობდი და პირადად ვიცნობ ასობით და ათასობით ყველა ყალიბის პოლიტიკურ მოღვაწეს, გარდა ამისა, ორი წლის განმავლობაში ვაგროვებდი და ვსწავლობდი მასალებს და, უეცრად, ჩემი კალმის წვერიდან ბოლშევიკის ნაცვლად ესერი გამოხტა, რომელსაც მე არც კი ვაჩვენებ რომანში, რადგანაც საქართველოში ისინი თითქმის არ იყვნენ და მათ მხოლოდ ლიტერატურის მეშვეობით ვიცნობ. აქ გაუგებრობას აქვს ადგილი, რომელიც გამომდინარეობს 1905 წლის რევოლუციური საქართველოს არცოდნით. ამაში მე თქვენმა შენიშვნებმაც დამარწმუნეს, რომელიც რომანის გვერდებზეა გაკეთებული. თქვენ გგონიათ, თითქოს ჩვენთან ყველაფერი ისე ხდებოდა. როგორც მოსკოვში ან სარატოვში. შეადარეთ თუნდაც რევოლუციური ქრონიკა ან იმდროინდელი ორიოდე

რომანი რუსულ და ქართულ ცხოვრებიდან და თქვენ ამაში თვითონვე დარწმუნდებით. რაც შეეხება საერთოდ ინდივიდუალურ ტერორს, 1905 წლის ამბებიდან მისი ამოგდებით, თქვენ პირველ რევოლუციას უდიდეს ნაწილს გამოაკლებთ. ლენინი სწერდა, რომ ინდივიდუალური ტერორი დასაშვებია და აუცილებელიც არის რევოლუციის დროს. მარტო თბილისში რამდენიმე ქუჩა ატარებს ტერორისტების (კალიაევის, ელბაქიძის, ჯორჯიაშვილის, კამოს და სხვ.) სახელებს, ორ მათგანს კი ძეგლიც დაუდგეს.

უთუოდ შემეკითხებით, მაშ რაში მდგომარეობს ზურაბის, როგორც ბოლშევიკის მუშაობა? მისი საქმიანობა გაფანტულია მთელი რომანის მანძილზე. ის იბრძვის მენშევიკების წინააღმდეგ, გამოდის ქალთა კრებაზე (თვითონვე აწყობს ამ კრებას), გამოდის დემონსტრაციაზე (სასაფლაოზე და 18 ოქტომბერს, მანიფესტაციის დროს). იმავე დღეს დემონსტრაციის სათავეში დგება, ალყას შემოარტყამს ციხეს და პატიმრების განთავისუფლებას მოითხოვს. აწყობს საიდუმლო სტამბას და ბეჭდავს არალეგალურ გაზეთს, ხელმძღვანელობას უწევს დეკემბრის აჯანყებას და სხვ. და სხვ.

ნუთუ ეს საკმარისი არ არის? მე პრინციპულად წინააღმდეგი ვარ ცხენის დოზები. საქმე, ცხადია, დოზებში კი არ არის, არამედ ზურაბის სახის შექმნაში. რამდენად შევძელი ამის გაკეთება, სხვამ განსაჯოს. თქვენ ამტკიცებთ, თითქოს ზურაბი ივდითის, პეროვსკაიას და სხვათა მაგალითებს იმიტომ ასახელებს, რომ დაარწმუნოს ქეთო, ავშაროვზე გათხოვდეს. ისევე შეგედავებით. ამის შესახებ ყოველგვარი გადაკრულად ნათქვამი სიტყვაც კი რომანიდან ამოვაგდე, მაგრამ გმირების ჩამოთვლასა და საგმირო საქმეებისადმი მოწოდებას მსხვერპლად ვერ შევწირავ.

თქვენ ამას „მსხვერპლს" უწოდებთ. მეტისმეტად თამამად ხომ არ არის ნათქვამი? ბოლშევიკებმა ასიათასობით მსხვერპლი გაიღეს, რომლის შესახებ ითქვა კიდეც საბჭოების უკანასკნელ ყრილობაზე. ვიცი, რომ მეტყვით, მსხვერპლის გაღება ორნაირია: ხალხოსნური და ბოლშევიკური, მაგრამ ჩემი რომანის მაგალითებით ამის დამტკიცება შეუძლებელია. ხომ არ ფიქრობთ თქვენ, რომ იმ დროს ბოლშევიკი ისტორიულ მაგალითებს ვერ გამოიყენებდა? შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, რომ ძველი ბოლშევიკები ყველაფრით ახლანდელებს ჩამოჰგავდნენ. თქვენ მათ არ იცნობდით, მე კი ვიცნობდი და ამიტომ მივეცი ზურაბს რამდენადმე განსხვავებული თვისებები.

შემდეგ — პოლიციის რაინდობისა და ზურაბის დევნის შეწყვეტის შესახებ. კლიმიაშვილსა და ავშაროვს ქეთო უყვართ. მათ სამსახურებრივი მოვალეობა სიყვარულის წილად მსხვერპლად გაიღეს. ამისთანა მაგალითებით სავსეა ლიტერატურა და ცხოვრება. აქ რაინდობა არაფერ შუაში არ არის. რომანის ბოლოში კი პირუკულმა ხდება: ავშაროვი, თავის ცოლის, ქეთოს ღალატში რომ დარწმუნდება, აპატიმრებს მას და არარაინდულად იქცევა.

ახლა — ყველაზე მთავარი. თქვენი წერილის კილომ და თქვენმა შენიშვნებმა აღმაშფოთა. მე პროტესტს ვაცხადებ ამის თაობაზე მეგობრული რჩევის ნაცვლად, თქვენ ღვარძლიან დაცინვასა და ყველაზე ძლიერ გამოთქმებს მიმართავთ და გავიწყდებათ, რომ ჩემს მიმართ ასეთ კილოს უხამსობის დაღი აჩნევია. ჩემი ლიტერატურული მუშაობის 34 წლის მანძილზე, თქვენ პირველმა მომაკერეთ ასეთი იარლიყები, მაგრამ გვიანღაა. ისინი მე არ მომეკერება, რაც შეეხება ღვარძლსა და ირონიას, არც მე გახლავართ უკბილოთა ჯიშისა და შემიძლიან დიდი პროცენტით გიპასუხოთ. თქვენ გსურდათ ყოფილიყავით გულწრფელი და ულმობელი? გულახდილობისათვის მადლობას მოგახსენებთ. დაუნდობლობა კი ორმხრივ გალესილი იარაღია, რომელიც ზოგჯერ ელემენტარული გულისხმიერების უქონლობის, კრიტიკოსის როლის არ გაგების (საბჭოთა მწერლის მეგობრულად დახმარების) მიჯნაზეა. სურვილი არა გაქვთ, მხედველობაში მიიღოთ სხვა ხალხის ხასიათი, ყოფა და თავისებურებანი. ნუ ივიწყებთ, ამხ. ერმოლოვ, რომ სურვილისამებრ უხამსობისა და სხვათა მაგალითები, მე და თქვენ აშკარა გენიოსებთანაც კი შეგვიძლია აღმოვაჩინოთ და არა მეგობრული დამოკიდებულების დროს, მაშინ წყალთან ერთად როგორც იტყვიან, ბავშვიც უნდა გადავაგდოთ.

როგორც ხედავთ, მეც გულახდილად ვსაუბრობ თქვენთან (და არა ღვარძლიანად) და იმედი მაქვს, რომ ძალიან არ კამიწყრებით.

რომანის გვერდებზე შემდეგი შენიშვნები ვიპოვე: მე ქეთოს ვაჩვენებ სარკეში გამოსახულების საშუალებით, თქვენ მიგიწერიათ: „გულუბრყვილო ხერხია". რატომ გულუბრყვილო? ბევრი მწერალი მიმართავდა ამ ხერხს. მე ცხადად ვწერ, რომ საყოველთაო ჩხრეკის დროს, ლევანი და ნიკო იძულებულნი იყვნენ ყუმბარები ღელე გადაეტანათ. თქვენ მიგიწერიათ: „რა არაკონსპირატიულობაა, გულუბრყვილობაა". მე მართას ოთახს აღვწერ, თქვენ კი მეკითხებით: „რა საჭიროა ამის ცოდნა". მსგავს შეკითხვას თქვენ ტოლსტოის, შოლოხოვს და სხვას არ მისცემდით, რომლებიც ჩემზე დაწვრილებით აღწერენ თავიანთი გმირების ყოფას. რაჟდენის განთავისუფლებისათვის საჭირო შეიქნა კნეინა ამილახვართან მისვლა

თქვენი მინაწერი: „ყოველ ნაბიჯზე რაინდობა“. როგორც ჩანს, რაინდობის ყოველგვარი ნიშანიც კი არღვევს თქვენს მყუდროებას, მაგრამ აქ რაინდობის აჩრდილიც კი არ არის, არის მხოლოდ ქრთამი, საერთო ნაცნობები, რითაც ჩვენთან და რუსეთშიც არაერთხელ სარგებლობდნენ. ქეთო იწვევდა ზოგჯერ ვნებიანსა და ცინიკურ ღიმილს მამაკაცებში. მინაწერი: „თბილისში ყველა მამაკაცი ვნებიანია და ცინიკოსი“. რატომ ყველა. ეს საიდან ჩანს? ბოროტი მინაწერია და არა მახვილგონივრული.

საკმარისია, ამის შესახებ. სხვა მწვავე შენიშვნები მე მაშინვე წავშალე და მათი აღდგენის საშუალება აღარა მაქვს. მით უკეთესი თქვენთვის. ვიმეორებ, თქვენ მეგობრული და სამართლიანი არა ხართ ჩემს მიმართ. ამის მიუხედავათ, თქვენი წერილიდან და შენიშვნიდან მე ზოგი რამ გამოვიყენე. ამისათვისაც მადლობელი ვარ.

„თარგმანი განსაკუთრებით უსუფთაოდ არის შესრულებული“, — იწერებით თქვენ. არ გედავებით. მე და ნეიმანი ქართველები ვართ, რუს მთარგმნელს კი ვერ იშოვით ვერც აქ და ვერც მთელს საბჭოთა კავშირში, ამიტომ ჩვენი თარგმანები ყოველთვის საჭიროებენ საგულდაგულო ჩასწორებებს. ამ უმადურ საქმეს აკეთებს ჩვენი ლიტერატურული წარმომადგენელი გოლცევი, რისთვისაც ჩვენ მას მადლიერებას ვუცხადებთ.

იანვრის ბოლოს მოსკოვში ჩამოსვლას ვფიქრობ.

გითვლით მეგობრულ სალამს
მ. ჯავახიშვილი.
თბილისი. 27/XII 1986 წ.-

ერმილოვთან ერთად, მამამ ვიქტორ გოლცევსაც გაუგზავნა წერილი, სადაც ატყობინებდა, რომ სახელმწიფო გამომცემლობაში გზავნიდა რომანის ორ ცალს, „რომანი სექტემბერში მზად იყო — სწერდა მამა, — მაგრამ მე მინდოდა წინასწარ ჩვენს კავშირში მომეწყო მისი განხილვა“.

განხილვა სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენადმე შეფერხდა და ამიტომ შეფერხდა მოსკოვში მისი გაგზავნაც. თარგმანით მამა კმაყოფილი არ იყო, მაგრამ თვლიდა, რომ ამ მიმართულებით მან და ნეიმანმა ყველაფერი გააკეთეს, რაც კი მათ შესაძლებლობაში იყო. გოლცევს ის სწერდა, რომ 1987 წლის იანვრის ბოლოს მოსკოვში აპირებდა ჩასვლას და იმ დროისათვის თუ რომანი რედაქტორის ხელში გაივლიდა, ისინი ერთად გადასინჯავდნენ შენიშვნებს. ისევე, როგორც ოდესღაც „არსენა მარაბდელის“ შენიშვნები გადაუსინჯავთ. გოლცევი, როგორც ქართველი მწერლების კეთილი მეგობარი, მათ ნაწარმოებების გამოცემის საქმეში ეხმარებოდა.

მამას ირგვლივ მდგომარეობა კვლავ დაიძაბა. ამის გამო უგუნებოდ იყო და გულჩათხრობილი დადიოდა. მოსკოვში ყოფნისას, მწერალთა კავშირში მას ერთი ნაცნობი შეხვდა, რომელმაც მიულოცა მაღალი ჯილდო, იმ ხანებში რომ მიიღო. მამა დაღვრემილი ჩანდა, ნაცნობი შეეკითხა უგუნებობის მიზეზს. მამამ უპასუხა: „О каком настроений Вы говорите, когда у меня мозги ранены“. და ორიოდე სიტყვით ნათლად გამოხატა თავისი სულიერი მდგომარეობა. მამა მწვავედ განიცდიდა მის ირგვლივ შექმნილ ვითარებას. სევდიანი დადიოდა. ზოგჯერ კი, ამოხეთქავდა დაგუბებული სევდა და ჭრილობაც თავს იხსნიდა.

●

1987 წელს ლენინგრადის გამომცემლობამ მაგიდის დასურათებული ლიტერატურული კალენდარი გამოსცა. ამ კალენდარში საქართველოდან ოთხი მწერალი იყო შეყვანილი: შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, გალაკტიონ ტაბიძე და მამა. კალენდარი მამამ ჩამოიტანა და თავფურცელზე თავისი ხელით წააწერა- „ქართველი მწერლების სურათები. იხილე: ჯავახიშვილი — აპრილი, გ. ტაბიძე — აპრილი, რუსთაველი — სექტემბერი, ჭავჭავაძე — ნოემბერი“.

●

1937 წელს მფრინავმა შალვა ჩიქვინიძემ, რომელიც ხარკოვში ცხოვრობდა და მუშაობდა, ბარათი გამოუგზავნა მამას. იგი სწერდა: სალამი პატივცემულ მწერალს. მე, უცხო ვინმე გიგზავნით წერილს მოძმე რესპუბლიკიდან. მე ჩემი თვალით ვნახე და ყურით გავიგონე, ერთ-ერთ ოლქის პარტკონფერენციაზე იყო ასეთი საკითხი — ნაციონალური პოლიტიკა ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების, ჩვენი რესპუბლიკა მოწინავე აღმოჩნდა კულტურის დარგში და სხვებშიაც, მაგრამ მე აქ შევეხები მარტო კულტურულ აღორძინებას. პატარა ერი კულტურულად აღმოჩნდა ძლიერი, მოწინავე. აქ იყო მოყვანილი თქვენი უკვდავი შექმნილი ნაწარმოები, რომელმაც ნათლად გადმოგვცა ყველაფერი ის, რაც იყო... პატივცემულო მწერალო, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, რომ თქვენ მოგეცეს ჩვენთვის უკვდავი ნაწარმოები რამოდენიმე ათეული. თქვენ ხართ ჩვენი კულტურის ჩირაღდანი, რომელიც ჩვენ, ახალგაზრდებს გვაძლევს კულტურულ დონეს, გვწევს მაღლა. პატივცემულო მწერალო, მე მსურს ბევრი დაგწერო, მაგრამ დრო არ მყოფნის, მეძახიან საფრენად აეროდრომზე. მე მსურს წელს პირადად გინახულოთ და მოგილოცოთ ჩვენი მოწინაობა თქვენი მონაწილეობით“.

მამას ერთი კურიოზული ამბავი შეემთხვა, რომელიც კარგად დამამახსოვრდა. 1987 წლის გაზაფხული დადგა. მე, ჩემს ამხანაგებთან ერთად, სესიებისათვის ვემზადებოდი. მთელი დღეები ჩემს ოთახში ჩაკეტილები ვისხედით და ვმეცადინეობდით. მამა გვერდით ოთახში მუშაობდა. ჯერ კიდევ გრილოდა ოთახში და ამიტომ მუშაობის დროს რომ არ შესცივნოდა, თავზე უზბეკური ქუდი—არახჩინი ეხურა, რომელიც მას შუა აზიიდან საჩუქრად ჩამოუტანეს. ეს იყო მუქი ფერის შალის ქსოვილისაგან შეკერილი ოთხნაჭრიანი პატარა ქუდი, უზბეკური ორნამენტებით ამოქარგული.

ერთ დღეს, შუადღისას, მუშაობა რომ დაამთავრა, წასასვლელად მოემზადა. ფიქრებში წასულმა, საზაფხულო პალტო ჩაიცვა, ჯოხი ხელში დაიჭირა, არახჩინის მოხდა კი დაავიწყდა. ასე გავიდა ქუჩაში. მამას წასვლა სახლიდან ჩვენ არ გაგვიგია, თორემ შევნიშნავდით, რომ ქუდის დახურვა დავიწყებოდა. უთუოდ სახლიდან ისე გავიდა, მისი ჩაცმულობისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.

მიდის მამა ქუჩაში და ნაცნობები რომ ხვდებიან და ესალმებიან, ისიც არახჩინს უხდის და დარწმუნებულია, რომ ქუდი ახურავს. ნაცნობები გაკვირვებით თვალს აყოლებენ და ვერ გაუგიათ, რა მოხდა, რა ქუდი დაუხურავს თავზე მიხეილს. კარგა მანძილი რომ გაიარა, ბოლოს სახელმწიფო ბანკში შევიდა. იქ რაღაც საქმე ჰქონდა. ბანკის მმართველის ოთახში რომ შესულა, ამ უკანასკნელს თავი ვეღარ შეუმაგრებია, სიცილი წასკდომია და უთქვამს: „ბატონო მიხეილ, ეს რა ქუდი დაგიხურავთ?“ მამას მაშინვე ქუდისაკენ წაუღია ხელი და ხელში კი არახჩინი შერჩენია. გაოცებული დარჩენილა. კარგა ხანს დაჰყურებდა თურმე თავის ქუდს და გონს ვერ მოდიოდა. ბოლოს უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილს, სიცილი დაუწყია, დამნაშავე ბავშვივით მოჰყოლია თავის მართლებას. მამას ნაცნობები შემოეხვივნენ გარს და ამის გამო ბევრი იცინეს.

მამა რომ ბანკში თავის საქმეს მორჩა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. უკან ამ ქუდით დაბრუნება სირცხვილი იყო, უქუდოდ კი გარეთ ვერ გამოვიდოდა, რადგან ციოდა. ბოლოს გადაწყვიტა ჩემთვის დაერეკა ტელეფონით, რომ მისთვის ქუდი მიმეტანა და ამ სასაცილო მდგომარეობიდან გამომეყვანა. ტელეფონთან რომ მივედი, ყურმილში მამას ნაღვლიანი ხმა მომესმა: „ქეთო, იცი დღეს რა დამემართა? ქუდის დახურვა დამვიწყებია და ქუჩაში არახჩინით გამოვსულვარ. ეხლა აღარ ვიცი როგორ მოვიქცე. სხვა გზა არ არის, შენ უნდა მიშველო. მე ბანკში მოგიცდი, შენ კი საჩქაროდ ჩემი ქუდი აიღე და აქ მომიტანე. არა უჭირს რა, შენი მეგობრები დაგიცდიან“.

შევწუხდი, მამა ასეთ უხერხულ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა. შემდეგ წარმოვიდგინეთ ქუჩაში მიმავალი ხალხს არახჩინს რომ უხდის და ამ სურათმა ყველანი გაგვამხიარულა. რა გაეწყობოდა, ხელში მამას ქუდი დავიჭირე და გზას გავუდექი. მამამ რომ დამინახა, გაიცინა და მითხრა: „ეს როგორ დამემართა, არ ვიცი. ვმუშაობდი და ფიქრებში ვიყავი გართული. პალტო რომ ჩავიცვი, მახსოვს, ჯოხი რომ ხელში ავიღე, ისიც მახსოვს, ქუდი კი დამვიწყებია. ეხლა კი მესმის, რატომ მესალმებოდნენ გაკვირვებული სახეებით ნაცნობები. ალბათ ვერ გამიბედეს შეკითხვა და, ვინ იცის, რა იფიქრეს. რას იზამ, ვბერდები და ეს იმის ბრალია“, — თქვა ნაღვლიანად, არახჩინი მე მომაწოდა, თვითონ კი ქუდი დაიხურა. ბანკიდან გამოვედით და სახლისაკენ ავიღეთ გეზი. გზადაგზა ამ ამბავს ვიხსენებდით და ვიცინოდით. მამა კარგ გუნებაზე დადგა და ნაცნობებს ღიმილით ესალმებოდა. მე კი კარგად ვგრძნობდი, რომ ქუდთან დაკავშირებული გულმავიწყობა სიბერით არ იყო გამოწვეული. მაგრამ ერთმანეთს ამის შესახებ არაფერს ვეუბნებოდით.

მამა ფიქრობდა შესდგომოდა თავისი მემუარების წერას. ამ მიზნით, წლების მანძილზე დღიურებს ავსებდა, სადაც თავმოყრილი იყო მისი ცხოვრების ყოველი წვრილმანი. სამწუხაროდ, დღიურები დაკარგულია, თავისი ჩანაფიქრის განხორციელება კი ვერ მოასწრო. ადრეული პერიოდის რვეულში, სადაც მამას სხვადასხვა მწერლების ხატოვანი სიტყვა-თქმანი აქვს ამოწერილი, შემხვდა. ორიოდე სტრიქონი ფრანგულად, მოპასანის რომანიდან „ცხოვრება“. და იქვე ფანქრით მინაწერი: „ეპიგრაფი ჩემი მოგონებებისათვის“. ეს ადგილი დაახლოებით ასე იკითხება: „იმაზე საშინელი არაფერია, როდესაც მოხუცი ხელახლა იწყებს თავისი ცხოვრების ჩხრეკას“. არ ვიცი გამოიყენებდა ამ ეპიგრაფს მომავალში მოგონებებისათვის თუ არა, ამის თქმა ძნელია. ადვილი შესაძლებელია, სხვა ეპიგრაფი მოენახა, დაწერა რომ დასცლოდა.

ბოლო ხანებში მამა მეხსიერების შესუსტებას უჩიოდა. ზოგი რამ ავიწყდებოდა და ეს მოქმედებდა მასზე. უბის წიგნაკში ჩაიწერა: „სუსტი მეხსიერების გამო ხან ნაცნობებს ვერა ვცნობ, ხან უცნობს გამოველაპარაკები და კურიოზული ამბები მემართება“. ვფიქრობ, ეს ამბავი გამოწვეული იყო იმ დაძაბული და მძიმე ატმოსფეროთი რომელშიც მას ცხოვრება და მუშაობა უხდებოდა სიცოცხლის ბოლო წლებში. მღელვარება და ნერვიულობა

იჩენდა თავს, თორემ მამას გახაოცარი მეხსიერება ჰქონდა.

მამას უნდოდა, სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შევსულიყავი, მაგრამ გულმა რატომღაც პოლიტექნიკური ინსტიტუტისკენ გამიწია. მაშინ ამ ინსტიტუტს საქართველოს ინდუსტრიალური ინსტიტუტი ერქვა. უთუოდ მეგობრების გავლენაც იყო, რომ იქ შევედი. მაშინ ბევრი ჩვენგანი გატაცებული იყო საინჟინრო ხელოვნებით და გადამდები სენივით მოგვედო ყველას ეს გატაცება. ჩემთვის ეს ახალი და საინტერესო დარგი იყო. 1982 წელს საბუთები ქიმიურ-ტექნოლოგიურ სპეციალობაზე შევიტანე. ეხლა ვთვლი, რომ ეს ჩემი მხრივ შეცდომა იყო. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, მოხდა ისე, რომ ცხოვრებამ სულ სხვა სამყაროში გადამისროლა, რომელიც ჩვეული ცხოვრებიდან ძალზე შორს იყო. საჭირო გახდა ყველაფრის ახლად დაწყება, დამოუკიდებლად გზის გაკაფვა. აი სწორედ ამ დროს გამომადგა ჩემს მიერ არჩეული სპეციალობა. იმ ხანებში ბედმა ბევრ კარგ ადამიანს შემახვედრა, რომლებმაც ხელი გამომიწოდეს, ადამიანური სითბო მაგრძნობინეს და დაღუპვას გადამარჩინეს. ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე და ტრაგიკულ პერიოდში ჩემი სპეციალობა ქიმიკოს-ტექნოლოგისა ძალზე გამომადგა. შეიძლება თამამად ითქვას, გაამართლა არჩევანი. მაგრამ მაინც სინანულის გრძნობა დამყვება, რომ თავის დროზე ფილოლოგიურ ფაკულტეტზე არ შევედი. ისიც ადვილი შესაძლებელია, ამ ფაკულტეტზე ყოფნისას, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ბოლომდე ვერ მიმეყვანა სწავლა და უკეთესიც იყო, რომ სხვა საზოგადოებაში და სხვა სამყაროში მომიხდა იმ დროს ცხოვრება და მუშაობა. — ამან მრავალი უსიამოვნებისაგან დამიხსნა და დამიფარა.

სანამ ინსტიტუტში საბუთებს შევიტანდი, ვფიქრობდი, რომელი დარგი ამერჩია. მე მამას დავპირდი, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში შევალ და მეორე ფაკულტეტის დამთავრებასაც მოვასწრებ-მეთქი. მამა დამეთანხმა. მან სთქვა: ბოლოს და ბოლოს, აუცილებელი არც არის ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრება, განათლების მღება სახლშიც კი შეიძლება". მერე მომცა ლიტერატურის ისტორიის რამდენიმე სახელმძღვანელო და მითხრა: „ამ წიგნებს გაეცანი. საერთო განათლებისათვის ჯერჯერობით ესეც საკმარისია". ეს იყო 1929 წელს გამოცემული ა. რუსინოვის „ლიტერატურის თეორია", „რომელიც მამას გულდასმით ჰქონდა გადაკითხული, გვერდზე შენიშვნებიც გაეკეთებინა. დროდადრო წიგნებით მამარაგებდა, თავისუფალ დროს კი წაკითხულს გამომკითხავდა ხოლმე და ლიტერატურული საკითხების ირგვლივ მესაუბრებოდა.

1987 წელს მე პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი. გაზაფხულზე, თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ, საწარმოო პრაქტიკა უნდა გაგვევლო, რუსეთისა და საქართველოს სხვადასხვა ადგილებში. მე და ჩემი ამხანაგები ბევრს ვფიქრობდით ამაზე, ვირჩევდით ადგილებს. საბოლოოდ არჩევანი ლენინგრადზე შევაჩერეთ. ერთსა და იმავე დროს გვინდოდა ორი საქმე გაგვეკეთებინა — პრაქტიკაც მიგველო და ულამაზესი ქალაქი და მისი ღირსშესანიშნაობებიც დაგვეთვალიერებინა. ამაზე უკეთესი რა იქნებოდა, მაგრამ ჩვენს სურვილს წინ დიდი დაბრკოლება ეღობებოდა: მეოთხე კურსის სტუდენტებს არ ჰქონდათ ამ ქალაქში პრაქტიკისათვის გამოყოფილი ადგილები და ეს ამბავი გვაღონებდა.

გადავწყვიტეთ ჩვენი გეგმები მამასთვის გაგვეზიარებინა. გვაინტერესებდა ჩვენს წინადადებაზე რას გვეტყოდა. მეგონა მამა ნებას არ დამრთავდა მარტო ასე შორს, ისიც რამდენიმე თვით წავსულიყავი. მაგრამ, ჩემდა სასიხარულოდ, ამ ამბავს მშვიდად შეხვდა. უარი არ უთქვამს. დამპირდა ყველაფერს გავიგებ და გეტყვითო. დედაჩემი კი ჩემს წასვლას ლენინგრადში წინ აღუდგა. გაგონებაც კი არ უნდოდა, რომ მე რამოდენიმე თვის მანძილზე მოვშორდებოდი ოჯახს და პირველად ჩემს ცხოვრებაში დამოუკიდებლად ვიცხოვრებდი, ისიც უცხო მხარეში.

ამ ნიადაგზე მამასა და დედას შორის სჯაბაასი გაიმართა, დედა თავის მოსაზრებებს ათასნაირი წვრილმანით ასაბუთებდა. მამა კი თავიდანვე ჩემს მხარეზე იდგა. ჩემი სურვილი გაიზიარა და მოკლედ და დაბეჯითებით, თანაც აუღელვებლად დედას დაუმტკიცა, რომ აქ არაფერი იყო შიშისმომგვრელი და არაჩვეულებრივი. ჩემს გადაწყვეტილებაში ვერ ხედავდა რაიმე გაუმართლებელს. დროაო, — თქვა მან, — „შეეჩვიოს დამოუკიდებელ ცხოვრებას, სულ ხომ ჩვენი ფრთის ქვეშ არ იქნება. რა იცი, რას უმზადებს ცხოვრება. ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩვენ არ უნდა დავუშალოთ ქეთოს ლენინგრადში წასვლა".

რა ბრძნული იყო მამას პასუხი! ეხლაც თვალწინ მიდგას ის სურათი და მამას სიტყვები არასოდეს დამავიწყდება. კარგად იცნობდა ცხოვრებას, იცოდა მისი ავკარგი და ბედის უკუღმართობა, საკუთარ თავზე ჰქონდა ყველაფერი გამოცდილი და ფიქრობდა, ხელი არ შეეშალა ჩემთვის იმ სიამოვნების მიღებაში, რაც ლენინგრადის გაცნობით მელოდა.

ჩემი პრაქტიკის ამბების გასაგებად მამა პირველად, რაც ინსტიტუტში ფეხი შევდგი, მივიდა რექტორის, გიგოლი წულუკიძის სანახავად. რექტორს ძალზე გაეხარდა მამას ნახავა. ისინი კარგა ხანს საუბრობდნენ, შემდეგ მამამ

ჰკითხა, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნება, ქეთომ და მისმა ამხანაგებმა ლენინგრადში გაიარონ პრაქტიკაო და უთხრა, რომ ამაზე თვითონვე იზრუნებდა და საქმეს მოაგვარებდა. გიგლო წულუკიძემ თანხმობა მისცა და თან დააყოლა, ვერ ყველანი თქვენს წინაშე დავალებულები ვართ და ასეთ მცირე სათხოვარს როგორ არ შეგისრულებთო.

მამამ ლენინგრადში წერილი მისწერა თავის მეგობარს მწერალ ნიკოლოზ ტიხონოვს, რომელიც იმდროს იქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. და თხოვა დახმარება გაეწია ჩემთვის, რათა საწარმოო პრაქტიკა გამევლო ლენინგრადის ლომონოსოვის სახელობის ფაიფურ-ქაშანურის, ან სხვა რომელიმე ქარხანაში. მოუთმენლად ველოდით პასუხს ლენინგრადიდან. დიდხანს ცდა არ დაგვჭირვებია. ერთ დღეს მე და ჩემი ამხანაგები ინსტიტუტის დირექციაში გამოგვიძახეს და გამოგვიცხადეს, რომ პრაქტიკას ლენინგრადში გავივლიდით. ქარხანამ გამოყო ჩვენთვის ორი ადგილი და სესიების დამთავრების შემდეგ მზად უნდა ვყოფილიყავით გასამგზავრებლად. ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მამაც ნასიამოვნები იყო, რომ ასე იოლად მოგვარდა საქმე.

მზადებას შევუდექით. წასვლის წინ მამამ თავის ოთახში დამიძახა, დამსვა და დიდხანს მესაუბრა. დამარიგა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი გზაში, რისთვის მიმექცია განსაკუთრებული ყურადღება და სხვა მრავალი. თუ რაიმე გამიჭირდებოდა, მწერალთა კავშირის მისამართი და რამდენიმე მწერლის ბინის მისამართიც მომცა და დამპირდა, მოვიცლი თუ არა, თვითონაც ჩამოვალ თქვენთან და დაგხედავთო, მე ცუდი ხელი მქონდა, ჩემს ნაწერს ზოგჯერ მამა ვერ არჩევდა, ამიტომ ლენინგრადში გამგზავრებისას მითხრა: მომწერე წერილი მხოლოდ ისე, რომ წაკითხვა შევძლოო.

ლენინგრადში ჩასვლისთანავე ბინა დავიქირავეთ, ქარხანაში გამოვცხადდით და მუშაობას შევუდექით. მცირე ხნის შემდეგ, ისე მოვახერხეთ, რომ რამდენიმე ჩვენს ამხანაგს, იმავე ქარხნიდან გამოძახება გავუგზავნეთ თბილისში. ასე, რომ შვიდი-რვა სტუდენტი ვგროვდებოდით და თავს მარტოდ აღარ ვგრძნობდით. მუშაობიდან თავისუფალ დროს მუზეუმებსა და ქალაქის გარეუბნებს ვათვალიერებდით. მოჯადოებული ვიყავით იმ სილამაზით, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ გვხვდებოდა. ამას ზედ დაერთო თეთრი ღამეები და ჩემს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. არც ერთ წუთს არა ვკარგავდით უქმად. მამას წერილი მივწერე და ჩემი შთაბეჭდილებები გავუზიარე. თან ვთხოვდი მცირე ხნით მაინც ჩამოსულიყო, ოღონდ ამის შესახებ წინასწარ ეცნობებინა ჩემთვის.

10 ივნისი იყო. მე თავისუფალი დღე მქონდა და ამხანაგებთან ერთად რემბრანტის სურათების გამოფენის დასათვალიერებლად წავედი. დათვალიერებით ვიყავ გართული, როცა ერთმა ამხანაგმა მომნახა იქ და მითხრა, დედაშენს ჩემი მისამართით დეპეშა გამოუგზავნია. მამაშენი ჩამოდის და დახვდიო. გაირკვა, რომ დეპეშას დაეგვიანა და მამა უთუოდ ამ დროისათვის დიდი ხნის ჩამოსულიც უნდა ყოფილიყო. მაშინვე მივატოვე გამოფენა და სასტუმროსაკენ გავეშურე, სადმე უნდა მომენახა მამა.

იმ ხანებში ლენინგრადში ცხოვრობდა და მუშაობდა იოსებ მეგრელიძე, რომელიც ჩემზე ადრე შეხვედროდა მამას და ორივენი ერთად წასულიყვნენ სასტუმროს საძებნელად.

აი როგორ იგონებს მამასთან შეხვედრას იოსებ მეგრელიძე: „მიხეილ ჯავახიშვილი ვნახე 1987 წელს, ივნისში. აქ რომ ჩამობრძანდა და მეცნიერებათა აკადემიის ე. წ. მარის ინსტიტუტში გვნახა. გულზე შრომის წითელი დროშის ორდენი ეკეთა. პროფ. კ. დონდუას და მე შემოგვჩივლა: ჩამოვედი და სასტუმროში ვერ მოვეწყვეო. ჩვენ ვუთხარით, ისე იშვიათია ორდენოსანი მწერალი, რომ ვინ გაბედავს უარს! „ასტორიაში" წავიდეთო. ვიყავი, არაფერი გამოვიდაო, — გვიპასუხა, მიხეილი და მე ჩავსხედით მანქანაში და სასტუმრო „ევროპეისკაიაში" გავჩნდით. მივმართე მორიგე ადმინისტრატორს, უარი მითხრა. ვუმეორებ, დიდი მწერალიადა ა. შ. მიიღეთ-მეთქი. ვინაა დიდი მწერალი, მე მაგას არ ვიცნობ — თქვა და სტუმარს გადმოხედა. ნათქვამი მიხეილსაც გაეგონა, მობრუნდა და ადმინისტრატორს უთხრა: ..Я тот у нас, кто Алексей Толстой у вас. ადმინისტრატორზე ალბათ მისმა სიტყვებმა უფრო იმოქმედა, ვიდრე ჩემმა თხოვნამ და კიდევ უფრო იმან, რომ ორდენოსანს ელაპარაკებოდა... შეჰპირდა, პირველი შესაძლებლობისთანავე მოგაწყობთ ორი-სამი დღის შემდეგო. სტუმარს ჩემს ბინაზე გაჩერება შევთავაზე, მაგრამ უარი თქვა: — ჩემი ქალიც (ქეთევანი) აქვეა სტუდენტთა პრაქტიკაზე, ჩემთან ივლისო, თანაც მერიდება, დრო დაეკარგებათო... მიხეილ ჯავახიშვილის მიერ თავისი თავის ალექსი ტოლსტოისთან შედარება ფრიად საყურადღებოა. ეს ზუსტად და სამუდამოდ დამამახსოვრდა. მ. ჯავახიშვილმა იცოდა თავისი ფასი. იტყოდა ხოლმე: ზოგიერთებს ჰგონიათ, ზედმეტ პატივს მცემენო! არა, მე მომავალი უფრო დამაფასებს, ეს რწმენა მასულდგმულებდა შევიწროებებისა და გაჭირვებების დროსაო. მართალი ბრძანდებოდა დიდი მწერალი და თავდადებული მამულიშვილი, მისი ამბავი დაფასებული და წარუშლელია".

მამა უკვე მოწყობილიყო სასტუმრო „ევროპეისკაიაში" და მეც იქ მივაგნი, რომ ვედი,

არ დამხვდა, სადღაც წასულიყო. ამიტომ კარგა ხანს დამჭირდა ცდა. მის ნახვას მონატრებული ვიყავი და დიდი სიხარულით შევხვდით ერთმანეთს. ბევრი რამ გვქონდა სალაპარაკო და მთელი დღე მასთან გავატარე. მამა თავის საქმეებზე მოსკოვში ყოფილიყო და უფიქრია, რამდენიმე დღით ჩემთან ამოსულიყო.

სანამ მამა ლენინგრადში იმყოფებოდა, ვცდილობდი სულ მის გვერდით ვყოფილიყავი. სამუშაოდან დავეთხოვებოდი ხოლმე და ერთად ვატარებდით დროს. სანამ ვნახავდი, მამას მოესწრო და ალექსი ტოლსტოისთან ასულიყო აგარაკზე. ინანა, რომ ვერ დავესწარი ამ ამბავს.

ერთხელ მე და მამა ერმიტაჟის დასათვალიერებლად წავედით. მამას უყვარდა მხატვრობა და დიდი სიამოვნებით ათვალიერებდა ხელოვნების ნიმუშებს, ხან სათვალეს მოიხსნიდა და ახლოს მივიდოდა, რომ უკეთ შეეხედა სურათის ან ქანდაკებისათვის, ხან შორის დადგებოდა და გულხელდაკრეფილი დიდხანს ათვალიერებდა. რემბრანტის გამოფენაც მე და მამამ ერთად დავათვალიერეთ. ეს უბედნიერესი დღეები იყო ჩემს ცხოვრებაში. ყველაფერს მამასთან ერთად, მისი თვალით ვუყურებდი. მის მოსაზრებებს ვიზიარებდი და ვისმენდი. გზადაგზა მრავალ რამ საინტერესოს მიამბობდა, ყველაფერის გახსენება უკვე ძნელია. ამავე დროს ნაღვლიანიც იყო და ხშირად ჩაფიქრებული გაჰყურებდა სივრცეს. ირგვლივ ძალზე დაძაბული ვითარება იყო და ყოველ წვრილმანს განსაკუთრებულად განიცდიდა. ჩემს არყოფნაში ბევრი რამ მოხდა თბილისში, ბევრი არასასიამოვნო ამბავი დატრიალდა. ყველაფერმა ამან გავლენა მოახდინა მამაზე. მიუხედავად ამისა, არაფერს მაგრძნობინებდა, არას მეუბნებოდა. ვცდილობდით უსიამოვნო ამბებზე არ გველაპარაკა. მეც შეკითხვებისაგან თავს ვიკავებდი. გუმანით ვგრძნობდი, რომ მის სულში სიმშვიდე არ სუფევდა.

მამას ისევ ძველებურად უტევდნენ და მგონი ლენინგრადში გატარებული დღეები მისთვისაც შვების მომგვრელი და სასიამოვნო იყო. რამოდენიმე ხნით გამოეთიშა ყველაფერს და სასიამოვნო ატმოსფეროში ცხოვრობდა. მის გვერდით კეთილი ადამიანები იმყოფებოდნენ და მის კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ...

ერმიტაჟის დათვალიერების შემდეგ მამა შეხვდა სოსო მეგრელიძეს და ვარლამ დონდუას, რომელთაც გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები. მან თქვა: „ერმიტაჟი“ უბრწყინვალესი მუზეუმია. შენობაც „ლუვრზე“ უკეთესია. შიგ თავისუფლად სუნთქავ, დიდი არეები აქვს. „ლუვრში“ სივიწროვეა, სული გეხუთება, დამღლელია. „ერმიტაჟში“ რჩეულ დღესასწაულებზე და სხვა დღეებშიც მარტო ... „ერმიტაჟში“ რჩეულ დესპანთაგან მხოლოდ რჩეულს თუ შეუშვებდნენ. ახლა უბრალო ადამიანები დადიოდნენ ჩვენთან ერთად. „ლუვრი“ უფრო ადრე გახდა სახალხო საბარობად, მაგრამ შიგ უბრალო ადამიანს იშვიათად თუ ნახავთ! გარდა იმისა, რომ შესვლაა ძვირი, ევროპა მოუცლელია, ყველა თავის საქმეზე გარბის, დროს აფასებენ, „ჩვენთან დრო გაიაფებულია“.

ერთ დღეს სოსო მეგრელიძე მოვიდა მამასთან და უთხრა, რომ კიტა მეგრელიძემ, მე და მამა თავისთან დაგვპატიჟა. ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ ეს მიპატიჟება და საღამოს მათთან წავედით. ამის თაობაზე სოსო მეგრელიძე იგონებს: *„მიხეილის ჩამოსვლა კიტა მეგრელიძეს* გაეგო და დამირეკა, სადაა სტუმარი, ხვალ საღამოს ჩემთან მოიყვანეო. წავედით მიხეილი, მისი ასული, სტუდენტი ქეთევანი, რომელიც მაშინ ლენინგრადში პრაქტიკას გადიოდა მ. ლომონოსოვის სახელობის ფაიფურის ქარხანაში და მე. მივედით. სტუმარ-მასპინძელი სიხარულით შეხვდა ერთმანეთს. იქვე დაგვხვდა იმავე ბინაში მცხოვრები პროფესორი ლეონ ბაშინჯაღიანი. მიხეილმა მას უთხრა: მე მამათქვენს (მხატვარ გიორგი ბაშინჯაღიანს) ვიცნობდიო. მან რომ ვერის დაღმართი დახატა და ზედ ტუალეტიც გამოაჩინა, ხატისოვმა (ქალაქის თავი იყო) პირად შეურაცხყოფად მიიღო — სხვა არაფერი გამიკეთებიაო! და მხატვარი დააპატიმრებინა. ქართველმა ინტელიგენციამ გამოიდო თავი და იგი შინ დაბრუნდაო... მიხეილმა აქვე მოიხსენია სომეხი მწერლები: გიორგი დიდოხიანი, ოვანეს ოვანესიანი, სტეფანე ზორიანი და განსაკუთრებით ელიშე ჩარენცზე შეჩერდა. მის პოემა „ურდოები გაგიჟებულთა“ გამოცემამდე წამაკითხეს ქართულ თარგმანში და მომეწონაო... სუფრასთან ქართველ მწერლებსა და თეატრზეც იყო ლაპარაკი. მიხეილმა მხატვრებიც — ლადო გუდიაშვილი და დავით კაკაბაძე გაიხსენა...

ერთ დღეს, — განაგრძობს თხრობას სოსო მეგრელიძე, — „ერმიტაჟის“ ანსამბლში მდებარე მეცნიერთა სახლის სასადილოში მივედით, სადაც რამდენიმე ქართველი გვიცდიდა. სადილზე ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე იყო უმთავრესად ლაპარაკი. მიხეილ ჯავახიშვილმა თავის პირად მეგობრებად დაასახელა პოეზიაში გალაკტიონ ტაბიძე, სკულპტურაში იაკობ ნიკოლაძე და სინანული გამოთქვა ქართული თეატრიდან სანდრო ახმეტელის მოწყვეტის გამო. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, — თქვა მან, — ნიჰილიზმის წინააღმდეგ მაშინაც ვიბრძოდი, როცა ეს მოდური იყო, ყველაფერზე „სამხედრო კომუნიზმის“ თვალით გვაყურებინებდნენ, სინამდვილის ამაღლების ცდას დანაშაულად გვითვლიდნენ. შეიცვალა ვითარება. 1932 წლამდე მებრძოდნენ და ახლა მე მომცეს ორდენი და არა იმათ, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ყოველგვარი ჯილდო მათი უნდა ყოფილიყო. ვამბობდი, ქრონიკების წერით ვერ დაწინაურდება ჩვენი მწერლობა-მეთქი და ახლა ყველა ამას გაიძა-

ხის. აქ მას ახმეტელზე მისცეს შეკითხვები: მაინც რა მოხდა, რომ იგი გაიმეტესო. მიხეილმა თქვა: „სანდრო ახმეტელი დარჩება ჩვენი თეატრის ნოვატორად. მან გააქართულა ჩვენი თეატრი, ხალხი გამოიყვანა სცენაზე და აამოძრავა ქართული ტემპერამენტით, აალაპარაკა ქართული ტემბრით. იგი უკომპრომისო იყო და ამან ავნო! მე პირადად თეატრით ადრევე ვიყავი დაინტერესებული. პიესების უვარგისობაზე გუნიას და აკაკი წერეთელს ვედავებოდი. „ჩანჩურას" რომ ვწერდი, ეპიზოდებს სცენიურად ვიაზრებდი... ახმეტელს ვუთხარი „ჩანჩურას" გასცენიურებაზე. მან „კვაჭი" ამჯობინა და ჯერ კიდევ 1927 წელს შევთანხმდით, კვაჭის დავარქმევდი „ივერიუმს" და პიესად ვაქცევდი. ახმეტელმა მითხრა: „სახალხო სანახაობანი, ბერიკაობა, ქიდაობები შეიტანე შიგაო. შევთანხმდით, მაგრამ ალბათ გაითვალისწინა, რომ ტოლსტოი დიდი მწერალი, ტოლსტოი სუსტი დრამატურგი გამოდგა და ჩემთან საუბრის შემდეგ იგივე დავალება შალვა დადიანსა და შიუკაშვილს მისცა! მე ვუსაყვედურე ახმეტელს: რომანის ავტორი მე ვარ, სხვებს რაღად მიმართე, ეგ რა „კვაჭიადა" მოგიფიქრებიათ-მეთქი... დასანანია, რომ ვერაფერი მოვასწარით... აქვე იმაზედაც იყო ლაპარაკი, რომ მიხეილმა მიმართა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტს, რუსთაველზე რომანს დავწერო. თამარ მეფისა და რუსთაველის ურთიერთობა იძლევა საბაბს ამ რომანის დაწერისა, — თქვა მან, მაგრამ არ დამიჭირეს მხარი. დედოფლის თაყვანისმცემლად დიდი პოეტის გამოყვანა ჩვენს ეპოქას არ შეეფერებაო. მეცნიერები უარყოფენ, შოთასა და თამარს შორის რომანტიული რაიმე ყოფილიყოსო. ჩემი მეგობარი კონსტანტინე ქიქინაძე მაინც მაქეზებს და მეც ვფიქრობ ეგ რომანი დავწერო...

მიხეილი იყო ლენინგრადის მწერალთა სახლში. იგი ალექსი ტოლსტოიმ თავის აგარაკზე მიიწვია და მეც მთხოვა. ვეწვიეთ დიდ მწერალს. საუბარი უმთავრესად რუსთაველზე და ქართულ კულტურაზე იყო. მასში პოლიტიკაც ჩაერია. რომ დავბრუნდით, მიხეილმა სანამ თავისი ახსული არ ნახა, ვერ მოისვენა. ნანობდა, რომ ისიც არ გვახლდა..."

იმ ხანებში ლენინგრადში საგასტროლოდ იმყოფებოდა ჩვენი შესანიშნავი მომღერალი ქალი ქეთო ჯაფარიძე. ის ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო, ჩვენები ახლოს იცნობდნენ მის დედ-მამას და ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ. მე გატაცებული ვიყავი ქეთოს სიმღერით. წინა ზაფხულს ოჯახებით ვისვენებდით ქვიშხეთში და მთელ დროს ერთად ვატარებდით. მისი რეპერტუარი ზეპირად ვიცოდით, მაშინ ეს სიმღერები ძალზე გავრცელებული და პოპულარული იყო. ლენინგრადში მისი გასტროლების დროს ქეთომ მე და მამას ბილეთები გამოგვიგზავნა კონცერტზე დასასწრებლად. ჩვენთან ერთად კონცერტს ესწრებოდნენ კიტა და ხოხო მეგრელიძეები. მამასაც მოსწონდა ქეთოს სიმღერა, მისი შესრულების მანერა და ტაქტი, ყოველი სიმღერის შემდეგ მომღერალს მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ, ჩვენ წინა რიგში ვისხედით, ქეთო დროდადრო შემოგვხედავდა ხოლმე და გაგვიღიმებდა. ყველას შესანიშნავი განწყობილება დაგვეუფლა. ქეთოს რეპერტუარიდან მომწონდა რომანსი **«Я старше Вас»** და მოუთმენლად ველოდი, როდის შეასრულებდა ამ სიმღერას. მან კი ყველა სიმღერა შეასრულა, ის კი არა. მაშინ მამას გადავულაპარაკე: მოდი, ვთხოვოთ ქეთოს იმღეროს ის რომანსი, ჩვენ რომ მოგვწონს, მამამ მაშინვე ტაში დაუკრა და ქეთოს შესძახა: **«Я старше Вас, я старше Вас»**. ქეთომ გაიგო ეს შეძახილი, გაეცინა და ტაში რომ დაცხრა, რომანსის შესრულება დაიწყო. საუცხოო საღამო იყო. საღამოს შემდეგ მე და მამამ ქეთო ვახშმად მივიპატიჟეთ რესტორან „ევროპეისკაიას" ზემო სართულზე ღია დარბაზში და ერთ მყუდრო მაგიდას მივუსხედით. გვიან ღამემდე გაგრძელდა ჩვენი საუბარი. მე და მამამ ქეთო მივაცილეთ, შემდეგ მამამ სახლში მიმიყვანა და თვითონ სასტუმროში დაბრუნდა.

მამამ მითხრა, რომ საზაფხულოდ ქვიშხეთში ან წყნეთში აპირებდნენ აგარაკის დაქირავებას და ჩემ ჩასვლას ელოდნენ, რომ დასასვენებლად ერთად წავსულიყავით.

კიდევ რამდენიმე დღე გაატარა მამამ ლენინგრადში და თბილისში დაბრუნდა. 22 ივნისს მან წერილი გამომიგზავნა: „ძვირფასო ქეთინო! ყველა გწერს, მეღა ვაკლივარ. მანდედანაც კარგად ვიმგზავრე. აქ მწერალთა კავშირში დიდი ამბები დამიხვდა. ადვილად გადავრჩი. მინდოდა საზაფხულოდ წყნეთში წავსულიყავი, მაგრამ ბოლოს ისევ ქვიშხეთი ვამჯობინე. ათიოდე დღეში წავალთ. იმედია, კარგად მუშაობ. გკოცნი 4000 კილომეტრის მანძილზე. შენი მოსიყვარულე მამა მიხეილი. 22/VI-37". ეს მისი უკანასკნელი წერილი იყო.

ბოლო წლების მანძილზე მამას ცხოვრებაში რამდენიმე ამბავი მოხდა, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლი. ამ ამბებმა იმოქმედა მწერლის ბედ-იღბალზე. ლიტერატურულ ფრონტზე მწვავე პაექრობებს ესეც ზედ დაერთო და პირთამდე სავსე სასწორის თასი გადასძლია.

მამას არ შეეძლო გაჩუმება და გვერდის ავლა იმ დროს, როცა საქმე მის ხალხს, მის სამშობლოს ეხებოდა. ის საქართველოს ბედ-იღბალზე ერთთავად დაფიქრებული იყო და ბევრ

რამეს გულში ატარებდა. ჩრდილში ყოფნა არ ახასიათებდა, ეროვნულ საქმეებს თავგამოდებით იცავდა, საკუთარ თავზე კი ნაკლებად ფიქრობდა. ამ წლებში რამდენიმე მტკივნეულმა საკითხმა მოიყარა თავი. მათ გადაწყვეტაში მამაც ჩაერია და თავისი სათქმელი თქვა, რამაც შემდგომ საბედისწერო შედეგი გამოიღო.

ახლა უკვე ზუსტად აღარ მახსოვს ყოველი წვრილმანი, მაგრამ ის კი დამამახსოვრდა, რომ საქმე ეხებოდა მეტეხის პლატოზე არსებულ ეკლესიას, რომელიც წმინდა შუშანიკის სახელთანაც იყო დაკავშირებული. 1987 წელს ვიღაცას აზრად მოუვიდა, დაენგრია არქიტექტურის ეს უძვირფასესი ნაგებობა. რატომ იქნა მიღებული ასეთი ბარბაროსული გადაწყვეტილება, არავინ უწყის. იმ ადგილზე ახალი სტილის შენობის აგებას თუ ფიქრობდნენ. ფაქტი ის არის, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა და ამის შესახებ წერილობითი განკარგულებაც კი გამოიტანეს. ყველაფერი ეს ისე გაკეთდა, რომ საზოგადოებას არაფერი ეცნობა.

ამ ცნობამ ძალზე აალელვა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია და მათ რიცხვში მამაც. ასეთმა დამოკიდებულებამ ისტორიული ძეგლებისა და ეროვნული საუნჯის მიმართ წონასწორობიდან გამოიყვანა და შეაშფოთა. გაიგო თუ არა ეკლესიის მიმართ გამოტანილი განაჩენის ამბავი, იმ დღიდან მოსვენება დაკარგა. ეშინოდა, რომ მსგავსი ხასიათის გადაწყვეტილებები შემდგომაც განმეორდებოდა და ამით ჩვენს სამშობლოს საგრძნობი ზარალი მოუვიდოდა.

მამამ გაიხსენა 1910 წელს მეტეხის ციხის პატიმარი რომ იყო და ამ ეკლესიაში მგალობელთა გუნდთან ერთად მღეროდა. მას მიაჩნდა, რომ უმეცრების ნიადაგზე იღუპებოდა ჩვენი ერის მატერიალური კულტურის შესანიშნავი ძეგლი და საჭირო იყო მისი გადარჩენა. ისიც კარგად იცოდა, რომ პიროვნება, ვინც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, მკაცრი და ულმობელი ადამიანი იყო და მის მიმართაც არ იყო სახიკეთოდ განწყობილი, რაც, ცხადია, საქმეს ართულებდა.

უნდა ითქვას, რომ მამას იმ დროის ბევრ პარტიულ და ხელმძღვანელ მუშაკთა კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, ამ ხელმძღვანელის მიმართ კი თვითონაც არ იყო კარგად განწყობილი, მის პიროვნებას პატივს არა სცემდა და მისი საქმიანობით კმაყოფილი არ იყო. ყველაფერ ამის გამო, ერიდებოდა მასთან შეხვედრას, მაგრამ ამისთანა დროს უმოქმედობაც არ შეიძლებოდა. ეს ხომ ქართველი ხალხის ღალატს ნიშნავდა.

ერთ დღეს მამა ამ საკითხის თაობაზე რამდენიმე კაცს მოელაპარაკა. ისინი შეიკრიბნენ და დიდხანს ითათბირეს. მამას მხარში ედგა მეტეხის მუზეუმის დირექტორი, პატრიოტი და დიდად განათლებული პიროვნება დიტო შევარდნაძე, რომელიც მამაზე არანაკლებ განიცდიდა ამ ამბავს. თანხმობა, ამ საქმისათვის ეშველათ, ნიკო მიწიშვილმაც მისცა და შალვა [illegible] იმავე აზრისა იყო. ამათ კიდევ რამდენიმე [illegible]ცი დაემატა. გადაწყდა, ყველანი ერთად, დელეგაციის სახით, იმ პირთან მისულიყვნენ, ვინც ეს განკარგულება გასცა და მისთვის საქმის ვითარება აეხსნათ. ეცადათ, როგორმე შეეცვლევინებინათ გადაწყვეტილება. კარგად ესმოდათ, რომ მათი მხრივ ეს თავგანწირვა იყო, მაგრამ სხვაგვარად არა გამოვიდოდა რა. უკან დასახევი გზა არა ჰქონდათ.

მოხდა ისე, რომ ბოლო წუთებში ზოგმა წასვლაზე უარი განაცხადა, დარჩნენ მამა, დიტო შევარდნაძე და კიდევ ერთი თუ ორი კაცი. მათ გადაწყვიტეს, რადაც უნდა დაჯდომოდათ, უკან აღარ დაეხიათ და ამ საქმისათვის ეპატრონათ. ყველას ცუდი განწყობილება და შინაგანი მღელვარება დაეუფლა, რადგან არ იცოდნენ საქმეს რა პირი უჩანდა.

მამა რომ შინ დაბრუნდა, გვიამბო: ოთახში რომ შესულან და იმ პირს მათთვის გადაუხედია, არ სიამოვნებია. მამას სიტყვებით რომ ვთქვათ: „დაგვინახა თუ არა, შავმა ალმურმა გადაჰკრა სახეზე. მან მკვახედ გვითხრა: ასე, დელეგაციის სახით, ერთად არ უნდა მოსულიყავით ჩემთან, ცალ-ცალკე რატომ არ მოხვედით?“ დელეგატებმა საფუძვლიანად დაუსაბუთეს მას, რომ ამ ეკლესიის დანგრევა ბოროტება იქნებოდა ქართველი ხალხის წინაშე, რომ იგი წარმოადგენდა ქართული არქიტექტურის იშვიათ ნიმუშს და მისი ხელის ხლება ყოვლად დაუშვებელი იყო. მახსოვს, მამამ თქვა: „მე მას ასე ვუთხარი: თუ თქვენ ამ ძეგლის მნიშვნელობა არ იცით, დანგრევის მაგიერად გირჩევდით, უცხოელებისათვის მიგეყიდათ იგი. ისინი დაშლიან მას, თითო ქვას გაუფრთხილდებიან, თავის ქვეყანაში წაიღებენ და ხელმეორედ ააგებენ. მათ იციან ამ ძეგლის ღირებულება“. ხელმძღვანელმა იგრძნო, რომ მას ცხადად დაუმტკიცეს უმეცრება და შეცდომა, რომელიც მან ჩაიდინა. მეტი გზა არა ქონდა, თავისი გადაწყვეტილება უნდა უარეყო. არაფერი შეიმჩნია და უთხრა მათ, რომ შეცვლიდა თავის განკარგულებას.

შინ დაბრუნებულ მამას სახეზე ფერი არ ედო. დუმილის შემდეგ გვითხრა: „ამ ამბავს ის არ გვაპატიებს. ეს ჩვენ იქვე ვიგრძენით და ცოცხალ-მკვდრები წამოვედით იქიდან“ და გაჩუმდა. იგრძნო, რომ გაიმარჯვა და საშვილიშვილო საქმე გააკეთა. შეუნარჩუნა საქართველოს ეს ეკლესია, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ თავი საფრთხეში ჩააგდო და ამას უკვე აღარაფერი ეშველებოდა. მართლაც, სულ მოკლე ხანში, ყველას, ვინც ამ საქმეს მეთაურობდა, სასტიკად გაუსწორდნენ.

ლენინგრადიდან 5 აგვისტოს ჩამოვედი. ხუთი დღე თბილისში გავატარე და 10 აგვისტოს მთელი ოჯახით, მამასთან ერთად, ქვიშხეთში წავე-

დით. ხანმოკლე იყო ჩვენი იქ ყოფნა. ოთხი დღის შემდეგ იძულებული გავხდით, უკანვე თბილისში დავბრუნებულიყავით. მარტონი ჩამოვედით. მამა უკვე ჩვენთან არ იყო. იმ საბედისწერო დღიდან, 14 აგვისტოდან, იგი აღარ მინახავს.

ბოლო საღამო ქვიშხეთში გატარებული, მეხსიერებაში ღრმად ჩამრჩა, სამუდამოდ დამამახსოვრდა. საღამო ჟამს მე და მამა სახლის წინ ბაღში ვისხედით. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი და მთვარე დღესავით ანათებდა არემარეს. თბილი და მშვიდი საღამო იყო. არც ერთს ლაპარაკის სურვილი არ გვქონდა და ორივენი ვდუმდით. კარგა ხანს ვისხედით ასე, ბოლოს ფიქრებიდან გამოვერკვიე, მამასკენ შევტრიალდი და ჩემდა უნებურად ზევით, ცას ავხედე. დავინახე, რომ ცას ერთი მოზრდილი ვარსკვლავი მოწყდა და ძირს დაეშვა. მე თვალი გავაყოლე ვარსკვლავს და რატომღაც არ მესიამოვნა მისი მოწყვეტა. ეს ამბავი სასიკეთოდ არ მენიშნა. სადღაც გაგონილი გამახსენდა: ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავის დანახვა კარგის მომასწავებელი არ უნდა იყოსო. შევტრიალდი და მამას შევხედე. ის ასევე მდუმარედ იჯდა და სივრცეს გაჰყურებდა, სადღაც შემოსწოლოდა. დავინახე, რომ იმანაც გააყოლა თვალი მოწყვეტილ ვარსკვლავს. არ ვიცი ამ დროს რა გაიფიქრა. ხანმა რომ გაიარა, ფრთხილად შევეკითხე: „მამა, რა ხდება ჩვენსირგვლივ, ამ ამბების შესახებ რას ფიქრობ?". მამა დიდხანს დუმდა, შემდეგ მიპასუხა: „ვერაფერს გეტყვი. მე თვითონ აღარაფერი გამეგება რა" და გაჩუმდა. მცირე ხნის შემდეგ დასაძინებლად გავემართეთ. ეს უკანასკნელი ღამე იყო, ჩვენ რომ ერთ ჭერქვეშ გვეძინა.

შემდეგ ბევრჯერ გავიხსენე ის წუთები, ბაღში ვარსკვლავის მოწყვეტას რომ მოვკარი თვალი. ეს სურათი დღესაც ცხადლივ დამიდგება თვალწინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოტია პაჭკორია

# პორტრეტები

## „ხმა სინათლეა, სინათლე — ხმა..."

(ალექსანდრე ციბულევსკი)

შურა ციბულევსკი და მე იმ დღეს უნივერსიტეტის საექსკურსიო ავტობუსს ჩამოვრჩით.

შემოვიარეთ გრემის შემოგარენი, ყველა ქვას ხელით შევეხეთ, ყველა ტალანში შევიჭვრიტეთ, ავედით კორტოხზე წამომდგარ ეკლესიასთან...

მერე, ძველი აბანოს ნანგრევებთან მეორე ბიჭს წავაწყდით, ანწლიანში ჩამჯდარიყო და მღეროდა. ცისფერთვალა ბიჭი იყო, სწორნაკვთიანი, ყელზე და ლაწვებზე ეგზემა მოდებოდა. ვერ ამახინჯებდა და ვერც ხალისს უკარგავდა. შურამ ფული აჩუქა. წამოენთო ბიჭი, მაგრამ ფული უხმოდ ჩამოართვა.

მერე, მოსაღამოვდა.

ნელა აცოცდა ბინდი გორაკის თხემზე და ტაძრის კედლებს შემოადგა. მიმწუხრში მუყაოსას დაემსგავსა გრემი — დამხობილი და იავარქმნილი, მაინც ამაყი და მშვენიერი, ერთადერთი ციხექალაქთა შორის და საერთოდაც, ერთადერთი ამქვეყნად.

გზაზე მუქუზანთან გამოვედით. თელავში ასვლა გვინდოდა; მანქანა არ წამოგვეწია და კიდეც შემოგვაღამდა.

მოგვშივდა.

— მოდი, პირველსავე სახლში შევიდეთ! — შემომთავაზა შურამ.

შევყოყმანდი, მაშინ გაეცინა:

— ეს ხომ კახეთია, ჩემო კარგო! — მოჭუტა თვალი, — ოღონდ დიდსა და ლამაზ სახლს ნუ შევარჩევთ. ისეთი ვიპოვოთ, სტუმარმასპინძლობის ადათი ჯერ კიდევ ცოცხლობდეს.

ვიპოვეთ ასეთი სახლი. ბროწეულების მიღმა დაბალი, თეთრი შენობა იდგა. არც მამლებით გაწყობილი ჩუქურთმა მიყვებოდა თუნუქის სახურავს, არც მოზაიკის ფართო კიბე ამშვენებდა; ფანჯრიდანაც მიმქრალი შუქი გამოკრთოდა.

მასპინძელი, მაღალი და გამხდარი კაცი, არ გაოცებულა, ერთი კი აგვათვალიერა (ეტყობა, საკმაოდ რიგიანად გამოვიყურებოდით) და მარანში შეგვიძღვა. „კლასიკურად" კახური სუფრა გაგვიშალა — მოხარშული დედალი, ნივრის წნილი, პრასი, ყველი და პური... მუქუზანური — სქელი და წითელი ღვინო.

იგი ქართულის მასწავლებელი აღმოჩნდა, ვაჟა ფშაველაზე შეყვარებული (ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ვაჟას გამოღმა მისთვის არავინ და არაფერი არსებობდა).

. . .

გვიან ღამით გზაზე გამოვედით.

შურა იცინოდა.

— გეგონა არ გვიმასპინძლებდა, გარეთ გამოგვყრიდა, — მერე უცებ დასერიოზულდა: — შენ არ იცნობ შენს ქვეყანას, არც თბილისს იცნობ.

(თბილისს შურა ციბულევსკივით ცოტა თუ იცნობდა, ქალაქის ძველ უბანში ადგილებიც კი ჰქონდა შერჩეული, საიდანაც უკეთ ჩანდა თაბორის მთა, მეტეხი, „მაიდანი" სეიდაბადი... იგი საოცარ სურათებს იღებდა: ფოლორცებს, ქვაფენილს, ძველ ნათურას, კედელდახავსებულ სახლს, ნანგრევს... ქმნიდა რომანტიკულსა და სევდიან

სიუჟეტებს, ლექსივით მწყობრს და ირაციონალურს).

. . .

მაინც ავედით თელავში.

მერე შურა თელავზე დაწერს:

„რა არის თელავი? თუ გააერთიანებ სხვადასხვა დროის სტუმრობის შთაბეჭდილებებს, ორი ქალაქი გამოვა. ერთი თელავი, „პირველქმნილი ალტაცებისა,“ „ცხოვრების თრთოლვა“ რომ არ ეკარება...

მეორე თელავი იმავ კრამიტის სახურავებს ქვეშ ცხოვრობს. ყველა კუტიკარი და ჭიშკარი მოედნიდან მოედნამდე გადაჭიმულ ქუჩაზე გამოდის. ამ ქუჩას გვერდს ვერ აუქცევ; ცაზე ღრუბლები ირევა. აქ, დაბლა სინათლის ფართო ლაქები და უძრავი სხეულებია განლაგებული. თეატრის კედელთან დგას ჯგუფი — მათ სახეზე სასოწარკვეთა აღბეჭდილა. მე ვიცი წამალი, დედაქალაქის ბენზინით მოწამლული ჰაერი, აი, ამ სასოწარკვეთის მალამო.

მზის სხივმა გადაინაცვლა, გადაინაცვლა ჯგუფმაც და ისევ გაირინდა.

ერთი გამოეყო, ერთ საათში დაბრუნდა — სკოლაში გაკვეთილი ჩაატარა. აქ ყველას თავისი ბედი და საქმე აქვს. მეც შევუერთდი ჯგუფს. მოწყენილი იდგნენ ჩემი მეგობრის ბავშვობის მეგობრები“.

(„ეს მოთხრობა შენ მოგიძღვენი, შენ და შენი ბავშვობის ამხანაგებს, თელავში რომ შევხვდნენ,“ — წამიწერს თავის წიგნ „არლნის მეპატრონეზე“ ციბულევსკი, — „მოდი გავიპაროთ, როგორც მაშინ, გრემთან, ავტობუსი რომ მივატოვეთ; ვესტუმროთ ჩვენს თელავს!“).

ადრე დილით, ერეკლეს სასახლის ეზოში, გადასახედიდან ალაზნის ველს გავცქეროდით. არსებობს სახეები და შედარებები, რომელთა ბანალობაც ხშირი ხმარების ბრალია, მაგრამ ერთადერთია და ვერ გაექცევი. ასე ერთადერთია ალავერდის ტაძრის მეტაფორა — თეთრი გედი, ალაზნის ველის ზურმუხტისფერ ჭავლში რომ მოცურავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციბულევსკი ყველაფერს მხატვარ-ფოტოგრაფის თვალით უცქერის, მისი პოეტური თვალთახედვაც ასეთია — იდუმალ შუქ-ჩრდილებს ხედავს. ახლაც, გაყურებს ალაზნის ველს და სიამოვნებით კრუტუნებს, რაღაცას თავისთვის წაიდუდუნებს... უსაშველოდ მშვიდია (იგი ყოველთვის მშვიდია და ირონიული... ირონია გადარჩენაა, რაღაცნაირი ირონიული ხილვები ახასიათებს, ამ საფარველით მოსავს შემოქმედებითი ენერგიის სიმწირეს, ინტელიგენტურ სკეპტიციზმს და, იმავე დროს, ბავშვურ აღფრთოვანებასა და გულწრფელობას).

ალექსანდრე ციბულევსკის არ აინტერესებს რვაასწლიანი ჭადრის ნახვა, მაინცდამაინც, არც ერეკლე მეფის მუზეუმი... მას სურომიშვებული კედლიდან ამოყრილი ქვები, ველზე მოლივლივე არილი, ძველი თეატრის მზიან მხარეს გარინდული „სასოწარკვეთა“ აინტერესებს.

. . .

ერთხელ, ციბულევსკი იტყვის — „ეჰ, მოვლენ დილეტანტები და შექმნიან ახალ ხელოვნებას“.

უცებ ვერც ვხვდები, რისი თქმა სურს ამით — იქნებ დაფარულ გულისტკივილს გაამხელს, გულისტკივილს იმის გამო, რომ ბევრი ნახა, ბევრი რამ იცის და ეს ცოდნა ხელსაც კი უშლის საკუთარი შემოქმედების ერთადერთობა, დამოუკიდებლობა დაიჯეროს (იქნებ ამიტომაც წერს — „მე ვნახე ტბა — ყირამალა რომ იდგა (მანდელშტამი), კიდევ — მრგვალი მდელო და უსიცოცხლო წყალი (ახმატოვა)...“ ზუსტი მისამართები, ციტატები პროზაში). შესაძლოა ტრადიციის უკუსაგდებად დილეტანტობა მართლაც საჭიროა... ცოდნა ბედნიერებაა, ოღონდ მას აზრის დატყვევებაც ძალუძს; სწადია შურა

ციბულევსკის ამ ტყვეობიდან თავის დახსნა, რომ თავიდან, პირველმხილველის თვალით იხილოს სხვებისგან ათასგზის ნანახი საგნები, ნივთები, დღეები (მაშინ აღარ მიაწერს სტრიქონს: მანდელშტამს, ახმატოვას...), მაგრამ რა უყოს წაკითხულს, გაგონილს, შეძენილს, რა უყოს იმ ფაქტს, რომ მისეული ყოველი თითქოს უკვე ნათქვამია, დაწერილია, განცდილია... ამის გამო თუ წამოცდება — „მოვლენ დილეტანტები და შექმნიან ახალ ხელოვნებას!“ — ოღონდ, ეს კანონი როდია, ან ფორმულა, უფრო განწყობილებაა — წუთიერი, ერთი დღის, თუნდაც ერთი ცხოვრების განწყობილება.

(„ეტყობა, ჯერ ველოსიპედი უნდა გამოიგონო, მერე, ვნახოთ!..“).

ციბულევსკის უყვარს პარადოქსებით ლაპარაკი, მაგრამ პარადოქსებით არ აზროვნებს, იგი მკაცრი, ჩამოქნილი ლოგიკის კაცია, იქნებ ესეც უშლის ხელს. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ აქვს უმცირესი წვრილმანების დანახვის უნარი, რატომ გამოარჩევს უფაქიზეს ფერებს, რატომ ესმის ნატიფი მელოდია...

ალექსანდრე ციბულევსკის ძარღვებში მდორედ მიედინება მოლლილი სისხლი — ძველთაძველი, ბიბლიური სისხლი... ამიტომაც თუ გრძნობს განსაკუთრებული სიმძაფრით სიძველეთა მშვენიერებას და უცნაურია, მისი გონება ახლისთვისაც ფართოდაა გახსნილი (იქნებ, მხოლოდ გონება).

მას არ მოსწონს ძველ ციხე-კოშკს მიშენებული საცხოვრებელი სახლი. ხელს უშლის პროპორციების აღქმაში. ეს სახლი მნიშვნელოვანია დღეს; ეს ციხე-კოშკი მნიშვნელოვანია ყოველთვის, — ასეთია ფორმულა, იგი ამ ფორმულაში გარკვეულ შინაარსს, შესაძლოა, რამდენადმე მეტაფიზიკურ შინაარსს ატევს... და უყვარს ციხე-კოშკების, მონასტრების, ტაძრების ცქერა.

. . .

„არსებობს თვალთმაქცი სიმაღლეები (მთები),“ მათ მხოლოდ მზე მიუჩენს ადგილს.

„მე მინახავს გორაკს მოფარებული ყაზბეგის მთა“.

. . .

„ხმა სინათლეა, სინათლე — ხმა; დაე, ეს ნუ იქნება თვით სინათლე. ხომ უეჭველია — ხმაში არსებობს სინათლის თვისება (საერთო თვისება — ტალღა, სინათლის ტალღა, ბგერის ტალღა). ხმის სინათლის წნევა უთხელეს ფირზე, აფრაზე... სინათლის წნევა წარმოქმნის მოძრაობას (მუშაობას, — წერს იგი), ამოძრავდება ტივი, კიდობანი, მატერიკი...“

ასეთია მისი აზროვნების მანერა, ოღონდ ეს საწყისი ბიძგია. მხოლოდ მისთვისაა გამხელილი, როგორ გაშიფროს ასეთი „ბუნდოვანება“ და ამის გამო შემდეგ, მომდევნო აბზაცებში ექსპრესიის მწვერვალებიდან ეშვება, სადად მეტყველებს, თამამად შეიჭრება ემპირიულის რკალში; მაგრამ ციბულევსკის წარმოსახვა სწორედ ამ „ბუნდოვანებით,“ პროზასთან შერწყმული ლირიკული ალსარებით და ანაზდი მსჯელობით ხასიათდება.

ძნელია მის პროზასა და პოეზიას შორის ფორმალური ზღვარის დადება, არც ერიდება მათ მეზობლობას, შეგნებით მიელტვის ჟანრების დიფუზიას. ურთიერთშერევა, შერწყმა — პრინციპია. ამის მიხედვით არის აგებული წიგნი „არლნის მეპატრონე“.

კიდევ... სიტყვაა მისი სასოება.

„პირველთაგან იყო სიტყვა, სიტყვითვე დამთავრდება ყოველი. როგორ გამოვხატო, რომ სიტყვის გარდა არაფერი დამრჩენია...“

. . .

„სინაზითა და სევდით მოგიძღვნი ამ წიგნს,“ — წააწერა „არლნის მეპატრონეს“.

. . .

ოქტომბრის შუა რიცხვებია და კახეთი მთელი მკერდით სუნთქავს. მიწა თითქოს თრთის და კახკახებს; სიმსუყით, გულუხვობით, ნაყოფიერებით

მთვრალი მიწა; წიაღიდან ამოაქვს ცხოველმყოფელი წვენი და ადამიანებს უწილადებს. ეს მისტერიაა, მადლიანი და აღგზნებული მიწის არნახული მისტერია და შურა ციბულევსკი მთელი არსებით ჩაერთო ფერხულში. ჩაერთო „სინაზითა და სევდით," რადგან იგი არ არის მიწის მუშა; იგი ესთეტიკოსია, პოეტი, სწავლული და მხატვარი-ფოტოგრაფი; ფიქრის კაცია და ღვინის მოყვარული კაცი. ზის ვიღაცის ვენახში, გოდრების ყორეთი გარშემორტყმულ სუფრასთან; ოფლიან, მკერდგაღეღილ მეზვრეთა შორის და ხელთ ღვინით სავსე თასი უპყრია. ეს თეატრონია, მაღალი სანახაობა, სიზმარი („მხატვრული ნაწარმოებივით მჯერა სიზმრების"). იგი არ ქეიფობს. გუმანით ხვდება, როგორ მოიქცეს, აღიქვას, მინებდეს ამ პურობის ათასწლოვან არტისტიზმს; შეითვისოს ამ ხალხის უბრალოება და სიბრძნე, დინჯი ხალისი და სიდარბაისლე.

—რა იცი შენ, რაა საქართველო!—სიცილით მეუბნება. სიცილი უფრო თვითირონიაა. გრძნობს ციბულევსკი, მასავით ღრმად და თავდავიწყებით როდი შევაღწიე ამ დღის სიღრმეს. იგი მართალია, საკუთარი წარსულისა და ცხოვრების წესის გამოისობით დავცილდი მიწას; მისი წიაღიდან განდევნილი, უძღები და უღირსი შვილი, და მაინც შვილი, როცა თვითონ თითქოს სტუმარია.

„სტუმარი," — სიტყვა აღიზიანებს და აშფოთებს. ამ სიტყვის უარსაყოფად მოიარა საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული; შურა ციბულევსკის არ სურს სტუმარი იყოს, თუმცა გულის სიღრმეში მაინც ღრღნის ეჭვი და ტკივა გული...

და როცა აღარ იქნება შურა, მის ცხედარს მიწას მივაბარებთ, მოვა ხალხი; საქმიანი, აფორიაქებული, მოფუსფუსე ხალხი... ჩვენ, ალექსანდრე ციბულევსკის ძველ მეგობრებს, ხელით გავწევენ. მაშინ მთელი სიცხადით ვიგრძნობ, რისთვის ტკიოდა უცხოობის განცდა... მაგრამ ეს გვიან მოხდა; იმ დღეს კი შურა ჩემი მასპინძელი იყო კახეთის ზვრებში, გრემთან, თელავში, ქართულის მასწავლებლის სახლში, ვაჟას ლექსით და ნივრის გალებით გაწყობილ მარანში.

. . .

„ჩვენ აღარა ვართ... და თბილისის
ჩუმ ფოლორცებში
მაინც შევხვდებით: მე და გია, შურა
და მე..."

ნატრობს ბელა ახმადულინა. მე კი რატომღაც, ისევ შურას მოულოდნელი, ზნეობრივად სათუთი და მიმტევებელი სტრიქონი მახსენდება.

„ჩამესმის სოლვეიგის სიმღერა
. . . . .კარმენის ღალატში".

. . .

„უჩინრად მოხდა ტროას ომი," — უწერია ციბულევსკის.

მისი ცხოვრებაც უჩინარი ომი იყო— ბედისწერასთან, მარტოობასთან, სნეულებასა და სიყვარულთან.

. . .

. . . და შევიდა იგი —
სადაც განსაცვიფრებელი დუმილია
და ნათელი წყვდიადი.

## ჰ ა რ მ ო ნ ი ა

(ჭაბუა და ბრუნო)

ფანჯრიდან მოპირდაპირე სახლის სახურავი მკრთალად ჩანდა, ზედ სქლად ეფინა ყავისფერი თოვლი. ოთახის ფანჯრებს ყინულის ჩუქურთმა მოსდებოდა და სინათლეს აკავებდა. ოთახში შეხუთული ჰაერი და წამლების მოტკბო სუნი იდგა.

აქ, ამ დახშულ ბინაში მიხეილ სვეტლოვის ნათელმხილველი და ირონიული სული ტრიალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ჭაბუა ამირეჯიბი ცხოვრობდა. იმ ზამთარს იგი ავად იყო, მძიმედ იყო ავად, ხმა წართმეოდა, ჩუმი შრიალივით ისმოდა მისი დაოკებული, ფრთხილი საუბარი.

მაშინ პირველად წამაკითხა თავისი რომანის რამდენიმე თავი — „ბუდარა და ბუდარიხა,“ ჯერ დაუმთავრებელი, რემინგტონზე გადაუბეჭდავი ეპილოგი, სხვა ფრაგმენტები... პირველად გავიგონე დათა თუთაშხიას სახელიც; პირველად მოვისმინე მისი სტილიზებული მეტყველების ლბილი მელოდია და ჩემს თვალთა წინაშე უცებ გამოიკვეთა ნათელი, პლასტიკური ხატი — ავტორის ფარული იდეალის უკუფენა.

...ჭაბუამ ხელნაწერის ფურცლები ნერვული მოძრაობით შეაქუჩა და ჩაილაპარაკა — ვინ იცის, რა გამოვა!

ეს არ იყო, მაინცდამაინც, სხვათა აზრის შეტყობის სურვილი ან პოზა, ეს იყო გულწრფელი ეჭვი.

მე არასოდეს მქონია ლიტერატურული წინასწარმეტყველების უნარი და არც ფუტუროლოგიით ვყოფილვარ გატაცებული, მაგრამ რაც წავიკითხე, მნიშვნელოვანი გახლდათ, თუმცა ერთს კი ვხვდებოდი — ამ მრავალნაკად, ჭირნახახ კაცს არ ჭირდებოდა ჩვეულებრივი, უსაგნო გამხნევება, არ ჭირდებოდა სიტყვები... მას წინ ბურუსი გაწოლილიყო. არ იცოდა, დღეგრძელი იქნებოდა თუ ტკივილთან, სენთან ბრძოლაში გაივლიდა ცხოვრების დასასრულს, მით უმეტეს, არაფერი იცოდა თავისი წიგნის ხვედრის გამო.

ახლა ყველაფერი იოლი ჩანს, დღეს ყველამ იცის — მას განკურნების სიხარულიც არგუნა ბედმა და სახელიც... ეს ახლა... მაშინ კი, ყინულით მოზარნიშებული სარკმლიდან გაცრეცილი სხივი გამოკრთოდა: მრავალმეტყველ კაცს ხმის ამოღება უძძიმდა; ეჭვი, უნდობლობა, უიმედობა ღრღნიდა. და მაინც, ჯიუტი რწმენა იყო იმ დღეებში მისი საყრდენი და წლებით, ცხოვრებით, ბედუკუღმართობით გამოწრთობილი შინაგანი სიმტკიცე, შესაძლოა ისიც, ერთი კაცის თავზე რომ არ უნდა მოიქცეს ყოველი მო[illegible]ლი... იქნებ თაობიდან თაობაზე გადმოცემული, ძველთაგანვე სისხლში გამჯდარი ავანტურიზმიც, ის ავანტურიზმი, ყოველთვის რომ ახლავს მხედართმთავრის, მოგზაურისა და მწერლის ცხოვრებას.

მე იმ პირველი წაკითხვიდან უფრო თვალხილული სურათები შემომრჩა:

„ხე მეხივით გაიღებს ტკაცანს, თითქოს ხერხემალში გადატყდაო. ზეზეა ჯერ კიდევ, ერთს შეტრიალდება ადგილზე და მერე გადაქანდება დასაწოლად. მიდის და ლეწავს ყველაფერს, რაც დახვდება გზაზე. ფოთოლი ქშინავს, ტოტებს ლიწინ-ლიწინი გააქვს — იმტვრევა ტოტები და იმიტომ. ისეთი ხმა გამოდის, ამირანი რომ კვდებოდეს და სიკვდილის წინ ამოიოხროს. დაასკდება მიწას — შეიძრევა ნიადაგი, დაიზანზარებს ყველაფერი. თვითონ ხე ბუყუნს გამოიღებს — კაი მაგარ ვაჟკაცს მუშტი რომ შემოუკრავს მკერდში, იმისთანა ბუყუნს, ოღონდ ათასჯერ უფრო დიდს, და მიჩუმდება ყველაფერი — დავყრუვდი, იფიქრებ. გდია ხე საცოდავად, იმწამსვე ჩაკიდებს თავს ფოთლები. სიჩუმეა ისეთი, წყვდიადში გეგონება თავი. დიდი სიჩუმეა ძალიან!

ამის ყურება უყვარდა დათას...“ რადგან თვითონ იყო დათა წასაქცევად შეტრიალებული ხე.

. . .

მერე მოვიდნენ მაღალი, ლამაზი ქალი და ბრუნო. ბრუნო, „ჩემპიონივით რომ თამაშობდა ჩოგბურთს,“ — წერს სეგრე თავის წიგნში ენრიკო ფერმიზე.

არის ბრუნოს საუბარსა და ქცევაში რაღაც სპონტანური, მოულოდნელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მწერლური... ბრუნო ემოციური კაცია, ირონიული, შინაგანი ღირსებითა და სერიოზულობით აღსავსე, რაც ამ მოძ-

რაც, სხარტ იტალიელს რაღაცნაირ სიდარბაისლეს, სიმშვიდესა და სიდიადეს ანიჭებს.

ჩვენ დაბალ ტაბლასთან ვსხედვართ, ბრუნო კონიაკით მიმასპინძლდება. იქვე, ოთახის კუთხეში სევდიან ქიმერასავით ჩამომჯდარა ჭაბუა.

ბრუნო ჩემთვის ლეგენდიდან მოსული კაცია. მე მახსოვს სახელები: ფერმი, ამალდი, რაზეტი, სეგრე და ბრუნო პონტეკორვო. იტალიელ ატომისტთა სახელგანთქმული ჯგუფი. მე ფიზიკის არაფერი მესმის, მაგრამ ერთი კი ვიცი. ჩემთვის მიმზიდველია სამყაროს საიდუმლოებათა წვდომის დაუოკებელი ჟინი, თანამედროვე ფიზიკის სათავესთან მდგომთა უცნაური რომანტიზმი. მიმზიდველია, რომ მათი აზროვნების სტილი არ უარყოფს ინტუიციას, გუმანს, ხილვებს... როგორც აინშტაინი წერდა — „მეცნიერულ აზროვნებაში ყოველთვის არსებობს პოეზიის ელემენტი. ჭეშმარიტ მეცნიერებას და ჭეშმარიტ მუსიკას ერთგვაროვანი აზროვნების პროცესი ახასიათებს".

ფიზიკოსთა ამ თაობისათვის ზნეობრივი კულტურისაკენ, სულიერი განწმენდისა და აბსოლუტისაკენ სწრაფვა ისევე ორგანული იყო, როგორც მწერალთა და მოძღვართათვის.

„არსებობს მეცნიერების ტაძრის ქურუმთა ერთი კატეგორია. ეს განსაკუთრებული ხალხი, რომელიც იმის გამო მოდის მეცნიერებაში (როგორც ხელოვნებაში), რომ ყოველდღიურობას გაურბის. მათ თრგუნავს უხეშობა და უიმედობა ყოველდღიური ყოფისა: იზიდავს პირადი არსებობის ბურუსიდან ობიექტურის ჭვრეტა და შეცნობა".

ისინი თავიანთი ძიების ტრაგიკულ არსსაც დიდი სიმძაფრით განიცდიდნენ: ეს მათ აღმოაჩინეს „სულიერი შეცნობა," როგორც მაღალი ჰარმონიის წვდომის გზა: მათი ტერმინია — „ვნებიანი, ვნებამოკული სევდა." რაც უზარმაზარი სულიერი ენერგიის სტილურ თვისებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეცნობის მელანქოლიას გამოხატავს: მათ თქვეს პი[illegible] „ეთიკის რღვევის" თაობაზე [illegible] ტრადიციის დაკარგვასა და თვით ცივილიზაციის ფარგლებში წონასწორობის რღვევას დაუკავშირეს: შეუთანხმეს ერთმანეთს აზრის „ჰარმონია" და „მელოდია," რაც ცხადყოფს იმ გრძნობებსა და იდეებს, მეცნიერებასა და ხელოვნებას რომ აახლოვებს, სულიერი ცხოვრების ერთ სფეროში ათავსებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...შესმული კონიაკია ჩემი ფიქრების მეხრე.

მე ვხედავ ბრუნოს თბილსა და კოტა არ იყოს, დამცინავ ღიმილს, და მაინც, პონტეკორვო ჩემთვის ლეგენდიდან მოსული კაცია, ისევე, როგორც ჭაბუაა ჩემთვის ლეგენდიდან მოსული კაცი (ალბათ, ამიტომ არასოდეს მაინტერესებდა მისი ყოველდღიური ცხოვრება, ყოფა, კონკრეტული საქციელი. არ მქონდა მუდმივი პირადი ურთიერთობის მოთხოვნილება: ჩემთვის იგი ყოფისეულ წვრილმანთა მიღმა დგას და სწორედ ეს მშველის ხელშეუხებლად შევინარჩუნო მისდამი პირველქმნილი სიყვარული).

...—ცხოვრობდა ერთი თავადი პონტეკორვო, — ვეუბნები ბრუნოს, — მარშალი ბერნადოტი, მერე შვედების მეფე.

—მე არა ვარ თავადთა ნაშიერი, მოხელის ოჯახში დავიბადე, — იცინის ბრუნო. — ეს ჭაბუაა თავადიშვილი.

ოთახი მრავალხმიან ჰიმნს დაემსგავსა: დათა თუთაშხია: ბრუნო პონტეკორვო: ჭაბუას მეუღლე, სათნოებით აღსავსე პოეტი ქალი თამარ ჯავახიშვილი: ის მაღალი და ლამაზი ქალბატონი, როდამ ამირეჯიბი, რომლის შეხედვისას მხოლოდ ერთი სიტყვა მახსენდება, ისევ ის სიტყვა, დღეს რომ

არაერთგზის ახმიანდა — „მაღალი ჰარმონია“.

თუ ჭეშმარიტებაა, რომ „მატერია, რომლისგანაც ჩვენ შევდგებით და ყოველი საგანი ჩვენს ირგვლივ არ არის მყარი და ურღვევი, რომ იგი, პირიქით, მერყევია და ფეთქებადი,“ მაშინ მყარი და ურღვევია მშვენიერება და მე იმ დღეს ისე მკვეთრად ვგრძნობდი მშვენიერების სიმყარესა და მარადიულობას, როგორც თითქმის არასოდეს.

რაც შეეხება მუდმივ ღირებულებას... ყოველთვის მაბნევდა გამოთქმა: „ახალი პროზა“. ჩემთვის, უბირი კაცისთვის, უფრო გასაგები იყო გამოთქმა— „ახალი ქვანტური მექანიკა,“ ვიდრე „ახალი პროზა,“ იქნებ იმის გამო იყო გასაგები, რომ ახალი მექანიკა კონკრეტულად და გასაგებად უპირისპირდებოდა კლასიკურს; კიდევ, თურმე „კლასიკური მექანიკის პრეტენზია მოვლენათა დეტერმინირებული ახსნისა გაუმართლებელია (ატომის დონეზე), რადგან იგი დაფუძნებულია იმ აბსურდულ ვარაუდზე, რომ აბსოლუტურად ზუსტ მონაცემებს თითქოსდა ფიზიკური არსი (არსება) ჰქონდეს“ (მაქს ბორნი).

არ ვიცი, აქვთ თუ არა აბსოლუტურად ზუსტ მონაცემებს ფიზიკური „არსება,“ მაგრამ დარწმუნებული ვარ, „აბსოლუტურად ზუსტ მონაცემებს“ არა აქვს ლიტერატურული არსი და შეაძლოა იმას, რასაც ჩვენ „ახალ პროზას“ ვუწოდებთ. სწორედ ამგვარი „ზუსტი მონაცემებისკენ“ მისწრაფება განასხვავებს „ძველისგან“ (სხვათა შორის, მხატვრულობის შესუსტების ხარჯზე).

„დათა თუთაშხია“ არ უპირისპირდება „ძველს“ — მას ძველი ღირსება და ძველი ნაკლი ახასიათებს. ვგონებ, ამით მის „სიახლეს“ დიდი არაფერი დააკლდება.

...თამბაქოს კვამლი ჰაერში უცნაურ მაქმანს ქსოვს, ნელა ირწევა ოთახი, თუმცა არა, ეს მე ვირწევი, თანდათან ვიძირები ქარვისფერ ნისლში.

— ქართველებს გყავდათ [illegible] რისო მნიშვნელობის [illegible] სპერიმენტატორი ჩიქოვანი — გვეუბნება ბრუნო, — გახდებოდა თუ არა დოქტორი, ჩვენ მას მაშინვე ავირჩევდით საკავშირო აკადემიაში. სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა.

მე ვიცნობდი ჩიქოვანს, ერთი ასაკისანი ვიყავით. თურმე ბრძენი ხელები ჰქონდა, როგორც რილკე წერს — „ხელების მთელ ტომს ფლობდა“.

ცხოვრობდა ძნელი, მოუწყობელი ცხოვრებით, ღამეებს ტეხდა, გულს ებრძოდა...

. . .

მერე ვეთხოვები მასპინძლებს. გარეთ ჭუჭყიანი თოვლი და გათოშილი, ქარიანი საღამო მელოდება.

მივაბიჯებ დიდი ქალაქის ორომტრიალში ჩაკარგული ქვიშის ნამცეცი და მაწვალებს ფიქრი. ხომ სცადა ბახტინმა აინშტაინის ფარდობითობის თეორიის ლიტერატურაში გადმონერგვა და ქრონოტოპი — დროსივრცე დაარქვა. დროისა და სივრცის, ენერგიის, მასისა და სიჩქარის ერთიანობა, უფრო სწორად, „ერთიდაიგივე რეალობის განსხვავებული გამოვლინება“. მეცნიერებისა და ხელოვნების სინთეზი, დარღვეული პროპორციების აღდგენის სურვილი. მართალია, მან ქრონოტიპს მხოლოდ მეტაფორა უწოდა, მერე რა, იყოს მეტაფორა. ეს არ არის ლიტერატურისმცოდნეობა ყველასთვის. საქმე ისაა, რომ ეს **ცივილიზაციის ფარგლებში წონასწორობის დამყარების გმირული ცდაა**. და მეჩვენება — იქ, მაღლა, ყინულის ჩარჩოში ჩასმულ ბინაში მდუმარედ სხედან ჰაბუა ამირეჯიბი და ბრუნო პონტეკორვო და ჩუმად, თავისთვის სწორედ ამ წონასწორობაზე, ამ ჰარმონიის გამო ფიქრობენ.

# რამაზ პატარიძე

რა ჭარბობს რამაზის ხასიათში?

ძალა თუ სისუსტე, ნერვული დაძაბულობა თუ ასთენიკური სიმწირე... უმთავრესი მაინც ინტელიგენტიზმია, ძვალრბილში გამჯდარი, სისხლხორცეული... თავისი სიკეთითა და ნაკლით.

სათნო განწყობილება მოყვასისადმი. უნდობლობა და გაღიზიანება მათდამი, ვისთანაც ოფიციალურ ურთიერთობას ვერ გაექცევი.

იგი დაიბადა პოეტის ოჯახში.

ადრე დაკარგა დედა.

საოცრად ლამაზი, მეოცნებე ყმაწვილი იზრდებოდა მარტო, ეს მარტოობა არ იყო მხოლოდ ვითარება; მარტოობა მის სულში, მის არსებაში ჩაბუდდა... და მიაბიჯებდა იგი თავისი ოცნებების იდუმალ ველებზე; ჩუმი და ამაყი, ფაქიზი და ყოველთვის დაძაბული, იქნებ დაბნეულიც.

მას უყვარდა მამა — პატივს სცემდა, რადგან მასში თავისი ზნეობისა და ინტელექტის დასაბამს ხედავდა. მაგრამ, არ ვიცი რატომ, ვფიქრობ — არასოდეს არ გრძნობდა მასთან განსაკუთრებულ სიახლოვეს.

მისი ტკივილისა და სულიერი აღზევების წყარო უფრო დედა იყო, ბინდმიფენილი ხსოვნა დედისა, ტრაგიკული შეგრძნებები დაკავშირებულნი დედის წარმოდგენასთან.

როცა ყმაწვილის პროფესიული მომავალი, საქმიანობა რატომღაც (თუნდაც ოჯახური ტრადიციის გამო) წინასწარგანსაზღვრულია, წინასწარვე დგინდება მისი ცხოვრებისა და აზროვნების სტილი... რომელიც შემდეგ ხშირად პიროვნების უძლური ამბოხებით მთავრდება.

რამაზში თავიდანვე დადგინდა აქტიური დამოკიდებულება ეროვნული და პირადი ადამიანური მისიისადმი, და შიშიც, შიში ამ მისიის ვერგანხორციელების წინაშე...

იგი ებრძოდა ამ შიშს და მიაგნო თავისმართლების მირაჟს — „ბედნიერია იგი, ვისაც თვალებში ზარხოშის სხივი უკიაფებს..."

ეს იყო თვლემა, რომელიც არარეალურს ხდიდა მოსალოდნელ დამარცხებას, ყოფა არ ეწინააღმდეგებოდა სულიერ ტრადიციას — რადგან ეს იყო ხელმოცარული ბოჰემის ბორგვა... და ნარინჯისფერი დღეების მომწარო კვამლში, სადაც ნელ-ნელა იშლებოდა მშვენიერი, საოცრად პროპორციული ფიზიკური ხატი. ყოველგვარი ლოგიკის უარსაყოფად — იწრთობოდა და იხვეწებოდა სული.

სწორედ ამ დროს, ამ უმწეობისა და ჯიუტი რღვევის ხანაში ამოტივტივდნენ ძველი ფოლიანტებიდან თავისებური გრაფემები — არფისებური ჭვირნიშნები და მან ათრთოლებული ხელით მოხაზა. ვინ იცის რამდენგზის, ყველა ჭვირნიშანი, დაალაგა ისინი, გადააქცია მეცნიერებად...

თვალი მიეჩვია გრაფიკული კონტურების უმცირეს ნიუანსთა გარჩევას. თვალმა დაისწავლა ხაზთა შორეული მსგავსების შემჩნევა, და უცებ გაქრა შიში... რადგან გაჩნდა იმედი, რომ ამ უნარის სწორედ შენი ცხოვრების მიზანთან, შენს უკვდავებასთან დაკავშირება შეიძლება, რომ აქ იწყება ის იდუმალი, პარადოქსული სამყარო, სადაც შენი გადარჩენის საიდუმლოც დაფლეს, რომ არსებობენ ნიშან-სიმბოლოები, რომლებიც უზენაეს სიბრძნეს შეიცავენ...

იგი ჩვენს შორის თითქმის ყველაზე ჰარმონიულია, დამთმენი, ჯიუტიც... შეუძლია უკებ გადაიქცეს ქინიან ბავშვად, უკებ უკმიოს გუნდრუკი სულელს... იგი ასკეტთა მოდგმისაა, ოლონდ იმათი, ვინც ვერ გაექცა ცოდვას, ვერ უარყო ვერც ამქვეყნიური ვნებები.

მას კარგად აქვს შეთვისებული თა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი სტილი, მაგრამ ზოგჯერ მოეშვება, მიეცემა იმ ზარმაც უძლურებას, რომელიც სადღაც, მისი ბუნების სიღრმეში მაინც ფეთქავს, და მაშინ თავს იჩენს ერთი უცნაური რამ — უკვე სრულიად გამარჯვებული კაცის ისტერიზმი...

რამაზი გროტესკის სიყვარულით ჰგავს, — შეუძლია დიდი სანაძლეო დასდოს და მოიგოს კიდეც, ამოხსნას შარადა, რებუსი, აკროსტიხი. მას აქვს უნარი საოცარი ასოციაციების დამყარებისა... და კიდევ, მთელი არსებით ებღაუჭება თავის ხასიათში დამთენილ პოეტურ იმპულსებს, თუნდაც იმის გამო, რომ შეინარჩუნოს ღვთისგან ნაბოძები ნიჭი: ანბანთა განლაგების კანონზომიერებაში, ან პირიქით, კანონზომიერების დარღვევაში, გრაფემის ფორმაში დაინახოს ერის ხასიათი, ერის ესთეტიკური იდეალი, ენერგიის გამოხატულება...

სწორია თუ არა რამაზი?

საქმე ისაა, რომ ეს მეორეხარისხოვანი საკითხია და მან ეს იცის... იცის ისიც, რომ სწორია პრობლემისა და იმ უზენაესი ფენომენის, საიდანაც პრობლემა მოდის, — ერის წინაშე...

შესაძლოა, იგი ცდება სადმე მეათე და მეთექვსმეტე გრაფემებს შორის, იქნებ, ლოგიკური კონსტრუქციების მოჩვენებითი სისწორე იმდენად ორი... განიზებული ჩანს, რომ იგი ფანტასტიკის განუმარტავ, დაუსაბუთებელ, მაგრამ მაინც გამართლებულ სფეროებში შეჰყავს.

მერე რა?!

რამაზ პატარიძეს არ ძალუძს წინ აღუდგეს იმ საოცრებას, იმ განსაცვიფრებელი ელემენტების ერთიანობას, რომელსაც თავისთვის მიაგნო და რაც მის ჩუმ, ღრმად ჩაბუდებულ ფანატიზმსა და იმედს ასაზრდოებს.

იგი გრაფიკული ოცნებებისა და კოსმოგონიური წარმოდგენების ქვეყანაშია დასახლებული, სრულ თავისუფლებას მიელტვის და გულუბრყვილოდ სჯერა, რომ ამის მიღწევა პრაქტიკულად შესაძლებელია. სურს თავის დახსნა იმ ხუნდებისაგან, თვითვე რომ მოარგო საკუთარ მაჯებს...

და აჰა, იგი — გამჭვირვალე, დახვეწილი სილუეტი გზად მიმავალი მწირისა, რომელსაც ზურგზე ვეება ზნეობრივი ტვირთი წამოუკიდია.

## თამაზ ჩხენკელი

თამაზ ჩხენკელი ოდითგანვე ებრძვის საკუთარ თავში ორგიასტულს. იგი ფიზიკური წყობით, ფსიქიკით არ არის სუფთა „სულიერი" კაცი, ჰედონისტური მასში მძლავრია და თამაზი თრგუნავს მას, ამ დათრგუნვაშივე პოვებს ძალას სულიერ ღირებულებათა შესაქმნელად.

მე დიდ პატივს ვცემ ამ ბრძოლას, რადგან ეს სულის წვრთნაა... რა თქმა უნდა, მის პიროვნებას ღრმა, პირველყოფილ საწყისთა ნალექიც ატყვია, მაგრამ თუკი ვინმეზე ითქმის — საკუთარი თავის გაწვრთნა შესძლოო, საკუთარ ვნებათა მოთოკვა ხელეწიფებისო — ისევ და ისევ მის გამო (იმ ზომამდეც კი, რომ ზედმეტი გულგრილობაც ახასიათებს ზოგიერთი გარეგნული ფაქტორისადმი). იგი მშვენიერი კაცია, მშვენიერია, რადგან კენტავრია და გონების ძალით კენტავრულისგან განთავისუფლებას აღწევს.

იგი ადამიანებთან პრაქტიკულ ურთიერთობებს არ ამყარებს (პირიქით, საკმაოდ ძნელშესაგუებია ამ მხრივ), მაგრამ მე მომწონს მისი ეს თვისება, ამას დისტანციის გრძნობა ახლავს. მას აქვს უნარი ადამიანებზე ზემოქმედებისა და უფრთხილდება ამ უნარს... დიდი სიახლოვისას მისი ეს უნარი თითქოს

სუსტდება და ამასაც გრძნობს. უაღრესად პატივმოყვარეა, ოღონდ ერიდება ამის გამჟღავნებას. ლაპარაკობს არა „თავისი“, არამედ „ჩვენი“ სახელით.

მან მოახერხა თავი დაეღწია „ლამაზი კაცის“ მელოდრამისთვის, რაც ბოლოს და ბოლოს ემოციური და გონებრივი სიჩლუნგისაგან თავის დახსნაა, და ეს ჩინებულია, რაც შეეხება სილამაზეს, მე იშვიათად მინახავს იმაზე უფრო მიმზიდველი გარეგნობა, ვიდრე მას ჰქონდა ჩვენი სიჭაბუკისას —კოლხი ადონისის თავი, დადგმული ჯერ კიდევ სუსტი, ზრდადაუსრულებელი ყმაწვილის ტორსზე.

უცნაურია და რთული გზა — მამაკაცური სრულყოფის საკუთარ არსებაში ძიების გზა, საამისოდ მას გარკვეული წანამძღვარი გააჩნდა, რაღაცის უარყოფის, რაღაცის დათრგუნვის გარდუვალი აუცილებლობა (თუნდაც ნარცისიზმისა).

ჩვენ უკვე მოწიფულ ასაკს მივაღწიეთ და თანდათანობით ვუბრუნდებით ჩვენივ სიჭაბუკის მოდელს, მოდელს — იდეალს (რა თქმა უნდა, ჩვენივე შესაძლებლობის ფარგლებში), რომელსაც წელთა მანძილზე დავცილდით და დიდი გზა-სავალი გავლიეთ საიმისოდ, რომ შემობრუნების მიჯნისთვის მიგვეღწია. ჩვენ ნელ-ნელა კვლავ მოვიპოვეთ ჩვენივ სიყმაწვილის შინაგანი არსი და სათნო სრულქმნილება...

თამაზი სხვაზე ნაკლებად დაშცილდა სიჭაბუკის სახესა და ხატს. იქნებ ამიტომაცაა ნაკლებ დაქანცული...

იგი ყოველთვის აღწევდა შინაგანი დისციპლინით მოპოვებულ წარმატებას, მაგრამ არასოდეს ყოფილა ასკეტი. პოეტური ზრახვებით არის აღსავსე და არ არის „ელეგანტური“. იგი მიმზიდველი გარეგნობის კაცია, მაგრამ არ გახლავთ სალონის ლომი. იგი მხნეა, ხმაურიანი, მოხიბლული თავისი ჯიშით. მისი ეგოცენტრიზმი ბუნებრივია. ეგზალტაცია — თვისება, ალტრუიზმი — თეორიული დასკვნა...

იგი თითქოს უარყოფდა თავის პოეტურ მრწამსს, მალავდა თავის პოეტურ ქვეყანას, თუმცა ამ ქვეყნის ჩუმი ქურუმი იყო ყოველთვის, მაგრამ [illegible] არ დადგა ჟამი აღსარებისა. მას რატომღაც ეშინოდა ამ ჟამის — საკუთარი პოეზიის საყოველთაოდ გამჟღავნების — რადგან ეგონა, ამით შეუვალობას, ხელშეუხებლობას, რაღაცნაირ მისტერიულ იდუმალებას დაკარგავდა... მანამდე კი, მიჰყო ხელი დაგროვებას, აზრობრივი კომბინაციების შექმნას. აქაც წარმატებას მიაღწია და მეტსაც მიაღწევს, რადგან სინთეტური აზროვნების სიმაღლეს შეწვდა. მას რატომღაც აღიზიანებს სიტყვა — მეცნიერი (არცთუ უსაფუძვლოდ), მაგრამ იგი მეცნიერია, მეცნიერის ის კეთილი მაგალითი, როცა ესთეტიკურის, თუნდაც პოეტურის საჩინო ნაშთი ძალუმად ფეთქავს ფრაზასა და ნააზრევში... ვფიქრობ, იგი აღემატება მათ, ფსევდოგანსწავლულობის მანტიას რომ იბურავენ, აღემატება „ინტელექტუალური ინტუიციით,“ ხილვით...

მას ქართული სიტყვისადმი უაღრესად რთული, თუ შეიძლება ასე ითქვას, კონცეფციუალური დამოკიდებულება ახასიათებს, თუნდაც იმის გამო, რომ სიტყვა მისთვის გაცილებით მეტია, ვიდრე ურთიერთობათა საშუალება, მეტიც, ვიდრე პოეტური მეტყველების იარაღი, მისთვის სიტყვა არის იდეა, ფეტიში, ღვთაება... იგი თავგამოდებით იბრძვის ამ სიტყვის თავისთავადობის და შეურყვნელობისთვის, რადგან მას ერთადერთი სიმდიდრე გააჩნია — სიტყვა, ქართულად თქმული...

თამაზ ჩხენკელი თავისი იდეებისა და ესთეტიკური მრწამსის პროპაგანდისტია. აქ ხელს უწყობს ის მომხიბვლელობა, მის პიროვნებასა და საუბარს რომ ახლავს.

---

ოტია პაჭკორია
პორტრეტები

თამაზ ჩხენკელი შორი გზების კაცია.

იგი იმ მცირეთაგანია, ვინც იცის: ერთადერთი ხსნა არსებობს პიროვნებისთვის, ცნობადისკენ რომ გაიწოდა თამამი მარჯვენა — წარმატებული აზრი, პატიოსანი და ამაღლებული ზნეობრივი ალაგი ამქვეყნად.

. . .

„ამ კაცს თავი ცალკე აქვს და გული ცალკე," — უთქვამს ერთ [illegible] მის გამო. თუ ეს სიმართლე[illegible] კაცის პიროვნული „სურათი" ამგვარ გათიშვასთან ბრძოლით არის აღბეჭდილი.

## ᲒᲘᲕᲘ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ

ᲛᲘᲡᲘ სიმშვიდე, სიდარბაისლე, ნატიფ მახვილგონიერებას მოფარებული სიკეთე და კეთილგანწყობა საოცრად მოქმედებს ახლობლებსა და მეგობრებზე, ამის გამო თუა გივი ძნელაძე ყველგან და ყოველთვის სასურველი სტუმარი. მას ადამიანებთან თავისი მოყვასი, სუფთა ზრახვებით აღსავსე სული მიაქვს და ადამიანებიც გულგახსნილი ეგებებიან.

გარეგნულად ინერტული, ზანტიც კი, მჭვრეტელობასა და ფიქრს მიცემული, იგი აუჩქარებლად, დინჯად მიაბიჯებს ცხოვრების გზებზე და ჯერ არ დამშვრალა „მგზავრი მარადი..." მას ერიდება გამომჟღავნოს სულის თვისება, დაკვირვებული თვალისთვის კი ნათელია — როგორ უთრთის ნერვი, აჩქარებით უფეთქავს გული... იგი მოუსვენარია, ნერვიული, ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვით აღწევს გარეგნულ სიმშვიდეს და ამის გამო ხშირად იქანცება, ხდება გულგრილი, განდეგილი, ზარმაცი... თუმცა ყოველთვის მზად არის პირველი დაძახებისთანავე ახლობელს მხარში ამოუდგეს. იგი გაღებული სიკეთისა და სითბოს სანაცვლოდ არაფერს ითხოვს.

მისი პოეტური მრწამსიც ცალმხრივ სიყვარულს გავს, არაფერს ითხოვს სანაცვლოდ, არ გაუხდია პოეზია მოხვეჭის წყაროდ. იმიტომ კი არა, რომ ადამიანური ვნებები მისთვის უცხოა. უფრო იმის გამო, რომ საკუთარი პოეტური ქვეყნის ხელყოფისაგან დაცვას ცდილობს.

სად არის პოეტის თავმდაბლობის სათავე? პიროვნების ხასიათში, მწერლის ეთიკურ პოზიციასა და მრწამსში, თუ, გარდა ამისა, ერთგვარი თავშესაფარიცაა, თეჯირი, რომლის მიღმა გულდაგულ მალავს ტკივილსა და სიფაქიზეს, იქნებ შეკრთომასაც, შეკრთომას იმათ წინაშე, ვინც პოეზიის შემფასებლის სახელით თამამად და უხეშად შეიჭრება ხოლმე „პიროვნულში". ყოველთვის მაოცებდა, მაღიზიანებდა, კიდეც, მისი დამოკიდებულება მეგობარ-პოეტებისადმი. იგი თითქოს მნიშვნელოვანსა და უაღრესად თავისეულს უთმობს მათ. თანახმაა სხვისი სახელისა და ეფემერული დიდების ჩრდილს შეეფაროს, აღიაროს სხვისი უპირატესობა, ოღონდ, დარწმუნებული ვარ, ყველაფრის ფასი იცის და მის სულში პროტესტიც ცოცხლობს. იგი დაუნდობლად ებრძვის ამ პროტესტს, რადგან არ სურს და არც შეუძლია დაემორჩილოს იმას, რაც არკაცურად მიაჩნია.

არსებობს თვითრეკლამის ბევრნაირი გზა — საკუთარი პიროვნების ირგვლივ ხელოვნურად ატეხილი ხმაური; თვით ლექსის ინტონაცია; რიტორიზმი; მკითხველის პროვოცირება; ტელეობიექტივი... ასე მგონია, დუმილიც, პასიურობაც, განდგომაც შორს გამიზნული თვითრეკლამაა. შესაძლოა ეს მოჩვენებითი პასიურობა მას ერთ რამეში შველოდეს კიდეც — გულდინჯად მოეკიდოს ახლობელ შემოქმედთა „ერთადერთობას," „წყვილებს," „სამეულებს". კიდევ... ქცევის, ყოველდღიური ცხოვრების სტილი, უფრო სწორად, პირადი დამოკიდებულება საკუთარი პოეტური სახელისადმი. თითქოს სხვათაც გადაე-

ცემა. მან მკითხველიც მიაჩვია ჩუმად, უხმაუროდ მიიღოს მისი პოეზია. იგი არც დარდობს (იქნებ, დარდობს კიდეც) იმის გამო, რომ ყველას როდი შესწევს ძალა და აქვს დრო მის პიროვნებასა და, რამდენადმე, ლექსსაც გარსშემობურულ ნისლს გააღწიოს და მიწვდეს ცხოველმყოფელ სათავეს. ყოველ შემთხვევაში, მას მხოლოდ ლექსით შეუძლია გააცხადოს პოეტური თვითრწმენა და არსებობის მარადიულობის განცდა: „სულო!—გატყობ მირონცხებას, აღზევებას, სრულობას... დამთავრებით დაიწყება შენი მოგზაურობა,“ — სადღაც, შეგნების სიღრმეში ჩალექილი, მოულოდნელი პრეტენზია და, იქნებ, სულის ამაღლების, განწმენდის მძაფრი შეგრძნება.

...და დაიარება იგი, აპოპლექსიური ტიპის, ბეჭბრტყელი და ძლიერი, სამხედრო ხალათში გამოწყობილი (უყვარს ასეთი ხალათების ჩაცმა. თუ დავუჯერებთ კოსიდოვსკის, რომ მსგავსი ჩვევები ფარული ოცნების, განუხორციელებელი ნატვრის გამოხატულებაა, მაშინ ოცნებისას თავს ალბათ მხედართუფროსად ხედავს): შენელებული კადრივით მოძრაობს, მძიმედ, გაურკვევლად ლაპარაკობს, რითაც შეუძლია წონასწორობაც კი დაგაკარგვინოს: სიტყვამახვილი კაცია, მოხდენილად ხუმრობს, ყოველთვის დაგამახსოვრდება მისი ხუმრობა, რადგან ხუმრობს ძუნწად და დროულად. მისი სიტყვამახვილობა თავისუფალია იქედნურისა და გესლისგან, უფრო, თუ შეიძლება ასე ითქვას, „პიროვნული ფილოსოფიის“ გამომხატველია, პოეტური მრწამსის ყოფითი უკუფენაა.

„მისი პიროვნება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე შემოქმედება“ — უთქვამს მეგობარს ერთ სახელგანთქმულ მწერალზე. არა მგონია ეს სიტყვები მართებული იყოს, რადგან გულუბრყვილოდ მჯერა — პიროვნება და შემოქმედება ტოლფარდი სიდიდეებია. სხვა საქმეა, ხანგრძლივი ურთიერთობა ამგვარი ტოლფარდობის დამყარებას ხშირად მაინც თუ „უშლის“ ხელს.

ბოლოს, მინდა სულ სხვაგან და სხვაზე ნათქვამი სიტყვების პარაფრაზი მოვიტანო — საერთოდ ბევრს მსჯელობენ პატიოსნებასა და ღირსებაზე, ერთგულებასა და კეთილსინდისიერებაზე... გივი ონელაძე ამ ცნებების თაობაზე არაფერს იტყვის, იგი მათ მიხედვით ცხოვრობს; მავანს და მავანს შეუძლია გილალატოს, იგი არ გიღალატებს; თუ ვინმემ შეურაცხგყო ან ღვენა დაგიწყო, გვერდით ამოგიდგება; თუ იგი შენი მეგობარია და ბრბომ ჯვარცმისათვის გაგწირა, არ მიგატოვებს და გოლგოთის გზაზე მძიმე ჯვარს შენთან ერთად იტვირთავს.

შესაძლოა ვინმეს ამ სიტყვებში წრეგადასული ხოტბაც კი მოესმას, მაგრამ მერწმუნეთ, ეს რეალური საფუძვლის მქონე ოცნებაა მეგობრის გამო და გამხელილი ნდობა მისდამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი არაბული

# ტკივილი პოეზიისა

არის წიგნები, წაკითხვისთანავე რომ გაგიმარტოებს, თავისთავთან დარჩენას მოგასურვებს, საკუთარ სამყაროში მოგაქცევს.

სწორედ ასე მესახება ახლახან დასტამბული მამუკა წიკლაურის ლექსების ახალი კრებული.

აქ ყველაფერი, სპორტული ენით რომ ვთქვათ, ალპინისტის ნაბიჯით არის გამოზომილი, ალმასვლა იმ რთული კედლით, რომლის დახრილობა ძნელი დასაძლევია, მაგრამ მიღწევა მისი — შინაგანად დამამშვიდებელი, რადგანაც ყველაზე მეტად ეს სირთულე სტკიოდა გულს. ანდა, სხვაგვარად, მამუკა წიკლაურს თავის პოეტურ სამყაროში არც ერთი საგანი არ შემოაქვს ისეთი, რომელსაც თავისი კუთვნილი ადგილი არ ჰქონდეს, რომელიც შუქს გაგვიფერმკრთალებდა ან მეტისმეტი ბრჭყვიალით თვალს მოგვჭრიდა პოეტურ სიმბოლოთა თუ საგანთა ხილვისას. ლექსის ყოველი ნიუანსი მკაცრად არის თვალთახედვის პრიზმაში გატარებული. რაც გვარწმუნებს, ამგვარი ციცაბო კედლის დასამორჩილებლად მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით ასვლა იყო საჭირო და ერთი უზუსტო ნაბიჯიც კი სიყალბის მოჩვენებით მორგების საფრთხეს შექმნიდა.

მამუკა წიკლაურის ლექსის დასაწყისშივე ტროპულ პარალელთა და ზუსტ მხატვრულ სახეთა წყალობით ესა თუ ის მოვლენა თუ ლირიკული გმირი ჩვენს აზროვნებაში პოეტურად უკვე ჩამოყალიბებულ, დასრულებულ ხასიათს იღებს, რასაც გზადაგზა ღრმად ჩაფიქრებული ქვეტექსტი ავსებს და სრულყოფს (გავიხსენოთ ლექსები — „ხარი“, „შენ თითქოს ხე ხარ“, „მომკვდარა, აღარ ჩამოივლის“, „გათავდა რთველი“, „თოვლი მოვიდა“, „ის სიყვარული“, „ზღვაში ჩაძირულ გემებივით“, „მთვარის სინათლეში“, „სამრეკლოს მოხვდა სულ პირველი მეტეორიტი...“).

„ვისაცა სტკივა, კიდეც იბრძვის — ებრძვის ტკივილებს; ვისაცა სტკივა, მას მახვილიც უჭირავს ხელში“-ო, ამბობს ერთ ლექსში მამუკა წიკლაური და, თუ არ ვცდები, ეს აზრი კიდეც განსაზღვრავს პოეტის ახალი ლექსების არსს, რადგანაც ჭეშმარიტი პოეზია, ბუნებრივია, უმტკივნეულო ვერ იქნება.

მამუკა წიკლაურის პოეზია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ოთხი კუთხით განიზომება — აზრის ტევადობით, ლექსის მტკიცე კომპოზიციით (როცა მისთვის ერთი სტრიქონის, მით უმეტეს, ერთი მეტაფორული ფრაზის გამოკლებაც კი ლექსის მთლიანობას დაარღვევდა), სიმბოლურ-ასოციაციური კონტრასტული ხერხების გამოყენებითა და ქვეტექსტის იმ უხილავი ძაფით, ლექსის წაკითხვის შემდეგაც საფიქრალს რომ გიტოვებს.

თუ კარგად ჩავუკვირდებით ფრაზის მოქნილობას, სიმბოლურ-მეტაფორულ სახეთა მთლიანობას, მტკიცე ყალიბში მოქცეულ სტრიქონს, ნათელი გახდება, რაოდენ ტევადი და დაწურული აზრია გამოხატული ამ ლექსში:

შენ როცა მხვდები —
უნაყოფო —
სახლქვეშ მოყოლილ მიწასავით,
უიმედო —
უკაცრიელ კუნძულზე დატოვებულივით,
და რაიმეში გეთანხმები,
მაშინვე დგება ჩემს სხეულში
ჩაძინებული
წინაპრის სული,
ხმალს მჩრის ხელში და მეუბნება:
— არა!
შენ არა!
შენ სევდისთვის არა გცალია.

აქ არა მარტო ეს ღრმად სიმბოლიკური ფრაზები ქმნიან ლექსის მთლიან ინტონაციას, არამედ ყოველი ცალკეული სიტყვის ისეთი ნიუა-

ნსით დატვირთვაც, როდესაც რომელიმე მათგანის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ლოგიკური წერტილის დასმა.

მამუკა წიკლაურის პოეზიისათვის უცნობია იაფფასიან ემოციასა და მოჩვენებითს ეფექტზე აგებული ფრაზა, სტრიქონისა თუ სტროფის „გასაწყობად" მოხმობილი უადგილო სიტყვა ან სახე, ხშირად ისეთი ძალით რომ ყვირის, თავს ხელად გაამხელს ხოლმე.

პოეტი ერთგული რჩება კონტრასტულ-სახეობრივი წარმოსახვისა, მკაცრ ლოგიკას დამორჩილებული, დიდი შინაგანი ენერგიის მქონე მეტაფორისა, რომლის პოეტური გააზრება და სიღრმისეული ძალა ქმნის ფერთა თუ სალებავთა იმ საოცარ კონტრასტს, ძალუმად რომ გვაგრძნობინებს დახატული სურათის ფერადოვნებას. ამ თვალსაზრისით საინტერესო ჩანს ლექსი „ვლოცულობ:"

ქოთნებში დარგული ყვავილებისთვის —
მათი სიმწვანე ხელოვნურ თაფლს ჰგავს,
არ ილვიძებენ გაზაფხულზე,
არა თვრებიან
ცასავით ლურჯი ყრუანტელით
და აგროვებენ
ყვითელ სიმწვანეს დონორებივით.
ზოოპარკში გამოკეტილ ირმებისათვის —
რომელთაც მგელი ეპარება მხოლოდ
სიზმრებში.
იმათთვის, ვინც სოფლის დიდი მთვარე
გაწირა —
ვინც გაკრულია ქარხნის საყელოზე —
სადღაც მიჩუმდა
და ასფალტის შავ ყინულეთში
იმისი ჩრდილიც, როგორც რკინის კასრი,
მიგორავს.
კასრის ხრიალში ველარ უსმენს საკუთარ
ტკივილს,
ვერც დედის ძახილს და აღარ ჩანან
საგვარეულო სასაფლაოს ბრტყელი
ლოდები.

ფერთა ეს ერთობლიობა ერთ მთლიან სურათად აღიქმება, თითქოს პოეტურ სახეთა მონაცვლეობა ფერიდან ფერში გადადის, რასაც ერთ გარკვეულ წერტილამდის — ლექსის ლოგიკურ დასასრულამდის მივყავართ:

ქვეყნიეროების გამჩენო და წესის
დამდგენო,
აი, ასეთი სიკვდილისთვის ყველა
ცოდვაა, —
მიეც.
ნამდვილი სიკვდილი მიეც.

დიდის მოწიწებითა და სიყვარულით უტრიალებს პოეტი თანამედროვე თემებს, რომელთაც საინტერესო, ორიგინალური, თავისებური კუთხით შეხედა და თავისი სულის სამყაროში მოაქცია ისინი, ორგანულ ნაწილად გაიხადა. აკი ამიტომაც არის, რომ ამ რიგის ლექსებში მთელი ძალით გამოჩნდა ის ტკივილიცა და სიხარულიც, აღტაცებაცა და დამშვიდებაც, გულის დაწყვეტაც და უკმაყოფილების გრძნობაც, რაც ხანდახან ეუფლება ავტორს იმის გამო, რომ თავის დროზე გულთან ახლოს ვერ მიგვიტანია ისეთი მწვავე საკითხები, რომელთაც შემდგომ უარყოფითი როლი ითამაშეს...

ერთი ასეთი საკითხი გახლავთ ჩვენი ლამაზი მთის კუთხეების — ხევსურეთის, თუშეთის, მთიულეთ-გუდამაყრის... — დაცარიელება.

ლექსში „დაცარიელდა ჩვენი სახლი" დამახასიათებელი შტრიხებითა და სტრიქონებს შუა მოქცეული „უთქმელი" აზრით არის გაცოცხლებული სურათები, რომლებითაც ეს ლექსი სუნთქავს, სუნთქავს კი არა, მისი ყოველი სტრიქონი ღრმად აღბეჭდავს ბავშვობის გარდასულ დღეთა ტკივილსა და იმ ჩუმ სევდას, ჩვენი მთის სოფლების სარკმელამოღამებული სახლების ხილვა რომ იწვევს!

რა დასამალია და ეს მართლაც სხვაგვარად გულის დამწველი და ფიქრის დამამძიმებელი მოვლენაა! ამ ბოლოჟამინდელმა ღონისძიებებმა, ჩვენი ხალხის საერთო ხმამ, პოეტთა გულის თქმამ ეგებ ახლა მაინც შეაჩეროს ეს პროცესი!

დაცარიელდა ჩვენი სახლი...
ამოიცალა:
ბნელი ტყეებით და პირიმზის ლახტის
ნათელით...
...ალის წითელი ნაწნავებით სავსე
ქვევრები....

. . .

გადატეხილა დედაბოძი
და გაპოროტებულ
ბანიდან წვიმა ასველებს სიზმრებს
იმ ქვევრებიდან ამოსული სტვენა
შორეულ
ცეცხლის ზოლივით ხაზავდა ღამეს...

. . .

კი არ წავიდა. დაიცალა ჩემი ბავშვობა.

ერთი ასეთი ლექსი აქვს მამუკა წიკლაურს კრებულში — „რაღაცას ზუსტად ამბობენ მთები" ეს, ასე ვთქვათ, „მრავალნაცადი" თემაა, მაგრამ აქაც პოეტმა სრულიად განსხვავებული ქვეტექსტით „გვამცნო გულისა რამ საიდუმლო", — იოლი გზით კი არ წავიდა, პირდაპირი სათქმელის ერთგვარი შეფარვით. სახეთა რთული ქსოვილით შექმნა მთლიანი ხატი, აღსაქმელად ცოტა რთული, მაგრამ სრულიად ნათელი და გამოკვეთილი აზრის შემცველი:

რას,
რას ამბობენ, რას ღრიალებენ,
რაზე წივიან ცა და ღრუბლები?..

.

უნდა დავაგდოთ გზაზე ეს კითხვა
და ლაგამივით ახლა სხვამ ღეჭოს

რომ რკინის მჟავე და მწარე გემო
სხვამ დაიგუბოს,
ვიდრე ჩვენსავით
არ გაიღიმებს
და ის ღიმილი
არ გაიშლება მწარე ყვავილად.

აქ ყოველი სტრიქონი და მის მიღმა ამოკითხული ქვეტექსტი თავისთავად ღაღადებს ყველაფერს და ვერავითარი სხვისი აზრი ვერ ახსნის იმაზე უკეთესად, პოეტმა თავად რომ თქვა; — მას „ბალახივით ურევია ჩემი ბავშვობის სიცილკისკისი“; „მას სანთლივით ურევია აქ ცხოვრების ცხრამეტი წელი“; მას ყვავილივით ურევია მზექალის თმები“; „მას იმედივით ურევია ჩემი მეგობრების ტანჯული ხმა — გზის პირის ხეები — ათასი ცულით გასინჯული და დაკეჭნილი“-ო, — გვეუბნება პოეტი.

მე აქ ცხრამეტი წლისა მოვედი
და დიდხანს, დიდხანს წასვლა აქედან,
წასვლა კი არა, გაქცევა იყო —
ზეიმი იყო ავტობუსის სარკმელთან
ჯდომა
და არაგვ-არაგვ მიმავალი გზით
გამგზავრება
ჩემი სოფლისკენ...
მე უკვე მიყვარს ეს ხმაური,
უკვე ვეჩვევი ამ მზეს და მიწას
და ვგრძნობ თანდათან, როგორ
ვღალატობ,
როგორ ვაწბილებ ჩემს ბავშვობას —
იმ ველურ ძირზე სულ სხვა ჯიშის
ლერწი დაამყნეს,
სხვა ხის სამსახურს დაეჩვივნენ ჩემი
ფესვები.

ეს არის პოეტის სამრეკლოდან მძაფრად ჩამორეკილი ზარი „სმენად სასმენელთა ჩუენთა“ და, როგორც შორეული სოფლის ზარების ხმა ჩაიკარგება ხოლმე გარინდებული ტყის სიჩუმეში, ასევე აქაც, ამ სტრიქონებში, მონატრებული ბავშვობის წლები პოეტურ ფერებად განიბნევიან მშობლიური წყალ-ჭალის მყუდროებაში, სადაც

კარში მოყოლილ სიზმრებიდან ქონავს
ტკივილი
უსასრულო და დაუძინარი —
თავისი დაუნდობელი ფერით ღებავს
მინდვრებს.

მამუკა წიკლაურის ლექსების კრებული ამით არ ამოიწურება, — სათქმელი კიდევ დაგვრჩა, სათქმელი თუნდაც იმ ორ ციკლზე, რომელთაც „ყინულის ყვავილები“ და „წარწერები ბარათაშვილის ბიოგრაფიაზე“ ჰქვია, სადაც მრავალგვარი პოეტური ხერხი, ფერი თუ სადებავი მხოლოდ მისეულ ხელწერაზე მეტყველებენ.

აქვე მინდა რამდენიმე ადგილი დავიმოწმო პოეტის სხვადასხვა ნაწარმოებიდან, რომლებიც ერთ-ერთ უმთავრეს შტრიხად მიჩანს, კერძოდ ამ ციკლის ლექსებისათვის და საერთოდ მამუკა წიკლაურის პოეზიისათვის, — ეს გახლავთ, როგორც არაერთხელ ითქვა, სიმბოლიკურ-ალეგორიული თუ ალეგორიულ-მეტაფორული აზროვნება შორეულ ასოციაციაზე დამყარებული და ზოგადობამდის აყვანილი.

აი, რამდენიმე ნიმუში: „ვეფერებოდი მოგონებებს — გალმით დარჩენილ მწვანე ბზის ტოტებს“; „და მზის სხივებით — ცხელი ხმლებით დაჩხვლეტილ თვალებს“; „ტყე არ ნებდება შემოდგომას და თვალს არიდებს ყვითელ წერტილებს — გულის კართან ჩაწყობილ ნაღმებს“, „მთასავით გადმოიქცა დედის სიკვდილი და ჩაიტანა უზრუნველი ყვავილები — გაზაფხულის ტოტებზე დაფრენილი მთვარეები“, „წარსული თითქოს ერთი დღეა — ერთი დიდი დღე — მყვირალობისას თოფდაკრული ირმის ტყავივით გაკიდებული ჩემს ფიქრებზე — რკინის ჯოხებზე“, „დილა ბომბივით დაეცა სიზმრებს“; „მოდის დილა სარკმლების მსხვრევით — დეკემბრის გზებზე ყინულივით გართხმული დილა“; „მე მეცოდება მაგათი ხმა — ბნელი ღამიდან ხვეწნასავით გადმოგდებული“; „თუმც ეს სიფხიზლე — გველის ენით ნალოკი ბროლი, მიუსაფრობა — ყინულივით გართხმული გზაზე“... „ტირილი მმართებს მე მაგათთვის — ვინ გაანათებს მაგ ორმოებს, ვინ ჩაჰკიდებს შიგ მწვანე ბალახს...“

დიახ, მრავლად არის მამუკა წიკლაურის პოეზიაში ამგვარი სიმბოლურ-ალეგორიულ სახეხატთა არცთუ იოლად მოსახელთებელი რთული სისტემა და ეს აძლევს კიდეც მის პოეზიას ფერსა და ტონს, იმ ძალას, წაკითხვის შემდეგ რომ გაგითავისიანდება და საფიქრალს დაგიტოვებს.

აკი ვთქვი და აქაც ვიმეორებ, მამუკა წიკლაურის ახალი კრებული ასეთ საფიქრალს გვიტოვებს-მეთქი, და წიგნის ღირსებადაც სწორედ ეს მიმაჩნია; დიახ, წერილსაც ტყუილად როდი ვუწოდეთ „ტკივილი პოეზიისა“, — ეს არის პოეტურ ფერებში გადატანა სულის ამოძახილისა, თქმა იმისა, რაც გულს სტკივა, მართლად და თავის დროზე ნათქვამი პოეტური სიტყვა კი ჭრილობაზე დადებული მალამოა.

მამუკა წიკლაურის წიგნზე საუბარი ალბათ კვლავაც გაგრძელდება, — ივი ამას იმსახურებს; ჩვენ კი პირველი შთაბეჭდილებებით შემოვფარგლეთ ეს წერილი, — მხოლოდ და მხოლოდ ამით და მეტის პრეტენზია არც გვქონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელოვნება

ეკატერინე გაჩეჩილაძე

## შოთა ლეჟავა

მხატვარ შოთა ლეჟავას შემოქმედების აღიარებასა და დაფასებას მოწმობს მისი ნამუშევრების მრავალგზის ექსპონირება რესპუბლიკურ, საკავშირო, თუ საზღვარგარეთ მოწყობილ სამხატვრო გამოფენებზე.

შ. ლეჟავა ვანის რაიონის სოფელ შუამთაში დაიბადა 1940 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისს მოაშურა. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა (პედაგოგი — ჯ. ხუნდაძე), შემდეგ კი სამხატვრო განათლება სრულყო მოსკოვის ხელოვნების უნივერსიტეტსა და თბილისის სამხატვრო აკადემიაში (პედაგოგები: ა. ქუთათელაძე, კ. მახარაძე, ე. კალანდაძე). ერთხანს იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სოფელ შუამთის საშუალო სკოლასა და ვანის სამხატვრო სასწავლებელში. ამჟამად იგი ფერწერას ასწავლის თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

მხატვარი ძირითადად ფერწერის დარგში მუშაობს. მის შემოქმედებაში წამყვანი ადგილი პეიზაჟსა და ნატურმორტს უკავია.

შ. ლეჟავას პეიზაჟების მთავარი თემა იმერეთია. იგი მოხიბლულია მშობლიური კუთხის ბუნებით:

— „ჩვენს სოფელში დიდძალი მასალაა მხატვრისათვის. თვით ჩემი ეზო ისეთი ლამაზია, სხვაგან წასვლაც არ არის საჭირო“ — მართლაც მხატვრის პეიზაჟების დიდი ნაწილი მის ეზოსა და ეზოდან გადაშლილ ხედებს ასახავს.

— „იქ ყველა ფერი ისე მკაფიოდ ჟღერს, რომ ამოცნობაც კი არ არის საჭირო. პირდაპირ უნდა გადაიტანო. შეხედავ, სულ პატარა ყვავილია და ისე კაშკაშებს, თვალს მოგტაცებთ“.

მომავალი მხატვრის სიყვარული ემოციური მჟღერი ფერწერისადმი კიდევ უფრო განამტკიცა სამხატვრო სასწავლებლისა და აკადემიის პედაგოგებთან ურთიერთობამ. ამ სიყვარულმა გამოიწვია მისი სიმპათიები პოსტიმპრესიონისტთა და ფოვისტთა შემოქმედებისადმიც, რომელთა ზოგიერთ შემოქმედებით მონაპოვარს იგი ორგანულად ათვისებული და თავისებურად გადამუშავებული სახით იყენებს.

შ. ლეჟავა თავის პეიზაჟებში ხშირად იმეორებს ერთსა და იმავე მოტივს, მცირედ განსხვავებული რაკურსით, ახლებური ფერადოვანი გადაწყვეტით. მაგალითად ძალიან ხშირად გვხვდება ხეხილის ერთი და იგივე ბაღის ამსახველი პეიზაჟები.

ბუნების, სიცოცხლის ჰიმნს ასახავენ ისინი. ბუნების ჰიმნი მხატვარს ფერთა ჰიმნით აქვს გადმოცემული. კომპოზიციური გადაწყვეტა — კვადრატს მიახლოებული ან კვადრატული სასურათე სიბრტყე ჰორიზონტალურად გადაკვეთილი ღობის ერთი ან ორი მწკრივით, რომელთაც უპირისპირდება გზის აღმა მიმართული დიაგონალი. ღობის მწყობრი რიტმი, მონასმთა რიტმები, ნაირფერად შეფოთლილი ხეები საზეიმო იერს ანიჭებენ ამ პეიზაჟებს.

გვხვდება იგივე მოტივი ფოთოლგაცვენილი ხეებით, გვიან შემოდგომასა თუ ადრეულ გაზაფხულს ერთიან, ნაზ კოლორიტში რომ მოუქცევია. ზაფხულში ნაირფერად შეფოთლილ

მცენარეთა მწკრივებით შემოჭარული გზა, ზამთარში „განძარცვული“ და ატალახებული „მოლოდინად რომ ქცეულა“.

ხოფლის ორღობეა, მინდვრები თუ ნაგებობანი, მხატვრის ფუნჯი ყველაფერს ემოციურ ელერადობას ანიჭებს. მხატვარი ახერხებს ფერებით შექმნას წლისა თუ დღის სხვადასხვა დროის შესაბამისი განწყობილება.

ზ. ლეჟავას ნამუშევრების უმრავლესობა ესკიზურია, ერთი ამოსუნთქვითაა შესრულებული. სურათთვნების თვალსაზრისით, შედარებით გამოირჩევა პეიზაჟი „ჩემი იმერეთი“, რომლის კომპოზიცია ნაკლებად დამახასიათებელია ლეჟავას შემოქმედებისათვის — მთლიანად დიაგონალებზეა აგებული. ამავე თვალსაზრისით გამოირჩევა „რიონის სანაპიროც“. რამოდენიმე ესკიზი შეუსრულებია მხატვარს, რათა მიეღწია კომპოზიციურად და ფერადოვნების მხრივ უფრო დახვეწილი ვარიანტისათვის. ამ ნამუშევარში კომპოზიციით, ფერებით შექმნილია სიმყუდროვე, თავისებური ინტიმი, ამგვარი ეგზოტიკური კუთხეებისათვის დამახასიათებელი მომხიბვლელობა. ჩანს ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობის კვალი. დამაჯერებლადაა გაცოცხლებული დაისისათვის დამახასიათებელი ფერები, წყლის ზედაპირზე არეკლილი გაყვითლებული ცა, მიყუჩებული ნიავის წყნარი შარიშური წყალმცენარეებში.

განსხვავებით ესკიზებისაგან, რომლებშიც ფერები კონტრასტულია, აქ კოლორიტი გამთლიანებულია მოყვითალო ფერებით.

კომპოზიცია შეკრულია, მაგრამ ჩაკეტილი არ არის. კომპოზიციის ასეთი გადაწყვეტა და ნიავისაგან „აფორიაქებული“ წყალმცენარეთა კენწეროები იწვევს რაღაც ცვლილების მოლოდინს, აქ ასახული მყუდროების მოჩვენებითობის შთაბეჭდილებას.

მხატვარს პეიზაჟებში იშვიათად შეაქვს ადამიანთა გამოსახულება. ასეთ პეიზაჟებში ადამიანი ბუნების ნაწილად აღიქმება, მაგალითად: „ჩემი სახლი“, „მეთევზეები“.

„მეთევზეებიც“ ერთ-ერთი შედარებით დასრულებული ნამუშევარია. მასში მხატვარი ნაკლებად ზრუნავს ნახატის სიზუსტეზე. ფერებითაა შექმნილი დაისისათვის დამახასიათებელი განწყობილება. მეთევზეთა ფიგურებს თითქოს მეტი სიღრმე შეაქვთ დაისის იდუმალებაში. ამ ნამუშევარშიც მხატვარი არ ივიწყებს ფერმწერისათვის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას — ფერწერულად ლამაზი, გამომსახველი სანახაობის შექმნას. წითელი ლაქა ნავში, ქვედა ნიჩაბთან და მის ქვეშ წითელი ანარეკლი სურათის ფერითი ემოციონალური ტონუსის შენარჩუნებას ემსახურება.

ზ. ლეჟავას პეიზაჟების კომპოზიციები ბუნებრივია. მხატვარი ამჟღავნებს [illegible] გარკვეული კომპოზიციური წყობისადმი. ხშირად მისი პეიზაჟები კომპოზიციურად ჰორიზონტალურ ნაწილებადაა დაყოფილი, რაც კომპოზიციას მდგრადობას ანიჭებს. ჰორიზონტალებს იგი იქვე უპირისპირებს მკაფიოდ მონიშნულ, გადამკვეთ დიაგონალებს, ვერტიკალ , სხვადასხვა მიმართულების ხაზოვან მონახაზებს, რითაც კომპოზიციას ძაბავს და შინაგანი ექსპრესიით ავსებს.

ზ. ლეჟავა მრავალრიცხოვანი ნატურმორტების ავტორიცაა. მათში უმთავრესად ხილი და ყვავილებია ასახული (უფრო ხშირად აღებული აქვს დიდი, კაშკაშა ფერების ყვავილები და მსხვილი, სალი ხილი — ვაშლი, მსხალი, ატამი, საზამთრო). ეს მასალა მას მკაფიო ფერადოვნებით იზიდავს.

მხატვარს ნაკლებად აინტერესებს საგანთა მოცულობებისა და ფაქტურების გადმოცემა. მიუხედავად იმისა, რომ საგანთა მოცულობები არ არის სრულყოფილად გამოვლენილი, მის ნატურმორტებში მაინც შექმნილია ხალიჩისა, და სიმძიმის შთაბეჭდილება — ფერების დიდ მასებად დატანის, მონასმთა სიტლანქის გამო.

ფართე ფუნჯით ან მასტიხინით ძალზე თამამად წასმული სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა მხარეს მიმართული ფერთა ერთიანი მასები ექსპრესიას ანიჭებენ ნატურმორტებს, ექსპრესიას ზრდის შეურეველი — მთელი ძალით მჟღერი ფერების კონტრასტული ურთიერთდაპირისპირება.

პეიზაჟებთან შედარებით, ნატურმორტები უფრო „უხეშია“ (პეიზაჟების უმრავლესობა შედარებით მოკლე მონასმებითაა შესრულებული, მათში შედარებით ნაკლებადაა გამოყენებული შავი ფერი, რის გამოც მათ მეტი სინაზე და გამჭვირვალება ახასიათებთ).

ყველა ნამუშევარში, პეიზაჟი იქნება, თუ ნატურმორტი მხატვარი ესწრაფვის შინაარსის ემოციონალურ გახსნას. ხაზოვანი და ფერადოვანი კომპოზიცია, წერის მანერა ამ მიზანს ემსახურება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგ ნამუშევარში ექსპრესია ზედაპირულ ხასიათს ატარებს.

მხატვარ ზ. ლეჟავას შემოქმედება ოპტიმისტურია, განმსჭვალულია მშობლიური მხარისადმი სიყვარულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი კილასონია

# ლეონარდო შენგელია

კარგია, როდესაც მხატვრობა აზროვნებს. (რაოდენ კარგი და რაოდენ მიზანდასახულია იგი!) ეს, ერთის შეხედვით უხერხული ფრაზა —„კარგია, როდესაც მხატვრობა" აზროვნებს მეთქი, უნდა მომიტევოს მკითხველმა. რადგან, ზოგჯერ იმდენ გამონაკლისთან გვაქვს საქმე, რომ მხოლოდ მხრების აწურვა-ღა გვრჩება: ნეტავ რას ნიშნავს? ნეტავ რა სურდა ეთქვა მხატვარს? და ა. შ. თორემ, ისე, ჩვეულებრივად, ყოველი ნიმუში მხატვრობისა თავისას ამბობს. მაგრამ თავიდათავი ისაა საკითხავი: როგორ ამბობს? რას ამბობს და რატომ ამბობს? პირველი წინა, დიდი პირობა კი ისაა როგორ ხატავს, როგორ აქანდაკებს, როგორ ჭედს, როგორ ქმნის! მასთან კი დაწყვილებულად, სრულს ჰარმონიაში მოსული პირობა: „როგორ აზროვნებს".

სამწუხაროდ, ამ ბოლო პირობით, მაინცდამაინც ისე არ ვართ განებივრებული, რომ თავი დამშვიდებას მივცეთ. ზოგჯერ ნახატი თუ ნაქანდაკევი არათუ მარტო გარემოში არ ზის, —არამედ თავისთავშიც ვერ პოულობს ადგილს, თავისთავშიც ვერ ჰქმნის აზრს. მომიტევონ, მაგრამ ჩემთვის, როგორც დამთვალიერებლისთვის, როგორც მნახველისთვის გულდასაწყვეტის მეტს არას მიტოვებენ ხოლმე. არც იმაში ვარ გასამტყუნარი, როდესაც თვალი და გონი პარალელისკენ გამექცევა: მაგალითად, ესა და ეს პოეტი შესანიშნავად „ფლობს" ლექსს, მის ტექნიკას, კულტურას, ერთი სიტყვით „იცის" ლექსი, მაგრამ... ამ „მაგრამში" რაც გნებავდეთ, ის ივარაუდეთ, სრულ თავისუფლებას გაძლევთ.

ამჟამად, საუბარი დღევანდელი ქართული მონუმენტური ხელოვნების ნიჭიერ წარმომადგენელზე, საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარზე — ლეონარდო შენგელიაზე გვექნება, და ვეცდები, მისი შემოქმედების ნიმუშები იმ აზრისთვალით აღვნუსხო, წეღან რომ მოგახსენეთ. ეს ნიმუშები ქრონოლოგიურად ასე ლაგდება:

ახალი ათონი: რესტორანი „აქარის" მხატვრული გაფორმება. (1966 წ.) აბრსკილის თემა.

ლესელიძე. რესტორანი „ფსოუ". თემა: გამარჯვებულთა დაბრუნება.

თბილისი: ამიერ-კავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის მხატვრული გაფორმება. მონუმენტური პანო „კოსმოსი". 1968 წ.

თბილისი: ამავე ინსტიტუტის ეზო. მონუმენტური სტელა „ადამიანი და სამყარო". 1969 წ.

თბილისი: საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. (მანქანათმშენებლობის პავილიონი). 1971 წელი.

ახალი ათონის მღვიმეების ადმინისტრაციული შენობის მხატვრული გაფორმება. 1975 წელი.

ჩრდილოეთ ოსეთი. ქ. ორჯონიკიძე სასტუმრო „ვლადიკავკაზი".

თემა: „ნართები". 1977 წელი.

როგორც ვხედავთ, მხატვრის შეგნებული, შემოქმედებითი ცხოვრება ქრონოლოგიურად ლაგდება და ვლინდება მონუმენტურში. და, რაოდენ ძნელი უნდა იყოს ამ მონუმენტურობის მხრით ზიდვა, თავისთავად, სურვილიც მასთან შებმისა თუ მასთან დამეგობრებისა. ორთავ ძნელია, თანაბრად მძიმე ორთავ. მაგრამ, სანაცვლოდ, რა სივრცე გეშლება კაცს! ოღონდ, ეს სივრცე მაცდურია — მისი სასრული იმ ლაბირინთებში იკარგება, რომელსაც მითოლოგიური საწყისი ჰკვებავს. „ჩახვალ და ვეღარ გამოხვალ-"ო ამბობს ერთი ხალხური ლექსი. ამ გამოსვლისათვის კი კვლავ მითოლოგიური გორგალია საჭირო. — ცოდნაა საჭირო, ცოდნა თუნდაც ხელმისაწვდომად არსებულისა, ფიქრია საჭირო, გადაწყვეტა და სწორი ალღო, რომ სადმე ფეხი არ წაგიცდეს. სხვათა შორის, ეს ფეხის წაცდენა სრულიადაც არაა სამარცხვინო დამარ-

ცნება — რადგან მითი თავისთავად, მთლიანობაში, ძნელად ამოხსნადი რამაა: ათასწლეულთა მიღმიდან გვაწვდის იგი თავის ხმას, ფერს, თავის არსს. და, ამასთან ერთად, ეს ათასწლეულები, თავისი მხრით, თანმიმდევრულად აფენს შრეებს. ამდენად, მითიც მაცდუნებლად „გვიტყუებს": ეს წანაფენიც გადამაცალე, და ნახავ რა პირველსახის ბრწყინვალებით წარმოგიდგებით. და, მიდის და მიდის უფრო ღრმად, უფრო ღრმად. და ალბათ, კაცობრიობის სიცოცხლე არის საჭირო, იმ პირველსახეობის მიგნებისათვის. ამდენად, ვერც შემოქმედს მოვთხოვთ უფრო მეტს. მაგრამ, არსებული ცოდნა-ძიების ანბანის დაძებნა კი აუცილებელი უნდა იყოს მისთვის. აუცილებელი უნდა იყოს გრძნობა პასუხისმგებლობისა: მე ამას ვქმნი და ვტოვებ, და ამ დანატოვარმა უნდა გააფართოვოს მნახველის ჰორიზონტი, უნდა აღუძრას სურვილი გაუცნობიერებელში გაცნობიერებისაკენ ლტოლვისა... თორემ ისე დარჩება სილამაზე მხოლოდ და მხოლოდ სილამაზისათვის. და რჩეულთა ბედია ისიც, თუ ამ სილამაზის, მშვენიერების საწყისს შეგნებულ, გააზრებულ ცხოვრებას მოახმარს.

ამ მხრივ, ლ. შენგელიას ორ ნამუშევარს გამოვყოფ, ორ თემას, — სადაც გამოვლინდა მონუმენტალისტის დამოკიდებულება თემისადმი, კერძოდ, მითოლოგიური სიუჟეტისადმი. ესენია: მონუმენტური სტელა „ადამიანი და სამყარო" და ახალი ათონის მღვიმესათვის შესრულებული მოზაიკური პანო, დეკორატიულობასთან ერთად, სიმბოლიკით რომაა განმსჭვალული. ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა აფხაზთა ამაღელვებელი ეპოსი, ამ ეპოსის კოსმოგონიური წარმოდგენები. ლ. შენგელიასთვის, თავისთავად ცხადია, რომ ეს წარმოდგენები — ამირანის აბრსკილის სიმბოლიკაში იყრის თუ იწყებს თავისთავს. მიჯაჭული ამირანის სამყოფელი კავკასიონის ქედზეა, ფაზისთან ახლოს, აქ ლოკავს გოშია პატრონის შემბოჭველ ჯაჭვს და აქ მოდის მჭედელიც, რათა გაწყდომაზე მისული ჯაჭვი კვლავ გაამთელოს. და, ათონის მღვიმის მხატვრული გაფორმებისათვის თავგამოდებულ მხატვარს არც ექნებოდა უფლება ვერდი აევლო კავკასიონის ხალხთა თქმულებებში ნაირი სახელით თავშეფარებული ამირანისათვის. ხალხს უყვარს ამირანი, ოცნებობს მის გათავისუფლებაზე, უფრო მეტიც — სწამს მისი ჯაჭვიდან ახსნისა. და თუ მისი დასჯის ადგილი ლოკალურად აქ გვესახება, მაშინ განთავისუფლებული ამირანის სულიც აქ უნდა ტრიალებდეს. მღვიმეთა სიღრმეში, სტალაქტიტ-სტალაგმიტებისმიერ ტაძრებთან თუ ფანტასტიკურ ხედებთა შორის უნდა მოგვდევდეს. და ლ. შენგელიას მოზაიკურ თუ რელიეფურ პანოებშიც: „მუსიკა", „მხედრიონი", „შრომის სიმღერა" ქვაზე ამოკვეთილი „მიჯაჭვული აბრსკილით" გვირგვინდება.

ცეცხლოვან რაშზე ამხედრებული, აფხაზური ეპოსის პერსონაჟი სასრიკვა და მისი ძმა, პანის წყვილი — მომღერალი და სალამურზე დამკვრელი კეიტევანი ჩანგზე დამკვრელ აფხაზი ქაბუკისკენაა მიმართული. ხოლო, დეკორატიული მოტივები კოსმოგონიური წარმოდგენითაა დატვირთული. ხოლო, ყოველთა თავზე ზეიმია გათავისუფლებულ აბრსკილ-ამირანისა. ერთხმად აღინიშნა, რომ ახალი ათონის მოზაიკური პანო მღელვარე ემოციურობითაა ამაღლებული: „ქართული კედლის მხატვრობის ტრადიციებიდან გამომდინარე, მხატვარი თავის ამოცანაში ითვალისწინებს დეკორატიულობას, მონუმენტურობას და სიმბოლურობას". ამბობს ერთერთი ხელოვნებათმცოდნე. ხარის, თევზის, ფრთიანი ანგელოზისა და ცის მნათობთა გამოსახულებები სტატიის ავტორს პირობით — ალეგორიულ სახეებად მიაჩნია.

აღსანიშნავია ამავე ავტორის დეკორატიული ვიტრაჟები, რომელთა ჰაეროვანი ფერადი გამმა წინ მიგვიძღვის, გვათბობს და, ერთგვარად, წინასწარ ხსნის მღვიმის ფანტასტიკური გარემოს არსს...

ლეონარდო შენგელიას პანოთაგან, ყურადღებას იქცევს ამიერ-კავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტისა და მისი ეზო-გარემოს გაფორმებანი: „კოსმოსი" და „ადამიანი და სამყარო". ეს მოზაიკური სტელა, და პანო ისევ და ისევ მითებითაა დავალებული. ოღონდ, ავტორს აქ უფრო მეტად ეძლევა საშუალება გვაზიაროს ქართველთა უძველეს შეხედულებას სამყაროზე, ცთომილებზე, სკნელებზე, სიცოცლის ხეზე, ზოდიაქოებზე და სხ. ამასთან ერთად, შემოქმედმა ამ ნამუშევრებში მშვენივრად დაუკავშირა ერთმანეთს მითოლოგიური გუშინდელი და რეალური დღევანდელობა. ბეტონისა და მინის მაღლივ შენობაში მოთავსებული ეს მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევითი კერა, დიახაც რომ უმცირეს დეტალშიც უნდა ავლენდეს თავის მაღალ დანიშნულებას. მოწოდებას. ხოლო გაფორმება აქ უკვე დეტალი კი არაა, არამედ ამოსავლობის მაჩვენებელი. კაცობრიობა ხომ ოდითგანვე იჩენდა დიდ ინტერესს სამყაროსადმი, ცდილობდა მის სიღრმეებში წვდომას, ჰქმნიდა მითებსა და ლექსებს. ქართველი კაცი არასოდეს დაშორებია ამ საკაცობრიო მღელვარებას. თავისთავადი და მეტად საინტერესო იყო მისი წარმოდგენები სამყაროზე, მშობელ პლანეტაზე. ეს კარგად, ძალიან კარგად მოეხსენება ლეონარდო შენგელიას. ამიტომ, სამუშაოსთან პირდაპირ მისვლამდე მას დიდი შრომა გაუწევია, დეტალურად შეუსწავლია ქართველთა წარმოდგენები, შეუსწავლია ის მითები თუ ზღაპრები, სადაც მისთვის სასურველი თემატიკა ხან დომინირებდა, ხან კი აქა-იქ ვლინდებოდა.

მხატვარი ხწორია, როდესაც პანოს იწყებს და ამთავრებს ადამიანთა სამეულით. თავში: ეგვიპტელი, ბერძენი და ქართველი (უძველესი ხალხი), ხოლო ბოლო, თემის შემკვრელი: სამი დღევანდელი, თანამედროვე ადამიანი. კოსმონავტი, მეცნიერი თუ მშენებელი, ხოლო მათი გამაწონასწორებელი ხე სიცოცხლისა კომპოზიციის შუალედს შესდგომია, ვით კავშირი ცისა და მიწის, დღევანდელობისა და წარსულისა. მხატვრის მიზანდასახულობაა: მნახველს მოგვითხროს ქართველი კაცის დამოკიდებულება სამყაროსადმი. ქართველს ხომ ეს დამოკიდებულება თითქმის აკვნიდანვე ეწყება ძეობის „მზევ, შინ შემოდი"—თა და საბავშვო ლექსად მიჩნეული „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი", ვამბობდით, და არ ვიცოდით მაშინ, რომ მზის ქალურ საწყისს და მთვარის მამაკაცურ საწყისს ვუგალობდით უძველესი ლოცვით. ეს ორი საწყისი მზისა და მთვარისა მხატვარმა ერთმანეთის საპირისპიროდ განალაგა, სიცოცხლის ხის აქეთ-იქით.

პანოზე გამოსახულია ზოდიაქოს ნიშნები. არც ქართული მთვარის კალენდარია დავიწყებული და არც „ქართა ვარდული". არც ის ბორბალი, კაცთა ცხოვრებას რომ ატრიალებს, და რომელშიც ბარბარ-ვარვარ-ბარბალუკას ეძებნება ძირი. ამ ნამუშევარში, მხატვარს ფერთა გადაწყვეტის თვალსაზრისით დიდებული მასალა ისევ უძველესმა წარმოდგენებმა მისცა: სამ ფერში გადაწყვეტილი პანო სამყაროს სამი სკნელის ფერებს ეხმაურება. თეთრს (ზესკნელი), წითელს (შუასკნელი) და შავს (ქვესკნელი). ეს ფერები მთელს კომპოზიციაში ეფინება ერთმანეთს. ხოლო სიცოცხლის ხე, თავისი განუმეორებელი ვაშლის ნაყოფით ამ ფერთა გამაში ჰქმნის შემაერთებელ ჰარმონიას ზესკნელ-შუასკნელ-ქვესკნელისას. იგი იმ ცისა და მიწის „ან-ქის" ყვავილის პირველსახეობა თუ სახესვაობაა, რომელიც ამ სტრიქონების ავტორმა ჩაიწერა ერთ პატარა ქართულ სოფელში 80 წელს მიღწეული კაცისგან. ვფიქრობ, ვიმუშავო ამ „ანქის" ყვავილზე და ქართული, დაკარგული მითის ფრაგმენტები მივაწოდო მკითხველს: (ქართულის, რადგან ჯერჯერობით სხვა, კავკასიის მკვიდრ ხალხთა თქმულებებში, მისი სიუჟეტი არსად არ იჩენს თავს.) დღევანდელობა, ტექნიკისა და მეცნიერების პროგრესის სიმბოლოა ის თანამგზავრი, რომელიც ლ. შენგელიას პანოში მზისკენ ისწრაფვის. იგი პასუხობს, იგი ცოდნას გვაზიარებს და გვაფრთოვანებს კიდეც, ასეთივე ბედნიერია ნართების თემაც, რაიც 1877 წელს, სასტუმრო „ვლადიკავკაზის" გაფორმებისას გამოვლინდა ლ. შენგელიას პანოშიც. ახლახან, მხატვარმა, გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფ. მამათის კულტურის სახლი გააფორმა. სადაც მოხავლის, სიმღერის და შრომის მადიდებელ მოზაიკურ პანოში დომინირებს „აგუნა", წარმართული ღმერთი. ამ არჩევანშიც ჩანს ლეონარდო შენგელიას ლტოლვა და ინტერესი ჩვენი, ქართული ფესვისადმი. იმ ფესვისადმი, სიცოცხლის ხეს რომ ასულდგმულებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟურნალ «ცისკრის» 1881 წლის ნომრების შინაარსი

## მოთხრობა, რომანი, ნოველა, თარგმანი

**აბაშიძე მერაბ** — სათნო გყავ მე. მოთხ. № 9

**ადეიშვილი ავთანდილ** — მოთხრობები, № 7

**ავალიშვილი მანანა** — მელანო, მოთხ. № 7

**ალექსიძე მიკა** — მოთხრობები, № 7

**ალიაშვილი კიმი** — მოთხრობები, № 9

**ასანიშვილი შოთა** — მამაშვილობა. მოთხ. № 5

**ახვლედიანი ვახტანგ** — „ასე იქნება, ალბათ, მარადის"... „მე, დილა. მზე და მეზობლის ბიჭი (მინიატურა), № 5

**ბრეჟნევი ლეონიდ ილიას ძე** — მოგონებანი, № 12.

**ბუთხუზი გივი** — წმინდა ხე, მოთხ. № 11

**გალდავაძე ავთანდილ** — ძრწოდე მდევართა შიშით. რომანი № 7, 8, 9

**გოგეშვილი ჯანრი** — სიზმარეთი. მოთხ. № 6

**დარსანია ვიტალი** — გზაში. მოთხ. № 6

**დოჩანაშვილი გურამ** — ვატერ(პო)ლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები, ფანტასტიკური მოთხ. № 10

**ენანიშვილი რევაზ** — სამაგიდო რვეულიდან. № 1 უილბლო კაცი. მოთხ. № 6

**თორია ზურაბ** — ორი მოთხრობა. № 12

**თურმანიძე ლევან** — „ძეობა". მოთხ. № 5

**კალანდია ზაურ** — მალე მოგვიდი, გაზაფხულო! მოთხ. № 8

**კახიანი გივი** — დუნეთი. მოთხ. № 12

**კაპანაძე გურამ** — სიყვარული. მოთხ. № 5

**კლდიაშვილი რევაზ** — მოთხრობები, № 10

**ლანჩავა თეიმურაზ** — გადანახულება. მოთხ. № 5

**ლომაძე გია** — თაბაშირის კაცი. მოთხ. № 2

**ლომიძე ანდრო** — კაპიტანი. მოთხ. № 5

**მიშველაძე რევაზ** — ნოველები, № 6

**რცხილაძე ზურაბ** — სტუმარი ღვთისაა. მოთხ. № 5

**ტიკარაძე ჯუმბერ** — სასწაულები. რომანი. № 11, 12

**ქარჩხაძე ჯემალ** — მაღალი კაცი, მოთხ. № 3

**შენგელაია ირაკლი** — უშნო, მოთხ. № 12

**შენგელია მზია** — უცოდველი ანგელოზი. მოთხ. № 10

**ჩორდელი ვაჟა** — მოთხრობები, № 8

**ჩოხელი გოდერძი** — ზანგი. მოთხ № 1

**ჩხეიძე ოთარ** — ნისლა. მოთხ. № 6

**წურწუმია ოთარ** — მიმიკრია. მოთხ. № 6

**ჭილაძე ოთარ** — რკინის თეატრი, რომანი, № 1, 2, 3, 4

**ხმალაძე თამაზ** — დარდი. მოთხ. № 8

**ხორგუაშვილი გიორგი** — ცოცხალი სულები. მოთხ. № 1

**ხორნაული გიგი** — დათვმა კი დამინდო. მოთხ. № 5

**ხელაია მანანა** — მოთხრობები, № 8

**ჯავახიშვილი ქეთევან** — მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, № 7, 8, 9, 10, 11, 12

**ჯიბლაშვილი თამაზ** — ადამიანი მარტო არ არის. რომანი. № 10, 11, 12

**ჯოხაძე გივი** — სიმღერა. მოთხ. № 5

**ჯორძაძე აკაკი** — „დგანან და ელიან". მოთხ. № 6

## ლექსები, პოემები

**ადეიშვილი ნოდარ** — ლექსები, № 1

**ალიმონაკი ლერი** — ლექსები, № 10

**ალხაზიშვილი გივი** — ლექსები, № 8

**ამაშუკელი რეზო** — აღორძინებულო მზვარევ, ლექსი, № 5

**ასათიანი ჯაბა** — წიგნიდან: „დაეკიდება აივანს ქარი; ლექსები, № 8

**არაბული შაბურა** — ლექსები, № 5

**არაბული ალუდა** — ლექსები, № 7

**არაბული ირაკლი** — ლექსები, № 4

**ბალახაძე სიმონ** — ლექსები, № 6

**ბაზაძე ირაკლი** — ლექსები, № 10

**ბარათაშვილი მარიკა** — ლექსები, № 12

**ბართაია ნომადი** — ლექსები, № 7

**ბაძაღუა თამაზ** — ლექსი; № 9

**ბეგიაშვილი ლერი** — ლექსები № 6

**ბედიანიძე, დალილა** — მადლობა, № 1, ლექსები. № 5

**ბერულავა ხუტა** — ახალი წიგნიდან ლექსები, № 7

**ბექიშვილი თედო** — ახალი წიგნიდან. ლექსები, № 6

**ბოლქვაძე ზაურ** — ლექსები, № 1

**გაბიტაშვილი უშანგი** — ლექსები, № 9

**გველესიანი ოლეგ** — ლექსები, № 1

**გიორგობიანი გურამ** — ლექსები, № 8

**გოგოლაშვილი ვახტანგ** — ქება შენებას. ლექსი, № 5

**გორგანელი ვახტანგ** — ლექსები. № 5

**დანელია ბათუ** — ციკლიდან — „დატირებანი". ლექსები, № 8

**დანელია რევაზ** — წიგნიდან „წუთისოფელი" ლექსები, № 6

**დაუშვილი თამარ** — ლექსები. № 3

**დვალი გულიკო** — („ეს ძველისძველი ოქროს მონეტა") ლექსი, № 1

**დოლბაია ვაჟა** — ლექსები, № 6

**ერისთავი თამარ** — ლექსები, № 9

**ელიოზიშვილი მერაბ** — ლექსები, № 8

**ივარდავა დილარ** — ლექსები, № 12

**კალანდაძე ზურაბ** — ლექსები, № 4

**კალანდია ვენო** — ლექსები, № 4

**კაკუშაძე თენგიზ** — ლექსები, № 4

კახიძე მედეა — ლექსები. № 3
კვანტრაძე ქეთევან — ლექსები. №3
კობერიძე ნუგზარ — ლექსები. № 2
კოჟიაშვილი ფელიქს — ლექსები № 10
კვარაცხელია გუჩა — ლექსები. № 3
კეშელავა ბონდო — ლექსები. № 8
კერძევაძე ელდარ — ლექსები. № 11
კუხიანიძე ზურაბ — „წამომყევით, ბიჭებო". ლექსი. № 11
კვანჭიანი დარეჯან — ლექსები. № 7
მაჭავარიანი მუხრან — ლექსები. № 2
მაზმიშვილი დალი — ლექსები. № 3
მინდაძე ბაძინა — ლექსები. № 10
მეტრეველი მერაბ — ლექსები. № 1
მებურიშვილი ტაგუ — ლექსები. № 9
მჭედლური დავით — ლექსები. № 10
მოლაშხია ზაურ — ლექსები. № 2
მორჩიაული თენგიზ — ლექსები. № 8
ნარსია ნოდარ — ლექსები. № 4
ნავროზაშვილი დავით — ლექსები. № 7
ნიჟარაძე ენვერ — ლექსები. № 7
ნებიერიძე მურად — ლექსები. № 10
ნუცუბიძე ლილი — ლექსები. № 3
ოხეფაიშვილი რევაზ — ლექსები. № 10
ოთარაშვილი ვაჟა — ლექსები. № 9
პაპიაშვილი თამარ — ლექსები. № 3
რუხაია გრიგოლ — ლექსები. № 10
სამადაშვილი შაქრო — ლექსები. № 11
სალლიანი ერეკლე — ლექსები. № 10
სვანი ავთანდილ — ლექსები. № 2
სულაკაური გიგი — ლექსები. № 11
სულაბერიძე ლადო — ლექსები. № 12
ტაბატაძე ალექსანდრე — ლექსები. № 5
უშვერიძე ირინე — ლექსები. № 3
ფორჩხიძე შალვა — ლექსები. № 2
ფხოველი ჯარჯი — ლექსები. № 1
ფეტელავა გულადი — ლექსები. № 12
ქვლივიძე მიხეილ — ლექსები. № 2. № 8
ქუთათელაძე ნინო — ლექსები. № 3
ყურაშვილი ავთანდილ — ლექსები. № 11
შალამბერიძე ოთარ — ლექსები, № 2
შალვაშვილი ბელა — ლექსები. № 12
შეთეკაური გიორგი — ლექსები. № 4
შეწირული მზია — ლექსები. № 3
შონია ჯემალ — ლექსები. № 7
ჩარკვიანი ჯანსულ — მეექვსე დღე. პოემა. № 11
ჩახავა ჯემალ — ლექსები. № 4
ჩიტიშვილი მანანა — ლექსები. № 1
ძნელაძე ვახტანგ — ლექსები. № 9
წიკლაური მამუკა — ციკლიდან — „წელიწადის წრე". ლექსი. № 9
წიკლაური მზია — ლექსები. № 8
ჭუმბურიძე დოდო — ლექსები. № 1
ხარჩილავა ვახტანგ — ლექსები. № 7
ხახიაშვილი დანიელ — ლექსები. № 7
ხარიტონაშვილი მიხეილ — ლექსები. № 10
ხმალაძე მარინა — ლექსები. № 3
ხოდაშნელი შოთა — ლექსები. № 12
ხეთაგური მზია — ლექსები. № 1
ჯავახიშვილი დავით — ლექსები, №
ჯავახაძე ვახტანგ — ლექსები, № 9
ჯანელიძე ჯანო — ლექსები. № 6
ჯიქია შუკო — წიგნიდან: „ლანდები და ისინი". ლექსები. № 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი სახელები

გაბაშვილი გია — ლექსები. № 4
გაგიტაშვილი ალექსანდრე — ლექსები. № 11
გიგინაშვილი რუსუდან — ლექსები. № 3
დუმბაძე ნათელა — ლექსები. № 3
მეფისაშვილი გიორგი — ლექსები. № 1
მხეიძე ანა — არჩევანი მე.... მოთხრობა, № 2
შამანაძე შადიმან — ლექსები. № 5
წიკლაური გიორგი — ლექსები. № 11
ჯავახიშვილი ქეთევან — ლექსები. № 11

## ასფურცელა

დობორჯგინიძე ჯემალ, მეტრეველი გიორგი, მეგრელიშვილი ავთანდილ, ნუცუბიძე ლილი, სვანიძე ბეჟან, შიმშილაშვილი თემურ, ჩახავა ჯემალ, ხარაძე იმერი, ხოდაშნელი შოთა, ჯანდიერი ცაური, ჯახუა იმედი — ლექსები. № 6

## ნარკვევი

ბეგიაშვილი ლერი — ვაზო, შვილივით ნაზარდო!.. № 9
ბედიანიძე დალილა — დღეები. № 9
გაბრიჩიძე ნელი — ფიქრები ქეთევან ანანიაშვილზე — № 10
ფირცხალავა არჩილ — აჩინოული ლაურეატი. № 8
ჯაჭვაძე იზა — მიწავ. სტორისაო! № 3

## ახალი თარგმანები

აჟდრეს ეჰინი — ლექსები — ესტონურიდან თარგმნა ამირან კალაძემ. № 4
იოჰან ვოლფგანგ გოეთე — პროლოგი ზეცაში, პოემა. გერმანულიდან თარგმნა იორამ ქემერტელიძემ. № 7
ლონგფელო, ლესლი ვულფ, შელლი, თომას მური — ლექსები. ინგლისურიდან თარგმნა ჯემალ ჭელიძემ. №7
მოგენს ლინკე, ჰალდორ ლაქსნესი, იოჰან ბორგენი, მაი ჰირდმანი — მოთხრობები. გერმანულიდან თარგმნა ნელი ამაშუკელმა. № 5
ჟაკ პრევერი, პოლ ელუარი — ლექსები, თარგმნა მანანა გოგოლაშვილმა. № 3
ჯემალდინ იანდიევი, ნაგამედ ხულაევი, შაიხი არსანუკაევი — ლექსები, თარგმნა [illegible] წიკლაურმა, № 4

## წერილები, კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ალხაზიშვილი გივი — საუბარი მკითხველთან, № 1

**ალიმონაკი ლერი** — სიჩუმისა და დუმილის პოეზია, № 3

**არაბული ირაკლი** — ტკივილი პოეზიისა, № 12

**ავალიანი ლალი** — „შუბლმთვარიანი“, № 8

**ბარამიძე ალექსანდრე, გუგუშვილი მერი** — ქეთევან დედოფლის წამების გარშემო, № 1

**ბენდიანიშვილი ალექსანდრე** — სვანეთის ისტორიული წარსულის ზოგიერთი საკითხის შესახებ. № 7

**ბენაშვილი გურამ** — მხატვრული ხედვის თვალსაწიერი, № 11

**გეგელაშვილი კარლო** — სასწაულები და სასწაულმოქმედნი. № 10, 11

**გიგინეიშვილი ივანე, ბურჭულაძე გენადი,** — სასიქადულო მეცნიერი, № 8

**გაწერელია აკაკი** — ერთი წიგნის გამო, № 6

**გაზაფხულს გაუმარჯოს** — № 3

**დიადი განთიადი** — № 5

**დანელია კორნელი** — ქართული სამწერლო ენის სათავეებთან, № 2

**კარბელაშვილი ანდრე** — კვალი სიკეთისა, № 5

**თურნავა სერგო** — აკაკი შანიძე დასავლეთ ევროპის მეცნიერებაში. № 11

**კახიანი კოტე, პაპაშვილი სერგო** — კოლაუ ნადირაძის პოეტური ხილვა. № 6

**კენჭოშვილი ირაკლი** — უჭკნობი ყარამფილები, № 7

**კილანავა ბეჟან, კილანავა კოტე** — ღვთაებავობი. № 6

**კუტალეიშვილი ზურაბ** — ნაოსნობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები დასავლეთ საქართველოში. № 11

**კვლავაც რწმენის და სიმართლის დროშას ააფრიალებდე!** № 11

**მგალობლიშვილი ეთერ** — შექსპირი ქართულ ლიტერატურასა და თეატრში (1900 — 1925 წ. წ.). № 5

**მეტრეველი როინ** — საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება და აკაკი წერეთელი. № 6

**მირიანაშვილი თეიმურაზ** — მირზა გელოვანის 1933 — 1936 წლების ლირიკა. № 4

**მკრტიჩიანი ლეონ** — ცხოვრობდა აკაკი და უყვარდა ადამიანები. № 5

**ორლოვა სვეტლანა** — ინდოევროპელები. ვინ არიან და საიდან მოვიდნენ ისინი? № 2

**პაპკორია ოტია** — პორტრეტები, № 12

**ჟორდანია აპოლონ** — პოეზია უპირველეს ყოვლისა. № 9

**რობაქიძე ამირან, მურადაშვილი მურმან** — „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა“.. № 1

**საქართველოს დიდი ლხინი,** № 6

**სიხარულიძე აკაკი** — ობიექტივშია რეჟისორის სამყარო. № 3

**ფხოველი ჯარჯი** — „ამირანის ლახტის მქნეველი“.. № 4

**ქეთელაური სულხან** — ჩვენ და ბუნება, № 8

**ქაჯაია ომარ** — არაბთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე ეტაპის ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ, № 5

**ღვინჯილია ჯანსუღ** — პასუხი ნაჩქარევ დასკვნებზე, № 1

**შარაძე გურამ** — არქეოგრაფიული ეტიუდები, № 7

**შენ გამარჯვებას ხარ შეჩვეული,** № 4

**წერეთელი ნათელა** — ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში 1908 — 1910 წლებში, № 6

**ხუციშვილი სოლომონ** — ქრისტეფორე რაჭველიშვილი, № 7

**ხეთერელი ციური** — გზადაგზა, № 3

**ჯაფარიძე რევაზ** — რაც არ იწვის, არ ანათებს, № 5

## რუსთაველის ნაკვალევზე

**სალუქვაძე სოკრატ, საყვარელიძე გივი** — წამალთმცოდნეობისა და მკურნალობის საკითხები „ვეფხისტყაოსანში“, № 2

**ხინთიბიძე აკაკი** — „ვეფხისტყაოსნის“ რიტმული ვარიაციებიდან, № 3

## ლენინიანა

**გაბუნია კარლო** — ლენინი საქართველოს საარქივო დოკუმენტებსა და საზოგადო მოღვაწეთა მოგონებებში, № 5

**მერკვილაძე ვლადიმერ** — ლენინური მემკვიდრეობის საგანძური. № 4

**შარმიაშვილი ნიკო** — ილიჩი და ქართველი გლეხი, № 4

## 36 — ქარიშხლიანი დღეების ექო — 36

**ამისულაშვილი შალვა** — ერთ უსახელო მალობზე, № 5

**დემეტრაშვილი ოთარ** — გუგული. № 5

**ლაბაძე გიორგი** — მარადიული ცეცხლი. № 5

**მურმანიშვილი დავით** — უცნობი მხედარი. № 5

**შამათავა პეტრე** — ქება ადამიანისა. № 5

**კიკალიშვილი გიორგი** — ჰოსპიტალის სასახელო საბრძოლო გზა. № 10

**ჩინჩილაკაშვილი ტრისტან** — ქედუხრელნი. № 8

## ახალგაზრდა მეცნიერი „ცისკარში“

**მიშველაძე მორის** — კოტათი გადაწეული ფარდა, № 1

**ზუმბაძე დენიზა** — ფილოსოფიის ისტორიის საკითხებიდან, № 7

## ჩვენი კალენდარი

**გორდელაძე მედეა** — „არსენას ლექსის“ პირველი რესტავრატორი და გამომცემელი, № 9

## გახსენება

**მაჩაიძე ვლადიმერ** — ლექსები, № 10
**ჯიშკარიანი ჯუმბერ** — „მიწისქვეშეთის ლოცმანი", № 1

## იუბილეები

**100 — ალექსანდრ ბლოკი — 100**

**ბლოკი ალექსანდრ** — ინტელიგენცია და რევოლუცია, თარგმნა **ალექსანდრე ბუაჩიძემ**, № 1

### 60 — ვახტანგ გორგანელი — 60

**ლებანიძე მურმან** — ჯარისკაცის თავმდაბლობით, მეომრის ერთგულებით, № 5
**ჭელიძე ოთარ** — ჩუმი და მჭექარე, № 5

### 100 — მიხეილ ჯავახიშვილი — 100

**ლეონიძე გიორგი** — მამულიშვილი, ქართლის მხატვარი! ლექსი, № 9
**მეგრელიძე იოსებ** — მიხეილ ჯავახიშვილი, № 10
**ჯავახიშვილი მიხეილ** — უბის წიგნაკიდან, № 9

### 50 — ჯანსუღ ჩარკვიანი — 50

**სარედაქციო მილოცვა**, № 11
**ინანიშვილი რევაზ** — მზეს კთხოვ, № 11
**შენგელაია ელდარ** — ბავშვობის მეგობარს ვესალმები, № 11
**ჩხიკვაძე ვანო** — მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი, № 11

## კომკავშირული მატიანე

**ფანქველაშვილი ვიოლა** — ოცდაორი წლის ჭაბუკი, № 9
**ვადაჭკორია შოთა** — საქართველოს კომკავშირის ბრძოლის ისტორიიდან (1921 — 1923 წ. წ.), № 5

## საქართველოს მწერალთა მეცხრე ყრილობაზე თქმული

**ამირეჯიბი ჭაბუა, სულაკაური არჩილ, ფოცხიშვილი მორის**, № 9
**ნოდია ოთარ** — № 11

## ხელოვნება

**ანდრიასოვი დავით** — ნათელა იანქოშვილი, № 2
**ბუზუკაშვილი მარინე** — „პარადოქსი მსახიობზე", № 11
**გაჩეჩილაძე ეკატერინე** — შოთა ლექავა, № 12
**ვართაგავა ავთანდილ** — გარდასახვა, № 2
**ვარდანაშვილი მანანა** — „ყოვლსა მისთვის ჰხელოვნობდეს", № 5
**კინწურაშვილი ქეთევან** — გოგი მე[illegible] მხატვრული სანყარო, № 10
**კობერიძე კარლო** — სიმღერა სულისა, № 1
**კილასონია ნაზი** — ლეონარდო შენგელია, № 12
**კლდიაშვილი ანა** — მანანა ბობოხიძე, № 4
**ლეჟავა სამსონ** — ზურაბ ნიჟარაძე, № 10
**მაღულარია გივი** — ფერმწერი, გრაფიკოსი, მოქანდაკე, № 9
**სტურუა რობერტ** — პოეტური ხილვების სამყარო, № 4
**ჩინჩალაძე ლამარა** — მზრდელი დიდი ნიჭისა, № 6
**ჯაფარიძე ნუგზარ** — „ქვაომხაზის" ღამეული სტუმარი, № 9

## საინტერესო შეხვედრები

**ჯაფარიძე ლადო** — ჩემი შეხვედრა ანატოლ ფრანსთან, № 3

## ხალხური საუნჯე

**მახაური ტრისტან** — მესტვირეობის ტრადიცია ფშავში, № 4
**თურმანაული გიორგი** — ჭრელა უძილაურის გაკვეთილები, № 3

## პირველი შთაბეჭდილება

**ასანიძე ამირან, ოლენკო ივან** — მიპატიჟება სამოგზაუროდ, № 7
**ევგენიძე იუზა** — ქართული ესთეტიკური აზრის მნიშვნელოვანი შენაძენი, № 5

## ვისკრის ფოსტა

**საყვარელიძე გივი, სალუქვაძე სოკრატ** — გასწორება, № 8

## სპორტი

**რუხაია გრიგოლ, ჩორდელი ვაჟა** — ექო დიადი ბატალიისა, № 7

## საზღვარგარეთის ამბები

**აბონ ციციაშვილი** — საფრანგეთი, № 9
**კულტურული ცხოვრების ქრონიკა**, № 2, № 9
**საზღვარგარეთული ქრონიკა**, № 8

## იუმორი

**ცინცაძე ვანო** — გაუთხოვართა და უცოლოთა საყურადღებოდ, № 8
**ინგლისური იუმორი** — თარგმნა **ნანა ჯარიაშვილმა**, № 3, № 4.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციაში შემოსული მასალები ერთ საავტორო თაბახამდე ავტორებს არ უბრუნდებათ

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე—72-26-80. მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები—72-26-35, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 20. 10. 81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 2. 12 81 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 2627. უე 08773. ტირაჟი 44.500.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დღეგრძელი იყოს!

თავისი მზით და
თავისი მთვარით,
თავისი დღით და
თავისი ღამით,
თავისი ზღვით და
თავისი ნავით,
თავისი მთით და
თავისი ბარით,
თავისი ტყით და
თავისი ზვარით,
თავისი ხმლით და
თავისი ფარით,
თავისი ძით და
თავისი ქალით,
ქმნიდეს ამ ქვეყნად
სასურველ ამინდს!
მრავალ ახალ წელს
მშვიდობით ვლიდეს,
სულ ტრიალებდეს
მისი მზის ჩარხი, —
დღეგრძელი იყოს,
დღეგრძელი იყოს,
დღეგრძელი იყოს
მშობელი ხალხი!

თენგიზ კობერიძე.

6150/190

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ*

# «ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ